სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო
პედაგოგიური უნივერსიტეტი

ავთანდილ სონღულაშვილი

ეროვნული უმცირესობანი და კონფესიები საქართველოში

(ლექციების კურსი)

I

თბილისი
2005

უაკ (UDC) 323.15 (479.22)
ს677

ნამრომმი ახლად გამოვლენილი საარქივო დოკუმენტური წყაროებისა და მდიდარი სამეცნეირო ლიტერატურის გათვალისწინებით, შესწავლილია საქართველოში მცხოვრები გერმანელების, აფსუების, ბერძნების, ჭურთების, აისორებისა და სხვ. ეროვნულ უმცირესობათა სოციალურ–ეკონომიკური და კულტურულ–პოლიტიკური ასპექტები. აქვე წარმოდგენილია კაზაკების, აზერბაიჯანის ქართული მოსახლეობისა და ფერეიდნელ ქართველთა ეროვნული თვითშეგნების საკითხები. ასევე განხილულია ზოგიერთი სექტის საქართველომი მოქმედების ისტორიის ჰრობლემები.

შემდგომ გამოცემაში შესწავლილი იქნება სომხების, აზერბაიჯანელების, ოსების, ებრაელების და სხვა ეთნიკურ უმცირესობათა საქართველომი ცხოვრების ისტორიის ძირითადი ეტაპები.

საზოგადოებრივი რედაქტორი **ბიძინა სონღულაშვილი**

რედაქტორი პროფ. **დ. მალაზონია**

რეცენზენტები: პროფ. **ს. ვარდოსანიძე**
პროფ. **ც. ბარბაქაძე**

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 5

აფსუები 7

ბერძნები 44

გერმანელები 79

ქურთები 121

აისორები 128

კაზაკები 139

ინგილოები 176

ფერეიდნელები 183

ავტონომიური ფორმირებები 192

ენა და ეროვნული ურთიერთობები 209

ბაპტისტები 218

მაჰმადიანები 230

კრიშნაიტები 237

სატანისტები 239

აზერბაიჯანული და თურქული სკოლები 241

შესავალი

საქართველო მრავალეროვანი, მრავალენოვანი და მრავალ კონფესიური ქვეყანაა. ცნობილია, რომ, 99 სახელმწიფოს ჰყავს 291 ეთნიკური უმცირესობა, ამასთან, ეთნიკური და ნაციონალური იდენტურობის პრობლემებმა შრომითი მიგრანტებისა და ლტოლვითა რიცხვის ზრდის კვალდაკვალ ახალი დატვირთვა შეიძინა, რაც პერმანენტულად ახალ ეთნიკურ უმცირესობებს აყალიბებს.

საუკუნეთა მანძილზე ჩვენს ქვეყანაში ძირძველი მოსახლეობის გვერდით მშვიდობიანად ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები. ამიტომ მრავალეროვან ქვეყანაში ერთა შორის ურთიერთობის საკითხი ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს ეროვნული უმცირესობების როგორც სოციალურ, ისე ეკონომიკურ მდგომარეობას, თანამედროვე პირობებში ეს საკითხი უფრო მეტად პრობლემატურია, რადგანაც ეთნოპოლიტიკური დაძაბულობა დემოკრატიული ნორმების განმტკიცების ერთ-ერთი დამაბრკოლებელ მიზეზადაა ქცეული.

ერთაშორის მშვიდობიან თანაცხოვრებას დღევანდელ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და იგი გლობალურ პრობლემას წარმოადგენს, ვინაიდან, როდესაც ამა თუ იმ ქვეყანაში ადგილი აქვს ცალკეული ერების წარმომადგენელთა შორის საუკუნეების მანძილზე მშვიდობიან, კეთილმეზობლურ თანაცხოვრებას, რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითი არ არის.

დღეს, როდესაც ჩვენი სამშობლო აქტიურად არის ჩართული ევროპული ინტეგრაციის პროცესში, დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების შეუქცევად გზაზე, განათლების რეფორმიდან გამომდინარე, პედაგოგიური უნივერსიტეტის ისტორიის პროგრამაში შევიტანეთ საგანი სპეცკურსის სახით „ეროვნული უმცირესობანი და კონფესიები საქართველოში". ეს საგანი არ წაკითხულა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.

სპეცკურსის შესწავლა საშუალებას მისცემს სტუდენტებს საფუძვლიანად დაეუფლონ დემოკრატიულ ღირებულებებს, ჩამოუყალიბებს მათ ეროვნულ თვითშეგნებასა და შეგნებას, რომ საქრთველოში ოდითგანვე

ცხოვრობდნენ სხვა ეროვნების წარმომადგენლები და ყოველთვის ჰქონდათ საშუალება თავისუფლად გამოეხატათ თავიანთი რელიგიური აღმსარებლობა. ის, რაც დღეს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ეგიდით ხდება მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებში, საქართველოში მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ასეთი პოზიცია ეკავათ ჩვენს წინაპრებს.

სალექციო კურსში შეტანილი თემების დიდი ნაწილი გამოქვეყნებული იყო ცალკე ბროშურებისა და სტატიების სახით. სტუდენტებისათვის, რომ უფრო ხელმისაწვდომი გაგვეხადა გადავწყვიტეთ ჩვენს მიერ ნაკითხული ლექციები ცალკე წიგნად გამოგვექვეყნებინა. ვფიქრობთ აღნიშნული დამხმარე სახელმძღვანელი დაინტერესებს როგორც სტუდენტებს, ისე ფართო მკითხველ საზოგადოებას.

აფსუები

მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ ანტიკურ და შუასაუკუნოვან წერილობით წყაროებში მოხსენიებული დასავლეთ საქართველოში მცხოვრები „აფხაზები" ჩრდილო-კავკასიური წარმოშობის არიან. ამ თვალსაზრისის მომხრეთაგან ერთნი თვლიან, რომ ისინი უძველესი დროიდან სახლობენ შავი ზღვის სანაპიროზე. მეორენი ფიქრობენ, რომ აფხაზები აქ მოვიდნენ I-II საუკუნეებში, სხვები კი – XVII საუკუნიდან ჩამოსახლებულად მიიჩნევენ.

მკვლევართა ნაწილის აზრით, ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეებში ამ ტერიტორიაზე მოსახლე აფხაზები ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორიც მათ ირგვლივ მცხოვრები ქართები, ეგრები, სვანები, ხოლო ისინი, ვინც თავის თავს „აფხაზებს" უწოდებენ, XVII საუკუნის შემდეგ არიან ჩამოსახლებულნი და რადგან ისტორიული აფხაზეთის (საქართველოს) მიწა-წყალზე დასახლდნენ, ქართველები მათ აფხაზებს უწოდებდნენ, ხოლო ისინი თავის თავს – „აფსუებს"

ისტორიული მეცნიერება არ უნდა იქცეს პოლიტიკის მონად, მსახურად, როგორც ეს იყო საბჭოთა ეპოქაში, მაგრამ, ის აუცილებლად უნდა გახდეს ეროვნული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის საფუძველი, ერთ-ერთი საყრდენი. ე. ი. ოფიციალური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს მეცნიერებას და არა მეცნიერება პოლიტიკას.

საბჭოთა იდეოლოგიური სამსახურები მეცნიერებს აიძულებდნენ ეწერათ სიცრუე. პარტიის პოლიტიკისათვის მისაღები სიცრუე. ცენტრიდან მოდიოდა დირექტივა, რომ სსრკ-ს ტერიტორიაზე ყველა ხალხი ადგილობრივი, ავტოქტონური წარმოშობისაა. ეს სჭირდებოდათ იმისათვის, რომ 100-ზე მეტი ერისა და ეროვნების კონსოლიდაციის (გარუსების) პროცესი უმტკივნეულოდ, ყოველგვარი ეთნოკონფლიქტების გარეშე წარმართულიყო. ამით ისარგებლეს არამკვიდრმა ხალხებმა (აფსუებმა, ოსებმა...) და თავი საქართველოს აბორიგენულ მოსახლეობად გამოაცხადეს, ტერიტორიები მიისაკუთრეს და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაც განიზრახეს. ცხადია, დიდი რუსეთის უშუალო დამხარებით. ქართველმა მეცნიერებმა სხვა რომ ვერაფერი მოახერხეს აფსუათა მონოაბორიგენობის ცრუ თეორიას ორაბორიგენობის ცრუ

თეორია დაუპირისპირეს, აქაოდა, აფხაზეთში აფსუებთან ერთად ქართველებიც ცხოვრობდნენო. ცრუ თეორიების „ჯერითმა" საბოლოოდ ყველაზე მეტად მაინც ქართული მხარე დაზარალა.

დასავლეთ საქართველოს ენობრივ-ტომობრივი შემადგენლობის საერთო სურათს ზოგიერთი მკვლევარი იმ ფაქტის მითითებითაც ავსებს, რომ, თითქოს, შავი ზღვის ჩრდილოეთ-დასავლეთ სანაპიროზე იმთავითვე ცხოვრობდნენ აფხაზურ-ადიღეური წარმოშობის ტომებიც. მაგრამ ამ თვალსაზრისის დამადასტურებელი მტკიცე და უდავო არგუმენტები დღევანდელ მეცნიერებას არა გააჩნია.

დავუშავთ, რომ უძველეს დროშივე „აფხაზები" თავის თავს „აფსუებს" უწოდებდნენ, თავის მხარეს კი აფსნის, როგორც ეს ახლაა. მაშინ რატომ გავრცელდებოდა ანტიკურ სამყაროში სახელწოდება აფხაზი – აბაზგი და არა აფსუა – აფსნი?

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში (გ. მელიქიშვილი, მ. ინაძე და სხვ). სრულიად სამართლიანად აღნიშნავენ, რომ აბაზგების ანუ აფხაზების სახელი ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მხოლოდ ახ. წ. პირველ საუკუნეებში გამოჩნდა. ამ მოსაზრებას გააჩნია მტკიცე წყაროთმცოდნეობითი ბაზა. თავი რომ დავანებითთ ძვ. წ. I საუკუნეზე ადრინდელ წყაროებს (ძვ. წ. V საუკუნის ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს, IV საუკუნის გეოგრაფოსის ფსევდო-სკილაქს კარიანდელის და სხვათა), საღაც საერთოდ არ მოიხსენიება აბაზგების (აფხაზების) სახელი, საკმაოდ ავტორიტეტული ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი (ძვ. წ. 64/63 – ახ.წ. 23/24 წწ.) რომელსაც ხელთ ჰქონდა წინა საუკუნეების სანდო წყაროები (მაგ., ძვ. წ. II საუკუნის არტემიდორე ეფესელი და სხვა), და თვითონაც გააჩნდა პრეტენზია შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ტომების ღრმა ცოდნისა, – ვერ ასახელებს (აფხაზების) სახელს. და საერთოდ, ბერძნულ-ლათინურენოვანმა სამყარომ არ იცის აბაზგების (აფხაზების) სახელი ახ. წ. II ს-მდე

სტრაბონის ცნობებიდან საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ სვანები აფხაზეთის მობინადრეები იყვნენ, სხვანაირად გაუგებარი და აუხსნელი რჩება ის გარემოება, რომ სვანებს ეპყრათ დიოსკურიის ზემოთ კავკასიის მწვერვალები. თუ რანდენად მჭიდრო ურთიერთობაშია ორი ცნება: „სვანი" და „კოლხი", ამაზე კარგად მეტყველებს პტოლემაიოსთან (100-178 წწ.) დადასტურებული სახელწოდება სუანოკოლხები.

ჩვ.წ.-ის II ს-ის ცნობილი რომაელი მოღვაწე ფლავიუს არიანე, რომელიც იმპერატორ ადრიანეს დროს სამსახურებრივი მოვალეობის გამო იმყოფებოდა რომის გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე, მათ შორის

დასავლეთ საქართველოში, ჩამოთვლის მთელ რიგ ქართველ ტომებს. სხვა ქართველ ტომებთან ერთად აღნიშნავს სვანებს. არიანე მიუთითებს, რომ ძიდრიტების გვერდით ცხოვრობენ ლაზები. მათი მეფე მალასა ყოფილა, რომელსაც სამეფო ტახტი რომის იმპერატორისაგან ჰქონია მიღებული. ლაზების მეზობლად არიანე ასახელებს აფსილებს და აბასგებს, რომელთა მეფეებს იულიანესა და რესმაგს მეფის ხელისუფლება ასევე ადრიანესაგან ჰქონიათ მიღებული. აბასკთა მეზობლად ცხოვრობდნენ სანიგები. „მათ მინაზე იმყოფება სებასტოპოლისი. სანიგთა მეფეს სპადაგას ასევე მიუღია მეფობა რომისაგან.

როგორც ცნობილია, აფსუა და ზოგიერთი სხვა ისტორიკოსები აფხაზთა წინაპრებად აფსილებსა და აბასკებს მიიჩნევენ. თუმცა ამ ფაქტის დასაბუთება მხოლოდ სურვილის დონეზე ხერხდება. როგორც დავინახეთ, სანიგების ტერიტორიაზეა დღევანდელი სოხუმი ანუ მაშინდელი სებასტოპოლისი, რაც ასევე ანგარიშგასაწევი ფაქტია.

სოხუმს ძველმა ბერძნებმა დიოსკურია უწოდეს, შემდეგ ბერძენ-რომაელმა ავტორებმა – სებასტოპოლისი. XII საუკუნის ქართულ წყაროებში „ცხუმი" ეწოდება, რაც აფსუა ისტორიკოსის მიხედვითაც დღევანდელი სოხუმია. ცხუმი//ცხომი (უკანასკნელი ვარიანტი დასტურდება „ქართლის ცხოვრების" მარიამისეულ, თეიმურაზისეულ და მაჩაბლისეულ ნუსხებში) – სვან. ცხუმ//ცხვიმ//ცხ¯მ ცხემლა. ამაეე დროს ინალ-იფას მიაჩნია, რომ „თუმცა სოხუმს აქვს კიდევ სხვა სახელი, თავისი ადგილობრივი **ძველაბზაური სახელი** (ხაზგასმა ჩემია ა. ს.) აკვა (აკუა), რომელიც წარმოადგენს ქალაქის ერთადერთ გამოყენებით სახელწოდებას მკვიდრ მოსახლეობას შორის" რომელია ეს მკვიდრი მოსახლეობა, რომელმაც სოხუმს „აკუა" შეარქვა? კი მაგრამ რალა გვიან პერიოდში გაახსენდა ამ დალოცვილ მკვიდრ მოსახლეობას, რომ „აკუა" იყო ნამდვილი სახელი და არა ბერძენ-რომაელ-ქართველ ავტორთა მიერ შერქმეული მეტსახელი.

აფსუა ისტორიკოსების ფანტაზიას საზღვარი არ ჰქონდა. იგივე ავტორი აღნიშნავდა, რომ „ჩვ. წ. აღ-მდე I საუკუნის ბოლოს აფხაზეთი შედიოდა პონტოს მეფე მითრიდატეს დაქვემდებარებაში, ხოლო I საუკუნის შუა ხანებში რომაელი სარდლის პომპეუსის მიერ განადგურებული მითრიდატე 66 წელს შეიჭრა აფხაზეთში". აღნიშნულ პერიოდში კი, როგორც ვიცით, აფხაზების და აფხაზეთის ხსენება საერთოდ არ არის ბერძენ და რომაელ ავტორებთან.

მოკლედ, აფსუეს რაც უნდა ენერათ, მთავარია ენერათ და თეთრზე შავი ეთქვათ, საკუთარი ტყუილი თვითონაც დაეჯერებინათ და თვისტომსაც ასე ერწმუნა.

იგივე ავტორი სხვა ნაშრომში ცდილობს აფხაზეთი წარმოადგინოს როგორც დამოუკიდებელი ისტორიის სახელმწიფო. მისი აზრით, „აფხაზეთი მიეკუთვნება სწორედ ისეთი ქვეყნების რიცხვს" რომლებიც პირველყოფილი თემური წყობილებიდან, მონათმფლობელობის გვერდის ავლით, პირდაპირ ფეოდალიზმში გადავიდნენ.

კ. ს. შაკრილისა და ზ. ვ. ანჩაბაძის მოსაზრებას თუ გავიზიარებთ, ჩვ. წ. აღრიცხვამდე მეორე ათასწლეულის ბოლოს აფხაზების წინაპრები აბეშალას ტომია. ტერმინი აბეშალა – იგივე აფსილი – აფსუა ყოფილა. იმ დროს აფხაზები (აბეშალები) ლაპარაკობდნენ აფხაზურ (აბეშალურ) ენაზე (კ. შაკრილი).

სინამდვილეში „ასურული ლურსმული წყაროების „ქაშქებსა" და „აბეშლაელებში" შეიძლება დავინახოთ დასავლურ-ქართული წარმოშობის ტომები, რომელთა იდენტურობა უნდა იყოს ნაგულისხმები ტიგლათ-ფალასარ I-ის წარწერებში". აბეშლაელთა სახით საქმე გვაქვს კოლხური (დასავლურ-ქართველური) წარმოშობის ტომებთან.

დასახელებული მკვლევრები საქმეს ისე წარმოადგენენ, რომ აფხაზთა სამეფო, როგორც დამოუკიდებელი ერთეული არსებობდა და მოქმედებდა ანტიკურ ხანაში. „თუ ადრეულ ელინისტურ პერიოდში აფხაზეთის სანაპირო ზონა – აღნიშნულია ნაშრომში – კერძოდ, მისი ქალაქები აყვავებას განიცდიდა, ჩვ. წ. აღ-მდე II საუკუნეში იწყება მეურნეობისა და პოლიტიკური ცხოვრების თანდათანობით დაცემა...". ე. ი. ის, რაც დამახასიათებელი იყო საქართველოს და კერძოდ, დასავლეთ საქართველოსათვის, მკვლევარი აფხაზთა სამეფოს მიაწერს. მართალია, ტერმინს – სახელმწიფო არ ახსენებს, მაგრამ, კონტექსტში ასე გულისხმობს.

ასეთი ძველი ისტორიის ხალხს, რომლებიც თურმე აფსუა-აბხაზეთია, XVII-XIX სს. აღარც კი სცოდნიათ თავიანთი წარმომავლობა. XVIII საუკუნის ავტორმა რეინეგსმა და შედმეგ 1830 წელს ბარონმა აშმა დააფიქსირეს ლეგენდა აფხაზების აფრიკული წარმოშობის შესახებ. „თვითონ აფხაზები – წერდა აში – არ იზიარებენ წარმოშობის შესახებ გადმოცემას: ზოგიერთი თვლიან, რომ ისინი სომხების შთამომავალნი არიან, მეორენი ამტკიცებენ, რომ მათი წინაპრები იყვნენ ეგვიპტიდან ან შეიძლება აბისინიიდან. თავად საკუთარ თავს აბხაზები აბსნეს უწოდებენ".

საისტორიო წყაროებში სახელწოდება „აფხაზები" VIII ს-ზე ადრე არ არის დადასტურებული. ეს ტერმინი ქართულ მწერლობაში ჩნდება იმ ხანიდან, როდესაც იგი აღნიშნავს არა მხოლოდ საკუთარ აბაზგთა ეთნოსს, არამედ საერთოდ აფხაზეთის მიწა-წყლის მკვიდრთ, რომლებ-

�иц მეგრულ-ზანური, სვანური და აღმოსავლურ-ქართველური ტომებიც იგულისხმება.

დასავლეთ საქართველო იცვლიდა ხოლმე თავის სახელწოდებას იმისდა მიხედვით, თუ ამ ქვეყანაში – დასავლეთ საქართველოში, რომელ ტომს ჰქონდა მოპოვებული უპირატესობა. დასავლეთ საქართველოში რამდენიმე სხვადასხვა ტომი ცხოვრობდა. ესენი იყვნენ: კოლხები, სანიგები, ლაზები, აბაზგები და სხვები.

როდესაც დასავლეთ საქართველოში ეკონომიკური და პოლიტიკური უპირატესობა მოიპოვეს კოლხებმა, თვით სახელმწიფოსაც ერქვა კოლხეთი ანუ კოლხიდა. როდესაც შემდგომ საუკუნეებში (დაახლოებით პირველი საუკუნიდან) პოლიტიკური უპირატესობა მოიპოვა ლაზებმა, მთელ სახელმწიფოსაც ეწოდებოდა ლაზეთი ანუ ბერძნულად ლაზიკე. მერვე საუკუნიდან დასავლეთ საქართველოში გაძლიერდა აბაზგების ქართული ტომი და ქვეყნის სათავეში აბაზგთა ტომის მთავარი მოექცა. ამიტომაც მთელ დასავლეთ საქართველოს ეწოდებოდა აბაზგია ანუ აბაზგეთი, ე. ი. აფხაზეთი.

ნიშანდობლივია ვახუშტი ბატონიშვილის აზრი დასავლეთ საქართველოს შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ „ქვეყნისა ამის სახელნი არიან საერთოდ სამი: პირველად ეგრისი, მეორედ აფხაზეთი, მესამედ იმერეთი".

VII ს-დან სახელწოდება „აბაზგი" სცილდება ეთნიკურ ფარგლებს და და პოლიტიკურ ტერმინადაც იქცევა. ამიერიდან „აბაზგი" აღნიშნავს არა მხოლოდ ერთი წარმომავლობის ტომს ან ტომებს, არამედ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მთელ ქართულ და არა ქართულ მოსახლეობას, რომელიც ამ დროიდან აბაზგთა სამთავროში შედიოდა.

მომდევნო ხანაში (VIII ს-ის მეორე ნახევრიდან) სახელწოდება „აბაზგი" – „აფხაზი" კიდევ უფრო ფართო პოლიტიკურ მნიშვნელობას იღებს.

VIII საუკუნისთვის აფხაზეთის ტერიტორია ბიზანტიის ხელდებული იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქართლის ერისმთავარს არავითარი უფლებები არ ჰქონდა ამ ძირძველ ქართულ მიწაზე. როდესაც ლეონ მეორე სარგებლობს ბერძენთა დაუძლურებით და ხაზარების დახმარებით მათ განუდგება, ამავე დროს, ითვალისწინებს რა ქართლის ერისმთავართა სისუსტეს, ბედავს აფხაზეთის მეფედ თავის გამოცხადებას. „მატიანე ქართლისაჲს" ავტორის ცნობით, როდესაც ლეონმა „დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე" და სახელი იდვა მეფე აფხაზთა,

რამეთუ მიცვალებულ იყო იოანე და დაბერებულ იყო ჯუანშერი (ხაზგასმა ჩემია ა.ს.) და შემდგომად ამისსა ჯუანშერცა მიიცვალა".

გამოდის, რომ ლეონი აფხაზთა მეფე ვერ გახდებოდა, თუ ქართლის ერისმთავრებიდან იოანე – გარდაცვლილი და ჯუანშერი მოხუცებული არ იქნებოდა, ქართლში ამ დროს ძლიერი ხელისუფლება რომ ყოფილიყო, კუთვნილ მშობლიურ მიწას თვითონვე შემოიერთებდა და ბერძენთა მიერ დასმული ერისთავის შთამომავლის ანაბარა არ მიატოვებდა.

ფეოდალური საქართველოს ერთ მონარქიად გაერთიანებისათვის ბრძოლა სწორედ აფხაზთა სამთავროში იწყება. ე. ი. დიდი ეროვნული მოძრაობის ინიციატორები აფხაზთა ფეოდალური წრეები იყვნენ აფხაზ მთავართა წინამძღოლობით; ის, რომ აფხაზთა მთავარ ლეონს, რომელმაც VIII საუკუნის 70-იან წლებში საკუთრივ აფხაზეთი დანარჩენ ეგრისთან გააერთიანა, თავისი რეზიდენცია კი ანაკოფიიდან ქუთაისში – ქართულ კულტურულ და პოლიტიკურ ცენტრში – გადმოაქვს; ის, რომ ამიერიდან ორასი წლის განმავლობაში „აფხაზთა მეფეები" ყველაზე აქტიურად იბრძვიან საქართველოს გაერთიანებისათვის; ის, რომ „აფხაზთა მეფეები" იმთავითვე, IX-X სს-ში ქართული მონასტრებისა და საეპისკოპოსო კათედრების დამფუძნებლებად გვევლინებიან, და ბოლოს ის, რომ იმავე IX-X საუკუნეებიდან საკუთრივ აფხაზეთის ტერიტორიაზე (საერთოდ დასავლეთ საქართველოზე რომ არაფერი ვთქვათ) ქართული ეპიგრაფიკა ვრცელდება.

ყველაფერი ამის შედგად სრულიად ბუნებრივია, რომ აფხაზთა წრიდან გამოსული პოლიტიკური და კულტურული მოღვაწეები, რომლებიც ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ სარბიელზე მოღვაწეობდნენ, „ქართველები" იყვნენ და ქართველებად გრძნობდნენ თავს სწორედ იმ ზოგადეროვნული მნიშვნელობით, როგორც ამ საუკუნეებში შეიძინა ამ ეთნონიმმა, შემთხვევით არ არის რომ „ლეონიდების" გარდა „აფხაზთა სამეფოს", IX საუკუნის მეორე ნახევარში, სვანი შავლიანები განაგებდნენ.

აფხაზთა სამეფო ქართული სახელმწიფო რომ არ ყოფილიყო მისი დედაქალაქი იქნებოდა არა ქართული მოსახლეობის შუაგულში მყოფი ძველი ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის ცენტრი ქუთაისი, არამედ ანაკოფია (აფხაზეთის საერისთავოს ცენტრი), ეკლესია ან არ გამოეყოფოდა კონსტანტინოპოლის სამწყსოს და თუ გამოეყოფოდა, ჩამოყალიბდებოდა საკუთრივ აფხაზეთის ეკლესია, არ დამკვიდრდებოდა წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე და არ შეუერთდებოდა მცხეთის საკათალიკოსოს.

მას შემდეგ, რაც დასავლეთ საქართველო აფხაზეთის ერისთავთა დინასტიის მეთაურობით ერთ სამეფოდ გაერთიანდა, ბუნებრივია, თუ ამ სამეფოს ეწოდა „აფხაზეთი“ და ბუნებრივია ისიც, რომ XI საუკუნის მეორე ნახევრის მემატიანე, რომელიც ამ მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენით იწყებს ფაქტობრივად თავის ისტორიას, ამის შემდეგ დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოს მხოლოდ „აფხაზეთს“ უწოდებს. თუმცა მისთვის როგორც ვიცით „ეგრისიც“ არ არის უცნობი. VII ს-ის 70-იან წლებში და შემდგომ „აფხაზეთი“ ეწოდებოდა არა მხოლოდ საკუთრივ აფხაზეთს, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოს (ჩვენ ეს უკვე ვიცით „მატიანე ქართლისაჲდან“ და აგრეთვე „აბო თბილელის მარტვილობიდან“).

დასავლეთ საქართველოს გაერთიანების შემდეგ „მეფე აფხაზთა“ მუდმივად დარჩა ქართველ მეფეთა ტიტულატურაში: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, კახთა...“ და ა. შ. აქ უნდა გავითვალისწინოთ მიმართულებაც – დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ისტორიული სამართლიანობაც; ქართული სახელმწიფოს გაერთიანება დაიწყო აფხაზეთიდან და, რაც მთავარია, მეფეთა და იმპერატორთა ტიტულატურა არასდროს იწყება დაპყრობილი მიწებიდან. გავიხსენოთ რუსი იმპერატორების ტიტულატურა: „ხელმწიფე იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა, მოსკოვისა, კიევისა, ვლადიმირისა, ნოვგოროდისა, მეფე ყაზანის, მეფე ასტრახანის, მეფე ციმბირისა...“ და ა. შ.

განა შეიძლება წარმოვიდგინოთ რომ ეს ტიტულატურა დაწყებულიყო არა სიტყვებით „სრულიად რუსეთისა, მოსკოვისა“, არაამედ „ყაბარდოსი“, რომელიც აგრეთვე იხსენიება იმპერატორის სამფლობელოში? აქ გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ რუსეთის იმპერიის შექმნა დაიწყო მოსკოვიდან და არა კიევიდან, ხოლო შემდეგ მოხსენიებულია დაპყრობილი მიწებიც. ან გავიხსენოთ შაჰ-აბასის რეგალიები, რომ ის იყო შაჰი სრულაიდ ირანისა და შემდეგ იყო მფლობელი ლურისტანის, არაბისტანის, ქურთისტანის, ავლანისტანის, გურჯისტანის და ა. შ.

შეიძლებოდა სხვაგვარად მოქცეულიყვნენ ქართველი მეფეები? არა, არ შეეძლოთ მათ თავი გამოეცხადებინათ ჯერ სხვა ხალხთა მეფედ, შემდეგ კი საკუთარი ხალხისა! აფხაზთა მეფობა არა მარტო მათი გაგებით, არამედ თვით იმდროინდელ აფხაზთა, ქართველთა (ანუ აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლის) მოსახლეობის), კახთა და სხვათა, აგრეთვე ქართველ მეფეთა უცხოელ კოლეგებისა და მეზობელი ხალხების გაგებით ნიშნავდა იმავე ქართველთა (დასავლეთ საქართველოს ქართველთა) მეფობას.

ამიტომაც, თუ XIII საუკუნეში არა „აფხაზურ-ქართული გაერთიანებული სახელმწიფო“, არამედ ქართული სახელმწიფო სხვადასხვა ისტორიულ წყაროებში მოიხსენიება როგორც „აფხაზეთი“, ე. ი. „აფხაზეთი“ და „საქართველო“ სინონიმებად ითვლება, ამაში არაფერია უჩვეულო და გასაკვირი. ანუ, როგორც აღნიშნავს აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი, „აფხაზეთი ისეთივე საქართველო იყო, და აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როგორც ეგრისი და მეგრელი, როგორც ჰერეთი და ჰერი, როგორც ქართლი და ქართლელი...“.

XII საუკუნის პირველ ნახევარში, უცნობი სპარსელი ავტორის მიერ შედგენილ საისტორიო თხზულებაში ქართველისა თუ საქართველოს აღსანიშანავად გამოჩნდა ტერმინი „აფხაზი“, ხოლო თუ რა უნდა იყოს ამის მიზეზი, უმალვე ნათელი გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ ამ თხზულებას დიდი დავით აღმაშენებლის მეფობის მომსწრე ადგენდა. ასევე გაგრძელდა დემეტრე პირველის მეფობის პერიოდში. დავითისა და თამარის წინა ეპოქაში სხვადასხვა სახის სპარსულ წყაროებში საქართველო და ქართველობა მოიხსენიება, „გურჯესთანისა“ და „გურჯების“ ან „გორზების“ სახელწოდებით.

სპარსელი ისტორიკოსი „აფხაზს“ ანუ აფხაზეთს მიიჩნევს საქართველოს განუყოფელ და ბუნებრივ შემადგენელ ნაწილად. აფხაზეთი რომ საქართველო იყო და ქართული სულის განსახიერება კარგად ჩანს XII საუკუნის სპარსელი პოეტის ხაკანის სიტყვებიდან: „მშვენიერი ქალის სიყვარულის გამო გავხდი აფხაზეთის მკვიდრი და ქართულად ვიწყე ლაპარაკი“.

ზოგიერთი სპარსელი ავტორი სიტყვა საქართველოს საერთოდ არ ახსენებს. მათ საქართველოს აღმნიშვნელ ტერმინად აფხაზეთი მიაჩნიათ. მაგალითად, „ჰამდალაჰ ყაზვინი გიორგი მესამის ლაშქრობასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „აბხაზთა მეფე შეესია ისლემობის მიწაწყალს... აფხაზები უკუქცეულნი დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში... არას დროს ისლემობას აბხაზებთან ასეთი ბრძოლა არ ჰქონია...“. ასევე, XII საუკუნის საომარ ოპერაციებთან დაკავშირებით, სადრ ად-დინ... ალ ჰუსაინის თქმით, „აფხაზთა (ე. ი. ქართველთა ა.ს.) მეფე აიძულეს, გაქცეულიყო“. ან კიდევ, „არაბთა ისტორიკოსები აღნიშნავდა აკად. ივ. ჯავახიშვილი – ზოგჯერ მთელ საქართველოს სამეფოსაც – კი აფხაზეთად უწოდებდნენ და საქართველოს მეფეს აფხაზეთის მეფედ იხსენიებენ“.

რუსული ტერმინი „ობეზ“ ეტიმოლოგიურად უკავშირდება „აბაზგ“, „აფხაზ“ სახელწოდებას, სავსებით შესაძლებელია, რომ იგი „აბაზა“-გან

ან „აბაზინი“-გან წარმოიშვა, მაგრამ, შინაარსობრივად საქართველოსა და ქართველებს ნიშნავდა.

მეტად საინტერესოა, რომ ყარაჩაელები და ბალყარელები სვანების აღმნიშვნელ ეთნონიმად ებზეს ხმარობენ. ს. ჯანაშიას აზრით, „ებზე“ მომდინარეობს „აბაზა“ ტერმინიდან. საერთოდ, აბაზა-აბაზგია-აფხაზებში ყოველგვარი მეცნიერული დასაბუთების გარეშე რატომღაც ადიღეურ-ჩერქეზული ნარმომავლობის აფსუები (აფსილები?) იგულისხმებოდნენ, ისე, რომ არავითარი ანგარიში არ ეწეოდა აღნიშნულ ტერიტორიაზე მოსახლე ძირძველ ქართველურ ტომებს სუანოკოლხებს.

აბაზა-აბაზგია – აფხაზეთი ტერმინის ღრმა ლინგვისტური ანალიზის შემდეგ აკად. თ. გამყრელიძე ასეთ დასკვნამდე მიდის: „შავიზღვისპირეთის ეთნოკულტურული ვითარება ახ. წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში გვკარნახობს შესაძლებლობას „აფხაზ“/„აბაზგ“-ებში საკუთრივ დასავლურ-ქართველური ნარმომავლობის ტომები დავინახოთ, რომლებიც ახლო მონათესავენი უნდა ყოფილიყვნენ ძველ კოლხეთში მობინადრე სვანური და მეგრულ-ლაზური ტომებისა. თვით უძველესი სახელწოდება ამ ტომებისა „აფხაზ“ რომელიც ბერძნულ მეტყველებაში „აბაზგ“ – „აბაზღ“ ფორმად გარდაქმნა, აგებულების თვალსაზრისით სავსებით „ქართველურია“. ამ ენებში გავრცელებული (მაგრამ, ბერძნულისათვის დაუშვებელი) ფხ ჰარმონიული კომპლექსის შემცველი და ა-ხმოვნით დაწყებული. შდრ. ამ მხრივ უძველესი ტოპონიმი „აჭარა“ რომელიც უკვე „ქართლის ცხოვრებაში“ დასტურდება.

ძველი კოლხეთის ძირითად მოსახლეობას ნარმოადგენდნენ ამ დროს სნორედ ეს დასავლურ-ქართველური ტომები.

თავის დროზე აკად. ნ. მარიც აღნიშნავდა რომ ხალხი, რომელიც სვანური ტომებისაგან შედგებოდა, თავდაპირველად არ ატარებდა „სვან“ სახელწოდებას, არამედ მისი ეთნიკური სახელწოდება იყო „აბასხი“ არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ „აბასხ“ ტერმინის თავდაპირველი ფორმა ყოფილიყო ბასხ//ბასყ (შდრ. „ბასკ“-ი) რაც სვანურია და მარწყვს ნიშნავს.

ამგვარად, ებზე მომდინარეობს აბაზა ტერმინიდან და ისტორიულად დასავლეთ საქართველოს ძირძველ, სუანო-კოლხურ ტომებს აღნიშნავდა. აფხაზეთის სამეფოს ჩამოყალიბებიდან (VII ს.) ეს ტერმინი უფრო ფართო მნიშვნელობით გაიგება რუსი და სხვა ევროპელი ავტორებისათვის. ისინი ებზე – ობეზ-ის ხშირად მთელი საქართველოს აღმნიშვნელადაც ხმარობენ. VIII-XII საუკუნეებში ზოგჯერ ანალოგიურ ფაქტს ვანყდებით აღმოსავლურ წყაროებშიც.

თავის ძეს თამარი თიკუნად „ლაშას“ უწოდებს. „ისტორიანისა და ჯამანის ავტორი გვეუბნება – ლაშ, აფსართა ენითა, განმანათლებლად სოფლისა ითარგმნებაო. ზოგიერთი ავტორის აზრით: იმიერკავკასიის მოსახლეობის გულის მოსაგებად მომავალ ხელმწიფეს ორი სახელი ჰქვია – ქართველთა სადიდებელი წმიდანისა და იმერკავკასიელთა წარმართული ღვთების: ლაშა-გიორგი ანუ ნათელი გიორგი, რაც თეთრი გიორგის ასოციაციას ინვევს“.

ფრაზა, რომ „ლაშა“ „აფსართა ენით“ „ითარგმნაო“, „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებში ჩნდება XVIII საუკუნდიან. ადრე კი თამარის ისტორიის ტექსტებში ეს სიტყვები არსად ყოფილა და, ცხადია, არც უნდა იყოს ამ ავტორის კუთვნილება. ეს დამატება „ქართლის ცხოვრებაში“, ეტყობა, მას შემდეგ შეუტანიათ, რაც „ქართლის ცხოვრების“ ტექსტები საფუძვლიანად გაასწორეს და შეავსეს ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის დროს XVIII ს-ის დამდეგს.

ის ფაქტი, როიმ სიტყვები „აფსართა ენითა“ „ქართლის ცხოვრებაში“ XVIII საუკუნიდან გაჩნდა, იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ თავდაპირველ ტექსტში ისინი გვიანაა ჩართული. ამდენად, ჩამატებული სიტყვები ველარ გამოდგება იმის საბუთად, თითქოს XII საუკუნეში, თამარის ისტორიკოსის ცნობით, „ლაშა“ ნიშნავს „განმანათლებელს სოფლისა“ „აფსართა“, ე. ი. „აფსუების“ ენაზეო.

ვის უნდა დასჭირვებოდა ამ სიტყვების ჩამატება და რას უნდა ნიშნავდეს სახელწოდება „აფსარნი“? ვინ უნდა იყვნენ ისინი?

ეტყობა, „ქართლის ცხოვრების“ მკითხველებს კარგა ხანს არ ესმოდათ თუ ვის ენაზე ნიშნავდა სიტყვა „ლაშა“ „განმანათლებელს სოფლისა“. თამარის ისტორიაში ხომ მარტივად ეწერა „ითარგმნებაო“.

და აი, ვიღაცამ განიზრახა მკითხველებისათვის განემარტა, რომ „ლაშა“ „განმანათლებელს“ ქვეყნისა ნიშნავს აფხაზების ენაზე. მაგრამ როგორ უნდა მოქცეულიყო კომენტატორი? ქართველების ტრადიციული წარმოდგენებით აფხაზეთი თავისი მოსახლეობითურთ ძველთაგანვე საქართველოს და ქართული სამყაროს განუყოფელი ნაწილი იყო. ახლა კი, კომენტატორის დროს, აფხაზეთის მოსახლეობის გვარიანი ნაწილი უკვე ახალი აფხაზები, არაქართული მოდგმის, მათივე გამოთქმით, აფსუები იყვნენ. გაითვალისწინა რა ეს კომენტატორმა მეტი სიზუსტისათვის სწორედ ეს ფორმა – აფსუა იხმარა და განმარტებამაც ამგვარი იერი მიიღო: „განმანათლებლად სოფლისა აფსართა ენით ითარგმნაო“. აფსართა, სახელობითში აფსარ-ნი, ე. ი. აფსუ-ები, აფსუების ძველი ქართული ფორმაა, როგორც მაგალითად, სომხეთის, ქვემო ქართლის

ერთი ნაწილის მცხოვრებთ აღნიშნავდნენ ტერმინით „სომხით-არ-ნი“[6]. თუმცა მთლად ასეც არ არის საქმე.

მდ. ჭოროხის მეორე სახელია აფსაროსი – „აფსარი“ (ბერძნ. „თეჯზი“)=ეუთეჯზო. როდესაც ანტიკური პერიოდის ტერმინ აფსაროსზე მსჯელობენ, აფსუები თავის ძირებზე მიუთითებენ. სინამდვილეში კი „როდესაც პროკოპი კესარიელი (V-VI სს.) კოლხეთის ქალაქ აფსარუსზე მსჯელობს, შემდეგს ამბობს: „ძველად მას ეწოდებოდა აფსირტოსი – კაცის სახელი, აქ გადატანილი უბედურების გამო. მკვიდრნი ამბობენ, რომ აქ მდებარეა და იასონის ვერაგობით ადამიანებს გამოაკლდა აფსირტე და ამის გამო ადგილმა მისი სახელი მიიღო; ის ხომ ამ ადგილას მოკვდა და ეს ადგილიც მისგან იწოდა ასე... ამ აფსირტეს საფლავი არის ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში“.

აფხაზურში არც აფსირტეს მსგავსი, ფონეტიკურად ახლო მდგომი რაიმე კულტის არსებობა დასტურდება. სამაგიეროდ სვანურ ღვთებათა პანთეონში არსებობს ნადირთა და მონადირეთა მფარველი აფსასტ.

რაც შეეხება სახელი „ლაშას“ განმარტებას, რატომ მაინცდამაინც აფსუათა ანთროპონიმის მიხედვით უნდა ავხსნათ, მაშინ, როცა ტერმინი „ლაშა“ ქართულია და „ტაიჭს“ ნიშნავს. სულხან-საბას განმარტებით, ლაში პირის ქვედა ბაგეა.

ლაშარის ჯვარი ფშავის მთავარი სალოცავია. საკულტო ცენტრი მდებარეობდა ფშავის არაგვის ხეობის ზედა წელში, სოფელ ხოშარის მომიჯნავე ე. წ. „ლაშარის გორზე“; ლაშარის ჯვარი ითვლებოდა მოლაშქრე ღვთაებად, რომელიც გიშრის ფაფარიანი ნისლა ცხენით წინ მიუძღოდა საყმოს ლაშქრობებს. როგორც ფშავის თორმეტივე თემის მფარველს, მასვე შესთხოვდნენ სახნავ-ნათესის ბარაქიანობას. ადამიანთა კეთილდღეობას, ავადმყოფობისაგან და ზიანისაგან დაცვას. ლაშარის ჯვრის კულტი, გარდა ფშავისა, გავრცელებული იყო თუშეთში, ხევსურეთში, მოსაზღვრე ბარის რაიონებში, მეზობელ ჩრდილო კავკასიის მთიელებში. ლაშარის ჯვარი ითვლებოდა ერთერთ ყველაზე მდიდარ ღვთაებად, რომელიც ფლობდა მრავალ შემონირულ განძეულობას (მაშასადამე, საქართველოს მეფეებისაგანაც), ადგილ-მამულს, ზვრებს კახეთში და სხვა.

არსებობს შეხედულება (ვახუშტი), რომ ლაშარის ჯვარი აგებულია ლაშა გიორგის მიერ. ლაშა გიორგის სახელს უკავშირებს მას ხალხური გადმოცემაც. ისტორიული და ენობრივი მონაცემების მიხედვით, ლაშარის ჯვარი ძველი წარმართული, ასტრალური ბუნების ღვთაება უნდა იყოს, რასაც ქრისტიანობის ხანაში ლაშა-გიორგის კულტი შეერწყა

(ისევე როგორც თამარ-აქიმ დედოფლის კულტს თამარ მეფის კულტი). ქართულ ფოლკლორში მრავალი ლექსი მოიპოვება: „ლაშარელაის ლურ-ჯასა“, „ლაშარის ჯვარი ჯავრობდა“, „დიდობდა ლაშარის ჯვარი“, „თამარ დედოფალი და ლაშარის ჯვარი“ და სხვ.

დავით ჩუბინაშვილის განმარტებით, ლაშა ბალახს ნიშნავს. ხოლო იმერულ დიალექტში ლაშა ტუჩას, დიდტუჩიანის აღმნიშვნელია. ამასთანავე „ლაშა“ გვხვდება თურქულ და სპარსულ ლექსიკონებშიც. „ლაშას“ მსოფლიოს დაახლოებით ოცდახუთ ენაზე მაინც აქვს სხვადასხვა მნიშვნელობა.“

ევროპული წყაროების მონაცემებით, XIV საუკუნის პირველ ნახევარში სოხუმში ცხოვრობდნენ ქართველები, ლათინები, მაჰმადიანები და ებრაელები. აფხაზი რომ სხვა ეროვნების ყოფილიყო და არაქართველი, ბუნებრივია, წყაროები დააფიქსირებდნენ. აფსუები კი ქართულ „სარბიელზე“ ჯერ კიდევ არ გამოჩენილიყვნენ.

დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე XVI-XVII საუკუნეებიდან რთული პროცესები მიმდინარეობს. დასტურდება ჩრდილო კავკასიიდან მომთაბარე ტომების ჩამოსახლება. ჩრდილო კავკასიიდან მომთაბარეთა ჩამოსახლების პროცესი, რაც საქართველოში შექმნილი უმძიმესი ვითარების პირობებში მიმდინარეობდა, შედეგად იძლევა კახეთში – დაღესტნელი ტომების, შიდა ქართლში – ოსთა და დასავლეთ საქართველოში ჩერქეზულ-ადიღეური მოდგმის ხალხთა დასახლებას.

ქრისტიანულ აფხაზეთში წარმართობა მომძლავრდა, ამასთანავე, დამპყრობელი ოსმალების გავლანით ისლამი იკიდებს ფეხს. XV-XVI სს. ქართული დოკუმენტური მასალა, ნარატიული წყაროები პირდაპირ მიუთითებს აფხაზეთში ქრისტიანობის შერყვნაზე; უცხოელი ავტორები, რომელნიც XV-XVI საუკუნემდე დასავლეთ საქართველოს საერთო ქართულ სოციალურ-კულტურულ სამყაროდ აღიქვამდენენ, განსაკუთრებით XVII საუკუნიდან მკვეთრად გამოყოფენ და განასხვავებენ ერთმანეთისაგან კოდორის სამხრეთით და მის ჩრდილოეთით მცხოვრებთა ყოფას. სნორედ XVII საუკუნიდან ჩნდება პირველი ცნობები კოდორის ჩრდილოეთით ქართულისაგან (მეგრულისაგან) განსხვავებული სალაპარაკო ენის არსებობის შესახებ (აბულ ფიდა, პიეტრო გელარდა, ჯოვანი ჯუალიანო და ლუკა, არქანჯელო ლამბერტი, ევლია ჩელები და სხვები).

სნორედ ამის გამო იყო, რომ თუ დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში ფეოდალურ წყობილებას არ განუცდია რაიმე არსებითი ხასიათის ცვლილებები, პირიქით, გარკვეული მიზეზების გამო, აქ კიდევ უფრო დამძიმდა ბატონყმური ჩაგვრა. აფხაზეთში ადგილი ჰქონდა

ერთგვარ „ბარბარიზაციას“ (მობრუნებას პირველყოფილი წყობილებისაკენ), რაც დაკავშირებული იყო ჩრდილოეთიდან მონათესავე მთიელ ტომთა მორიგ შემოტევასთან. იმ დროს ყველა უცხოელი ავტორი ხაზს უსვამდა ჩამოსახლებულთა წესის მსგავსებას ადიღეელებისა და სხვა მთიელი ტომების კულტურასთან.

XVII საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთში იმყოფებოდა დომინიკანელი მისიონერი ჯოვანი ჯულიანო და ლუკა, რომელიც აღნიშნავს, რომ **აფხაზების „ცხოვრების წესი ისეთივეა, როგორც ჩერქეზების. იცვამენ ჩერქეზების მსგავსად“** (ხაზგასმა ჩემია ა.ს.). მიაქციეთ ყურადღება: ეს ხალხი რომ ისტორიული აფხაზები ყოფილიყვნენ და არა იმ ხანებში ჩამოსახლებული, რატომ უნდა ყოფილიყო მათი ცხოვრების წესი იდენტური ჩერქეზებთან? ხაზგასასმელია, რომ ლუკა აფხაზეთში ჩამოსვლამდე ჩერქეზებში იმყოფებოდა რამდენიმე თვის განმავლობაში და სათანადოდ გაეცნო მათ ცხოვრებას. მისიონერი შემდეგ განაგრძობს: აფხაზებს „არა აქვთ არავითარი დაწერილი კანონები და დამწერლობის გამოყენებაც არ იციან, რწმენით ისინი ქრისტიანები არიან, რაიმე ქრისტიანული წეს-ჩვეულების შესრულების გარეშე. ბევრი ჯვარი ვნახე ამ ქვეყანაში.“

ყველაფერი ნათელია. რა თქმა უნდა, მთიდან ჩამოსახლებულ ტომებს, რომლებიც ქვეყნის სახელწოდების მიხედვით აფხაზებად მოიხსენებიან, არაფერი ჰქონდათ საერთო ძირძველ აბორიგენ მოსახლეობასთან, რომლებიც ერთიანი ქართული სახელმწიფოს კანონებით სარგებლობდნენ, როგორც საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი. მთიდან ჩამოსულ აფსუებს XX საუკუნემდე დამწერლობა რომ არ გააჩნდათ და თავისთავად არც დაწერილი კანონები, დღეს სკოლის მოწაფეებმაც კარგად იციან.

ეჭვს არ იწვევს დღევანდელი აფხაზების ანუ აფსუების ენობრივი ნათესაობა ჩრდილეთკავკასიელებთან, მათ შორის ჩერქეზებთან. „ენათა ერთობა კი, როგორც წესი, მიუთითებს წინაპართა ერთობაზეც“. ჩერქეზებთან ნათესაობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ჩერქეზეთში არის სოფელი აფსუა.

საერთოდ, „თურქები ეთნონიმ „ჩერქეზის“ ქვეშ საკუთრივ ჩერქეზებს გარდა, აფხაზებსაც გულისხმობდნენ“. საინტერესოა, რომ გაზეთი „დროება“ 1875 წლის 63-ე ნომერში გამოქვეყნებულ სტატიებში აფხაზებს ჩერქეზებად მოიხსენიებს.

ჩრდილო-დასავლეთი კავკასია, მდ. ყუბანის აუზი უძველესი დროიდან იყო ადიღეური მოდგმის ტომების საცხოვრისი. აფხაზეთი თავისი

გეოგრაფიული მდებარეობის გამო საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენდა იმ ძირითად არტერიას, რომლის მეშვეობით საქართველოს სამეფო უკავშირდებოდა დასახლებულ ტომებს. პოლიტიკური სიტუაციები და ეკონომიკური კრიზისები, „აგრეთვე მეურნეობასთან დაკავშირებული აუცილებლობანი, ხშირად აიძულებდა ცალკეულ ტომებს, გამოეცვალათ თავისი ადგილსამყოფელი და სხვაგან გადასახლებულიყვნენ".

ერთ-ერთი ასეთი მიზეზი იყო აფსუების ჩამოსახლება აფხაზეთის ტერიტორიაზე, რასაც იშვიათად ჰქონდა მშვიდობიანი ხასიათი. პოლიტიკურად დაშლილ და ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ ქართველებს ცეცხლით და მახვილით შემოესივნენ ჩრდილოელი მეზობლები (უპირატესად ჯიქები, უბიხელები და აბაზები), რომლებიც ხოცავდნენ და საცხოვრებლიდან აძევებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, ან დამხვდური ხალხის მაღალი კულტურის გავლენის ქვეშ ექცეოდნენ და ასიმილაციას განიცდიდნენ. დოკუმენტეური წყაროების მიხედვით აფხაზეთში ქართველების დევნა და შევიწროება ძლიერია XIX საუკუნეშიც, რადგან კავკასიის მთებიდან და დასავლეთიდან შემოსული ჯიქები, უბიხები, აბაზები, მედოველები, აჩიპსები, აიგბები და სხვები მოსვენებას უკარგავდნენ არა მხოლოდ აფხაზეთის მშვიდობიან მოსახლეობას, არამედ გაგრაში, გუდაუთაში, სოხუმსა და სხვაგან დაბანაკებულ რუსულ სამხედრო ნაწილებსაც.

აფსუების ექსპანსიის შედეგად აფხაზი წარმართად ან მაჰმადიანად იქცა, აფხაზეთი – ადრეფეოდალური ურთიერთობის ქვეყნად. ასე წარმოიშვა „ახლი აფხაზეთი", რომლის მკვიდრი მოსახლე ქართველობა (ძირითადად მეგრელობა) მოსულმა აფსუებმა (ძირითადად აბაზებმა) გაიქცეს ან გააფსუეს, რომელთაც ზურგს უმაგრებდნენ, რაოდენობრივად ავსებდნენ და სულეირად ასაზრდოებდნენ ჩრდილოელი ჩერქეზები: უბიხები, ჯიქები, ბუედუხები, შაფსუღები, აბაძეხები, ყაბარდოელები, ყირიმელი თათრები, თურქ-ოსმალები და სხვა რჯულისა და სულის ხალხი. ასე წარმოიშვა ქრისტიანი საქართველოს მოძულე და დაუძინებელი მტერი – მაჰმადიანური აფხაზეთი, რომელიც თურქეთის შემდეგ რუსეთის ქვეშევრდომ და სტრატეგიულ პუნქტად იქცა.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა რამდენჯერმე დაარბია აფხაზეთი. პარალელურად აქ, ადიღეელები და განსაკუთრებით აბაზები უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ მთებიდან და ავსებდნენ აფხაზთა სამთავროს დანაკლისს. ამან აიძულა ალბათ ლევან II დადიანი, რომ „ანაკოფიის აღმოსავლეთით ზღვიდან მთამდე შეაევლო ზღუდე დიდი... აფხაზთა გადმოუსვლელობისათვის".

მთებსა და ტყეებში მცხოვრები აფსუების ბარში ჩამოსახლებამ ინტენსიური ხასიათი მიიღო. მათმა მთვრებმა დაიკავეს ტერიტორია კოდორიდან ენგურამდე. ამ ტერიტორიაზე მოსპეს ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი. ვინც შიმშილს, მახვილსა და ავადმყოფობას გადაურჩა, ოსმალეთში გაყიდეს, ხოლო მათ ადგილას აფსუები დაასახლეს.

შემთხვევითი არ არის, რომ აფხაზებად „მონათლული" გამაჰმადიანებული აფსუა ფეოდალები მათთვის უცხო ქართველებზე თითქმის ნადირობდნენ. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, XVIII საუკუნის დასაწყისში აფხაზები „დაუხვდებიან ოსმალთა ნავთა და ლაზ-ჭანთა და უფრორად ოდიშ-გურიასა". აფსუები დიდი ნავებით მოულოდნელად მიადგებოდნენ ნაპირს, ვისაც მოახელებდნენ იტაცებდნენ და თურქებზე ყიდდნენ ან აფხაზეთში ყმებად ასახლებდნენ. აფსუა მეკობრეებს თურქებიც კი უფრთხოდნენ. 1715 წლის მაისში ჭანმა რაისმა სულხან-საბა ორბელიანი ქობულეთში არ წამოიყვანა, რადგან „გურიას ხომალდს ვერ წამოვიღებო, აფხაზი აშლილია, მეშინიანო".

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აფხაზეთში აფსუების მოძალებამ ფეოდალური ურთიერთობის კანონზომიერი პროცესი შეაფერხა. აქედან გამომდინარე, საქართველოს ყველა დანარჩენი კუთხისაგან განსხვავებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე XVIII საუკუნეშიც კი გლეხთა დიდი ნაწილი ერთი მებატონიდან მეორესთან თავისუფლად გადასვლის უფლებით ჯერ კიდევ სარგებლობდა, იგი მინაზე საბოლოოდ არ იყო მიმაგრებული. ამიტომაც იზიდავდა დასავლეთ საქართველოს სხვა ნაწილების მწარმოებელ მოსახლეობას აფხაზეთი; ამიტომ გარბოდნენ იქ, განსაკუთრებით სამეგრელოდან, ყმა გლეხები, რომლებმაც თანდათან დროთა განმავლობაში ჩამოაყალიბეს გააფხაზებული ქართველების მრავალრიცხოვანი მოსახლეობა.

ამრიგად, აფხაზეთში ჩამოსახლებულ აფსუათა სატომო სახელად მექანიკურად იქცა იმ ტერიტორიის გეოგრაფიული სახელი, რომელზედაც ისინი დამკვიდრდნენ და სადაც მათ მასპინძელ მკვიდრ მოსახლეობას აგრეთვე ეწოდებოდათ აფხაზები. ეს აფხაზები (ე.ი. XVII საუკუნემდე) იყვნენ ისეთივე ქართველები, როგორიც არიან სვანები, მეგრელები, გურულები, კახელები და ა. შ. აღნიშნული სახელწოდებები მომდინარეობს საქართველოს სხვადასხვა კუთხის სახელწოდებებიდან (სვანეთი, სამეგრელო, გურია, კახეთი, იმერეთი და ა. შ.).

თვითონ აბაზების მტკიცებით, რაც აკადემიკოსმა ს. ჯანაშიამ დაადასტურა ჯერ კიდევ 1929 წლის მაისში, აბაზა და აფსუა ერთი

და იგივეა, უფრო ზუსტად აფსუა ერთი აბაზურ ტომთაგანია, რომელთა საერთო სახელია აბაზა.

ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ აფსუა იგივე აბაზაა, ადიღეს ჯიშისაა, იგივე ჩერქეზ-ქაშაგია და ქართულ მიწებზე ისევე ხიზნად არის შემოსული საქართველოს ბედუკუღმართობის გამო აქ დამკვიდრებული, როგორც ყველა ეს ადიღე-ქაშაგ-ჩერქეზი.

აფსუა იგივე ჩერქეზია ისევე როგორც ადიღე, ყაბარდო, აბაზა, უფრო ზუსტად, აბაზა არის საერთო სახელწოდება აბაზა – აბაძეხ – აფსუასი. აფსუა ქართველს აქართუას უწოდებს, ქართველებს – აქართქუას, საქართველოს – ქირთილას. როგორც ვხედავთ, აფსუასათვის ჩვენი სამშობლოს სახელწოდება ემთხვევა თვით ქართველების საკუთარ სახელწოდებას – საქართველო, ქართველი, ქართველები. აი, ამ ქართული სახელწოდებების აფსუური ფორმაა ქირთილა, აქართუა, აქართქუა.

აფსუას საქართველოსთვის ქირთილა შეეძლო დაერქმია მხოლოდ XV საუკუნიდან, როცა ისინი ჩერქეზთა სხვა ტომებთან ერთად კავკასიის მთებს შეეხიზნენ, ხოლო ნაწილი საქართველოს შემოეხიზნა. ამ დროს აფსუამ მეგრელისაგან ისწავლა ქართველის და საქართველოს სახელწოდება. პარალელურად, უშუალოდ ქართული ენიდან აღნიშნულ ძირთა სესხება უნდა მომხდარიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქართულმა ენამ განიმტკიცა პოზიციები მთელ საქართველოში და გავრცელდა როგორც კულტურისა და ღვთისმეტყველების ენა ჩრდილეოთ კავკასიაშიც (შდრ. დიდი რაოდენობით გამოვლენილი ქართული ლექსიკა დაღესტნის ენებში, ნახურში, ოსურში, ყარაჩაულ-ბალყარულში, ჩერქეზულსა და უბიხურში, აგრეთვე ქართული წარწერები ჩრდილოეთ კავკასიის მრავალ რეგიონში გამოვლენილ ეკლესიებზე).

შუა საუკუნეების ავტორებისაგან ცნობილი აფსუათა კულტურული ჩამორჩენილობა (XX საუკუნემდე) რელიგიური წარმოდგენები, ფოლკლორი, ზნე-ჩვეულებები ისტორიული და თანამედროვე აფხაზების არაიდენტურობის ერთ-ერთი მკაფიო მაჩვენებალია. რუსი ისტორიკოსი მ. სელეზნიოვი XIX საუკუნის შუახანებში გაოცებას ვერ მალავდა, მისი აზრით ნიჭიერი აფსუების ჩამორჩენილობის გამო. „საოცარია", – წერდა იგი, რომ აფხაზებმა, რომლებსაც მუდმივი ურთიერთობა ჰქონდათ ბერძნებთან, რომაელებთან, ბოსფორელებთან, გენუელებთან, არ გადმოიღეს იმათგან არც სამოქალაქო მოწყობა, არც განათლება, ან მიიღეს რა იგი, ვერ შეითვისეს თავის ზნე-ჩვეულებებში.

მ. სელეზნიოვი ვერ მიხვდა, რომ აფსუებს არასდროს უნახავთ

ბერძნები და რომაელები, არ ყოფილან ნაზიარები მათ ცივილიზაციას და შესაბამისად ვერაფერს გადმოიღებდნენ ამ ხალხებისაგან.

მაგრამ ვინც ერკვეოდა, სიმართლეს არ მალავდა. იმავე საუკუნის ცნობილი რუსი კავკასიის მცოდნე ა. დიაჩკოვ-ტარასოვი სამურზაყანოს შესახებ წერდა: „აფხაზები ყოველთვის არ ცხოვრობდნენ აქ... მათი გადმოცემები და მრავალი ისტორიული ცნობები, აგრეთვე, მათი ადათ-წესები მიუთითებენ იმაზე, რომ ისინი ჩრდილოეთიდან მოვიდნენ, შეავიწროვეს ქართველური ტომები, შეჩერდნენ ენგურზე, აქ მოხდა აღრევა ორი ერთმანეთისათვის უცხო ტომის – მეგრელთა და აფხაზთა, რომელმაც მოგვცა სამურზაყანოს შერეული მოსახლეობა და რომელიც მოქცეული იყო კოდორსა და ენგურს შორის“.

შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ხელისუფლებას სწორი ინფორ-მაცია ჰქონდა აფსუების (ვითომ აფხაზების) წარმომავლობის შესახებ, რაც ხშირად, უნებურად გაიელვებდა ხოლმე რუსული საქმის წარმოებაში. მაგალითად, 1916 წელს შედგენილ სოხუმის ოლქის მმართ-ველის პატაკში აღნიშნულია, რომ „კოდორის უბანი დასახლებულია თითქმის მხოლოდ აფხაზებით, რომლებიც არიან კავკასიელი მთი-ელები“.

აფსუები აფხაზეთის ტერიტორიის გარდა კომპაქტურად ცხოვრობენ აჭარაში, ისინი მოჰაჯირთა შთამომავლები არიან, რომლებიც XIX საუკუნის II ნახევარში გაასახლეს აფხაზეთიდან თურქეთში. „აჭარელი აფხაზები, ისევე როგორც მათი თანამემამულეები აფხაზეთში, თავის თავს აფსუას უწოდებენ“.

აჭარის აფხაზების ეთნოგრაფიული ჯგუფის ჩამოყალიბება მიმდი-ნარეობდა თურქეთში გადასახლების პერიოდში. აფხაზეთის ისტორიაში ცნობილია გადასახლების ხუთი ასეთი „ტალღა“: 1840-1841 წწ. – გენ-ერალ მურავიოვის დამსჯელი ექსპედიციის შემდეგ, 1853-1856 წწ. – ყირიმის ომის, აფხაზეთის სამთავროს გაუქმების (1864 წ.) 1866 წ. ლიხნის აჯანყების პერიოდში და განსაკუთრებით კი 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს.

გასაკვირია აფსუა ისტორიკოსებისა და საერთოდ, აფსუა ინტელი-გენციის თავგადაკლული მისწრაფება იქითკენ, როგორმე მოატყუონ, გააბოროტონ, გააღიზიანონ და ძმათა მოსაკლავად მახვილი აალებინონ უბრალო, გაუცნობიერებელ პატიოსან თვისტომთ. უმალავენ რა ნამდვილ ისტორიულ ვითარებას, უაპელაციოდ უმტკიცებენ ხალხს, რომ ტერიტორია, რომელზეც ამჟერად სახლობენ აფსუები დასაბამიდანვე მათი მიწა იყო (თუმცა ამ მიწას არავინ ედავება), ხოლო ამ ეჭვს, თუ

რატომ ლაპარაკობენ ადიღეურად, უფანტავენ ყოვლად მტკნარი სიცრუით: თითქოს ორი საუკუნის წინ აფსუათა ნაწილი აფხაზეთიდან ადიღეს მხარეში „ასახლებულა“ ადგილობრივი მცხოვრებნი გაუადიღეულებიათ ანუ გაუაფსუებიათ და თავის ენაზე, რჯულზე, ადათწესებზე მოუქცევიათ. ე. ი. აფსუები ადიღედან ჩამოსულები კი არ არიან, როგორც ქართველი მეცნიერები ამტკიცებენ, პირიქით, თურმე მათი შტო ასულა ადიღეში.

ცნობილი ისტორიკოსი ზურაბ ანჩაბაძე მიიჩნევდა, რომ თამარის დროს ცხუმის ერისთავი იყო შერვაშიძე (ჩაჩბა), მაგრამ თაამრის ისტორიკოსთან არავითარი ჩაჩბა არ არის მოხსენებული. წყაროში მითითებული დოთაღო შარვაშიძე ქართველია, ხოლო XVII-XIX საუკუნეების შერვაშიძეები აფსუები არიან.

შემთხვევით მოვლენას არ წარმოადგენს, რომ აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შერვაშიძე მშობლებმა აღსაზრდელად ეროვნებით უბიხს – ჰაჯი დამომუყვა ბარზეგს – მიაბარეს. ამ სკოლაში უნდა მიელო მომავალ მთავარს ის თვისებები, რომლებიც იმდროინდელ უბიხსა და ჩერქეზს ახასიათებდა. საერთოდ, აფხაზები (აფსუები) გაძიძავებას მიმართავდნენ არა მხოლოდ ერთმანეთში, არამედ ჩერქეზთა სხვადასხვა ტომებში. ამ მხრივ უბიხთა ტომი, რომელიც დასავლეთ კავკასიაში მესამე დამოუკიდებელი ეთნიკური ერთეული იყო, ამავე დროს წარმოადგენდა აფხაზებსა და ჩერქეზებს შორის დამკავშირებელ რგოლს. ბუნებრივია, რომ ჩამოსახლებულ აფხაზებს მამაძუძეობისაკენ სწრაფვა თავისი მოძმე მთეილებისაგან ჰქონდათ მიღებული. საგულისხმოა, რომ ს. ჯანაშია ადიღეს ავტონომიური ოლქის, სოფ. ულაფში მცხოვრებ აბაზებს პირიქითელ აფხაზებს უწოდებს.

ახლა დაუკვირდეთ კვლავ ზემოთ აღნიშნულ ფაქტს: მიხეილის აღმზრდელი ქართველი კი არა არის, არამედ აფსუების სისხლი და ხორცი, მათი თანატომელია. ე. ი. მომავალ მთავარს აქ უნდა ესწავლა „ადიღე – ხაბზ“ ანუ ადიღეური რჯული, აფხაზურ-ჩერქეზული (ადიღეური) ტომებისათვის საერთო მოქცევის წესების ურთულესი სისტემა... და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, უბიხური და ჩერქეზული ენები.

რუსი ოფიცერი ტორნაუ, რომელიც მთავრობის საიდუმლო დავალებით მუშაობდა დასავლეთ კავკასიის მთიელთა შორის და პირადად იცნობდა მიხეილს, წერს: „მიხ, შერვაშიძე... მაშინ (1853 წ.) იყო დაახლოებით ოცდაათი წლის ლამაზი ჭაბუკი. მას ჰქონდა ყველა თვისება, რომელსაც დიდ ფასს აძლევენ ჩერქეზები“.

აქედან ჩანს, რომ მიხეილი თვისტომის ჩერქეზ-აფსუას შეფასების მიხედვით იზრდება და არა ქართული ტრადიციით. შემთხვევითი არ არის, რომ ტორნაუ, რომელიც კარგად იცნობდა ჩრდილო კავკასიელთა ყოფა-ცხოვრებას, 1835 ნ. სოფ. ანხუაში აფსუა მებატონე სოლომონ მკანბას მონახულების შემდეგ მიუთითებდა „აფხაზებისა" და ჩერქეზების სახლების იდენტურობაზე.

როგორც გადმოგვცემს ინალ-იფა, გოგონებისათვის ცალკე ბინა აფსუა მშობლების სახლში ტრადიციული იყო, ასევე ჰქონდათ „აფხაზების უახლოეს ნათესავებს – ჩერქეზთა ტომებს" (ხაზგასმა ჩემია ა.ს.). არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ აფხაზი (აფსუა) ქალები წარსულში, ჩერქეზების მსგავსად, ხის ფეხსაცმელებს ატარებდნენ. ბევრია საერთო აფხაზებისა (აფსუებისა) და ყაბარდოელების საქორწინო რიტუალებშიც.

როდესაც 1854 წლის მარტში მეფის ნაცვლის მოვალეობის შემსრულებელმა გენერალმა რეადმა საჭიროდ მიიჩნია რუსი ჯარების გამოყვანა აფხაზეთიდან, შემთხვევითი არ იყო, რომ ამ უაღრესად ძნელი ოპერაციის შესრულება მან აფხაზეთის მთავარს გენერალ-ადიუტანტ მიხეილ შარვაშიძეს მიანდო. შარვაშიძეს ჩრდილო კავკასიის ტომებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა და დიდი გავლენით სარგებლობდა მათ შორის. მიხეილმა ყოველი ღონე იხმარა, ამ დავალების ნარმატებით შესასრულებლად და, მართლაც, მოახერხა სრულიად უდანაკარგოდ გადმოეყვანა რუსის ჯარი აფხაზეთიდან სამეგრელოში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ XVII-XIX სს. აფხაზეთის მთავრები შერვაშიძეები არ იყვნენ ძველ შარვაშიძეთა შთამომავალნი. თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის მიერ მოხსენებული აფხაზეთის ერისთავი დოთაღ შარვაშიძე ქართველია. გვიანი ფეოდალიზმის დროს „შესაძლოა ვიფიქროთ –აღნიშნავდა აკად. ს. ჯანშია, – რომ მაშინდელი შარვაშიძეები გენიალოგიურად არ იყვნენ დაკავშირებულნი ამ გვარის სახელის უძველეს მატარებლებთან. ფეოდალური ძალმომრეობის ხანაში რა გასაკვირია, რომ მთავრის უფლება ერთი საგვარეულოდან მეორეში გადასულიყო თვით „შარვაშიძის" სახელთან ერთად, რომელსაც ამ შემთხვევაში სამთავრო ტიტულის მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთ მოვლენას მეზობელ სამეგრელოშიც ვხედავთ, სადაც გვარის სახელი „დადიანი" ოდიშის მფლობელის წოდებად იქცა და სადაც დადიანობას სხვადასხვა გვარი ითვისებდა სხვადასხვა დროს. (უკანაკნელი დადიანები ჩიქოვანთა საგვარეულოდან არიან)".

როგორც ცნობილია, საქართველოში ისიც ხდებოდა, რომ წოდება, თანამდებობა გვარად იქცეოდა ხოლმე. მაგალითად, სხვადასხვა დროს

სხვადასხვა გვარი ფლობდა ერისთავის, ათაბაგის, ამირეჯიბის, მელვინეთუხუცესის და სხვა სახელოებს, რაც შემდეგ გვარებად აქციეს.

„თვით აფხაზებში ფორმა „შარვაშიძე" სრულიად უხმარებელია: ადგილობრივ ეს საგვარეულო ჩაჩის („ჩაჩბა") სახელით არის ცნობილი და თუმცა აფხაზურ ძირებს უაღრესად გაცვეთა სჩვევია, მაინც აფხაზური ფორმა ქართულს იმდენად არის დაშორებული, რომ შესაძლებელია ეს სახელები სხვადასხვა წარმოშობისაც იყოს. აფხაზეთის უკანასკნელ მფლობელთა ნამდვილი საგვარეულო სახელწოდების შესახებ ხსოვნის შენარჩუნება ადგილობრივ იმიტომაც უნდა ყოფილიყო ადვილი, რომ მთავრის უფლების აღსანიშნავად აფხაზურში არსებობდა და იხმარებოდა სპეციალური ტერმინი (აშ – მთავარი, აშრა – მთავრობა), თან ისიც საგულვებელი ხდება, რომ ჩაჩბებზე ადრე „შარვაშიძეობა" ანჩაბაძეთა საგვარეულოს ხელში უნდა ყოფილიყო, ამაზე მიუთითებს აფხაზური თქმულება, რომ წინათ აფხაზეთში ანჩაბაძეთა (აჩბების) საგვარეულო პირველობდა და ისეთი ანდაზებიც, როგორც მაგ.: „აჩბა უმჰაკ[ს, ჩაჩბა უზჰიომ", ე. ი. „ჯერ აჩბა თქვი და შემდეგ ჩაჩბაო".

ჩვენი აზრით, აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩამოსულმა მომძლავრებულმა აფსუებმა და მათმა ლიდერებმა მდგომარეობისათვის ლეგიტიმური ელფერი რომ მიეცათ და ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის მხრიდან ნაკლები წინააღმდეგობა ყოფილიყო, შარვაშიძეთა გვარ-წოდება მიითვისეს. მოგვიანებით აფსუათა სხვადასხვა გვარის ხელში გადადიოდა შერვაშიძეობა.

საერთოდ, ყურადღებას იქცევს შერვაშიძეთა საგვარეულოს ქართული და აფხაზური სახელწოდებების ურთიერთმიმართება. ქართულ წყაროებში ეს გვარი შერვაშისძე, შარვაშისძე, შერვაშიძე ვარიანტების სახით დასტურდება, რომელთაგან ზოგს ამოსავლად შარვაშისძე მიაჩნია და უკავშირებს მას შირვანშაჰების აღმნიშვნელ შარვანშა ფორმას, რაც არ არის მართებული, ვინაიდან ემყარება ფორმათა მხოლოდ ფონეტიკურ მსგავსებას, მაგრამ არა აქვს მყარი ისტორიოგრაფიული საფუძველი, რაკილა ვერ საბუთდება, თუ კონკრეტულად როდის და რა მიზეზით აღმოჩნდნენ შირვანშაჰთა შთამომავლები ამჟამინდელ აფხაზეთში, ან როგორ მოხდა მათი გააფხაზება. რაც მთავარია, დღემდე არავის გაურკვევია, რომელი ფორმაა ამოსავალი – დასახელებული ქართული ვარიანტები თუ აფხაზური ჩაჩბა□ ჩაჩ-იფა, ანდა როგორ მივიღეთ ჩაჩბა.□ საგან შერვაშიძე, გინდაც შერვაშიძე ფორმისაგან ჩაჩბა.

ამ საკითხების გასარკვევად ჯერ უნდა დადგინდეს, თუ რომელი ფუძეები უდევს საფუძვლად როგორც ქართულ, ისე აფხაზურ ვარი-

ანტებს, არის თუ არა გავრცელებული შერვაშ, შარვაშ, ან ჩაჩ ვარიანტები ადამიანის საკუთარ სახელად ქართველურსა და აფხაზურ ენებში (გვარ-სახელი აშკარად ანთროპონიმისაგან ჩანს მომდინარე) სავარაუდოა, რომ გვარის ქართულ ვარიანტს საფუძვლად უნდა ედოს მამაკაცის ქართული შაორშ (შდრ. შაორშაძე, შაოშაძე) სახელის სვანური შავერშ – შავრეშ ვარიანტი (შდრ. გვარსახელი შავრეშიანი□ სვანური შავრეშ სახელისაგან ბგერათა გადასმის გზით იოლად შეიძლებოდა მიგვეღო მამაკაცის სახელად შარვაშ//შერვაშ (შესაძლებელია მამაკაცის სახელად შავრაშ ფორმის არსებობაც, რაზეც აშკარად მიუთითებს გვარსახელი შავრაშიძე). სნორედ შავრაშ//შერვაშ მამაკაცის სახელისაგან და არა შარვანშა ტიტულისაგან არის მიღებული გვარსახელი შარვაშისძე//შერვაშისძე, რაც შეეხება გვარის მეგრულ ფორმას, ისიც კანონზომიერად მონაცვლებით, რაც არცთუ ისე იშვიათი მოვლენაა (შდრ. აფაქიძე – აფაქია, დგებუაძე – დგებია, გახოკიძე – გახოკია...). თავის მხრივ ვ თანხმოვნის დაკარგვით მიღებული შარაშია ფორმა მჭიდრო კავშირშია გვარსახელ შარაშიძე-სთანაც (აქაც – ძე და-ია დაბოლოებათა მონაცვლეობაა).

რაც შეეხება აფხაზურ ჩაჩბა ფორმას: ა) არც აფხაზურში, არც აბაზურში ადამიანის საკუთარ სახელად არ დასტურდება ფუძე ჩაჩ, რომლისაგანაც შეიძლებოდა მიგვეღო ჯერ *ჩაჩიფა, შემდგომ კი ჩაჩბა; ბ) აბაზურ ენაში ასევე არ დასტურდება არც გვარ-სახელები *ჩაჩ, ანდა ჩაჩბა. აღნიშნული მიუთითებს, რომ ფორმა ჩაჩბა იმდროინდელი წარმონაქმნია, როცა აფხაზები და აბაზები დაშორდნენ ერთმანეთს და ისინი ერთი პოლიტიკური ერთობის წევრები აღარ იყვნენ, სხვაგვარად, ჩაჩბას წარმოქმნის დროისათვის აფხაზური და აბაზური ტომები, ალბათ, ერთად აღარ ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში.

ასევე ბუნებრივად დაისმის საკითხი: თუკი ჩაჩ ფუძე ადამიანის საკუთარ სახელად არ დასტურდება არც აფხაზურსა და არც აბაზურში, რომელი ფუძისაგან უნდა იყოს იგი მიღებული? თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მეგრულ მეტყველებაში შ თანხმოვანი ზოგჯერ იცვლება ჩ თანხმოვნით (შდრ. შენგელია – ჩენგელია...) და იგივე მოვლენა ცნობილია აფხაზურშიც (შდრ. ა – შამსია – ა– ჩამსია „ქოლგა"...) ძნელი არ იქნება ვივარაუდოთ შარაშია ფორმისაგან მეგრულში *ჩარაჩაია□ჩარჩია,. აფხაზურში – ია დაბოლოების ნაცვლად მიიღებოდა იფა დაბოლოება „მისი ძე, მისი ვაჟი"; *ჩარაჩია –ჩარჩია –*ჩარ – იფა – *ჩაჩ – იფა – ჩაჩბა (შდრ. მეგრულში აფხაზურიდან უკუნასესხები ჩაჩიბაია და გურული ჩანჩიბაძე). პირუკუ პროცესის, ე. ი. ჩაჩბა ფორმისაგან შერვაშისძე, შარვაშისძე, შარაშია ფორმების მომდინარეობის

დაშვება ენობრივი თვალსაზრისით ყოვლად გაუმართლებელია, რადგანაც აუხსნელი რჩება, ერთი მხრივ, ხმოვანთა და, მეორე მხრივ, თანხმოვანთა ცვლილებანი. მაშასადამე, შერვაშიძეთა გვარ-სახელის ქართველურ და აფხაზურ ფორმათა კვლევას მივყავართ დასკვნამდე, რომ შერვაშიძეები გვიანდელ შუა საუკუნეებამდე ეროვნებით ქართველები იყვნენ და შემდგომ მოხდა მათი გააფხაზება.

გვარს-სახელების ანალიზს მხარს უჭერს აფხაზური ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის მონაცემებიც. მაგალითად, აფხაზი ფოლკლორისტის ს. ზუხბას სიტყვით, „... ერთგვარი გადმოცემები, რომლებშიც მოთხრობილია, თუ როგორ გადმოსახლდნენ ოდესღაც ჩრდილოეთ კავკასიიდან ან სოჩის ახლომდებარე მიწებიდან წინაპრები, აქვთ ავიძბებს, ზუხბებს, კვინინიებს, აშვბებს, ბგანბებს, ანუებს და სხვა გვარის ნარმომადგენლებს". სოფელ კვიტოულში გვიან მოსულად მიიჩნევიან საძბას, ჰაშბას, ავრბას გვართა ნარმომადგენლები. სოფელ ჯგერდაში გვიან არიან მოსულები ავიძბები და სხვ. აფხაზი ეთნოგრაფის ლ. აკაბას ცნობით, აფხაზურ საგვარელოთა უმეტესობა, განსაკუთრებით კი ბარელი აბჟუელები მთელი საგვარეულოსათვის სავალდებულო რიტუალების შესრულების დროს უმაღლეს და უძლიერეს სალოცავად მიიჩნევენ არა მათი განსახლების ადგილის სიახლოვეს მდებარე ქრისტიანულ ტაძრებს (ილორს, მოქვს, ბედიას, დრანდას...) არამედ აბჟუადან რამდენიმე ათეული კილომეტრით დაშორებულ, მდინარე ბზიფის მაღალმთიან სათავეებთან, ზედ კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე მდებარე ნალკუბას ანუ ფსხუს ხატს, რაც საკვლევით ცხადად მიანიშნებს აბჟუელ აფხაზთა წინაპრების ჯერ ბზიფის აფხაზეთსა და შემდეგ აბჟუაში მოსვლის მარშრუტს".

აფხაზურ ეთნოგენეტურ და გენეალოგიურ თქმულებათა უმეტესობა, არა დაფარული მინიშნებით, არამედ აშკარად და უდავოდ გვამცნობს აფხაზების (აფსუების) ჩრდილო კავკასიიდან დასავლეთ საქართველოს მთაში ჩამოსახლების ფაქტს და ეთნოგენეტურისა და კულტურული კავშირის არსებობას ჩერქეზული ნარმოშობის კავკასიელებთან. ამ თვალსაზრისს ეთანხმება „აფხაზური ნართული ეპოსიც", რომელშიც აფხაზების თავდაპირველი ბინადრობის მხარედ მდ. ყუბანის ხეობაა მიჩნეული.

ცნობილი ოსი მეცნიერი ვ. აბაევი, რომელიც საგანგებოდ სწავლობდა ნართების ეპოსს, აღნიშნავდა: „განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ აფხაზეთის ნართების ეპოსის გავრცელებაზე. 1954 წლამდე კარგა ხნით ადრე ჩვენ უკვე ვიცოდით ლიტერატურული მონაცემებით, რომ აფხაზი მომღერლები ოსებისა და ადიღეელთა მსგავსად მღერიან სიმ-

ღერებს ნართების ლეგენდარულ გმირებზე. მაგრამ *ჩვენ არ გვეგონა, რომ ჩრდილო კავკასიური ეპოსი აფხაზებში ასეთი პოპულარობით სარგებლობდა*" (ხაზგასმა ჩემია ა.ს.)

როდესაც სოფელ აჩანდარაში ვ. აბაევმა მოხუც მჭედელ ლუმან ავიძბას ჰკითხა, იცოდა თუ არა რაიმე ნართების შესახებ, მან უპასუხა: „ნართები ყველამ იცის".

„ნართულ ეპოსს" აფხაზები აფხაზური კულტურის კუთვნილებად და მის მწვერვალად მიიჩნევენ. იგი მათი განძია, რომელიც ყოველთვის მათივე ეთნიკური ჯგუფის კულტურისა და ყოფიერების რეალიზაციას ეხმარებოდა. ნართული მითების საშუალებით თაობიდან თაობას გადაეცემოდა აფხაზური საზოგადოების ევოლუციური განვითარების ყველაზე გამოუცნობი ხანის ხსოვნა, რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო დღემდე ამოუხსნელი რჩებოდა. იგი ყველაზე ადრეული აფხაზური ზეპირსიტყვიერი ძეგლია, რომელშიც არეკლილია აფხაზთა ეთნიკური ისტორიის ის სპეციფიკური გზა, რომელიც ეპოსის შინაარსში ჩაწვდომით იშიფრება.

აფხაზურ ეპოსში არ არის ნახსენები ღმერთი (განსხვავებით ოსებისაგან, სადაც ვხვდებით ღმერთს, ღმერთთა ღმერთს, ქრისტიანობის გავლენით სამოთხესა და ჯოჯოხეთს). აფხაზურმა ნართებმა არ იციან ლოცვა, მსხვერპლშეწირვა. აქ უფრო მეტად დომინირებს – აირგ. გადმოცემით, ოდსღაც ცხოვრობდა ნართების ახლობელი ხალხი აირგი. მათი რწმენით, აირგ – ღმერთების კრებულია, ნადირობის, ტყისა და მთების მფარველი.

ოსებმა უფრო გვიან მიიღეს ქრისტიანობა. მაგრამ მათ ნართებში მაინც იგრძნობა ქრისტიანობის გაელენა. აფსუები რომ აფხაზები იყვნენ, მაშინ მათთან უფრო მეტად გამოჩნდებოდა და აისახებოდა ქრისტიანობის ატრიბუტიკა.

აფხაზეთის ტერიტორიის ჩრდილო კავკასიიდან მიგრირებულ ადრეულ ტალღას ნართული ეპოსი ჯერ კიდევ ათვისებული არ ჰქონდა და ამასთან, ქრისტიანობის მიღებასთან ერთად, ბუნებრივ ასიმილაციასაც განიცდიდა. ე.ი. ვინც ქრისტიანდებოდა, იგი „ქართველდებოდა" კიდეც. სხვა შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა, რატომ არ უნდა შესულიყო ქრისტიანული ხასაითის თქმულებები აფხაზურ ნართულ ეპოსში. XV საუკუნიდან ჩამოსახლებულ ტრადიციულ, წარმართულ მოსახლეობას კი მხოლოდ არქაული თქმულებები ჩამოჰქონდა, რომელთაც დროთა განმავლობაში ნანილობრივ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოშობილი მონაცემებიც ემეტებოდა. ამ დროიდან ჩამოსახლებული მოსახლეობა

საერთოდ არ გაქრისტიანებულა (ან ნაწილობრივ გვიან გაქრისტიანდა). ამგვარად, აფხაზებს (აფსუებს), როგორც ჩერქეზული (ადიღეული) წარმოშობის ეთნიკურ ჯგუფს, ნართული თქმულებები მიგრაციამდე, ჩრდილო კავკასიაში უნდა შეეთვისებინა და მხოლოდ შემდეგ ჩამოეტანა სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე.

ნართები საკვებად მოიხმარდნენ მარცვლეულს, მისგან გაკეთებულ ღომს და პურს, მაგრამ თქმულებიდან არ ჩანს, რომ ისინი მიწათმოქმედები იყვნენ. ნართები მეომრები და მესაქონლეები იყვნენ. მათი სამყარო მწყემსებისა და მეჯოგეების სამყარო იყო, ყველა ნართი პირუტყვის მოვლითა და მათი გამრავლებით იყო დაკავებული. არქაულ ტექსტებში მათ მსხვილფეხა საქონელი და ცხენები გვიანდელ მითებში კი – წერილფეხა პირუტყვიც უჩნდებათ. ე.ი. მათი ეკონომიკის დასაყრდენად ბოლომდე მეცხოველეობა რჩება.

ნიშანდობლივია, რომ ადრეულ მითებში აღწერილი გეოგრაფიული გარემო-პირობები, ადგილმდებარეობა, მკენარეული და ცხოველური სამყარო აფხაზეთის რეგიონისათვის დამახასიათებელ ბუნებრივ გარემო პირობებს არ მიესაგდაგება.

აფხაზი ნართები გმირული საქმეებისათვის და სალაშქროდ უმეტესად უსახელო ადგილებში, მთებსა და ტყეებში დადიან (რაც კანონზომიერი უნდა იყოს), მაგრამ ძირითადი მათი სამყოფელი ჩრდილო კავკასია, მდ. ყუბანის ველია. ეპოსში გვხვდება ტოპონიმები, როგორც ჩრდილო კავკასიის – იალბუზი, მდ. ყუბანის ველი, თებერდის ტრამალი, ქლუხორისა და ნახარის გადასავლელი და სხვ.

საერთოდ, აფხაზურ ისტორიოგრაფიაში ნართებთან დაკავშირებული საკითხების ტენდენციურმა გადაჭრამ გამოიწვია ნართული ეპოსის, აფხაზეთის ტერიტორიაზე წარმოშობისა და ჩამოყალიბების მცდარი აზრის გავრცელება, აქედან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ ნართული ეპოსის თქმულებები აფხაზეთის ტერიტორიაზე მხოლოდ XV საუკუნიდან ჩამოსახლებულ მოსახლეობას უნდა გაევრცელებინა. ჩვენ აფხაზ მთხრობელებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ თქმულებები, დაკავშირებული მათ თავდაპირველ სამოსახლო ტერიტორიასთან, ვინაობასთან, როგორც ჭეშმარიტი ისტორიული ამბავი, მათ შემოგვინახეს.

გეოგრაფიული გარემო პირობების შეცვლის მიუხედავად, ეპოსს ბოლომდე გასდევს პერსონაჟების ადრინდელი ბინადრობის ადგილის ნიშან-კვალი.

ამრიგად, აფხაზური ნართული თქმულებების ციკლი პირობითად შესაძალებელია ორ ნაწილად გაიყოს ჩრდილო კავკასიაში ჩერქეზულ

სივრცეში შექმნილ კონსერვატიული ხასიათის თქმულებებად, რომელთაც შემოგვინახეს აფხაზების ვინაობა და მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებული გზები, გადასასვლელები; და თქმულებებად, რომელთაც აფხაზეთის გეოგრაფიულ სივრცეში, თანდათანობით „საკუთრივ აფხაზური" ელემენტები შეიძინეს. „ნართული ეპოსის" თქმულებებში გაცხადებულია „საიდუმლო" – მოსახლეობა, რომელიც დღეს თავს აფხაზებს უწოდებს, აფხაზეთის ტერიტორიაზე მიგრაციული გზით არის შეჭრილი და დამკვიდრებული ადრეული მიგრაციული ტალღის (შედარებით ახალგაზრდა ნართების) – მდ. ბზიფიდან, სანჩარის გადასასვლელით მთა დიდრიფშსა, სოფლებთან – აჭანდარასა, ლიძავასა, ლიხნთან და სხვ. კავშირი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველური ან ნაწილობრივ ქართველური წარმოშობისაა მაგ., აჭანდარა, ლიძავა, ლიხნი, დიდრიფში და სხვ.

საერთოდ, აფხაზური ლეგენდები და მრავალი ზეპირი გადმცოემა, რომლებიც აფხაზების ვინაობასა და წარმოშობაზე მოგვითხრობენ, მიგრაციულ პროცესებზე მიუთითებენ. ამიტომაც ქართველებისაგან განსხვავებით, რომლებიც თქმულებებში ტერიტორიის მოსაპოვებლად „მითიურ ძალებს (დევებს, გველეშაპებს და სხვ) ებრძვიან", აფხაზების წინაპრები ტერიტორიის მითვისებას სიუჟეტურად ყოფითი ელემენტების, წეს-ჩვეულებების, ქორწინების, მამამძუძეობის და სხვა სოციალური ინსტიტუტების გამოყენებით ცდილობენ, რაც მოსულთ ადგილზე უკვე დამხვდურ მოსახლეობასთან ურთიერთობაში ესაჭიროებათ. თქმულებებში კარგად ჩანს, როგორ მოხერხებულად იყენებენ მოსულები ამ ყოფით ჩვეულებებს, როგორ ათმობინებენ მკვიდრ მოსახლეობას ტერიტორიის კუთვნილ ნაწილს და ზოგჯერ აძევებენ კიდეც მათ.

ყოველმხრივ გაუგებარია ისეთი წარმართული, კონსერვატიული და პრიმიტიული რელიგიური წარმოდგენები ჰქონოდათ ისტორიულ აფხაზებს, როგორც აქ გვხვდება XX საუკუნის პირველ მეოთხედში. მაგალითად, 1914 წელს სოფელ ჯგერდაში ერთ-ერთმა ოჯახმა „იშვილა" მათი წარმართული ღმერთი – ოსპი?

აფსუებში გავრცელებული გადმოცემით, თურმე დათვიც შეიძლება ადამიანის ძუძუმტე გახდეს. თუ აფხაზს შეხვდა დათვი და აფხაზი სამჯერ წარმოთქვამს სიტყვას – „ნან" („დედა!"), მხეცი პირს არ დააკარებს.

შ. ინალ-იფას თვითონ უნახავს XX საუკუნის 40-50 წლებში მოხუცი „აფხაზი", რომელიც ადრე გარდაცვლილი უფროსი ძმის ცოლის თანდასწრებით თავის მოზრდილ შვილებსაც კი არ ელაპარაკებოდა. მათ

არ უშვებდა თავისთან, არ ეძახდა სახელებს და, უფრო მეტიც, პირის დაბანის დროს არ ასხმევინებდა წყალს.

ტრადიციისადმი ასეთი კონსერვატიული მიდგომა სწორედ დამახასიათებელი იყო მთიდან ჩამოსახლებულ აფსუათა შთამომავლებისათვის.

თითქმის ყველა აფხაზური გვარის მოსახლეობა, თქმულებებიდან გამომდინარე, თავის წარმომავლობას ჩრდილო კავკასიას უკავშირებს და ფუძე სალოცავებად მხოლოდ ფსჰუ ნგხას (მთა სალოცავს) აღიარებს.

როგორც ჩანს ფსჰუ აფხაზების რელიგიაში რთულ კულტურულ ფენომენს წარმოადგენს. მასთან კავშირი მნიშვნელოვანი საფეხური უნდა ყოფილიყო უძველესი წესის ინიციაციაში. საფიქრებელია, რომ საუკუნეების მანძილზე რელიგიურ წეს-ჩვეულებებში იგი წარმოადგენდა ძირითად საყრდენს, რომლის ირგვლივ ყურადღება არ ნელდებოდა. წარმოდგენებში ფსჰუ უკავშირდებიოდა ლეგენდარულ თუ რეალურ წინაპრებსაც, რომლებმაც უცნობი გადასასვლელებისადმი შიშის ზღვარი გადალახეს და კავკასიის ქედი გადმოიარეს. საფიქრებელია, რომ მანამდე მათთვის სამყარო აქ, ამ ქედთან მთავრდებოდა, მაგრამ ვინც გაბედა მისი გადალახვა, მან ახალ ტერიტორიასთან ერთად აღმოაჩინა ახალი ჭეშ, ახალი ცხოვრების დასაწყისი. გადმოსასვლელის დაძლევითა და პირველი გამარჯვების მოპოვების შემდეგ კი ამთ ნინაშე გამოჩნდა მოსახერხებელი, დროებით გასაჩერებელი ტერიტორია. ამ ტერიტორიაზე უნდა ჩაყროდა საფუძველი მათ პირველ სოფელს – ფსჰუს. სოფელი დღესაც გაშლილია ქედის სამხრეთ კალთაზე. ბრტყელფსკერიან ქვაბულში, რომელიც შედარებით გაშლილ ვაკე ადგილს წარმოადგენს („ფსჰუს ველი") და სამოსახლოდ ეარგისია. მიგრირებული მოსახლეობა მადლობას სწირავდა მთა ფსჰუს, რომელიც თანდათანობით მათი საკრალური ობიექტი და თაყვანისცემის საგანი ხდებოდა. ამასთან, ეს ტერიტორია ფუნქციონალურ-სივრცობრივი რელიკვიის სახეს იძენდა. სალოცავი დღესაც ტაბუირებულია. ამ ადგილებში აკრძალულია ნადირობა, ტერიტორიის საძოვრად გამოყენება; აქაური ცხოველები, ხეები და ბალახები მხოლოდ ამ ღვთაების კუთვნილებაა. ფსჰუს რწმენა სამყაროს თაყვანისცემაა, იგი მათი ძველი და ახალი ბინადრობის ურთიერთდამაკავშირებელია.

ფსჰუს მახლობელ სივრცეზე ჩამოსახლებულები უკვე იწყებდნენ მომთაბარეობისაგან განსხვავებულ, ნახევრად ბინადარ ცხოვრებას... ჯგუფის ნევრები აცნობიერებენ გვერდი-გვერდ ცხოვრების პირობებში, ერთი მხრივ, საკუთარ ტომთა შორის მსგავსებას და მეორე მხრივ, განსხვავებას მკვიდრი ქართველური მოსახლეობისაგან.

ტოპონომიკა რეგიონში უმეტესად ქართველურია, მითუმეტეს სამხრეთ რაიონში. ცენტრალურ და ჩრდილო რაიონებში გვხვდება შერეული, ქართველურ-აფხაზური და მცირე რაოდენობით საკუთრივ „აფხაზური" ტოპონიმებიც.

უძველესი ქართული ეთონონიმიკისა და ტოპონიმიკის სემანტიკას კავშირი აქვს როგორც არქაულ მიწათმოქმედებასთან, ისე მესაქონლეობასთან. „აფხაზურს" კი, რომელიც მთიან მხარეშია წარმოქმნილი, მხოლოდ მესაქონლეობასთან. საკუთრივ აფხაზური, უმეტესად მიკროტოპონიმები მთიან ნაწილშია გავრცელებული. მაგალითად, სოფელ ბალბურხვაში (გუდაუთის რ-ნი) უბანს ეწოდება ჩერქეზიხუ (ჩერქეზების გორაკი, ბექობი, ხუ – ახუ „გორაკი", „ბორცვი", „ბექობი"); ანუხვა (სოფელ გუდუთის რ-ში) – ანგხვა – „სალოცავი; და სხვ.".

აქვე აღვნიშნავთ, რომ დასავლეთ საქართველოს მთავრები XVIII საუკუნის 70-იან წლებამდე (და ზოგ შემთხვევაში შემდეგაც) თავს სულთნის ვასალებად აღიარებდნენ. ამ ვასალობას მეტად თავისებური ფორმა ჰქონდა: არც ერთი მთავარი, გარდა აფხაზეთის მთავრისა, არ გამაჰმადიანებულა. და ეს იმიტომ რომ შერვაშიძეობამიღებული აფსუა არ იყო აფხაზი მთავარი და მისთვის ქართველობა ანუ აფხაზობა გაუგებარი იყო, ძირითად მიზანს წარმოადგენდა მთავრის მოვალეობის შენარჩუნება და თვისტომის – აფსუას მხარში დგომა.

აფხაზეთში მეგრული ყველამ იცოდა, მოსული აბაზები გამაჰმადიანებული იყვნენ, მათი სახლები ტყეებში ან მთებში იყო გაფანტული და ცხოვრების წესით სულ არ ჰგავდნენ ძველ აფხაზებს (*ისინი მკვდრებს, ჩრდილო კავკასიის თანამოძმეთა მსგავსად, ხის კენწეროზე კიდებენ* (ხაზგასმა ჩემია ა.ს.) და ა.შ.). ამასთან დაკავშირებით ჯოვანი ჯულიანო და ლუკა აღნიშნავდა: აფხაზები „მიცავალებულს დებენ ხის ფულუროში, რომელსაც კუბოდ იყენებენ, შემდეგ მიაკრავენ მას ოთხ (დაყენებულ) ბოძზე, იგი თითქმის ჰაერშია ჩამოკიდებული".

XVII საუკუნის თურქი მოგზაური ევლია ჩელები „აფხაზების" დაკრძალვის წესის შესახებ წერდა, რომ „აფხაზები მეტად განსხვავებულად მარხავენ თავიანთ ბეგებს. მიცვალებულებს სდებენ ხის ყუთში და მიამაგრებენ მაღალი ხის ტოტებზე, ყუთის თავსახურს მიცვალებულის თავის სწორა აქვს ნახვრეტი, რომ ბეგს შეეძლოს ცის დანახვა, როგორც ამას აფხაზები ამბობენ, ფუტკრები შედიან ყუთში და თაფლს აკეთებენ. დანიშნულს დროს ყუთს ხსნიან, თაფლს იღებენ და ყიდიან. ამიტომ ფრთხილად უნდა იყოთ აფხაზეთში თაფლის ყიდვის დროს".

დაკრძალვის ასეთი წესი აფხაზებს XVIII საუკუნეშიც ჰქონიათ.

მეცნიერი ბატონიშვილის სიტყვით, აფხაზები „არ დაჰფვლენ მკვდართა თვისთა, არამედ მისითავე სამკაულ-იარაღითა და შესამოსელითა შთადებენ კუბოთა შინა და შესდგამენ ხეთა ზედა".

ამ საკითხთან დაკავშირებით იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში" აღნიშნავს, რომ „რომელიმე ამათ შორის წარმართნი მკვდარს დაამარილებდნენ და მაღალს ხეზედ დასდებდნენ და მუნ სიცხისგან გახმებოდნენ მკვდარნი იგი, ვითარცა აწცა არს ჩვეულება აფხაზეთსა შინა".

როგორც ცნობილია, ჩვ. წ. აღრიცხვემდე III საუკუნის ავტორი აპოლონიოს როდოსელი „არგონავტიკაში" გვანდის საინტერესო ცნობებს კოლხების ადათ-ნესებზე. განსაკუთრებით საინტერესოა დაკვრძალვასთან დაკავშირებული ცნობა, იგი აღნიშნავს, რომ კოლხებს ცოდვად მიაჩნიათ მიცვალებულთა დაწვა ან დამარხვა. ისინი გვამს ახვევენ ახლად დაკლულ ხარის მოუქნელ ტყავში და შემდეგ ჰკიდებენ მაღალ ხეებზე ქალაქგარეთ. ასე ექცევიან მამაკაცებს, ხოლო ქალებს ასაფლავებენო. კოლხეთში შესულ არგონავტებს თვალწინ წარმოუდგათ „კირკეონის ველი", აქ მრავლად იყო ჩამწკრივებული აღმოცენებული ტირიფი და ძეწნა, რომელთა კენწეროებზეც თოკებით მიკრული გვამები ეკიდა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს: „უეჭველია ეს ცნობა იმას ამტკიცებს, რომ კოლხები მაზდეანობის აღმსრულებელნი ყოფილან, იმიტომ რომ ცეცხლი წმინდა სტიქიონად ითვლებოდა და არარა უწმინდური მას არ უნდა შეხებოდა".

ზოგიერთი ავტორი ამ მოვლენას აფხაზებისა და კოლხების სიახლოვით ხსნის. სამეცნიერო ლიტერატურაში არის შეხედულება რომ „ხეზე დამარხვის წესი კიდევ ერთხელ ადასტურებს გავრცელებულ აზრს საქართველოში ხის კულტის არსებობის შესახებ. ქართველებს ხეები ღვთაებად მიაჩნდათ, აფხაზებს ეს რწმენა ბოლო დრომდე მტკიცედ ჰქონდათ დაცული და დიდი მონიწებით სცემდნენ თაყვანს ხეებს".

გამოდის, რომ ხის თაყვანისცემა მიცვალებულის ხეზე დაკიდებით აიხსნება. მრავალ ხალხში იყო და არის ხის თაყვანისცემა, მაგრამ მიცვალებულის კულტთან არაფერი აქვს საერთო. დღევანდელი აფხაზები (აფსუები) ქართველების ისტორიულ ტრადიციებს არც სცნობენ და არც საერთო აქვთ, რაღა მაინცდამაინც ხეზე მიცვალებულის კოლხური ტრადიცია გამოჰყოლიათ?

გარდა ამისა, როგორც ცნობილია, აფხაზებმა (აბაზგებმა) ქრისტინობა VI საუკუნეში იმპერატორ იუსტინიანეს დროს მიიღეს, ნუთუ შეიძლება 1100-1200 წელი ქრისტიანი იყოს ერი და არ იცნობდეს ქრისტიანული აღმსარებლობით გათვალისწინებულ მიცვალებულის კულტს?

ე. ნ. „ჰაერზე დასფლავება“, მრავალ ხალხში იყო გავრცელებული და არ არის დაკავშირებული აუცილებლად მაზდეანურ რელიგიასთან. დაკრძალვის ასეთი წესი სხვა ფორმებთან ერთად გავრცელებულია ავსტრალიის აბორიგენებში.

მიცვალებულის ხეზე ჩამოკიდება და ან მისი დამარხვა მიწის ზემოთ ასევე გავრცელებული ყოფილა საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებშიც. XII საუკუნის არაბი ავტორის აბუ-ჰამიდ-ელ ანდალუზის მონაცემებით, ყუბაჩელების წინაპრები მიცვალებულს მაშინვე დაჭრიდნენ, ძვალსა და რბილს ერთმანეთს დააცილებდნენ, ხორცს ერთად მოაგროვებდნენ და მტაცებელ ფრინველებს აჭმევდნენ, ხოლო დასუფთავებულ ძვლებს ჩადებდნენ ტომრებში, ზედ დაწერდნენ მიცვლებულის სახელსა და გვარს და ჩამოკიდებდნენ ჭირისუფლის სახლში.

სტრაბონის გადმოცემით, კასპები, რომლებიც ძველ დროში დაღესტანში ცხოვრობდნენ და რომლებმაც მისცეს სახელწოდება კასპიის ზღვას, მიცვლებულს გაიტანდნენ სოფლის გარეთ და იქ მიატოვებდნენ, ხოლო შორიდან თვალყურს ადევნებდნენ: თუ მიცვალებულს ფრინველი დაუწყებდა ჭამას, ასეთ მიცვალებულს ბედნიერად თვლიდნენ. თუ მხეცი შეჭამდა – უფრო ნაკლებ ბედნიერად და თუ მიცველებულს არც ფრინველი და არც მხეცი არ მიეკარებოდა, მაშინ მას მეტად უბედურად თვლიდნენ.

ტიბეტში და ბჰუტანში მცხოვრები ბუდისტები, მონღოლები და სხვანი გაიტანდნენ მიცვალებულს მინდვრად და იქ ფრინველებს და მხეცებს აჭმევდნენ. ამავე წესით მიწის ზემოთ მარხავდნენ მიცვალებულს ციმბირის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხის მცხოვრები ჩუქჩები და მრავალი სხვა მიცვალებულებს ტყეში აფთრებს აჭმევდნენ. უფრო ძველ დროში კი მიცვალებულს თვით ჭირისუფლები ჭამდნენ და დარწმუნებული იყვნენ, რომ როგორც მიცვალებულის „სული“, აგრეთვე მიცვალებულის კარგი თვისებები მათზე გადავიდოდა. ამავე რწმენით ზოგიერთ შემთხვევაში ავსტრალიელი ქალი თავისი მკვდარი შვილის ხორცს თვითონ ჭამდა, ძვლებს ღებავდა და თან ატარებდა.

ფარსებიც მიწის ზემოთ (ჰაერზე) ასაფლავებენ მიცვალებულებს, რომლებისთვის სპეციალურად აშენებენ უთავსახურო, რომაული ცირკის მაგვარ შენობას. ამ უკანასკნელს ეძახიან დაკხმას ანუ „სახლს დადუმებულთათვის“ და აკეთებენ საცხოვრებელი ბინების მოშორებით, მეტად მწირ ადგილზე. დაკხმას შიგნითა კედელზე ისეთნაირად მიამაგრებენ მიცვალებულს, რომ ფრინველებს თავისუფლად შეეძლოთ მათი ხორცის ჭამა, ხოლო ძვლების წაღება კი არა.

პოლარულ ნაწილში მცხოვრები კელტები საფლავს აგებდნენ მიწიდან ორი მეტრის სიმაღლეზე. კუბოს აკეთებდნენ მსხვილი კედარის მორებისაგან, რაც ამავე დროს უფრო მეტად სამხრეთელ ტრადიციას წააგავს, ვიდრე ჩრდილოეთისას.

აღსანიშანვია ის გარემოებაც, რომ კელტებში ბავშვს წლამდე (უფრო ზუსტად კბილების ამოსვლემდე) სახელს არ არქმევდნენ. გარდაცვალების შემთხვევაში მიცვალებულს კრძალავდნენ ხეზე და არა მიწაში.

ვფიქრობთ მაგალითები საკმარისია. თუ ურიცხვ ავტორთა ზღვა მასალას არ ენდობიან აფსუები, რომ ისინი მკვიდრი მოსახლეები არ არიან და ჩამოსული ხალხია ჩრდილო კავკასიის მთებიდან, და რომ ზღვა და ზღვისპირეთი მათთვის საცხოვრებლად უცხო ხილი იყო, მაშინ საკუთარ მითოსს მაინც ჩაუკვირდნენ. აი, ერთ-ერთი საგულისხმო ნიმუში აფსუათა ეპოსიდან, სადაც ღმერთის – აირგის შესახებ ნათქვამია:

„აირგ, შენ მხოლოდ ზღვისპირეთს ძარცვავ
და მთებს უდგეხარ ერთგულ დარაჯად
და არცა შენი ნავალი, არცა
კვალი არა ჩანს...“

ამ საკმაოდ შთამბეჭდავი სტრიქონებიდან, რომლის კომენტარები და ბწკარედული თარგმანი მეცნიერსა და პოეტს ბორის გურგულიას ეკუთვნის, ნათლად ჩანს, რომ აფსუების სამშობლო ზღვისპირეთი კი არა, მთებია.

შემთხვევითი არ არის, რომ XVI-XVII საუკუნეების ევროპელი მისიონერები, რომლებიც თვითმხილველნი იყვნენ აფსუების ყოფისა, იმასაც აღნიშნავდნენ, რომ აფსუებმა მაშინ არ იცოდნენ რა იყო ფული, ქალაქური ცხოვრება, არ გააჩნდათ საოჯახო ავეჯი. აფსუებს ხომ ზღვის აღმნიშვნელი ტერმინიც არ გააჩნიათ, მას ისინი „ამორეს“ ეძახიან, ხოლო ქალაქს – „აქალაქს“.

XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც კარგად ხვდებოდა ზოგიერთი ავტორი, რომ აფხაზ-აფსუები არ იყვნენ აბორიგენი მოსახლეობა, დაკვირვების შედეგად მრავალი მათგანი ობიექტურ შეფასებას აძლევდა „აფსუა-აფხაზების“ ტრადიციებში ზღვასთან გაუცხოების ფაქტებს, რაც, ბუნებრივია, ზღვისპირეთის ისტორიული მცხოვრებლებისათვის არ შეიძლება დამახასიათებელი ყოფილიყო. მაგალითად, 1869 წელს გაზეთ „კავკას“-ის 47-ე ნომერში გამოქვეყნდა ა. მაშინას სტატია „აფხაზეთის სოციალური ყოფის ნარკვევები“, სადაც ავტორი იმ დასკვნამდე მივიდა,

რომ „აფხაზები მიჯაჭვული არიან მიწაზე და მუდმივად ბუდობენ შორეულ მთებში, ისტორიულად ისინი მოცილებული იყვნენ ზღვას, რომ აფხაზური მოსახლეობა ცხოვრობდა ძარცვითა და ომით, *არასდროს არ მისდევდა ზღვაოსნობას და მეთევზეობას* (ხაზგასმა ჩემია ა.ს.), რომ ზღვიდან მათ არ შეეძლოთ მიეღოთ არავითარი სარგებლობა, რომ მათთვის ზღვამ გადაინაცვლა ყველაზე უკანა პლანზე და მისდამი განწყობილი იყვნენ, როგორც ჩვენ მთვარისადმი ან რომელიმე პლანეტისადმი“.

„აფხაზურში“ აფრა ქართული ენიდანაა ნასესხები, ისე როგორც ქართული ნავის – ნიშის დამკვიდრება „აფხაზურ“ ენაში მოხდა „ანიშის“, „ლუზის“ (ხუ, ლუ), „ახუ“, „ალუზის“ „ზღვის“ – „აზღვა“ – სახელწოდებით და ა. შ. რუსული „Лодка“ და აფხაზური „алодка“, „шхуна“ ინგლისურიდანაა რუსულში შესული – „ашхуна“, „морс“, „аморс“ და სხვა მრავალი საზღვაო ტერმინი და თევზების სახელები აფხაზურში უცხოური ენებიდან და განსაკუთრებით კი, ქართულიდანაა შესული, რაც საყოველთაოდაა ცნობილი. და საერთოდ დადგენილია, რომ აფხაზურში ნაოსნობა-მეთევზეობასთან (და სხვა რიგისაც) დაკავშირებული ტერმინოლოგიის უდიდესი ნაწილი ქართველური ენებიდანაა შესული და აფხაზური ვარიანტები მათგან არის მილებული.

აფსუების სალაპარაკო ენაში მრავალი ქართული სიტყვა რომ დამკვიდრდა, არ მალავდა ე. წ. „აფხაზური ლიტერატურის“ ფუძემდებელი დ. გულია 1921 წლის 15 იანვარს ე. თაყაიშვილისადმი გაგზავნილ წერილში. წერილში მოყვანილი იყო ქართულ-აფხაზური შესატყვისები. უფრო სწორად, ქართულიდან აფხაზურში გადასული სიტყვები:

ქართულად	აფხაზურად	შენიშვნა
კანდელი	აკანდელ	ბერძნულში IX-X სს. უკვე იხმარებოდა
სარკე	ასარკია	
ჯვარი	აჯარ	
ქალაქი	აქალაქ	
მონაფე	ამანაფა	
საფარი	ასაფარ	
კალამი	აკალამ	
თავადი	ათაუად	
ორბი	აუარბა	
გამდელი	აგანდალ	
ჭერამი	აჭარამ	
კაკალი	აკაკან	

შაქარი	აშაქარ	ნახსენები აქვს ეფრემ მცირეს XI ს-ში
ფარდაგი	აფარდაგ	სპარსულია შდრ. „ეეფხისტყაოსანში"

ბევრი სიტყვა შესულია მეგურლიდან

ქართლური	მეგრული	აფხაზური
კიტრი	კინტირი	აკინტრ
მოლალური	მალალური	ამალაღურ
კამეჩი	კამბეში	აკამბაშ
მსხალი	ხული	ახულ
წებო	ჭობი	აჭაბ
ობობა	ბორბოლი	აბარბალა
წკნელი	ჭინი	აჭან
ისრი(ისლი)	ესირი	აესარ
მაკრატელი	მარკატელ	ამარკატალი
	ძლაბი	აძლაბ

ამ ლექსიკის პატრონის შ. ინალ-ფას „აღმოჩენით", შეიარალებას აფხაზურად თურმე „აბჯარი" ეწოდება. ეს სიტყვა „აფხაზურიდან" საქართველოში გავრცელებულა, სადაც შეიარალების აღსანიშნავად გამოიყენებოდა.

სულხან-საბას განმარტებით, „აბჯარი" ეს ზოგადი სახელი არს ყოველთა საჭურველთა და უფროსად საცვამთა ჯჯაჭვთა". გამოჩენილი ქართველი მეცნიერის დავით ჩუბინაშვილის მიხედვით „აბჯარი" (არაბულად ჭებე) სამხედრო საჭურველი, საომარი იარაღია ან ტანზედ ჩასაცმელი ჯჯაჭვია", რაც არაბების ზეგავლენით შემოვიდა. ან იქნებ აფსუებმა ასწავლეს არაბებს და შემდეგ მათ გააცნეს VII საუკუნეში სხვა ხალხებს?

აფხაზები აფსუებად პირველად რუსმა გენერალმა, როზენმა მოიხსენია. ორი სხვადსხვა ნარმომავლობის ხალხის ასეთი გაიგივება, ცხადია, რუსეთის იმპერიის ინტერესებში შედიოდა. შემდგომ კი, კომუნისტური იდეოლოგიური წნეხის ქვეშ მყოფმა ქართველმა კომუნისტებმა სიმართლის თქმა ვერ გაბედეს.

როგორც ჩანს აფხაზეთის ტერიტორიაზე XIX საუკუნის 60-70 წლებში 80 ათასამდე აფსუა ცხოვრობდა. რუსული აადმინისტრაციის პოლიტიკის წყალობით, 70-იანი წლების ბოლოს აფხაზეთიდან გაასახლეს დაახლოებით მოსახლეობის ნახევარი (40000-მდე კაცი). ზღვისპირა ზონაში აფხაზებს საერთოდ აეკრძალათ ცხოვრება. მთლიანად გაქრა აფხაზური მოსახლეობა ნებელდაში, დალში, გუმისთის რაიონში. განთავისუფლებული მიწები დაურიგდათ რუსის მოხელეებს და შემდეგში ამ რაიონებში დაასახლეს უცხო ტომის კოლონისტები (ბერძნები, სომ-

ხები, ესტონელები, უკრაინელები და სხვ). მდ. ფსოუს მარცხენა სანაპიროზე, ზედა ნაპირთან დასახლდა კოლონისტთა ჯგუფი. მათ დასახლებას დაერქვა ერმოლოვსკი. ამ პუნქტის სამხრეთ-აღმოსავლეთით 6 კილომეტრზე მდინარე მახადირის ნაპირზე, გაჩნდა მეორე დასახლება, რომელსაც დაერქვა პილენკოვო. ამ რაიონში წარმოქმნილმა ხუტორებმა და მცირე დასახლებებმა ასეთი სახელწოდებები მიიღეს: კოველევსკოე, ტროიცკოე, ხრისტოფოროვო, როგოჟინო, ტურინოვკა, ბარანოვო, კაზარმა და ა. შ.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ცარიზმი უკვე აშკარად მოქმედებდა, ცდილობდა საქართველოსათვის მოენყვიტა აფხაზეთი. ავიწროებდა ადგილობრივ მკვიდრთ და ასახლებდა კოლონიზატორებს, სასტიკად უსწორდებოდა ყველას, ვინც კი ამ საქმეში უშლიდა ხელს.

XIX საუკუნუნიდან იღებს სათავეს იმ აზრის პროპაგანდა და დამკვიდრება, რომ აფხაზეთი არ არის საქართველო, შემდეგ – რომ აფხაზეთი რუსეთია, შემდეგ, რომ აფხაზეთში შეუძლია დასახლდეს რუსი, კაზაკი, სომეხი და სხვა. მაგრამ არავითარ შემთხვევაში ქართველი. 1918 წელ დენიკინი ამბობდა იმავეს – აფხაზეთი საქართველო არაა.

აფსუა მეცნიერები აცხადებენ, რომ დროთა განმავლობაში ხორციელდებოდა აფხაზთა ძალდატანებითი ასიმილირების პოლიტიკა, ქართველთა დემოგრაფიული ექსპანსია, ამის საპასუხოდ ყველაზე თვალნათლივ სტატისტიკა მეტყველებს, მაგალითად, 1886 ნელს სოხუმში სამი „აფხაზი" ცხოვრობდა: ერთი ქალი და ორი მამაკაცი. ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. ასევე იყო ოჩამჩირეში, გუდაუთაში და სხვ.

1926 ნლის მოსახლეობის აღნერის მონაცემებით, აფხაზეთში ცხოვრობდა 67494 ქართველი ანუ 33,3% და 55918 აფხაზი, რაც 27,8%-ს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ აღნერის მიხედვით, 8920 აფხაზი ანუ თითქმის ყოველი მეექვსე მშობლიურ ენად ქართულს თვლიდა. ბუნებრივია, ესენი ყველა „გააფხაზებული" ქართველები იყვნენ, სხვა ეროვნებები ავტონომიურ რესპუბლიკაში აღნიშნულ ნელს შემდეგნაირად გამოიყურებოდნენ: რუსები 12 ათასი ანუ 6,0%; სომხები 25 ათასი ანუ 12,5%; დანარჩენი მოსახლეობა 41 ათასი ანუ 20,4%; სულ 201 ათასი ადამიანი.

1928-1930 ნლებში აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდა 210 ათასზე მეტი სული, მათგან ყველაზე მეტი – 123412 ქართველები და აფსუები იყვნენ. დანარჩენი მოსახლეობა: სომხები, ბერძნები, ესტო-

ნელები, გერმანელები, თურქები და სხვ. შეადგენდა 86588 კაცს.

ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს „აფხაზები“ ჯარში არ მიჰყავდათ, რის გამოც დაინყო ქართული მოსახლეობის „გააფხაზება“. ამ პროცესმა განსაკუთრებით აქტიური სახე მიიღო XX საუკუნის 20-იანი წლებიდან, ამდენად აფხაზები აფხაზეთში გახდნენ არა მხოლოდ ერი, პრივილიგირებული კლასი, რომლის რიგებიდანაც ყალიბდებოდა ავტონომიური რესპუბლიკის მთელი ადმინისტრაცია საოლქო კომიტეტის პირველი მდივნიდან დაწყებული, დამთავრებული პატარ-პატარა სანარმოების დირექტორებით, მათი მოადგილეებით და დისპეტჩერებითაც კი, სხვა ერის შვილები თუ მუშაობდნენ დაწესებულებებში, ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ აფხაზი ხელმძღვანელები ვერ წვდებოდნენ მთელს ავტონომიურ რესპუბლიკას.

აფხაზებს, სხვა ეროვნებებთან შედარებით ეძლეოდათ უპირატესობა მილიციაში, ნავსადგურში მუშად მიღების დროს.

ნაციონალიზმის თვალსაჩინო სურათს იძლევა კომკავშირის საოლქო კომიტეტის ცირკულარი ყველა კომკავშირული ორგანიზაციისათვის, სადაც ნათქვამია, რომ კომკავშირში უნდა მიეღოთ მხოლოდ აფხაზი ახალგაზრდები. მართალია, ეს ცირკულარი მოგვიანებით უარყოფილ იქნა მაგრამ მისი ამ სახით გამოქვეყნება აშკარად აჩვენებს რამდენად იყო შოვინიზმი გაბატონებული ახალგაზრდებშიც. „საბჭოთა აფხაზეთის“ ხელმძღვანელობამ თავისი ეროვნული პოლიტიკით აამხედრა მოსახლეობის სამი მეოთხედი.

რადგან აფხაზს ყველგან და ყოველთვის ენიჭებოდა უპირატესობა, არააფხაზური ეროვნების ნარმომადგენელი იძულებული ხდებოდა თავი აფხაზად გამოეცხადებინა (გააფხაზებულიყო), რათა სამსახური ეშოვნა. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ 1926 ნლის აღწერის დროს „რამდენიმე ათასმა კაცმა თავისი თავი აფხაზ ეროვნებას მიაკუთვნა, თუმცა მათი ენა იყო არა აფხაზური, არამედ ქართული (მეგრული)“. მაგალითისათვის არაფერს ვამბობთ ისეთ ქართულ გვარებზე, როგორიცაა გოგუა, ლომია, ნოდია, გულია (დიახ გულიაც), მაგრამ რა უყოთ, „აფხაზ“ წერეთლებს, ახვლედიანებს, აბაშიძეებს, მაისურაძეებს და მრავალ მათ მსგავსთ?! ეს ფაქტი უდავოდ ნიშნავს აფხაზების მხრიდან ქართველების ასიმილაციას და არა პირიქით, როგორც მას ხშირად წერენ აფხაზი ავტორები.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, რომელიღაც დასავლურ-ქართული ჯგუფის გადასვლა მოხდა ადიღეურ მეტყველებაზე. ამ ქართულ ეთნიკურ ჯგუფში იგულისმება აფხაზთა ის 80%, რომლებიც დღემდე ქარ-

თულ გვარებს ატარებენ და იციან აფსუური ენაც. ხოლო „აფხაზი", როგორც ეთნიკური ცნება, ბოლშევიკურმა იდეოლოგიამ ეროვნების აღმნიშვნელ ცნებად აქცია, ამით აფხაზები – ძირძველი ქართველები, ხელოვნურად მოგლიჯეს საერთო ქართულ ეროვნულ ორგანიზმს. ასე სჭირდებოდა იმპერიულ პოლიტიკას თავისი კლასიკური პრინციპის გასატარებლად – „გათიშე და იბატონე".

ყოველგვარი კომენტარის გარეშე, ზოგიერთი ქართველის აფსუად (აფხაზი) მონათვლა ხელს უწყობდა გაორებული ქართველების შთაგონებას, რომ ისინი ქართველები არ იყვნენ. ასეთი დამოკიდებულება უფრო მეტად აღვივებდა „აფხაზურ" სეპარატიზმს და ხელს უწყობდა გააფხაზებულ ქართველებში ანტიქართული ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებას.

დღევნდელი ე. წ. აფხაზთა დაახლოებით 80% ქართულ გვარებს ატარებს, ხოლო 12-13% – ადიღეურ-ჩერქეზულ-აბაზინურს, ანუ ჩრდილო-კავკასიური წარმომავლობისა არიან, თავიანთ თავს ისინი აფსუას უწოდებენ.

80% ატარებს გვარებს: ალანია, მალანია, წერეთელი, ახვლედიანი, ჭკადუა, გურგულია, სანიკიძე, ჩაკვეტაძე, ჭელიძე აბაშიძე და ა. შ.

12-13 % – ძიბა, არძინბა, ხინტბა, წვიუბა, თარბა, ბგანბა, ხიკუბა, ბუთბა, შინკუბა, და ა. შ. აფხაზთა 450 გვარიდან 300-ზე მეტი ქართულია და 100-ზე ნაკლები ჩრდილო-კავკასიური, დანარჩენები ზოგი თურქია, ზოგო სპარსი, ზოგი რუსი...

საერთოდ, ისტორიული მეცნიერების რა განვითრებაზეა ლაპარაკი, როდესაც ე. წ. „აფხაზური ისტორიოგრაფია" ფაქტიურად ჩამოყალიბდა მხოლოდ XX საუკუნის 30-60-იან წლებში".

გავიხსნეოთ, რომ 1926 წელს აფხაზეთის ასსრ მთავრობამ გააუქმა რუსული გრაფიკის საფუძველზე შემუშავებული „აფხაზური" ანბანი და მის ნაცვლად შემოიღო აკადემიკოს ნ. მარის მიერ შედგენილი ლათინიზირებული ანბანი. შემდეგ 1929 წელს შემოღებულ იქნა ანბანი შემუშავებული ასევე ლათინურის საფუძველზე, ნ. იაკოვლევის მიერ. 1938 წელს აფხაზეთში მიიღეს ახალი აფხაზური ანბანი, რომელსაც საფუძვლად ედო ქართული გრაფიკა. ამ ანბანის პროექტის ავტორი იყო აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი დ. გულია, რომელთანაც ერთად მის შემუშავებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ქართველი მეცნიერები ს. ჯანაშია და ა. შანიძე. 1954 წელს კი მიღებულ იქნა ახალი (ამჟამიდელი) „აფხაზური" ანბანი რუსულ გრაფიკულ საფუძველზე.

ჯერ კიდევ 1919-1920 წლებში აფხაზეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსულად ლაპარაკობდა, და ეს ხდებოდა არა მხოლოდ სა-

კუთრივ აფხაზეთში, არამედ სამურზაყანოშიც, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას მეგრელები შეადგენდნენ.

როგორც ცნობილია აფხაზეთის კონსტიტიციის საფუძველზე 1925 წლიდან საქმის წარმოება მხოლოდ რუსულ ენაზე ხდებოდა, არ იქნა გათვალისწინებული რესპუბლიკის ეროვნული შემადგენლობა, დაამცირეს როლი და მნიშვნელობა როგორც „აფხაზური", ასევე ქართული ეროვნული ენებისა. მხოლოდ 1926 წლის 27 თებერვლის სამთავრობო გადაწვეტილებით, სახელმწიფო დაწესებულებებში რუსულს უფლებრივად გაუთანაბრეს „აფხაზური" და „ქართული".

რუსული ენისათვის პრიორიტეტის მინიჭების შედეგად 1926 წლის 1 იანვრისათვის ძირითადად ცენტრალურ დაწესებულებებში მომუშავეთა ეროვნული შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: რუსები - 44,9%, ქართველები – 22,3%, აფხაზები – 8,9%, ხოლო 1927 წლის 1 იანვრისათვის: რუსები 47,1%, ქართველები – 23,3%, აფხაზები - 8,9%, მიუხედავად იმისა, რომ 1926 წელს აფხაზები შეადგენდნენ 27,8%, ქართველები – 36,6%, ხოლო რუსები – 6,2%.

თავად აფსუების ხელისუფლება თვლიდა, რომ სხვა ეროვნებებთან შედარებით დაბალი კულტურა ჰქონდათ. 1924 წლის 8 მაისს საქართველოს კპ(ბ) III ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას ნ. ლაკობა ანვითარებს თავის აზრს აფხაზეთის ე. წ. დამოუკიდებლობის შესახებ: თუ ისტორიული თვალსაზირისით მივუდგებით აფხაზებს, რა თქმა უნდა, *აფხაზეთს არავითარი როლის შესრულება არ შეეძლო კაცობრიობის წინაშე, თუ გინდა იმის გამო, რომ ამ ხალხს არ გააჩნია არც თავისი ისტორია, არც დამწერლობა და ლიტერატურა* (ხაზგასმა ჩემია ა.ს.).

1930 წლის იანვარში საბჭოთა კავშირის ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე ტ. ჭანბა სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა, რომ აფხაზებს „არა აქვთ თავისი კულტურა" (ხაზგასმა ჩემია ა..ს.), და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა გზა ეროვნული კულტურის განვითარებისათვის.

როგორც ვხედავთ, აფსუებს, რომლებიც უძველეს აფხაზებად თვლიან თავს, თურმე არ ჰქონდათ ეროვნული კულტურა. როგორ კონტექტიშიც არ უნდა იყოს ჭანბას ნათქვამი, ბუნერივია, სიმართლეს შეეფერება.

თუ დღევანდელი აფხაზები ძირძველი მოსახლეობა და არაქართული ეთნოსია, ნუთუ ამ „უძველესმა ერმა საუკუნეთა მანძილზე კულტურის ელემენტებიც კი ვერ შექმნა? XX საუკუნემდე ისე მოსულან, რომ კვალიც ვერ დატოვეს. აბა რას მივანეროთ XX საუკუნის მოღვაწე

დიმიტრი გულიას აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძესეული შეფასება? მეცნიერი აღნიშნავდა: „დიმიტრი გულიამ შეუქმნა თავის ხალხს ეროვნული ანბანი, ეროვნული მწიგნობრობა, ეროვნული მხატვრული ლიტერატურა. დიმიტრი გულიამ შეადგინა მისი ხალხის მეცნიერული ისტორია, გააშუქა მისი ენის საკითხები, შეკრიბა, შეისწავლა და მზის სინათლეზე გამოიტანა მისი მდიდარი ზეპირი სიტყვიერება. დიმიტრი გულია იყო აფხაზი ლიტერატურის ფუძემდებელი და მისი ცოცხალი კლასიკოსი... დიმიტრი გულია იყო წამომწყები და დამაგვირგვინებელი აფხაზური ალორძინებისა".

ვფიქრობთ, ყოველგვარი კომენტარი „ძირძველი აფხაზური კულტურის" შესახებ ზედმეტია. აფხაზური ანუ ქართული კულტურა კაცობრიობის ციცილიზაციის განუყოფელი ნაწილია. აფსუები ანუ დღეს აფხაზად მონათლული ეთნოსი ის ეროვნებაა, რომელმაც თავისი თვითშეგნება მხოლოდ საქართველოში ჩამოსახლების შემდეგ ჩამოაყალიბა, რასაც საკმაო დრო დასჭირდა. თვითშეგნება, რომელმაც სხვისი მიწის მითვისება მთავარ მსოფლმხედველობად აქცია.

დიდ სიყალბესა და დანაშაულს, უფრო მეტიც, შეგნებულ სისულელეს, რომ თითქოს აფსუებს აფხაზეთის გარდა სხვა სამშობლო რა გააჩნიათ – ბოლო უნდა მოეღოს. დღესაც აშკარად ჩანს აფსუათა ქეშმარიტი ადგილმდებარეობა რუსეთის ფედერაციის ადმინისტრაციული დაყოფის კრებულში, რომელიც 1974 წელს არის გამოცემული მოსკოვში, სადაც შავით თეთრზე სწერია, რომ, რსფსრ-ს ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში არის ადილეჰაბლის რაიონი და მასში შედის რვა სასოფლო საბჭო, რომელთგან ერთს ჰქვია აფსუას (Апсуанский сельсовет) სასოფლო საბჭო. ამგვარად, „აფსუანსკი" და არა „აფხაზსკი", ე. ი. იქ მათ საკუთარი სახელით იცნობენ, აქ კი მათ დაკარგეს ეს საკუთარი სახელი, რაგან შეერწყნენ კულტურულ ერს – ქართველობას და მიიღეს მისი ერთი კუთხის, აფხაზეთის მკვიდრი ქართველის – აფხაზის სახელწოდება.

ბერძნები

ცნობილია, რომ ეთნოსი ანუ ხალხი სხვადასხვა შედგენილობის და წარმომავლობისაა. მათი სახელი სხვადასხვა წყაროდან მომდინარეობს, ხშირად ხალხი თავის თავს ერთ სახელს უწოდებს, ხოლო მეზობლები ან სხვა, მათ სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებს. რაც იმის გამოა, რომ მათი სახელები ეპონიმების ან სხვა რამის მიხედვითაა შერქმეული, მაგალითად, ან გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით, ან ხალხის ნაწილის მიხედვით, ან გვარობრივი ნიშნის, ან სახელის, ან სხვათა მიხედვით. ასევეა ბერძნების სახელთან დაკავშირებით.

„ბერძენ"-ის გვერდით ძველ ქართულ სამყაროს გააჩნდა ტერმინი „საბერძნეთი" ბერძენთა ქვეყნის აღსანიშნავად. რაკი ბერძენთა და მათი ქვეყნის სახელწოდების სახით ამგვარი სახელი მხოლოდ ქართველებს მოეპოვებათ, ისმის კითხვა თუ რა საფუძველზე უნდა წარმოქმნილიყო იგი.

აშკარაა, რომ ეს სახელი უძველეს დროშია ჩამოყალიბებული, კერძოდ, იმ პერიოდში, როდესაც „ბიძერების" ქვეყნის გარდაქმნა მოხდა ბერძნების ქვეყნად. ქართველთა (უფრო სწორად იბერ-ქართთა, რომელთა წიაღშიც უნდა წარმოქმნილიყო ეს სახელი) უძველესი ადგილსამყოფელის მეზობლად მდებარე ასეთი ქვეყანა იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, სადაც გაჩნდნენ ძვ.წ. VII-VI საუკუნეებიდან დიდი ბერძნული ახალშენები (სინოპი, ამისო, ტრაპეზუნტი და სხვ.), სადაც შემდეგში ჩამოყალიბდა პონტოს ძლიერი ელინისტური სახელმწიფო (უძველესი ქართული საისტორიო ტრადიციის) „საბერძნეთი".

ამდენად, ტერმინი „ბერძნები", როგორც ირკვევა, ბერძენთა ტომების სახელწოდების საფუძველზეა შექმნილი. ბიძერები პონტოს ქედის კალთებზე მცხოვრები ტომები იყვნენ. მათ მეზობლად, პონტოს ქედის სამხრეთ კალთებთან, მცხოვრებ ქართის ტომებში ამ სახელმა შეიძლება ასევე მოიპოვა საერთოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრები მეგრულ-ჭანური ტომებისა და მათი ქვეყნის აღნიშვის ფუნქცია, ხოლო შემდეგ, როდესაც ამ მხარის „გაბერძნულება" მოხდა – ეს მხარე ელინისტურმა პონტოს სამეფომ მოიცვა. სახელწოდება „ბერძენი"-ც გადატანილ იქნა იმ ხალხზე, რომელმაც ამ მხარის პოლიტიკურ

ცხოვრებაში ნამყვანი ადგილი დაიკავა (ე. ი. საკუთრივ ბერძნებზე).

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ქართებს (შემდეგ საერთოდ ქართველებს) მოეპოვებათ ბერძნების აღსანიშნავად ეს ტერმინი. მეზობელი სომხებიც კი, ისევე როგორც ძველი მოსოპოტამიის, სირია-პალესტინის და სხვ. მოსახლეობა ბერძნებს „იონიელებს" ეძახის.

საინტერესოა, თუ როგორ განმტკიცდა ბიზანტიის კარის ოფიციალურ ენაში ან ლიტერატურულ ბერძნულში სახელი ჰრომე „ჰრომი", როგორც „კონსტანტინოპოლის" სინონიმი, და მეტადრე მისგან ნაწარმოები სიტყვები: ჰრომაიოი, ე. ი. „რომაელები" – „ბიზანტიელთა", „ბერძენთა" მნიშვნელობით; ტოპანრმაიონ „მთელი (სრული) რომაელობა (ბიზანტიელები)" და ა. შ. ცნობილია, რომ თურქეთში იგივე სახელი გამოყენებულია „რუმ" ფორმით იმპერიის, ბიზანტიის აღსანიშნავად. ამიერკავკასიის ხალხთაგან ქართველთა და სომეხთა შორის, რომელთაც ბიზანტიასთან ურთიერთობა მუდამ ჰქონდათ, დიდი გავრცელება ჰქონდა სახელებს „ჰრომნი" და ჰორომქ" (სომხ.) „ბერძნების", „ბიზანტიელების" მნიშვნელობით.

ხოლო „რუმის" დამპყრობი ოსმალების სახელად ქართულ ნყაროებში გავრცელდა „ურუმნი". ჩვენთან მცხოვრებ თურქულენოვან ბერძნებს ქართველები ასევე ურუმების სახელით მოიხსენიებენ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სამხრეთ საქართველოში (ახლანდელი თურქეთის ტერიტორიაზე) არის ისტორიული სოფელი ურუმი, რომელიც მოხსენიებულია XVI საუკუნის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში".

თავად ბერძნების თვალში, მათს ცნობიერებაში საქართველო ერთ ქვეყანად არ აღიქმებოდა და, შესაბამისად, მის აღსანიშნავად ერთ სიტყვას არ ხმარობდნენ. დასავლეთ საქართველოს უწოდებდნენ „კოლხეთს", შემდეგ – „ლაზიკას", ხოლო ბიზანტიურ ხანაში დამკვიდრდა სიტყვა „აბაზგიაც". აღმოსავლეთ საქართველოს კი ეძახდნენ „იბერიას" (ასევე ბიზანტიურ ხანაშიც).

ურთიერთობის სათავეებთან

ძველი ბერძნები, რომელთა კულტურა ძველი მსოფლიოს ისტორიაში ერთ-ერთ უბრწყინვალეს და უმაღლეს მწვერვალადაა მიჩნეული, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და ეგეოსიის ზღვის კუნძულებზე სახლობდნენ. კრეტა-მიკენის ხანის ბერძნები თავს აქაელებს უწოდებდნენ. ძ.წ. XIII-XII სს-ში ეს ტომები ჩრდილოეთიდან შემოსეულმა ტომებმა – დორიელებმა გაანადგურეს. ამის შემდეგ ბერძნული კულტურისა და სახელ-

მწიფოებრიობის ახალი აღმავლობა ძვ.წ. IX-VIII საუკუნეებში იწყება. ამ პერიოდის ბერძნები უკვე თავს ელინებს უწოდებდნენ, თავიანთ ქვეყანას კი – ელადას.

ძველი ბერძნების სახელთანაა დაკავშირებული ძვ.წ. VIII-V საუკუნეების მსოფლიო ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორიც იყო „დიდი ბერძნული კოლონიზაცია".

კოლონიზაცია ადამიანთა დიდი მასის ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადასახლება და იქ მუდმივად დასახლებას ნიშნავს. თავდაპირველად ძვ.წ. XI-X საუკუნეებში ძველმა ბერძნებმა მცირე აზიის სანაპირო ზოლი აითვისეს და მას იონია უწოდეს. იონიის ერთ-ერთი უმთავრესი ქალაქი-ახალშენი მილეტი იყო. მილეტელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჩრდილოეთის მიმართულებით „დიდ ბერძნულ კოლონიზაციაში" და მარმარილოსა და შავი ზღვის სანაპიროებზე 80-ზე მეტი ქალაქი-ახალშენი დააარსეს.

საერთოდ, ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებში დიდი ბერძნული კოლონიზაცია სამი მიმართულებით ვითარდებოდა. დასავლეთით ძველმა ბერძნებმა აითვისეს სამხრეთ იტალია, სიცილია, დღევანდელი საფრანგეთისა და ესპანეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპირო. სამხრეთ იტალიას მათ მიერ აქ დაარსებული ქალაქების სიმრავლის გამო ერთხანს „დიდი ელადა" ანუ „დიდი საბერძნეთი" ეწოდებოდა. სიცილიაში დაარსებულ ქალაქებს შორის აღსანიშნავია სირაკუზი, საიდანაც იყო გამოჩენილი ძველი ბერძენი მეცნიერი არქიმედე. საფრანგეთის სანაპიროზე ძველი ბერძნების მიერ დაარსებულია მარსილი, დღევანდელი მარსელი. სამხრეთ-დასავლეთით ძველმა ბერძნებმა თავიანთი ქალაქი ეგვიპტეში, მდინარე ნილოსის შესართავშიც დააარსეს.

ლეგენდარული კოლხეთის ძლიერ გაერთიანებაზე ხსოვნამ გამოხატულება ჰპოვა ძველ ბერძნულ თქმულებაში არგონავტებთან დაკავშირებით.

ქართველების სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ თითქმის მთელი ჩვენი ზღვისპირეთი მოიცვა ბერძნულმა კოლონიზაციამ. ბერძნული პოლისებიდან (ქალაქ-სახელმწიფოებიდან) ამ მხრივ აქტიურობით გამოირჩეოდა მილეტი, რომელმაც თავისი კოლონია (ახალშენი) ჩვენს ზღვისპირეთში VII საუკუნეში (ძვ.წ.) დააარსა სინოპეში, ხოლო კიმერიელთა მიერ ამ უკანასკნელის განადგურების შემდგომ კოლონია კვლავ იქნა აღდგენილი (ძვ.წ. 631 წელს). მათვე დააარსეს ტრაპეზუნტი (757-56 წლებში), ამისოსი – VII საუკუნეში, ხოლო ძვ.წ. 530-იან წლებამდე – კოტიორა და კერასუნტი. მომდევნო V საუკუნეში იქნა დაარსებული

გუნოსი (ოჩამჩირის ადგილას) და დიოსკურია (სოხუმის ტერიტორიაზე). საკაჭრო ფაქტორიის (ემპორიონის) არსებობას ვარაუდობენ ქობულეთ-ფიჭვნარის შემოგარენშიც.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბერძენი მოახალშენეები კოლონიებს (აპოიკიებს) აარსებდნენ ან უკვე დაარსებულ პუნქტებში, ანდა დასახლებულ ადგილებში. მაგრამ ორივე შემთხვევაში, ცხადია, უცხოელთა, ანუ ჩვენი დასავლელი ნინაპრების მინა-წყალზე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ ერთი მხრივ ბერძენთა გამოჩენა ჩვენს ისტორიულ სინამდვილეში (სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში) ისტორიული განვითარების დამაჩქარებელ ფაქტორს წარმოადგენდა, მეორე მხრივ მას მოსდევდა დიდად უარყოფითი შედეგიც – ჩვენი დასავლელი ნინაპრების ექსპლუატაცია.

ცნობილი ისტორიკოსი შოთა მესხია სწორად შენიშნავდა: „ბერძნების კოლონიზაცია შავი ზღვის სანაპიროზე სრულიადაც არ ხდებოდა მშვიდობიან პირობებში. პირიქით, მას ჰქონდა იძულებითი ხასიათი და ვითარდებოდა ადგილობრივ მცხოვრებთა შევიწროების ხარჯზე. გარდა ამისა, ბერძნული კოლონიზაცია მიზნად ისახავდა არა მხოლოდ საკაჭრო კავშირურთიერთობების დამყარებას; ბერძნები ისწრაფოდნენ აგრეთვე დაეპყროთ ტერიტორია და დაემორჩილებინათ ადგილობრივი მცხოვრებნი, ექციათ ისინი მონებად". ფაქტობრივად, ძვ.წ. VII-VI სს-ში ბერძნებმა დასუსტებულ ეგრისს (კოლხეთს) სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დიდი ნაწილი წაართვეს.

ამავე ხანებში ბერძნული ქალაქები ჩრდილო შავიზღვისპირეთში – ყირიმის ნახევარკუნძულსა და მის მეზობელ მხარეებშიც წარმოიქმნა. მათ შორის აღსანიშნავია ბოსფორი, პანტიკაპეიონი, ხერსონესი, ოლვია, ფანაგორია... შავიზღვისპირეთში ბერძნული ქალაქი-ახალშენების ისტორია სულ სხვაგვარად წარიმართა: სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კოლხებისათვის წართმეულ ტერიტორიაზე დაარსებული ბერძნული ახალშენები სხვა მრავალი ბერძნული ქალაქ-კოლონიების მსგავსად, დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოებად – პოლისებად ჩამოყალიბდა. ყირიმსა და მის მომიჯნავე მხარეებში წარმოქმნილი ბერძნული ქალაქები ძვ.წ. V ს-ში ერთ, ბოსფორის სამეფოში გაერთიანდნენ. ბერძნული ახალშენები კი, რომლებიც კოლხეთის სამეფოს საზღვრებში დარჩნენ, ეგრისის მეფეებს დაემორჩილნენ და მხოლოდ თვითმმართველობით დაკმაყოფილდნენ.

ბერძენი ეთნოსის საქართველოში დასახლების ფაქტზე მიუთითებს მდინარე ყვირილას ზემო წელზე, სოფელ ითხვისში (ჭიათურის მახლობ-

ლად) არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მიაკვლია მშრალად ნაგები ქვის შენობის ნაშთებს. ნიშანდობლივია, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ამ ადგილს „ბერძენთა ნასახლარს" უწოდებენ.

მდინარე რიონისა და სულორის შესართავთან (საყანჩიას ველზე), როგორც არქეოლოგიური კვლევა-ძიებით დადასტურდა, საკმაოდ დიდ ფართობზე (20-25 ჰექტარი), ძვ.წ. III ს-დან არსებობს საქალაქო ტიპის დასახლება, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ძველ ქალაქთან („ახალდიანების გორა"). აქ აღმოჩენილი ძვ.წ. III-II სს-ის ოთხკუთხედი საოჯახო საკურთხევლების მიხედვით, მკვლევარნი ვარაუდობენ ამ დასახლებაში, ადგილობრივთან ერთად, ბერძნული მოსახლეობის, ძირითადად ხელოსნებისა და ვაჭრების არსებობას. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში არის გამოთქმული მოსაზრება, ბერძნული კულტურის მატარებელი ეთნიკური ჯგუფი საყანჩიაში შემოსული უნდა იყოს მცირე აზიის ერთ-ერთი სანაპირო რეგიონიდან. ამ ბერძნული ეთნოსის წარმომავლობის ადგილის უფრო დაზუსტება შესაძლებელია საყანჩიაში აღმოჩენილი იმპორტული კერამიკის ტარის მიხედვით, რომელიც, უმთავრესად, სინოპედან და როდოსიდან არის შემოტანილი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ თუ ჩვენი ქვეყნის ისტორიას ძვ.წ. VII-VI საუკუნემდე უმთავრესად არქეოლოგიური მასალის საშუალებით ვსწავლობთ, ამ დროიდან მოყოლებული უკვე წერილობით ცნობებსაც ვიყენებთ. ძველ ბერძნულ მწერლობაში დაცულია ჩვენი ქვეყნის ბუნების, მოსახლეობის და მისი კულტურის, სახელმწიფო საზღვრებისა და ისტორიის აღწერილობა. თავდაპირველად ეს ცნობები მცირე იყო, მაგრამ ისინი თანდათან გამრავლდა და გამდიდრდა.

უძველესი ბერძნული ცნობები (ძვ.წ. VI-IV სს.) საქართველოს მცენარეულობით, ცხოველებითა და მინერალური ნედლეულით მდიდარ ქვეყანად გვიხატავენ. კულტურული მცენარეებიდან დასახელებულია ვაზი და აღნიშნულია, რომ აყენებდნენ ღვინოს. მოხსენიებულია კაკალი და წაბლი. აღნიშნულია, რომ წაბლის ნაყოფს დიდი რაოდენობით ხმარობდნენ, ან მოხარშულს, ან პურის სახით გამომცხვარს. შავი ზღვისპირა ქვეყნების და, მაშასადამე, საქართველოს შესახებაც ნათქვამია, რომ აქ აშენებენ ყოველნაირი ჯიშისა და კარგი ხარისხის მსხალსა და ვაშლს დიდი რაოდენობით, ბლომად ხარობს აქ აგრეთვე ლელვი და ბრონეული. ზოგი ხეხილი აქედან შემდეგში სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. მაგალითად, კოლხეთის ქალაქ კერასუნტიდან რომაელებმა პირველად შეიტანეს ევროპაში ბალი, რომლის სახელი ევროპაში კერასუნტის სახელთანაა დაკავშირებული. პურეულიდან დასახელებულია ხორბალი,

ასლი და ქერი. პური ზოგიერთ რაიონში ისეთი რაოდენობით მოჰ-ყავდათ თურმე, რომ ახალი მოსავლის აღების შემდეგაც ნინა ნლის მოსავლიდან დიდი მარაგი რჩებოდათ. ტექნიკური (სართავი) მცენარე-ებიდან უკვე ძვ.ნ. V საუკუნეში განთქმული იყო კოლხური სელი და მისი ქსოვილი, რომელიც სახლვარგარეთ გაჰქონდათ, ჩანს მნიშვნელო-ვანი რაოდენობით. ფასიანური (ე. ი. მდ. ფასიდის ანუ რიონის) თხელი სელი საუკეთესო მასალად იყო მიჩნეული აგრეთვე ბადეებისათვის. იხსე-ნიება სხვადასხვა ბოსტნეულიც.

ცნობილი იყო აგრეთვე შავი ზღვისპირეთის ფუტკარი, ხშირი და მდიდარი ღალა იკისო, და აქური „თეთრი და სქელი თაფლი". დასავლეთ საქართველოს ამგვარ თაფლს, რომელსაც ქართულად „კიპრუქი" ჰქვია, შემდეგშიაც ყოველთვის ძალიან აქებდნენ უცხოელები. მისდევდნენ შინაურ მეფუტკრეობას (ფუტკარი სკებში ჰყავდათ), და აგრეთვე ტყის ფუტკრის თაფლსაც აგროვებდნენ. შინაური ოთხფეხიდან დასახელებუ-ლია ძროხა, ცხვარი, ღორი, თხა, ცხენი, ვირი. დიდი ბერძენი ფი-ლოსოფოსი არისტოტელე წერს: „ფასიდზე არის პატარა ძროხები, რო-მელთაგან თითოეული ბევრ რძეს იძლევა". ეს ქართული ჯიშის ძროხა, პატარა ტანისა, მაგრამ კარგი მეწველი, დღემდე არის ჩვენში შემონა-ხული (მაგალითად ხევსურეთში).

ძველი ბერძნები საქართველოს ლითონებით მდიდარ ქვეყნად თვლიდნენ, ამ ქვეყანაში ბევრია ოქრო, ვერცხლი და რკინაო. მოუთხ-რობდნენ, რომ კოლხეთის ერთმა უძველესმა მეფემ თავის სახელმწი-ფოში, განსაკუთრებით – სვანეთში აუარებელი ოქრო და ვერცხლი მო-იპოვაო. იუწყებიან აგრეთვე სხვა მინერალების შესახებაც. მაგალითად, როგორც კოლხეთში, ისე იბერიაში ძველთაგანვე წარმოებდა სინგურის მოპოვება (ამ მინერალიდან, რომელიც ვერცხლისწყლისა და გოგირდის შენაერთია, წითელ საღებავს ამზადებდნენ).

კიდევ უფრო დიდი აზრისა იყვნენ ბერძნები აქაური მეტალურგების შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებით ბევრი ცნობა დაგვიტოვეს მათ სამხრეთ ტომების – ხალიბებისა და მოსინიკების – შესახებ. ხალიბების ქვეყანაში მდინარეებს რკინის ქვიშა ჩამოაქვს. ხალიბები ამ ქვიშას რამდენჯერმე რეცხავენ და ადნობენ ეგრეთწოდებულ „ცეცხლგამძლე ქვასთან" ერთად, რომელიც ბევრია მათ ქვეყანაში. ასე ამზადებდნენ ხალიბები რკინას, რომელიც ბევრად სჯობია სხვა რკინას და ვერცხლში ძნელი გამოსარჩევია. მხოლოდ ამგვარ რკინას არ ეკიდება ჟანგიო. აქ აღწერილია მაღალი ხარისხის ფოლადის დამზადება. ამიტომაა, რომ ფოლადის ბერძნული სახელი „ხალიფს", ხალიბების სახელწოდებისგანაა

ნანარმოები და ხალიბურ ლითონს ნიშნავს. ასეთივე ნახელავით ცნობილი იყვნენ ტიბარენებიც, ხალიბების მეზობლები. ხალიბების სხვა მეზობლები, მოსინიკები, განთქმული იყვნენ თავისი მაღალხარისხოვანი თითბერით. მოსინიკების სპილენძი კაშკაშა ელვარეა და მეტისმეტად თეთრი; სპილენძს მოსინიკები კალას კი არ ურევენ, არამედ ერთგვარს იქაურ მიწას, რომელსაც სპილენძთან ერთად ადნობენო. თითბერის სახელიც ზოგიერთ ევროპულ ენაში (მაგ., გერმანული „მესინგ") მოსინიკების სახელისგან არის წარმომდგარი. ხალიბების, მოსინიკებისა და ტიბარენების ტერიტორია, რომელიც ჭოროხის აუზზე და ტრაპიზონ-გირესუნ-ორდუს საზღვრებში მოდის, განსაკუთრებით ამ ტერიტორიის მთიანეთი, მართლაც მდიდარია ლითონის მადნებით.

ეს სიმდიდრე იზიდავდა ბერძნებს კავკასია-საქართველოსაკენ. სხვა საქონელს გარდა აქ ისინი შოულობდნენ აგრეთვე მონებსაც.

შავიზღვისპირეთში ბერძნული ახალშენების დაარსების შემდეგ კოლხეთი ბერძნულ სამყაროს უფრო დაუახლოვდა და ბერძნული კულტურის მიღწევებს ეზიარა. ეგრისისა და საბერძნეთის ნავსადგურებს შორის მუდმივი მიმოსვლა დამყარდა. კოლხეთის საზღვაო ვაჭრობა მსოფლიო საზღვაო აღებ-მიცემობის შემადგენელ ნაწილად იქცა. ძველ ბერძნებს კოლხეთიდან გაჰქონდათ თაფლი, ცვილი... კოლხეთის ექსპორტს საბერძნეთში განსაკუთრებით გემთსაშენი ხე-ტყე, კუპრი, რკინა, რკინის ნანარმი, მინერალური საღებავები, ღვინო... და ტყვე-მონები შეადგენდა.

საბერძნეთის ტერიტორიაზე გათხრების დროს მიაკვლიეს თიხის სურებს, რომლებსაც ბერძნულად აწერია: „კოლხმა გამაკეთა", „კოლხმა მომხატა". განსაკუთრებით აღსანიშნავია კოლხური სელის ნანარმი, რომელიც, ბერძნების ცნობით, არაფრით ჩამოუვარდებოდა ეგვიპტურს. ეგვიპტე კი იმჟამად მსოფლიო ბაზარს ისეთი მაღალი ხარისხის სელს აწვდიდა, რომ მას არქეოლოგები აბრეშუმის ქსოვილისაგან ძლივს ანსხვავებდნენ. ბერძნებს ეგრისიდან დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ოქრო, ამიტომ მას „ოქრომრავალ კოლხეთს" ეძახდნენ. ძველი ბერძნები გვიყვებიან, თუ როგორ მოიპოვებდნენ ოქროს ჩვენი ნინაპრები. კოლხეთის მდინარეებს კავკასიონის მთებიდან ოქროს მადნის ნარეცხი ქვიშა ჩამოჰქონდა. მოსახლეობა მდინარეებში ცხვრის ტყავებს ფენდა და ამაგრებდა. გარკვეული დროის განმავლობაში ცხვრის ბეწვში ოქროს ქვიშა ილექებოდა. ზოგი ძველი ბერძენი ისტორიკოსი თქმულებას ოქროს საწმისზე კოლხებში ოქროს მოპოვების აღნიშნულ წესს უკავშირებს. ამ წესით ოქროს მოპოვებას სვანეთში ბოლო ხანებამდე მისდევდნენ. ზოგიერთი ბერძენი ავტორი ამ ფაქტთან დაკავშირებით „კოლხურ კირ-

ბებს“ ახსენებს. მკვლევარმა ვლ. სიჭინავამ „კირბები“ (კვირბები), იგივე „კირიბიში“ დაუკავშირა მეგრულში შემორჩენილ ლექსემას „კირიბი“, რაც „ცხვარს“ ნიშნავს, ხოლო ეს სიტყვა იმავე მეგრულში ნათესაობით ბრუნვაში ასე გამოითქმის: „კირიბიშ“, შდრ. კ. რიტერის მიერ დამონმებული ტერმინი „Кирибиш“, რომლითაც ერასტოფენი აღნუსხავდა ათენელთა კანონებს. აქედან გამომდინარე, „კირიბიშ“ უნდა ნიშნავდესო „ცხვრის ტყავს“, ხოლო არგონავტთა თქმულებაში – ეტრატს, ცხვრის ტყავზე დაწერილ ტექსტს ოქროს მოპოვების ქიმიურ საშუალებათა შესახებ.

ძვ.წ. IV-III სს. ბერძენი ავტორი ევჰემერისტი ჰალეფატე მიუთითებდა, რომ ოქროს საწმისი სინამდვილეში პერგამენტზე, ცხვრის ტყავზე ნაწერ ტექსტს გულისხმობდა.

საქართველოში პირველად გაეცნენ ბერძნები ხოხობს. ხოხბისგან დამზადებული კერძები განსაკუთრებულ ფუფუნებად ითვლებოდა. ამიტომ ეს ფრინველი კოლხეთიდან დიდი რაოდენობით გაჰყავდათ. ძველმა ბერძნებმა მას კოლხეთის მთავარი ქალაქის ფაზისის მიხედვით, „ფასიანური“ (ფაზისური) უწოდეს, ბერძნებისაგან ლათინებმა (რომაელებმა) გადაიღეს, საიდანაც ევროპულ ენებში გავრცელდა. მაგალითად, გერმანულსა და რუსულში „ფაზან“, ინგლისურში „ფეზ“.

კოლხეთში ბერძნული სამყაროდან ძირითადად შემოჰქონდათ მაღალი ხარისხის მდიდრულად მოხატული თიხის ჭურჭელი, ღვინო, ზეითუნის ზეთი, მარილი, ნელსაცხებლები, ფუფუნების საგნები და საერთოდ ყოველივე ის, რასაც იმ დროს ბერძნული სამყარო ამზადებდა, და რასაც იმხანად განვითარებული საზოგადოება მოითხოვდა. აღსანიშნავია, რომ უცხოეთიდან შემოტანილ საქონელს შორის იყო ნავთობიც, რომელიც ბოსფორის სამეფოდან შემოჰქონდათ. იმჟამად სითხე, მარცვლეული თუ სხვა მსგავსი საქონელი საგანგებო თიხის ჭურჭლით – ამფორებით გადაჰქონდათ. ამფორა ვიწრო ყელიანი ჭურჭელი იყო. ასეთი ამფორები კოლხეთშიც დიდი რაოდენობით მზადდებოდა. კოლხური ამფორები საქართველოს საზღვრებს გარეთ, ყირიმშიცაა ნაპოვნი. გაცხოველებულ აღებ-მიცემობას კოლხეთში ქალაქების რაოდენობრივი ზრდა მოჰყვა. არქეოლოგებმა დასავლეთ საქართველოში მიაკვლიეს და გათხარეს რამდენიმე კოლხური ქალაქი, მათ შორის საირხის და ვანის ბრწყინვალე ნაქალაქარები, სადაც აღმოჩენილი ვერცხლისა და ოქროსაგან დამზადებული სამკაულები მსოფლიო ხელოვნების საგანძურში შევიდა.

ვანს ძველი ბერძნები „სურიუმს“, იგივე „სურიონს“ უწოდებდნენ.

ეს სახელი მდინარე სულორის სახელიდან წარმოსდგება, რომლის მარცხენა ნაპირზე ეს ქალაქი იყო გაშენებული. ვანის გათხრების დროს არქეოლოგებმა იპოვეს ბერძნულ წარწერიანი ქვის ფილა, სადაც ამ ქალაქის სახელი „სური“ არის მოხსენიებული. ძველი ბერძნები ხშირად იხსენიებენ მდ. ფაზისის (რიონის აყოლებით დაახლოებით მდინარე ტეხურას რიონთან შეერთების ახლოს მდებარე „დიდ ბარბაროსულ ქალაქს, საიდანაც იყო მედეა“.

როგორც აღვნიშნეთ, საბერძნეთიდან შემოტანილი იმპორტირებული საქონელი ფუფუნების საგნებს წარმოადგენდა და, ცხადია, მხოლოდ საზოგადოების ზედა ფენის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა.

ამდენად, ბერძნულ სავაჭრო „კოლონიზაციას“, როგორც საგარეო ფაქტორს, კოლხეთისათვის უნდა მოჰყოლოდა ძირითადად კონსტრუქციული, დადებითი ძვრები, კერძოდ, საზღვაო ვაჭრობის შედეგად საერთაშორისო ურთიერთობებში ჩაბმა; ადგილობრივი მოსახლეობა გაეცნო იმ ხანად მონინავე ბერძნულ სამეურნეო, საზოგადოებრივ და კულტურულ მიღწევებს, რამაც მნიშვნელოვანი სტიმული მისცა კოლხურ საზოგადოებაში საქალაქო ცხოვრების დანინაურებას. შემთხვევითი არ იყო, რომ გაიზარდა და გამდიდრდა კოლხეთის ქალაქები. მარმარილოსგან ნაკეთები შენობებით, კარგი ნავსადგურებით, არხებითა და წყალსადენებით, მტკიცე ქალაქის კედლებით შეიმკო და გამაგრდა პიტიუნტი და დიოსკურია, ფასიდი და ტრაპიზონი. უცხოელი ვაჭრებისგან დარჩენილ სხვადასხვა ქვეყნის ფულს დღესაც პოულობენ დასავლეთ საქართველოს ნიადაგში.

განსაკუთრებით ფართოვდება სავაჭრო ურთიერთობათა არეალი ძვ.წ. II საუკუნის მეორე ნახევრიდან, უფრო კი საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან შეინიშნება ურთიერთობის აღორძინება ატიკასთან. აღნიშნული ხანიდან იწყება კოსის, კნიდოსის ამფორების, ხმელთაშუა ზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ნანარმის (წითელლაქიანი სუფრის ჭურჭელი) მოზღვავება, ჩნდება ეგეოსის ზღვის მცირე კუნძულების, მათ შორის დელოსური შავლაქიანი სუფრის ჭურჭელი და რელიეფური კერამიკა. ამასთანავე არ წყდება ურთიერთობა როდოსთან, სინოპესთან, პერგამონთან.

ვაჭრობის ამგვარი აღმავლობა მითრიდატე ევპატორის საქმიანობას უკავშირდება. იგი თავისი ფართო პოლიტიკური მიზნების განხორციელებაში განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა საგარეო ვაჭრობას. სავაჭრო ურთიერთობათა განვითარება სპობდა ქალაქების სეპარატიმს და ქვეყნის განვითარებისათვის მტკიცე ეკონომიკურ საფუძველს ქმნიდა. ამიტომ

იგი ყოველნაირად უწყობდა ხელს ვაჭრობის განვითარებას მთელ შავიზღვისპირეთში. ამასთანავე ცდილობდა ეს მხარე მჭიდროდ დაეკავშირებინა დანარჩენ ბერძნულ სამყაროსთან. ამით იყო განპირობებული ახალი სავაჭრო ცენტრების დაარსება პონტოს სამხრეთ სანაპიროზე, სამონეტო რეფორმა. ამ პოლიტიკის გამოხატულება იყო აგრეთვე ათენთან ურთიერთობის დამყარებაც.

ირკვევა, რომ წინა ანტიკურ ხანაში (ძვ.წ. VII-V სს.) ბერძნული კულტურის მიღწევები, რელიგიური წარმოდგენები და სულიერი ცხოვრების წესები სავსებით მისაღები და ახლობელი იყო კოლხეთის საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით მისი ზედა ფენისათვის. ბუნებრივია კოლხეთში ამავე დროს არსებობდა ადგილობრივი რელიგიური წარმოდგენების რთული სისტემა, არსებობდა კოლხური კულტურის ძლიერი ტრადიციები, ხოლო მთელი მოსახლეობა მკაცრად მისდევდა და იცავდა ადგილობრივ საკულტო წესებს და რიტუალებს.

მნიშვნელოვნად იცვლება ვითარება ძვ.წ. V საუკუნის შუახანებიდან, როდესაც ანტიკურ სამყაროსთან კოლხეთის საზოგადოების ურთიერთობაში გაბატონებულ მდგომარეობას მოიპოვებს ათენი. ბერძნულ სამყაროსთან კულტურული ურთიერთობის ეს ეტაპი ხასიათდება, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ ამ დროს ბერძნული ცივილიზაციის მიღწევების გაცნობა-ათვისება ადგილობრივი საზოგადოების მიერ გაცილებით უფრო ფართოვდება და უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს, ვიდრე იონიური კოლონიზაციის დროს.

თანდათანობით ბერძნული ღვთაებები არმაზის კულტისა და მაზდეანურ რწმენა-წარმოდგენებს შეერწყა. ქართველების უმაღლესმა ღვთაებამ არმაზმა ბერძნების უმაღლესი ღვთაების – ზევსის თვისებებიც შეიძინა. ამ ბერძნულ-ქართულ პანთეონს ჩვენი წინაპრები: „შვიდთა ვარსკვლავთა თაყვანისცემას“ უწოდებდნენ. ძველ ბერძნებს თავიანთი ღმერთების შესახებ მრავალი მითი გააჩნდათ. მათ შორისაა მითი პრომეთეზე, რომელმაც ღმერთებს ცეცხლი მოჰპარა და ადამიანებს გადასცა. ამის გამო ზევსმა ის დასაჯა და კავკასიონის მუდმივთოვლიან მთას მიაჯაჭვა. ეს მითი ძალზე ნააგავს ქართულ მითს ამირანის შესახებ, რომელიც საბოლოოდ ურჩობისათვის ღმერთმა ასევე კავკასიონის მაღალ მთაზე მიაჯაჭვა. ამ ორ მითს შორის მსგავსება ელინისტურ ხანაში ბერძნული და ქართული რწმენა-წარმოდგენების შერწყმაზე მიგვითითებს. ცნობილია, რომ მარტო წინა აზიის ხალხები კი არ ეზიარებოდნენ ბერძნულ კულტურას, არამედ ძველმა ბერძნებმაც ბევრი გადაილეს მათგან.

ქალაქ ფაზისში იდგა ბერძნული ღვთაების აპოლონისა და მისი დის

არტემიდეს სახელზე აგებული ტაძრები. მიუხედავად ამისა, ქალაქ ფაზისის მთავარი ღვთაება მაინც ამავე სახელის მატარებელი ადგილობრივი ქალღმერთი იყო, რომელიც ზღვის მხრიდან ქალაქის შესასვლელში რიონის მარცხენა ნაპირზე ყოფილა აღმართული.

ბერძნები მესხეთში აღწერენ ადგილობრივი ქალღმერთის დიდ ქანდაკებას, ამავე ქალღმერთის სახელზე აგებულ ტაძარს და სამისნოს. სამისნოს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა ანტიკური ხანის ადამიანის, მათ შორის ჩვენ ძველ წინაპართა ცხოვრებაში. ეს იყო სპეციალური შენობა, სადაც ღვთაებას კითხვით მიმართავდნენ და მისგან მისნობას, წინასწარმეტყველებას შეიტყობდნენ. ამ მესხურ ქალღმერთს ძველი ბერძნები თავიანთ ღვთაებას – ლევკოეთეას („ლევკოთეა" ბეძნულად „თეორ ღვთაებას" ნიშნავს) ამსგავსებდნენ და მასთან აიგივებდნენ.

ზევსის ასულის, სიყვარულისა და სილამაზის ბერძნული ქალღმერთის აფროდიტეს კერპი ახ.წ. III საუკუნეში ქართლის მეფე რევ-მართალმა აღმართა არმაზისა და სხვა კერპების გვერდით. აფროდიტე პლანეტა ვენერას და, ანუ ცისკრის ვარსკვლავს შეესაბამებოდა. ძველი ქართული წარმოდგენების თანახმად კი ცისკრის ვარსკვლავი იყო ქალღმერთი დალი, რომელიც აგრეთვე მონადირეებთან სასიყვარულო რომანებით გამოირჩეოდა. ამავე დროს ქალღმერთი დალი ქართული მითოლოგიით, ამირანის ანუ მითრას, მზის მშობელია. დალიმ ამირანი სვანეთის მთებში, მიუვალ გამოქვაბულში დაბადა, თვითონ კი მშობიარობას გადაჰყვა. მართლაც, ცისკრის ვარსკვლავს ცაზე მზის ამოსვლა მოსდევს.

ამ პერიოდის დასავლეთ საქართველოს ბერძნული წარწერებიდან საგანგებოდ გამოირჩევა წარწერა სოხუმის თიხის ჭრაქზე, რომელიც ადგილობრივ ნახელავად ითვლება. ბერძნული ასოები გამოწვამდეა გამოყვანილი. აკად. ს. ყაუხჩიშვილი წარწერას ახ.წ. II-III სს-ით ათარიღებს და მას შემდეგნაირად თარგმნის: მოგზაურო თაყვანი ეც მეუფე ჰერმეს-მერკურს (თავის გადასარჩენად)". მკვლევარის აზრით ჭრაქი ეკუთვნოდა სოხუმის ტერიტორიაზე მცხოვრებ ვაჭარს, რომელსაც უხდებოდა მგზავრობა და ამის გამო თაყვანს სცემდა მოგზაურთა დამცველს ჰერმეს-მერკურს – იმ იმედით, რომ ის მას მფარველობას გაუწევდა, გადაარჩენდა. წარწერა მოწმობს დიოსკურია-სებასტოპოლისში მთელი ანტიკური ხანის მანძილზე ბერძნული ღმერთების თაყვანისცემის ტრადიციების არსებობას.

ამდენად, კულტურულ სფეროში კოლხეთის და შემდეგ იბერიის ურთიერთობას ანტიკურ სამყაროსთან, კერძოდ, ბერძნულ გარემოსთან, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორგვარი ხასიათი ჰქონდა: ერთი მხრივ შავი

ზღვის სანაპირიზე გაჩენილი ბერძნული დასახლებების მეშვეობით ამ მხარეში შემოდიოდა ანტიკური კულტურის ნაკადი, რომელიც ჭეას იცვლიდა უმთავრესად ადგილობრივი მმართველი არისტოკრატიის ფენაში; ამ უკანასკნელის ყოფა-ცხოვრება და გარემო მართლაც განიცდიდა არქაული და შემდეგ კლასიკური და ელინისტური ხანების ბერძნული ხელოვნების გავლენას. ორივე ეს ვლინდებოდა უპირატესად იმპორტული ნაწარმის გავრცელებაში. მეორე მხრივ, საგაჭრო-ეკონომიკური კავშირის განმტკიცება დასავლეთთან ხელს უწყობდა ამ ორ მხარეს შორის ძველთაგანვე არსებული ეთნოკულტურული ურთიერთობის აღდგენას და იმ საერთო გამოცოცხლებას, რაც მათ ადრე ჰქონდათ.

ბერძნების ჩამოსახლების ისტორიიდან

საქართველოში ბერძნების რაოდენობა 100 ათასამდე აღწევს და მათ აქ მოსახლე ეროვნებათა შორის რაოდენობრივად მეხუთე ადგილი უჭირავთ.

საქართველოს დღევანდელი ბერძნული მოსახლეობის აბსოლუტურ უმეტესობას ვერ მივიჩნევთ ვერც საქართველოში მოსულ უძველეს ბერძენ კოლონისტთა უშუალო შთამომავლებად, ვერც ბიზანტიელი მისიონერების და ოსტატთა მემკვიდრეებად. ისინი ჩვენში ძირითადად XIX-XX საუკუნეების განმავლობაში გადმოსახლდნენ.

ქართლ-კახეთის სამეფოში და, კერძოდ, მის ქალაქებში XVIII საუკუნის 70-იან წლებში გაჩნდა შედარებით დიდი სარწაოებიც. ამ მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი სამთამადნო წარმოება იყო. აღმოსავლეთ საქართველოში სამთამადნო წარმოების აღდგენის მიზნით სამეფო ხელისუფლებამ მოიწვია ანატოლიიდან ამ საქმის მცოდნე ბერძენი ოსტატები. არსებული ცნობებით გუმბუშხანიდან მოსული ბერძნების 800-მდე ოჯახი ჩასახლებულა 1763 წელს ახტალის მიდამოებში. ბერძნებმა გაანაახლეს ვერცხლის საბადოთა დამუშავება ახტალაში და ხელი მიჰყვეს ალავერდის სპილენძის საბადოების დამუშავებასაც. იყო წლები, როცა ახტალის ვერცხლის სარწაოებში 700-დან 1000-მდე ბერძენი მუშაობდა.

მკვლევარ ვ. ჯაოშვილის მონაცემებით მათი შთამომავლები არიან მარნეულის სოფელ ოფრეთში ამჟამად მცხოვრები ბერძნები.

1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს გაძარცვეს და დაანგრიეს ვერცხლისა და სპილენძის ქარხნები, რომელნიც ომარ-ხანის შემოსევის შემდეგ აღედგინა ერეკლეს. აქ 700 ბერძენი მემადნე მოკლეს და 836 ტყვედ წაიყვანეს.

აჭარის ბერძნულენოვანი მოსახლეობა მცირე აზიის ბერძენთა შთამომავალია. აჭარაში ბერძნები XV საუკუნეში ოსმალების მიერ ბიზანტიის დაპყრობის შემდეგ გადმოსახლდნენ, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. თურქეთის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა იმპერიის არათურქი მოსახლეობის (ბერძნების, სომხების, სლავების, ებრაელების, ქურთების, ლაზების და სხვა) გამუსლიმანებისათვის. განსაკუთრებით მწარედ ეს პოლიტიკა გატარებულ იქნა XIX საუკუნეში.

ამავე საუკუნეში მცირე აზიაში და ბალკანეთში ნარმოებულმა ომებმა დიდი გავლენა მოახდინა მცირე აზიის მოსახლეობის ეთნოდემოგრაფიულ სტრუქტურაზე. მიგრაციული ნაკადი დაიძრა ბალკანეთის ნახევარკუნძულისა და რუსეთის იმპერიისკენ.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ინტენსიურად დაიწყო უცხოტომელთა ჩამოსახლება ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზე. 1810 წელს თბილისში შეიქმნა „თურქეთიდან კავკასიაში გადმოსახლების კომიტეტი", რომელმაც თავისი მოღვაწეობა გაშალა მცირე აზიაში, უმთავრესად სასულიერო პირების მეშვეობით. ბერძნები ჩამოდიოდნენ დიდი და მცირე ჯგუფების, ოჯახებისა და ცალკეული პირების სახით. გადმოსახლების მიზეზები სხვადასხვაგვარი იყო.

1826-1830 წლებში საქართველოს მიწაზე ირან-ოსმალეთიდან ჩამოასახლეს ათი ათას კომლამდე სომეხი და ბერძენი. 1831 წლისათვის ნალკის რაიონში შეიქმნა 18 ბერძნული სოფელი, რომელშიც 642 ოჯახი ცხოვრობდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოსახლებული ბერძნები მონაწილეობდნენ რუსეთის ხელისუფლების მიერ თურქეთის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლებში ნებაყოფილობით, როგორც მოხალისენი. ამ ფაქტზე მინიშნებულია გენერალ რეადისადმი თავად ბებუთოვის 1854 წლის 19 აგვისტოს პატაკში.

პონტოელი ბერძნების ის მასა, რომელიც საქართველოში გადმოსახლდა და რომელმაც სხვადასხვა რეგიონებში დაიდო ბინა, არ ყოფილა თავიდანვე ერთგვაროვანი. საქართველოს ბერძნების დაყოფა შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად: ელინოფილურ, ანუ ბერძნულ ენაზე მოლაპარაკე და თურქულენოვან ჯგუფად. ბერძნების ნაწილმა, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროდან და მთიანი ადგილებიდან ჩამოსახლდნენ, შეინარჩუნეს თავისი ენა. საქმე იმაში იყო, რომ სულთან ჰამიდის ბრძანების მიხედვით ბერძნებს, რომელთაც სურვილი ჰქონდათ შეენარჩუნებინათ თავისი რელიგია, თურქულად უნდა ელაპარაკათ. რა თქმა უნდა, ბრძანება ორივე შემთხვევაში ასიმილაციას ითვალისწინებდა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ წალკაში მცხოვრები ბერძნები ლაპარაკობდნენ შერეულად – ბერძნულ-სომხურ-თურქულ ენაზე. ამასთან, ბერძნები რომლებიც ცხოვრობდნენ ოსმალეთის იმპერიაში, არ ატარებდნენ გვარებს. საქართველოში ჩამოსახლების შემდეგ საჭირო გახდა მიეღოთ გვარები.

კონკრეტულად, 1829 წლის შემოდგომაზე ურუმების 60 ოჯახი (369 სული) ძირითადად გიუმიუშხანიდან და მადანიდან ჩამოვიდნენ ქვემო წინწყაროში, რომელიც ამ დროს უკვე იყო დასახლებული ურუმებით. 1830 წლის აპრილში მათ აირჩიეს საცხოვრებლად „ბესთაშენი" ანუ „კეჩეთი" – ურუმების პირველი დასახლება წალკაში. მოგვიანებით ურუმების მნიშვნელოვანი ნაწილი თრიალეთის სოფლებიდან გადმოსახლდა თბილისსა და რუსთავში.

1829-1830 წლების განმავლობაში თრიალეთ-წალკის რაიონში თურქეთის სხვადასხვა პროვინციიდან ჩამოვიდა ბერძნების 1125 ოჯახი. 1864 წელს წალკაში უკვე იყო 1075 ბერძნული კომლი ანუ ორივე სქესის 9245 სული.

დმანისის რაიონში შეეგუფდნენ ძირითადად არზრუმის შემოგარენიდან გამოსული ურუმები. მათ საქართველოს ამ რაიონში შექმნეს სოფელი ამბარლო (განახლება), დამირბულახი (სარკინეთი), ერლიშოღლი (ველისპირი) და იაილა; თეთრიწყაროს რაიონში სოფლები წინწყარო, უგუდეთი, აბელიანი; მარნეულის რაიონში სოფელი ოფრეთი.

საერთოდ, ქართლის ისტორიულ მხარეთა შორის, თრიალეთი ერთი ყველაზე მეტად გაუცხოებული მხარეა მოსახლეობით, ტოპონიმით. დაკარგულია სოფლების ძველი ქართული სახელწოდებანი; XIX საუკუნეში მოსულ არაქართულ მოსახლეობას, წინანდელი სახოვრებელი ადგილიდან თან მოუტანია მათი სოფლების სახელები და აქაური ნასოფლარებისათვის შეურქმევია.

ახლა ქარიაქში ბერძნები ცხოვრობენ 1830 და 1861 წლებში გადმოსახლებულნი არზრუმის რაიონიდან. სოფლის ახლანდელი სახელიც იქიდანაა მოტანილი.

აჭარაში ხელვაჩაურის რაიონის სოფელი ახალშენი ერთ-ერთი დასახლებული პუნქტია, სადაც ბერძნები კომპაქტურად ცხოვრობენ. პონტოელი ბერძნები ცხოვრობენ ამავე რაიონის სოფელ ყოროლისთავში, ფერიაში. ქობულეთის სოფელ დაგვაში, კვირიკეში, ჩაქვში. ასევე ბათუმსა და ქობულეთში.

რუსეთ-თურქეთის ომის (1877-1878 წწ.) შემდგომ აჭარა მოექცა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. თურქეთის ხელისუფლება ვერ შეუ-

რიგდა სტრატეგიული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი საპორტო ქალაქის – ბათუმის დაკარგვას და დაკარგულის დაბრუნებას შეეცადა აჭარის მუსლიმანი მოსახლეობის გადმობირების გზით. ამ პოლიტიკის გატარებაში აქტიურ ძალას წარმოადგენდნენ მოსახლეობაში კულტის მსახურები, ხოჯა-მოლები, რომლებიც მაჰმადიან მოსახლეობაში ქადაგებდნენ რუსთა ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობას. პროპაგანდას თავისი შედეგი მოჰყვა: აჭარის ბევრი სოფელი დაცარიელდა, მას ვისაც ნებაყოფილობით არ სურდა მშობლიური მხარის დატოვება, აიძულებდნენ მუქარით თუ დაპირებებით დაეთმო ყოველივე და წასულიყო თურქეთში.

სწორედ ამიტომ ცარიზმი დაინტერესებული იყო დაესახლებინა პირველ რიგში ეს დაცარიელებული დაბა-სოფლები და მით გაემაგრებინა რუსეთის იმპერიის საზღვრები. ასეთი პოლიტიკის შედეგად დემოგრაფიული პროცესები ისეთი ტემპით განვითარდა, რომ სულ მალე ის პოლიეთნიკურ ქალაქად იქცა. თუკი 1872 წლის მონაცემებით აქ სულ 4970 სული (4500 მაჰმადიანი, 350 ბერძენი, 120 სომეხი) ცხოვრობდა, 1882 წლის აღწერით მოსახლეობის რაოდენობამ უკვე 8671 (809 ქართველი, 980 რუსი, 908 სომეხი, 1166 ბერძენი, 606 თურქი), ხოლო ოთხი წლის შემდეგ 14803 სულს (2400 ქართველი, 1160 რუსი, 3454 სომეხი, 2982 ბერძენი, 1250 თურქი) მიაღწია. მხოლოდ ბათუმში 1195 ბერძენი ცხოვრობდა.

ბერძნები აფხაზეთში 1863-1880 წლებში ჩამოსახლდნენ. საერთოდ XIX საუკუნის 80-იანი წლებისათვის აფხაზეთში კოლონიზაცია სწრაფი ტემპით წავიდა წინ. 1900 წლისთვის აქ 35 დასახლება წარმოიქმნა რუსების, ესტონელების, ბერძნების, გერმანელების მიერ. ისინი დამკვიდრდნენ ბომბორაში, მწარაში, ბაკლანოვკაში, აკაფაში, პოლტავსკოეში, ჩერნიგოვკაში, ესტონსკოეში, დრანდაში, ფშაფში, ვლადიმიროვკაში და ა. შ. თამბაქოს მწარმოებელი ბერძნები და სომხები კი დამკვიდრდნენ ჯგერდაში და კვიტოულში.

საბჭოთა რეჟიმის საწყის ეტაპზე, კერძოდ, 1921 წლის ივლისიდან 4 აგვისტომდე საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა დებულება აღმოსავლეთ საქართველოდან ბერძნების გადასახლების შესახებ საბერძნეთში.

1922 წელს საბერძნეთში გაემგზავრა ლტოლვილი ბერძნების 6010 კაცი. დარჩენილი იყო 500 ბერძენი, რომელთაც გამგზავრების არავითარი საშუალება არ გააჩნდათ. საჭირო იყო 5000 ოსმალური ქაღალდის ლირა, რის გაღებასაც სახელმწიფო სახსრებიდან ვარაუდობდნენ.

1924 წლის 3 აპრილს ბათუმიდან საბერძნეთში წავიდა 1300 ბერ-

ძენი. მათ ვიზა მიიღეს ბათუმში მყოფი სპარსეთის კონსულისგან. კონსულმა ვიზა გასცა საბერძნეთის საგზაო სამინისტროს გადაწყვეტილების შემდეგ.

ნასვლის მსურველი უფრო მეტი ბერძენი იყო, მაგრამ საბერძნეთის მთავრობამ დროებით შეაჩერა ლტოლვილების მიღება არსებული ვითარების გამო. კერძოდ, მომზადებულ ბარაკებში, სადაც უნდა მიეღოთ საქართველოდან ლტოლვილები, უკვე ცხოვრობდნენ მცირე აზიიდან წამოსული ბერძნები. ფაქტობრივად მათი შეჩერება მოხდა საბერძნეთის სახელმწიფოს მოუმზადებლობის გამო, მიელო თვისტომნი. ამ დროს ნასვლის მსურველი, მხოლოდ აფხაზეთიდან 5000 კაცი იყო. ამიერკავკასიის ხელისუფლება აგიტაციას ეწეოდა ბერძნების დატოვებასთან დაკავშირებით. ხელისუფლებას მიჩნდა, რომ ბერძნები საუკეთესო თამბაქოს მწარმოებლები იყვნენ და მათი დარჩენა სასურველი იყო, როგორც აფხაზეთისათვის, ისე საერთოდ ამიერკავკასიისათვის.

სამშობლოში ნასვლაზე უარის თქმის გამო ბერძნები იმუქრებოდნენ აშკარა გრანდიოზული დემონსტრაციის მოწყობით. ლტოლვილები მოითხოვდნენ, რომ თუ ხელისუფლებას არ შეეძლო მათი საბერძნეთში გამგზავრება, მაშინ ხელი შეეწყოთ ბრაზილიაში ნასასვლელად.

1925 წლისათვის საქართველოში ბერძნულმა მოსახლეობამ 80 ათასს მიაღწია. მხოლოდ ნალკის რაიონში 45 სოფლიდან 24 ბერძნული იყო, სადაც 25 ათასზე მეტი კაცი ცხოვრობდა. ალბულაღის მაზრაში 8 ათასამდე, ბორჩალოს მაზრაში 5 ათასამდე და 10 ათასამდე ბერძენი სხვა მაზრებში იყო გაფანტული.

1926 წელს მხოლოდ აჭარაში ბერძნული მოსახლეობა 7629 სულს შეადგენდა. აქედან ბათუმში ცხოვრობდა 4849 სული, მაზრებში – 2780.

აფხაზეთის ბერძნულ მოსახლეობაში კვლავ აღმოცენდა მოძრაობა საბერძნეთში გადასახლებასთან დაკავშირებით. 1926 წელს დაახლოებით 23 ათასი ბერძენი მოითხოვდა საბერძნეთში გადასახლებას. ხელისუფლება პოლიტიკური მოსაზრებებით წინააღმდეგობას უწევდა ამ მოძრაობას და მიმართავდა ფართო აგიტაცია-პროპაგანდას, რის შედეგადაც გადასახლების მსურველთა რაოდენობა 3 ათასამდე შემცირდა.

1930 წელს პილენკოვსკის რაიონის ბერძნებში ისევ გაჩნდა სურვილი საბერძნეთში გამგზავრებისა. ასეთივე ტენდენცია ჩანდა ბერძნებით დასახლებულ სხვა რაიონებშიც. ბერძნების საერთო რაოდენობა, რომლებიც თავისი ოჯახებით ცდილობდნენ საქართველოდან საზღვარგარეთ გამგზავრებას 1200-1400 კაცს შეადგენდა. ყველა ისინი განეკუთვნებოდა ღარიბ მოსახლეობას და განთავისუფლებული იყვნენ გადასახადებისაგან.

ბერძნების მნიშვნელოვანი რაოდენობა აფხაზეთში ცხოვრობდა რამდენიმე ათეული წელი და მათგან საბერძნეთში ადრე არავინ ყოფილა.

ბერძენთა ნასვლის სურვილის მიზეზები შემდეგში მდგომარეობდა: 1. ძალდატანებით განვრიანება კოლმეურნეობებში; 2. ეკონომიკური სიდუხჭირე და შიმშილის ზღურბლზე ყოფნა; 3. მცირე მინიანობა და მოუსავლიან მინებზე დასახლება; 4. სასკოლო საქმის მოუგვარებლობა.

იმავე წელს შეისწავლეს დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ბერძნების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამტკიცებდნენ, რომ ბერძნების მიერ შექმნილი სათვისტომო „ბერძნების ურთიერთდახმარების კომიტეტი" მოსკოვის საბერძნეთის საელჩოს ზეგავლენით საქმიანობდა, რომ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელ თანამდებობებზე საბერძნეთის დაზვერვის აგენტები მსახურობდნენ, რომლებიც სამშობლოში ბერძნების ემიგრაციას უწევდნენ პროპაგანდას. მოტანილი ცნობებიდან ირკვევა, რომ ყოველწლიურად იზრდებოდა საბერძნეთში წამსვლელი ემიგრანტების რიცხვი: 1926 წელს გაემგზავრა 30 ოჯახი, 1927 წელს – 58 ოჯახი, 1928 წელს – 205 ოჯახი, 1929 წელს – 444 ოჯახი. იყო შემთხვევები, როცა მთელ სოფელს მოუთხოვია გადასახლების უფლება (მაგალითად, სოფელ ანდრეევსკის 295 კომლმა, 1200-1400 კაცმა გამოთქვა სამშობლოში დაბრუნების სურვილი).

1944 წელს საკავშირო ხელისუფლების გადაწყვეტილებით ახალციხის, ადიგენის, ასპინძის და ბოგდანოვკის რაიონებიდან, ასევე აჭარის ტერიტორიიდან ეროვნული ნიშნის მიხედვით გაასახლეს 15568 ოჯახი 69869 სულის რაოდენობით. ძირითადად თურქები, ქურთები და ხემშილები.

საქართველოს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებით 1949 წელს აფხაზეთიდან ყაზახეთში გაასახლეს ბერძნები (უცხო ქვეყნის ქვეშევრდომები). ასევე ბერძენი ეროვნების პირები, რომლებსაც არ ჰქონდათ მოქალაქეობა. ბუნებრივია, ზოგიერთი მოქალაქე ბერძენი გასახლებულის ახლო ნათესავი იყო. ამიტომ მათმა ნაწილმა გამოთქვა სურვილი ნებაყოფილობით წასულიყვნენ მათთან ერთად, რის შესახებ განცხადებით მიმართა სათანადო ორგანოებს. ასეთი მოქალაქეების სურვილი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებმა გაიგეს, როგორც ბერძნების საერთო გადაწყვეტილება და გამოყენებული იქნა მასობრივი გასახლებისათვის. ხელისუფლებამ ყოველ ოჯახს წინადადება მისცა დაეწერა განცხადება ნებაყოფილობით წასვლაზე.

1949 წელს უცხო ქვეყნის ქვეშევრდომ ბერძნებთან ერთად გა-

სახლებაზე ნებაყოფილებით განცხადება დაწერა 328 კაცმა. მიუხედავად იმისა, რომ მრავალ ბერძენს არ სურდა აფხაზეთიდან წასვლა და უარი თქვეს განცხადების დაწერაზე, ისინი მაინც გასახლებული იქნენ.

მთლიანად გასახლებული იქნა 981 ოჯახი 4343 სულის რაოდენობით. მათ შორის სოხუმიდან 21 ოჯახი, სოხუმის რაიონიდან – 730, გულრიფშიდან – 173, გუდაუთიდან – 47, ოჩამჩირიდან – 8, გაგრიდან – 1, ტყვარჩელიდან – 1.

გასახლებულთა შორის იყვნენ სკკპ წევრები, სამამულო ომის მონაწილეები, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრები და ფრონტზე დალუპულთა შთამომავლები.

ბერძენთა ნაწილი, რომელმაც შეძლო გასახლების დროს მიმალვა და გაიფანტა აფხაზეთისა და აჭარის ტერიტორიაზე, 138 ოჯახს შეადგენდა. მათგან 49 ოჯახი ქობულეთის რაიონში იმყოფებოდა. დასახლებული ოჯახებიდან 70-მა მიმართა აფხაზეთის ხელისუფლებას დაებრუნებინა მათთვის სახლები და ქონება. იყო შემთხვევები, როდესაც ბერძნები სახლში და სამუშაოზე უვარდებოდნენ მათ ბინებში ჩამოსახლებულ ქართველებს და მოითხოვდნენ ქონების დაბრუნებას.

უკანონოდ გასახლებულ ბერძენთა ქონება: სახლი, საქონელი, საოჯახო ავეჯი და ა. შ. საოცრად დაბალ ფასებში მიეყიდა სოფლად კოლმეურნეებს, რომლებიც ჩამოასახლეს საქართველოს მცირემინიანი რაიონებიდან, ხოლო ქალაქად – მოსამსახურეებს. რეალიზაციის თანხამ აფხაზეთის სახელმწიფო ბანკში შეადგინა 2 309 184 მანეთი და 60 კაპიკი. აღნიშნული თანხიდან გადასახლებულებს ჩაურიცხეს მხოლოდ 583 607 მანეთი. დანარჩენი თანხის გაუცემლობას ხელისუფლება ამართლებდა იმით, რომ არ იყო განცხადებით მიმართვა გადასახლებულთა მხრიდან თანხის გადაგზავნის შესახებ. უცნობი იყო მათი მისამართები, ან ისინი უარს აცხადებდნენ მიეღოთ ეს თანხა.

გასახლებული ბერძნების სახლ-კარზე და მეურნეობაზე, საქართველოს მცირემინიანი რაიონებიდან გადმოსახლებულ გლეხებს მიეცათ 13 972 900 მანეთი. მათ ჩაატარეს დიდი სამუშაოები ბერძნების ყოფილი მამულების გასაუმჯობესებლად.

1952 წლის 12 დეკემბერს საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილების თანახმად, საჩხერის რაიონიდან აფხაზეთში დამატებით უნდა ჩასესახლებინათ კოლმეურნეთა 100 ოჯახი. რაიონულმა ხელმძღვანელობამ ქუთაისის ოლქის მესვეურებთან შეთანხმებით შეარჩია სოფელი მოხვა, მაგრამ სოფლის მცხოვრებთა მხრიდან სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. მოგვიანებით სოფელ მოხვას მაგიერ შეირჩა საჩხერის რაიონის

სოფლები, როგორიც იყო ხვანის სოფლსაბჭოს ჭალოვანის, ზემო მოხვას, წმანის მცხოვრებთაგან 77 კოლმეურნის ოჯახი. 1952 წლის 26 დეკემბერს ისინი ჩაასახლეს აფხაზეთში.

აფხაზეთში მიმდინარე დემოგრაფიულ ცვლილებებს საკავშირო ხელისუფლების ნებართვის გარეშე საქართველოს ხელმძღვანელობა ვერ განახორციელებდა. სტალინის და ბერიას გარდაცვალების შემდეგ 1953 წელს გააქტიურდნენ მალულად აქ დარჩენილი ბერძნები და მოითხოვდნენ სახლების დაბრუნებას. ხელისუფლებას უკვე აღარ შეეძლო დაეკმაყოფილებინა ბერძენთა სამართლიანი მოთხოვნა, რადგან ხუთი წლის წინ საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან ორგანიზებულად ჩამოსახლებულმა ქართველებმა თავის პირვანდელ საცხოვრისში ფაქტობრივად მოშალეს საკუთარი მეურნეობა და მათი უკან დაბრუნება კიდევ უფრო მეტ ხარჯებს გამოიწვევდა სახელმწიფოსათვის.

დაებრუნებინათ ბერძნები თავის მეურნეობაში – ნიშნავდა ბედის ამარად მიეტოვებინათ უდანაშაულო ადამიანები და ამდენად, გაემეორებინათ დანაშაული, რომელიც დაშვებულ იქნა 1949 წელს.

მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა. 1954 წელს ყაზახეთიდან ბერძნების 15 ოჯახი დაბრუნდა აფხაზეთში. ამავე წელს კიდევ 200 ოჯახმა შეძლო დაბრუნება. ბერძნებსა და ქართველებს შორის, რომლებიც ბერძენთა ბინებში ცხოვრობდნენ და საკარმიდამო ნაკვეთებს ამუშავებდნენ, კონფლიქტური სიტუაცია შეიქმნა. ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ სასამართლოებს დაევალა პრობლემის მოგვარება. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა თვლიდა, რომ უკეთესი იქნებოდა ბერძნები დარჩენილიყვნენ სადაც იმჟამად ცხოვრობდნენ. უკიდურეს შემთხვევაში ბერძნების მოთხოვნა შეიძლება დაეკმაყოფილებინათ კოლმეურნეობებში მათი განსახლებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბერძენი ეროვნების ნარმომადგენელთა ნაწილი, რომელიც სამამულო ომამდე საბერძნეთში წავიდა, 50-იან წლებში კვლავ ბრუნდება საქართველოში. ეს პროცესი მრავალ სიძნელესთან იყო დაკავშირებული. ზოგიერთ მათგანს ჯერ კიდევ ადრე ჰქონდა მიღებული საქართველოში ცხოვრების უფლება. მაგალითად, ივანე ხარტომაჯიდი აფხაზეთის ცაკ-ის გადაწყვეტილებით 1930 წელს იღებს მოქალაქეობას, რაც 1955 წელს კვლავ გადასაწყვეტი გახდა ხელისუფლების მხრიდან.

საქართველოს ხელმძღვანელობას მიაჩნდა, რომ: 1. შუა აზიაში გადასახლებული ბერძნები, რომლებიც ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყვნენ, დაემაგრებინათ ადგილზე; 2. აჭარაში გადასული ბერძნებისათვის შეექმნათ მუდმივი ცხოვრების პირობები; 3. ოჯახები, რომლებიც დაბ-

რუნდნენ ან დარჩნენ აფხაზეთში, განესახლებინათ ჩაისა და ციტრუსების მეურნეობებში, დაესაქმებინათ მრეწველობაში, განსაკუთრებით ქალაქ ტყვარჩელში; 4. ოჯახებისათვის, რომლებიც დასახლებული იქნებოდნენ აფხაზეთისა და აჭარის რაიონებში, შესაბამისად უნდა გამოეყოთ მინის ნაკვეთები ინდივიდუალური მეურნეობის ორგანიზაციისათვის; 5. რადგანაც გასახლებული ბერძნების ქონება შეფასებული იქნა დაუშვებლად დაბალ ფასებში, ბიუჯეტიდან უნდა გამოეყოთ თანხა ერთდროული დახმარებისათვის მეურნეობის მოსაწყობად.

1955 წლის 22 დეკემბერს ყაზახეთის მინისტრთა საბჭომ მიმართა საქართველოს მთავრობას 1949 წელს აფხაზეთიდან გასახლებული ბერძნების შესახებ. 1956 წლის 14 იანვარს საქართველოს მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება ბერძენი ეროვნების საბჭოთა მოქალაქეების საკითხთან დაკავშირებით. დადგენილებიდან გამომდინარე, უნდა შეეფასებინათ მათი ქონეპრივი დანაკლისი. როგორც ვიცით, ბერძნები არაკანონიერად გაასახლეს ყაზახეთში. მათი ქონების შეფასებასთან დაკავშირებით რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ გამოყო 15 სპეციალისტი. მათგან 5 აგრონომი, 3 ინჟინერი ქალაქებისა და სოფლის მშენებლობის სამინისტროდან და კომუნალური მეურნეობის სამინისტროდან 2 ინჟინერი.

1956 წლის 6 იანვარს რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო „საბჭოთა მოქალაქეების", ეროვნებით ბერძნების 544 განცხადება, რომლებიც იმჟამად ყაზახეთში ცხოვრობდნენ. განცხადების ავტორები მოითხოვდნენ მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.

საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 14 იანვრის დადგენილების შესაბამისად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ ბერძენთა ქონება სოხუმსა და გულრიფშის რაიონების მიხედვით შეაფასა 4 875 692 მანეთად და 45 კაპიკად. ბერძნების შრომითი და საყოფაცხოვრებო მოწყობის ორგანიზაციისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ შექმნა კომისია ლაბახუას, ბერულავას, არშბას, ჩაგუნავას და სხვ. შემადგენლობით. 1956 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით აფხაზეთის მინისტრთა საბჭო მოითხოვდა საქართველოს ბიუჯეტიდან გამოყოფილიყო თანხა დაზარალებული ბერძნებისათვის.

რესპუბლიკის ბიუჯეტიდან დაფინანსდა 259 სახლის მშენებლობა, სადაც 1956 წელს შეასახლეს შუა აზიიდან დაბრუნებული ბერძნები. თუმცა ამ საკითხების გადაწყვეტის დროს მრავალ წინააღმდეგობასა და გაუგებრობას ჰქონდა ადგილი.

ბერძენ კოლმეურნეთა 900 მეურნეობიდან, რომლებიც 1949 წელს გაასახლეს, 1956 წელს დაბრუნდა 392 კომლი, ხოლო დანარჩენი თანდათანობით ბრუნდებოდნენ. რადგანაც 1949 წელს საქართველოს კპ ცკ-ს და საქართველოს მინისტრთა საბჭოს 20 ივნისის სათანადო დადგენილებით №675c გასახლებული ბერძნების ბინებში შეასახლეს საქართველოს სხვადასხვა მცირემიწიანი რაიონებიდან გადმოსახლებული კოლმეურნეები, დაბრუნებულ ბერძენთა უმრავლესობა (259 ოჯახი) დარჩა ბინისა და მიწის ნაკვეთის გარეშე. ისინი მოითხოვდნენ კუთვნილი ქონების დაბრუნებას. მაგრამ ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება შეუძლებელი ხდებოდა, რადგან გადმოსახლებულმა კოლმეურნეებმა ლიკვიდაცია გაუკეთეს მეურნეობას პირველ საცხოვრისში. გარდა ამისა, საცხოვრებელმა სახლებმა, რომლებიც ადრე ბერძნებს ეკუთვნოდა, განიცადა მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია.

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება თხოვნით მიმართავდა საკავშირო ხელმძღვანელობას, რომ ნება მიეცათ ბერძნების 259 ოჯახისათვის გამოეყოთ შიდარესპუბლიკური გადასახლებისათვის განკუთვნილი ბინები, ვიდრე არსებობდა ამის შესაძლებლობა. თანბა განისაზღვრა 6 376 ათასი მანეთით საქართველოს ბიუჯეტიდან.

ერთდროულად საქართველოს ხელისუფლება ითხოვდა დაევალდებულებინათ სსრკ სოფლის მეურნეობის ბანკი ბერძენთა 259 ოჯახისათვის სამეურნეო ბაზის შესაქმნელად მიეცათ კრედიტი 518 ათასი მანეთის რაოდენობით.

1949 წელს საქართველოდან, კერძოდ აფხაზეთიდან, ე. წ. სპეცგადასახლების მოტივით გაასახლეს სომხები, ლაზები და თურქები. ამავე პერიოდში დაბრუნებულმა ეროვნებებმა მოითხოვეს ზარალის ანაზღაურება და ისეთივე შეღავათების მილება, რაც ბერძნებისათვის იყო გათვალისწინებული. მოთხოვნის შესრულებაზე ხელისუფლება თავს იკავებდა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ 1956 წლის 28 აპრილის ბრძანებით სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1944 წელს ახალციხის, ადიგენის, ასპინძისა და ბოგდანოვკის რაიონებიდან, ასევე აჭარის ტერიტორიიდან გასახლებულებს (ძირითადად თურქები, ქურთები და ხემშილები) აუკრძალა ძველ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნება. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ პერიოდში საქართველოში უნებართვოდ დაბრუნდა 242 ოჯახი 1030 სულის რაოდენობით. ისინი ძირითადად განსახლდნენ ბათუმის, ქობულეთისა და ხაშურის რაიონებში. ბუნებრივია, ხელისუფლებამ რეგისტრაციაში არ გაატარა, რის გამოც სამსახურს ვერ შეუ-

ლობდნენ. ასეთი მდგომარეობა უკმაყოფილებას იწვევდა, როგორც რეპატრირებულებში, ასევე ადგილობრივ მოსახლეობაში. მოგვიანებით დაბრუნებულ ოჯახებს ნება მიეცათ ეცხოვრათ საქართველოში.

ყოფა-ცხოვრება და რელიგია

ეროვნული უმცირესობანი ეკონომიკურად, კულტურულად, ენობრივად და ყოფითი დონით სრულიად სხვადასხვა საფეხურზე იყვნენ. ასეთი მდგომარეობა ნაკლებად იყო საბჭოთა კავშირში შემავალ სხვა რესპუბლიკებში. რელიგიური რწმენისა თუ ყოფითი გადმონაშთების თვალსაზრისით საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობა მეტად ჭრელ მოზაიკას ქმნიდა.

ბერძნები, ზოგიერთი სხვა ეროვნული უმცირესობის მსგავსად, ეკონომიკურად და კულტურულად ძლიან ჩამორჩებოდნენ. მათ საცხოვრებელს უმთავრესად მიწურები წარმოადგენდა. შენარჩუნებული ჰქონდათ ძველი ტრადიციები და ყოფა. ფართოდ იყო დამკვიდრებული პატრიარქალურ-თემური ურთიერთობის გადმონაშთები. მართლაც ყოფით ურთიერთობაში ბერძნებში იგრძნობოდა ძლიერი კონსერვატიზმი. აქ თავს იჩენდა სხვადასხვა ეროვნების ჩვევები. კერძოდ, ეცვათ ქურთული ტანსაცმელი, ზნე-ჩვეულება ნახევრად ბერძნული, ნაწილობრივ თურქული და ქურთული.

მძიმე მდგომარეობაში იყო ქალი, რაც განსაკუთრებით იგრძნობოდა გათხოვების დროს, სადაც ქალის სურვილი საერთოდ არ იყო გათვალისწინებული. ადგილი ჰქონდა ყიდვას, მოტაცებას და სხვ. 10-12 წლის გოგონებს უკვე ათხოვებდნენ.

ბერძნები გულგრილობას იჩენდნენ საბჭოური ცხოვრების წესისადმი. საქართველოში პარტიის წევრი ბერძენი 80 ადამიანი იყო, აფხაზეთში – 32, აჭარაში – 38. კომკავშირელთა რაოდენობა მთლიანად 468 წევრით განისაზღვრებოდა. პარტიული უჯრედი 5, ხოლო კომკავშირული – 6 იყო.

აფხაზეთში 1000 ბერძენ გლეხზე 1 პარტიის წევრი მოდიოდა. პროფკავშირის წევრად 1538 ბერძენი ირიცხებოდა.

აჭარაში მცხოვრები ბერძნების სახლი მეტწილად იყო ერთსართულიანი, იდგა შუა ეზოში, ქვის ორი საფეხურისა და პატარა მოედნის გავლით შედიოდნენ ოთახებში. სახლი ჩვეულებრივ ორი ოთახისა და ვერანდისგან შედგებოდა. იატაკი თიხისა იყო. იშვიათად – ხისაც. კედლებს აშენებდნენ თიხითა და აგურით. სახლს ხურავდნენ მარსელის კრამიტით, ხოლო ჭერი ნაბლის მასალისგან კეთდებოდა, რამდენადაც

მახლობელ ტყეებში მრავლად იყო ნაბლისა და წიფლის ხეები. ამ ტიპის სახლს უწოდებდნენ „ერ-ევი“-ს, რაც ნიშნავს „მიწის სახლს“; ოთახები ერთმანეთისგან გამოყოფილი იყო ხის შეუღებავი ტიხარით, ფანჯარას უკეთდებოდა დარაბები. გარეთა მასიური კარები მზადდებოდა ნაბლის მასალისგან. ამ კარებზე კიდებდნენ დიდ ბოქლომს. კარები გადიოდა დიდ ოთახში, სადაც კედელში დატანებული იყო ბუხარი „ოჩახ“. საკვამური შენდებოდა თლილი ქვით, ბუხარი შემკული იყო ორნამენტით, ბუხრის თავზე განლაგებული იყო თარო, რომელზედაც დგამდნენ ლამპას, კვარს, ჭრაქს. ბუხრის ორივე მხარეს იყო ნიშა ხატებით. ეს იყო ოთახის ცენტრალირი ადგილი. აქ ღებულობდნენ სტუმრებს და აქ წყდებოდა მნიშვნელოვანი ოჯახური საკითხები. მეორე კედელზე იყო ჭურჭლის თაროები, ჭურჭელს სპილენძის მასალისგან ამზადებდნენ, ნაწილი ჩამოჰქონდათ თურქეთიდან, ხოლო ნაწილს სოფელ სურმენას მცხოვრებლები აკეთებდნენ. ამ სოფლის ხელოსნები განთქმულნი იყვნენ, როგორც შესანიშნავი მკალავები და მჭედლები.

თავდაპირველად ერ-ევის უწოდებდნენ ამ დიდ ოთახს, შემდეგ კი მთელ სახლს. ერ-ევში მზადდებოდა საჭმელი, სადილობდნენ, ღებულობდნენ სტუმრებს. ოთახის ცენტრში იდგა დიდი მრგვალი ამოჭრილი მაგიდა – „ტრაპეზ“, მაგიდა იდგა ერთიანი ხის ნაჭრისგან დამზადებულ დიდ ფეხზე. იშვიათად ზოგიერთ მაგიდას ჰქონდა ორი ფეხი, სკამები იყო დაბალი, მძიმე, ორი ბრტყელი ფეხით, რომლებიც შიგნიდან შეერთებული იყო ტიხრით.

ასევე ოთახში იდგა ხის ტახტი, რომელზეც გადაფარებული იყო უხეში ხალიჩა – ქილიმ. მას თვითონ დიასახლისები ქსოვდნენ უხეში შალის ძაფისგან. ქილიმზე აწყობდნენ მუთაქებს. ლოგინად იყენებდნენ ხის ტახტებს, რომელზეც დალაგებული იყო რამდენიმე მატყლის ლეები და საბანი. ბალიში ბუმბულისა იყო. ღარიბები ბალიშისათვის იყენებდნენ სიმინდის ფუჩეჩს.

გომური ჩვეულებრივ მოთავსებული იყო სახლის ქვეშ. გომურის მოსაწყობად მინას თხრიდნენ წერაქვით და გაჰქონდათ ყანაში, ხოლო კედლების მოპირკეთება ხდებოდა ქვით ან თიხით.

ბერძნებს ჩვეულებრივად ჰყავდათ 5-10 ძროხა (ღარიბ ოჯახებს – 2 ძროხა), ერთი ცხენი, 1-3 ცხვარი; იყო ოჯახები, რომლებსაც ჰყავდათ 400-მდე თხა. მოსახლეობა ძირითადად ინახავდა ადგილობრივი ჯიშის საქონელს, რადგან ჩამოყვანილი ვერ ეგუებოდა ადგილობრივ კლიმატურ და ეკოლოგიურ პირობებს. სანაშენე საქონელს ყიდულობდნენ ბათუმის ბაზარზე.

ოჯახში საქონელს უვლიდა ოჯახის უფროსი მამაკაცი (სახლის პატრონი). მწყემსი იყო ამავე სოფლის მცხოვრები, რომელსაც ქირას უხდიდნენ თვეში ერთხელ პროდუქტებით ან ფულით – ერთ ძროხასა და ცხვარზე 50 კაპიკს ან შესაბამისად მარცვლეულით.

აჭარაში მცხოვრები ბერძნული ოჯახის სამეურნეო საფუძველს ნარმოადგენდა მემინდვრეობა, მეხილეობა, მესაქონლეობა, გარე სამუშაოზე წასვლა და სხვ. მემინდვრეობაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა სიმინდის კულტურას, მოჰყავდათ ასევე ბრინჯი, ლობიო და სხვადასხვა სახის ბოსტნეული. ხეხილს ბერძნები, ისევე როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, რგავდნენ კარ-მიდამოზე. ძირითადად გაშენებული ჰქონდათ მსხლის, ვაშლის, „დემირას" ჯიშის ვაშლის, მსხვილი ქლიავის, ლეღვის სხვადასხვა ჯიშები. სხვადასხვა მწვანილი.

ბერძნები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ თხილის იმ ჯიშს, რომელსაც კერასუნტი ეწოდებოდა. როგორც აღვნიშნეთ, ბერძნები მისდევდნენ მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის მოშენებას.

ბერძნული ოჯახების შემოსავლის გარკვეულ საფუძველს წარმოადგენდა გარე სამუშაოზე სიარული. მამაკაცები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მუშაობდნენ საცხოვრებელი სახლებისა და ეკლესიების მშენებლობაზე, გზების გაყვანაზე და სხვ.

იმ შემთხვევაში, როცა მამაკაცები საშოვარზე მიდიოდნენ და დიდი ხნით ტოვებდნენ თავიანთ ოჯახებს, ქალების მხრებზე გადადიოდა თითქმის ყველა საველე სამუშაოც. კერძოდ, მათ ევალებოდათ იმ საქმიანობის შესრულება, რომელიც ტრადიციულად, მამაკაცის სამუშაოთა რიგს განეკუთვნებოდა.

აჭარელ ბერძენთა კულინარიაში ფართო ადგილი ეჭირა რძის პროდუქტებს, მცენარეულისა და ხორცეულისგან დამზადებულ კერძებს. მრავალგვარი კერძი მზადდებოდა სიმინდის, ბრინჯისა და გოგრისაგან. მაგალითად, მეტად გავრცელებული იყო სიმინდის ფაფა კარაქით, რასაც ხავიცი ეწოდებოდა, კარაქში შემნვარი სიმინდის მარცვალი კორკოტის სახელწოდებით იყო ცნობილი, ხოლო რძეში მომზადებული სიმინდის ფქვილის ფაფას კარაქით – გალატოფაი ერქვა. ბრინჯისგან მზადდებოდა რიზოჰალა (ბრინჯის ფაფა) და ა. შ. აჭარაში ბერძნები რძისგან ამზადებდნენ ყველის თავისებურ სახეობას – პეინირს, მანონს (ქსილაგა), ნადულს და სხვა ნაწარმს, რომელთა ნაწილი ზამთრისთვის ინახებოდა, ნაწილი კი ბაზარზე გადიოდა გასაყიდად. ხორცეული კერძებიდან ცნობილი იყო ყაურმა, ბასტურმა, დოლმა და სხვა.

ბერძენთა საოჯახო ყოფაში თავს იჩენს ისეთი ელემენტები, რომლებიც მათ ქართველ და სხვა ხალხებთან მრავალი თაობის განმავ-

ლობაში კეთილმეზობლური თანაცხოვრებისა და ურთიერთობის პირობებში გამოუმუშავდათ. ეს პროცესი განსაკუთრებით იგრძნობოდა შიდა ქართლში, სადაც ბერძნებსა და ქართველებს შორის ხშირი იყო შერეული ოჯახები. ამ მოვლენას უდავოდ ხელს უწყობდა ერთმორწმუნეობა. ისინი ქართველებთან ერთად ქართულ წესზე ასრულებდნენ ბავშვის დაბადებასთან (ძეობა, ნათლობა), ბავშვთა ავადმყოფობასთან, ქორწილსა და მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებულ რიტუალებს.

საერთოდ, ყოველი ხალხის წეს-ჩვეულებანი და მასთან დაკავშირებული რიტუალები ნათლად წარმოჩნდება მათი ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებში, როგორიცაა ქორწილი, ბავშვის დაბადება თუ ადამიანის გარდაცვალება. წეს-ჩვეულებებში მჟღავნდება ხალხის სულიერი კულტურა, მისი მსოფლმხედველობა და რელიგიური რწმენის თავისებურებანი, რაც საოჯახო ყოფის ამ ტრადიციული ელემენტებისთვისაა დამახასიათებელი. ამ საკითხზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ოჯახს თავისი განვითარების დიდი და რთული გზა აქვს გავლილი და ზოგად ნიშნებთან ერთად სპეციფიკური თავისებურებებიც ახასიათებს, რომლებიც ლოკალურ ხასიათს იღებს და ადგილობრივი კულტურულ-ისტორიული პირობებით აიხსნება. ამიტომ ოჯახისა და საოჯახო წეს-ჩვეულებების გენეზისის პროცესში დიდ მნიშვნელობას იძენს ტრადიციული ფორმები, რომლებიც, როგორც წესი, კონკრეტულად მოქმედებს საოჯახო ურთიერთობათა განვითარებაზე, სოციალური და საზოგადოებრივი ურთიერთობის ნორმებზე.

ხალხური წარმოდგენების მიხედვით, ოჯახი სრულყოფილად ითვლება და საზოგადოებრივ ფუნქციას ასრულებს მაშინ, როდესაც მასში ბავშვები იმყოფებიან. ამიტომ ბერძნული საქორწინო რიტუალები შეიცავს სხვადასხვა სახის ისეთ მაგიურ წარმოდგენებს, რომლებიც თითქოს უზრუნველყოფს ოჯახის მომავალ კეთილდღეობას და, პირველ რიგში, ბავშვის დაბადებას, განსაკუთრებით ვაჟებისას. ამ წეს-ჩვეულებებს მიეკუთვნება საქორწინო რიტუალების დროს პატარა ბიჭის პატარძლის მუხლებზე დასმა, აგრეთვე ახალდაქორწინებულებზე ტკბილეულის თაკზე გადაყრა და ა. შ.

აჭარაში მცხოვრებ ბერძენთა საოჯახო ყოფის ტრადიციულ თავისებურებათა ფორმირება, მათი საქართველოში ჩამოსახლების შემდეგ, სპეციფიკურ ვითარებაში მიმდინარეობდა. ადრინდელი საცხოვრისიდან თან მოტანილ ტრადიციულ წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებს ახალ ვითარებაში ბევრი რამ შეერწყა და შეეთვისა ქართველ მოსახლეობასთან

მჭიდრო სამეურნეო-კულტურული ურთიერთობის პროცესში. ეს გავლენები ბავშვის დაბადებისა და აღზრდის წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებშიც იჩენს თავს. ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ ბოლო დრომდე ბერძნების საოჯახო ყოფის ცალკეულ ასპექტებს ტრადიციული შეხედულებანი განსაზღვრავდა, ამიტომ ისინი უპირატესობას ვაჟიშვილებს ანიჭებდნენ, რადგან ვაჟიშვილი გვარის გამაგრძელებლად მიაჩნდათ. ხალხის წარმოდგენით, ვაჟი უზრუნველყოფს სიბერეში მყოფ მშობლებს, სიკვდილის შემთხვევაში ხელმძღვანელობს მათ დამარხვას, უწყობს ქელეხს და საბოლოოდ კი, მათი ქონების მემკვიდრე ხდება.

ფეხმძიმობის დროს ახალგაზრდა ბერძენი ქალი მოვალე იყო შეესრულებინა და დაეცვა მთელი რიგი მოთხოვნები, რადგან ხალხის რწმენით, ყოველივე ის, რასაც ორსულობის დროს განიცდის მომავალი დედა, ბავშვის ჯანმრთელობაში აისახება. ეს რწმენა განსაკუთრებით მტკიცეა სოფლის მოსახლეობაში. გადმოცემის თანახმად, ორსულმა ქალმა არ უნდა უყუროს პირუტყვის დაკვლას, მაგრამ თუ იგი ამ პროცესს უნებლიედ ესწრება, მაშინ ამაღლებულ ადგილას, სკამზე ან ტახტზე უნდა დადგეს, წინაღმდეგ შემთხვევაში, ბავშვი ავადმყოფი და გამხდარი დაიბადება. არ შეიძლება აგრეთვე ხელში აიღოს აუნონავი ხორცი, ქათამი, თევზი, მაგრამ მათი ხელში აღება თუ აუცილებელია, ხორცი ჯერ იატაკზე უნდა დადოს, გადააფაროს ქაღალდი, სამჯერ შეეხოს ფეხით და წარმოთქვას მაგური სიტყვები: „ო პატრზე ეკიზნო", რაც ნიშნავს – „მე შენ გაბიჯებ, შენ კი ვერა". მას მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია ხორცის აღება ხელში. იმავე მოსაზრებებით შეზღუდული იყო საკვებად თხილის, ხორცის მიღება, რადგან ისინი თავისი შინაარსით მაგურ ძალისად ითვლებოდა და თითქოს ბავშვებისათვის ვნების მიყენება შეეძლოთ.

მოსამშობიარებლად ფეხმძიმე ქალი თავის მშობლებთან მიდიოდა. მშობიარეს დახმარებას უწევდა და ამშობიარებდა სოფლის ბებია-ქალი. ამჟამად მშობიარობა ხდება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში, თუმცა მშობიარობამდე ფეხმძიმე ქალი მაინც თავის მშობლებთან მიდის.

სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების მაღალი დონის მიუხედავად, აჭარის ბერძნულ მოსახლეობაში ცალკეულ რიტუალებს დღესაც ასრულებენ, რომელთა უმრავლესობა ბავშვისა და ახალდაბადებულის ჯანმრთელობისთვისაა გამიზნული. ეს რიტუალები უმეტეს შემთხვევაში სოფლადაა შენარჩუნებული, ქალაქში კი მათი გავლენა სოფელთან კავშირითაა განპირობებული.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით მშობიარე ლოგინში ათი დღე იწვა, ბავშვის დაბანას ერიდებოდნენ მანამ, სანამ ჭიპი არ მოძვრებოდა. ზოგჯერ ქალები, ჭრილობის შეხორცების დაჩქარების მიზნით, მოჭრილ ჭიპზე მოხალულ და დაფქვილ ყავას აყრიდნენ, რადგან ყავა ზედმეტ სისველეს შეიწოვდა. შემდეგ კი ბანდით შეახვევდნენ.

მომშობიარებული ქალისა და ბავშვის სანახავად მოსულთ აღტაცების გამოხატვა არ შეეძლოთ. პირველ რიგში საჭირო იყო ბავშვის მიმართულებით სამჯერ გადაეფურთხებინათ და თან წარმოეთქვათ მაგური სიტყვები: „თვალი არ გეცეს"; ამით, თითქოს, ახალშობილს გათვალისაგან იცავდნენ. აჭარის სოფლის ბერძნული მოსახლეობის ერთ ნანილში, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობაში, გადმონაშთების სახით შემონახულია რწმენები ბოროტ სულებზე და ჯადოქრებზე. ჯადოქრების შიშით მზის ჩასვლის შემდეგ ახალშობილთან დაკავშირებული ზოგიერთი საქმიანობა იკრძალებოდა. მშობიარობის შემდეგ პერიოდში, 40 დღის განმავლობაში, მელოგინეს აკრძალული ჰქონდა გარეთ გამოსვლა. ასევე არ შეიძლებოდა მზის ჩასვლის შემდეგ გარეთ ბავშვის საცვლებისა და საფენების გადაკიდება. მთხრობელის გადმოცემით, მათ სოფელში დედამთილს დაავიწყდა საღამოს ბავშვის თეთრეულის ჩამოხსნა, დილით იგი დახეული დახვდა, ბავშვი კი ავად გახდა. მსგავს ქმედებას ხალხი ბოროტ სულს მიაწერს. ხალხის რწმენით ასევე არ შეიძლებოდა ბავშვის დაბანა ღამით, მაგრამ დაბანა თუ აუცილებელი იყო, ნაბან წყალს არ გადაღვრიდნენ და დილამდე ინახავდნენ, დილით კი ბავშვის ნაბან წყალს ხის ძირში, ისეთ ადგილას აქცევდნენ, სადაც არავინ დადიოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლებოდა ბავშვის ჯანმრთელობაზე ცუდად ემოქმედა.

ბერძნულ ოჯახებში ბავშვის მონათვლა ორმოცი დღის შემდეგ ხდებოდა. მონათვლის შესახებ წინასწარ თანხმდებოდნენ. დათქმულ დღეს ეკლესიაში მიდიოდნენ ბავშვის დედ-მამა და ნათლიები. აუცილებელი იყო შემდეგი საჩუქრები: ოქროს ჯვარი, დიდი პირსახოცი, რომელშიც მონათვლის შემდეგ ბავშვს გაახვევდნენ, ბავშვის საცვლები, 5-10 ცალი სანთელი, რომელთაგან ერთ-ერთი მოზრდილი იყო; მონათვლის რიტუალის დამთავრების შემდეგ დიდ სანთელს აქრობდნენ და ბავშვის დედას გადასცემდნენ. შემდეგ ყველა მიდიოდა ბავშვის მამის ოჯახში, 2-3 დღის შემდეგ ანყობდნენ ნათლობის სუფრას. ნათლიებს მოწვევის ნიშნად, სანთლის ნამწვავს უგზავნიდნენ, რაც თავისებურ მოსაწვევ ბართის წარმოადგენდა. ნათლიებს, თავის მხრივ, გარკვეული რაოდენობის სტუმრები მოჰყავდათ. ქეიფის დამთავრების შემდეგ ბავშვის მშობლები

ნათლიებს მიართმევდნენ საჩუქრებს, მათ კი ეს საჩუქრები ფულით უნდა გამოესყიდათ.

ნათლობის შემდეგ, მირონი რომ არ ჩამორეცხოდა, სამი დღის განმავლობაში ბავშვის ბანაობა მიზანშეწონილად არ მიაჩნდათ.

ნათლობის წეს-ჩვეულება ამტკიცებდა ნათესაურ ურთიერთობას ოჯახებს შორის. ასეთი დამოყვრება უტოლდება სისხლით ნათესაობას. ნათლიების მოვალეობა იყო რეგულარულად დაესაჩუქრებინათ ნათლულები, განსაკუთრებით საახალწლოდ.

საგანგებო მაგიური რიტუალი სრულდებოდა პირველი კბილის ამოსვლასთან დაკავშირებითაც, რომელიც მათი რწმენით, დანარჩენი კბილების უმტკივნეულოდ ამოსვლის წინაპირობაა. ბავშვის პირველი კბილის აღმომჩენი მას ახალ პერანგს აჩუქებდა, ხოლო შემდეგ კბილები რომ უმტკივნეულოდ ამოსულიყო, ამისათვის პერანგს ტანზე შემოახვევდა ოჯახის წევრები ბავშვის პირველი კბილის გამოჩენას ვინრო ოჯახურ წრეში სუფრასთან აღნიშნავდნენ.

ბავშვს პირველად ერთი წლის შესრულების შემდეგ კრეჭდნენ. შეკრეჭილ თმებს კი აგროვებდნენ და ინახავდნენ, მათი გადაგდება ან დაკარგვა არ შეიძლებოდა, რადგან თმებს გარკვეული მაგიური ძალა მიეწერებოდა.

აჭარის ბერძნები ბავშვის დაბადებას ოჯახის ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად თვლიდნენ და აუცილებლად მიაჩნდათ ახლობელი ოჯახებისათვის ახალდაბადებული ბავშვის მილოცვა. მოდიოდნენ ნათესავები, მეგობრები, მეზობლები, ნაცნობები. საჩუქრები ძირითადად განკუთვნილი იყო ბავშვისათვის: პირსახოცი, ტანსაცმელი, ფული და ა. შ.

ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული ყველა რიტუალი ოჯახში ბავშვის ზრდის მნიშვნელოვან მომენტებში სრულდება და მისი განვითარების ძირითად ეტაპებს ასახავს. ბავშვის ჩვილობის ხანა თმის მოჭრით მთავრდება (ლ. დემუროვა).

XX საუკუნის 20-იან წლებში აფხაზეთის ბერძნული მოსახლეობის გარკვეული ნაწილი უკმაყოფილო იყო მძიმე მატერიალური მდგომარეობით. პროტესტს აცხადებდნენ პოლიტიკური მდგომარეობის ცვლილებების გამო. ამ პერიოდში აფხაზეთში ცხოვრობდა 30 ათასი ბერძენი, რომლებიც შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად: 1. შედარებით შეძლებული ნაწილი, რომელთაც კომუნისტურმა ხელისუფლებამ ჩამოართვა არსებული პრივილეგიები და საწინააღმდეგოდ განაწყო დამკვიდრებული რეჟიმისადმი; 2. ლტოლვილები, რომელთა ძირითადი ნაწილი პირველი მსოფლიო და სამოქალაქო ომის დროს გადმოსახლდა აფხაზეთში თურ-

ქეთიდან, ან რუსეთის სხვადასხვა რაიონებიდან; 3. ადგილობრივი ბერძნული მოსახლეობა, რომლებიც მისდევდნენ მეთამბაქოეობას და სოფლის მეურნეობას.

უყურადღებობისა და მძიმე ეკონომიკური პირობების გამო აფხაზეთის ბერძნული მოსახლეობა ანტისაბჭოთა გამოსვლებს აწარმოებდა.

გამსხვავებით სოხუმისაგან, ბათუმის საქალაქო ხელისუფლება ფართო მუშაობას ეწეოდა ბერძნების დასახმარებლად. 1922 წელს ბათუმში, მრავალრიცხოვან ბერძენ ლტოლვილთა შორის გავრცელდა ინფექციური დაავადებანი. ამის გამო აჭარის ვანმრთელობის სახალხო კომისარიატმა გახსნა ანგარიში შემნახველ სალაროებში დაავადებულთა დასახმარებლად. ამავე დროს საქართველოს სასურსათო კომისარიატს წინადადება მიეცა დროულად მიეწოდებინა კვების პროდუქტები აჭარის საავადმყოფოებისათვის, სადაც მკურნალობდნენ ბერძენი ლტოლვილები.

წალკის რაიონის სოფელ სანამერის ბერძნულმა მოსახლეობამ 1937 წელს კოლექტიური განცხადებით მიმართა რესპუბლიკის სახკომსაბჭოს, რომელმაც უარი განაცხადა ბერძნებისათვის სათიბების გამოყოფაზე. საქმე შემდეგში იყო: სოფელ სანამერის ბერძნები ხრამჰესის მშენებლობის გამო უნდა გაესახლებინათ ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ ბუსუკალაში. სანამერის კოლმეურნეობაში სულ ირიცხებოდა 81 კომლი ბერძენი. აქედან 54 კომლი გადასახლდა ბუსუკალაში, 14 კომლი დარჩა სანამერში, ხოლო 13 კომლმა დემონსტრაციულად დატოვა ბუსუკალა და დაბრუნდა წალკის რაიონში. ამის გამო აღნიშნული 13 კომლი გარიცხული იქნა კოლმეურნეობიდან და მათ რაიონის ხელისუფლებამ არ გამოუყო სათიბები, ხოლო ინდივიდუალურ მეურნეებს – 63 კომლს, რომლებიც უარს აცხადებდნენ ბუსუკალაში გადასახლებაზე, სათიბები მიეცათ.

ძლიერი იყო რელიგიური რწმენა ბერძნებში, რომლებიც ლაპარაკობდნენ თურქულ ენაზე. ფანატიკური რწმენა ჰქონდათ ქართველ ებრაელებს და ქურთ-იეზიდებს, რომლებიც ძირითადად ცხოვრობდნენ ქალაქებში.

თურქულ მოსახლეობაში გავრცელებული იყო მიურიდიზმი. ამ სექტის ხელმძღვანელები იყვნენ მოლები და შეძლებული გლეხები.

ჯერ კიდევ XX საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს, როდესაც ხელისუფლებაში ბოლშევიკები მოვიდნენ, წარმოიშვა ანტირელიგიური მიმდინარეობის სხვადასხვა ფორმები. ფართო გავრცელება ჰპოვა სხვადასხვა კამპანიებმა, როგორიც იყო ანტირელიგიური დემონსტრაციები, მიტინგები, კარნავალები, ღმერთებისა და სასულიერო წოდების კარიკატურებით მსვლელობები. ეწყობოდა ანტირელიგიური დღეები, კვირეები,

„კომკავშირული შობა“, „კომკავშირული აღდგომა“ და სხვ. დაიწყო გამოსვლა მრავალმა ანტირელიგიურმა გაზეთმა და ჟურნალმა.

საეკლესიო კალენდრის მიხედვით ფერისცვალების დღესასწაულს 1929 წლის 6 აგვისტოს ინდუსტრიალიზაციის პირველი დღე ეწოდა; იმავე წლის 25 დეკემბერი – შობის დღესასწაული, გამოცხადდა ინდუსტრიალიზაციის მეორე დღედ.

იქმნებოდა ე. წ. უღმერთოთა დამკვრელი ბრიგადები, საამქროები, ქარხნები, კოლმეურნეობები. 1930 წლის ბოლოს მხოლოდ ლენინგრადში მოქმედებდა 364 „უღმერთოთა“ ბრიგადა. 1931 წლის შუა ხანებში საბჭოთა კავშირის მასშტაბით ითვლებოდა „უღმერთოთა“ 300 კოლმეურნეობა.

1925 წლის ზაფხულში ათეისტთა ყველა ადგილობრივი ორგანიზაცია გაერთიანდა ერთიან ორგანიზაციად – სსრკ უღმერთოთა კავშირად, რომელმაც 1929 წელს მიიღო სახელწოდება – მებრძოლ უღმერთოთა კავშირი. 1932 წელს კავშირის წევრად ითვლებოდა 5,5 მლნ. ადამიანი.

1926 წელს ნალჩიკის ბერძნულ მოსახლეობაში ადგილი ჰქონდა რელიგიურ ფანატიზმს. ამას მოჰყვა შედეგად დამრბევი სასამართლო პროცესი „ნალჩელ საოცრებათა შემოქმედის საქმე“.

1957 წლის 3 ივლისს, საღამოს სამუშაოს დამთავრების შემდეგ ნალჩიკის რაიონის სოფელ ბარმაკრიზის 300-ზე მეტი კოლმეურნე ეროვნებით ბერძენი მივიდნენ ეკლესიასთან, რომელიც კოლმეურნეობის საწყობს წარმოადგენდა იმჟამად. თვითნებურად ჩამოხსნეს კარები და დამალეს. შენობიდან ეზოში გამოიტანეს კოლმეურნეობის კუთვნილი ინვენტარი და კასრით 40 კილოგრამამდე ყველი. შემდეგ იქვე მოქმედი ეკლესიიდან გამოიტანეს ხატები და ღვთისმსახურებისათვის საჭირო სხვა საგნები და დაიწყეს ლოცვა. ხელისუფლების ადგილობრივმა წარმომადგენლებმა ვერ გაბედეს წინააღმდეგობის გაწევა.

ზემდგომი ორგანოების მითითებით 4 ივლისს სოფელში ჩავიდნენ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეკ მესამე, ნავთლულის წმინდა ბარბარეს ეკლესიის წინამძღვარი, და იმ დროს თბილისში მყოფი ბათუმ-ქყონდიდის მიტროპოლიტი ეფრემი. სოფელში მათ გამოიძახეს ბერძენი მღვდელი ლარიბოვი და ისე მივიდნენ ადგილზე. პატრიარქმა სთხოვა მორწმუნეებს მოეტანათ და დაემაგრებინათ კარები, გამოეტანათ შენობიდან ხატები. მაგრამ ბერძნები არ დამორჩილდნენ. მაშინ პატრიარქმა განაცხადა, რომ თუ მის თხოვნას არ დაემორჩილებოდნენ, გაათავისუფლებდა მღვდელს, დაკეტავდა მოქმედ ეკლესიას და მრევლს შეაჩვენებდა. ამის შემდეგ ბერძნებმა მოიტანეს კარები, შენობიდან გამოიტანეს ხატები და გასაღები გადასცეს კოლმეურნეობის

თავმჯდომარეს. აღნიშნულ ქმედებას მორწმუნეები ხსნიდნენ მოქმედი ეკლესიის ავარიული მდგომარეობით.

ამავე რაიონის სოფელ გუნიკოლაში დ. ჩინგიზოვმა, კ. ზუბალოვმა, პ. ჩოპოზოვმა ამოიღეს მიწიდან წინათ დამარხული მიცვალებული-კომუნისტი და დაიწყეს ქადაგება, რომ ამ მიცვალებულის ჩონჩხი არის წმინდანი და მოუწოდებდნენ ხალხს ეწამათ და ელოცათ მასზე. მორწმუნეთა ნაწილმა მართლაც დაიჯერა და დაიწყეს ლოცვა. ამ ფაქტს უარყოფითი შეფასება მისცა კათალიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ მესამემ.

ასეთი ვითარების საფუძველი ის იყო, რომ ყველა არსებული რელიგიური შეხედულება ცრურწმენად და მიუღებლად გამოცხადდა, ყველას ცეცხლითა და მახვილით ებრძოდნენ. მისი ადგილი უნდა დაეკავებინა ახალ მოძღვრებას – მარქსიზმ-ლენინიზმს თავისი დოგმატიკით, თავისი კულტის სიმბოლოებით, თავისი „ეკლესიით", ორგანიზაციული სტრუქტურებით, საკუთარი „წმინდანებით" და „ღმერთებით", საკუთარი მემორიალური ადგილებით.

რელიგიური შეხედულებების წინააღმდეგ ბრძოლა სწორედ ამიტომ წარმოებდა ასე შეუბრალებლად, რომ კომუნისტური იდეოლოგია მასში ხედავდა საშიშ კონკურენტს ადამიანთა გონებისათვის ბრძოლაში და ამიტომაც გამოიყენა ყველა დასაშვები და დაუშვებელი მეთოდი მის წინააღმდეგ. ამ საქმეში კომუნისტურმა იდეოლოგიამ გამარჯვებას მიაღწია 30-იანი წლებისათვის: საბჭოთა საზოგადოების უმეტესი ნაწილი ათეისტი იყო. ათეიზმით გაჟღენთილი იყო მთელი კომუნისტური სისტემა და მისი პროპაგანდისტური აპარატი. ფაბრიკა-ქარხნები ათეისტურ ციხესიმაგრეებს წარმოადგენდა.

ნალკელი ბერძნების კონფესიონალური ჯგუფის მიმართ, რომელიც „ურუმთა" სახელითაა ცნობილი, გასათვალისწინებელია, რომ მასში გაერთიანებული იყვნენ „გიუმიშხანელები", „ოველები", „ფასენები" და „კროები". მათგან ფასენები ძველი ქართული პროვინციიდან ბასიანიდან არიან მოსულნი. საყურადღებოა აგრეთვე, რომ ფასენებში კარგად არის დაცული ქართული ტრადიციები, კერძოდ, ლაზური მატერიალური კულტურის ელემენტები. თუმცა ურუმების სახელწოდებით გაერთიანებულია ბერძნული, ქართული და სომხური მოსახლეობა, მაგრამ ძლიერ დენაციონალიზებულ მართლმადიდებლურ კონფესიონალურ ჯგუფს, რომლისთვისაც ფაქტობრივად მშობლიურ ენად თურქული იქცა, პირობით და მაინც მთლიანად ვაკუთნებთ ბერძნულ ეროვნებას, მასში ბერძნული ელემენტის რაოდენობრივი და რელიგიურ-ფსიქიკური განმსაზღვრელი მდგომარეობის გამო.

განათლება და კულტურა

საქართველოში მცხოვრები ბერძნებიდან კულტურულად და ეკონომიკურად ყველაზე ჩამორჩენილი თბილისის მაზრის ნალკის რაიონის ბერძნები იყვნენ. აქ ბერძენთა 90% უწიგნური იყო, მაშინ, როცა საქართველოს მასშტაბით ბერძენთა მხოლოდ 70% ითვლებოდა წერა-კითხვის უცოდინრად. თუ ავიღებთ აფხაზეთს, იქ მხოლოდ 25% ბერძენი ითვლებოდა უწიგნურად. ასეთივე მდგომარეობა იყო აჭარაში.

თბილისის ცენტრში XX საუკუნის 20-იან წლებში ფუნქციონირებდა შვიდწლიანი ბერძნული სკოლა 60 მოსწავლით და 5 მასწავლებლით.

ყველა მასწავლებელი თავის მშობლიურ ენაზე ატარებდა გაკვეთილს. ამიტომაც ოთხწლედდამთავრებულმა ბავშვმა არ იცოდა არც ერთი ენა. ყველა ბერძენი მასწავლებელი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საზღვარგარეთ მილებული ბერძნული გიმნაზიის ორი, სამი კლასის განათლებით იყვნენ, მათ არ ჰქონდათ სპეციალური პედაგოგიური განათლება.

საერთოდ, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ბერძნულ სკოლებში დიდი მოთხოვნილება იყო მასწავლებლებზე. „გასაბჭოებამდე" პედაგოგიურ კადრებს საქართველოში ინვევდნენ თურქეთიდან (ტრაპიზონიდან), სადაც ფუნქციონირებდა გიმნაზია. პედაგოგების ნაწილი ასევე შემოვიდა საბერძნეთიდან. ბოლშევიკური რეჟიმის დამყარების შემდეგ ეს არხები დაიხურა, რამაც პედაგოგიური კადრების მომზადება მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. ე. ი. ბერძნული სკოლებისათვის არ შეიძლებოდა საბერძნეთიდან პედაგოგიური კადრების მოზიდვა, რადგან საბჭოთა ხელისუფლებისათვის მათი მსოფლმხედველობა მიუღებელი იყო.

1922 წლიდან ბათუმში გამოვიდა გაზეთი ბერძნულ ენაზე, რომელიც ერთადერთი იყო არა მხოლოდ საქართველოსა და ამიერკავკასიაში, არამედ მთელ სსრ კავშირში. მოსახლეობისათვის მოეწყო კლუბები თვითმოქმედი დრამატული, მუსიკალური და ძერნვის წრეებით. სისტემატიურად იმართებოდა კრებები, თათბირები, შეხვედრები, ლექციები და მოხსენებები როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე. მაგალითად, ბათუმში 1922 წელს ივლისში გამართული კრებები მიეძღვნა ბერძენ ლტოლვილთა მდგომარეობას, ბერძნული სკოლებისა და კლუბების მუშაობას. ამასთან, სისტემატიურად იმართებოდა კონცერტები, უჩვენებდნენ სპექტაკლებს. თანდათან მოგვარდა ბერძენ ლტოლვილთა საკითხი, რომელიც მაშინ ერთ-ერთი მწვავე პრობლემა იყო.

ბერძნული მუშათა კლუბი აერთიანებდა 25 წევრს. კლუბთან არსე-

ბობდა შემდეგი წრეები: პოლიტიკური, ლიტერატურული, მუსიკალური, დრამატული, კულტურის, ჭადრაკის, გამოდიოდა კედლის გაზეთი.

აღსანიშნავია, რომ კლუბმა შეძლო გამხდარიყო აჭარის ბერძნული მოსახლეობის ცენტრი. კლუბთან გაერთიანდა ბერძენი ინტელიგენცია, ძირითადად პედაგოგები. კლუბთან არსებული ბიბლიოთეკა საბჭოური პრესის გარდა იღებდა ბერძნული „კომუნისტური" გაზეთების ეგზემპლარებს საბერძნეთიდან და აშშ-დან.

1926 წელს აჭარაში მოქმედებდა 6 ბერძნული სკოლა: ერთი შვიდწლიანი ბათუმში, დანარჩენი 5 პირველი საფეხურის სკოლები მაზრებში. ბათუმის შვიდწლიან სკოლაში ირიცხებოდა 543 მოსწავლე. აქედან 306 ვაჟი და 237 გოგონა. სასწავლო პროცესს აძნელებდა ბერძნულ ენაზე სახელმძღვანელოების უქონლობა.

იმავე 1926 წლისათვის საქართველოში – აღნიშნავს მკვლევარი შ. ნოზაძე – 57 სხვადასხვა სახის ბერძნულ სკოლასა და სასწავლებელში 6022 ბერძენი ახალგაზრდა სწავლობდა. სხვა მონაცემებით საქართველოში ფუნქციონირებდა 35 ბერძნული სკოლა, ხოლო 1927-28 წლებში მათი რიცხვი 101-მდე გაიზარდა.

30-იანი წლების დასაწყისშიც კი აჭარაში სავალალო მდგომარეობა იყო განათლების სფეროში. ინტელიგენციის ნაკლებობამ, პედაგოგიური კადრების დეფიციტმა უარყოფითი დაღი დაასვა მხარის ინტელექტუალურ პოტენციალს. ბავშვთა მხოლოდ მცირე პროცენტი იყო ჩაბმული სკოლებში. განსაკუთერებით ეს ითქმის გოგონების შესახებ. კერძოდ, ხულოსა და ქედის რაიონებში გოგონათა სკოლებში ჩაბმა მხოლოდ ერთეულებით განისაზღვრებოდა.

აჭარაში მოქმედ ბერძნულ, თურქულ და სომხურ სკოლებს 1932-1933 სასწავლო წელს არ ჰქონდა სახელმძღვანელოები და მასწავლებლებს უხდებოდათ არა მარტო პროგრამის თარგმნა, არამედ პროგრამული მასალებისაც. ბუნებრივია, ასეთი ვითარება ეროვნულ უმცირესობათა განათლების დონეს მძიმე მდგომარეობას უქმნიდა. სიტუაციის შეცვლას განსახკომი ბერძნული ტექნიკუმების საშუალებით ცდილობდა (ბერძნულ სკოლებში), სადაც უკეთესი მდგომარეობა იყო სასწავლო ინვენტართან დაკავშირებით.

აფხაზეთში არსებული 42 ბერძნული სკოლა 1923-1928 წლებში 78 გახდა. ამ სკოლებში მონაფეთა რაოდენობა 1925 წელს 2730-ს აღწევდა, ხოლო 1929 წელს 2850-ით განისაზღვრა, მასწავლებელი – შესაბამისად 86 და 95. 1930 წელს აფხაზეთში მცხოვრებ ბერძენთა რაოდენობამ 20 ათასს მიაღწია. სკოლების რაოდენობა კი 54 გახდა 3360 მოსწავლით.

ამ სკოლებში მასწავლებლები ეროვნებით ბერძნები იყვნენ, რომელთა ნაწილმა განათლება ტრაპიზონში მიიღო. იქვე სოფელ მიხაილოვკაში მოქმედებდა ბერძნული შვიდწლედი. რესპუბლიკის ხელისუფლება ყოველგვარ დახმარებას უწევდა სკოლის კეთილმონყობას.

რესპუბლიკის ექვს მუშფაჯზე მიიღეს 38 ახალგაზრდა ბერძენი. ამას გარდა, ბათუმსა და სოხუმში, ნალკის რაიონში გაიხსნა პედაგოგიური ტექნიკუმების ბერძნული განყოფილება. 1921 წლის 1 მაისიდან ბათუმში გამოვოდა გაზეთის „კომუნისტი" პირველი ნომერი ბერძნულ ენაზე. 1932 წლის ივლისიდან სოხუმში დაიწყო ბერძნული გაზეთის „კოკინოს კაპნას" (წითელი მეთამბაქოე) გამოცემა.

1926 წელს რეორგანიზაცია მოხდა ბერძნული, პოლონური, ასირიული და თურქული სკოლების, რაც გამოიხატა მალალ ჯგუფებში მშობლიური ენის ნაცვლად რუსული ენის სწავლებაში. ამ ღონისძიებებს ამართლებდნენ ეროვნულ ენებზე სახელმძღვანელოების უქონლობით. ბუნებრივია, საქართველოს სახელმწიფო ენა არავის გახსენებია. მათთვის მთავარი იყო რუსული ენის პრიორიტეტის დანერგვა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა შორის.

სასწავლო ენის საკითხი განსაკუთრებით მძაფრი იყო ნალკის რაიონის ბერძნულ სკოლებში, სადაც 20 ათასი ბერძენი ცხოვრობდა. მათ არ იცოდნენ მშობლიური ბერძნული ენა და ლაპარაკობდნენ „შერეული" თურქულით. ბავშვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ბერძენმა პედაგოგებმაც კი არ იცოდნენ ბერძნული ენა. თითქმის არ ჰქონდათ სახელმძღვანელოები მშობლიურ ენაზე. ამიტომ სასწავლო პროცესი აქაც მთლიანად რუსულზე მიმდინარეობდა. აქ, ბერძნების 90%-ზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო.

საერთოდ, 1927 წელს თბილისის მაზრაში 28 ბერძნული სოფელი ოთვლებოდა 31785 მოსახლით. ყველა სოფელს გააჩნდა სკოლა. მხოლოდ ნალკის რაიონში 24 სკოლა მოქმედებდა. აღბულახის რაიონში 5 სკოლიდან 4 ოთხწლედი იყო და 1 – შვიდწლედი. თბილისში ფუნქციონირებდა 1 შვიდწლიანი ბერძნული სკოლა. ბორჩალოში მოქმედებდა 3 ბერძნული ოთხწლიანი სკოლა, ხოლო გორში – 2.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სწავლა-განათლება ბერძნებში 20-იან წლებში თურქულ ენაზე მიმდინარეობდა. ბერძნული მათთვის სამწუხაროდ გაუგებარი რჩებოდა და არ პასუხობდა მოსახლეობის მოთხოვნილებას. ბერძნული ენის სწავლების უგულებელყოფა ერთმანეთისგან თიშავდა კულტურულ განვითარებას და სამეურნეო ცხოვრებას. ინტელიგენციისა და მოსახლეობის ნაწილი აქტიურად მოითხოვდა ბერძნული ენის აღდგენას.

1928 წელს აღბულახის თემის სოფელ წინწყაროში, სადაც ბერძნები ცხოვრობდნენ, მუშაობდა 3 პედაგოგი. სკოლაში სწავლობდა 150 ბავშვი.

საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, საქართველოში მცხოვრები ბერძნების დისკრედიტაციისათვის ათენის გაზეთ „ესტიაში" 1927 წლის 15 დეკემბერს დაიბეჭდა სტატია. წერილის გამოქვეყნებას მოჰყვა აქ მცხოვრებ ბერძენთა საპასუხო რეაქცია. იმართებოდა მიტინგები, კრებები, სადაც პროტესტს გამოთქვამდნენ წერილის შინაარსის გამო.

1933 წელს საკავშირო ცაკი შეუდგა მუშაობას სსრკ ტერიტორიაზე მცხოვრები ბერძნებისათვის ახალი ანბანის შესადგენად. ბუნებრივია, ყურადღება გაამახვილეს საქართველოზე, რადგან ჩვენს რესპუბლიკაში მრავალი ბერძენი ცხოვრობდა როგორც გაფანტულად, ასევე კომპაქტურად.

ბერძენი მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე, სსრკ ცაკის ეროვნებათა საბჭო 1933 წლის მაის-ივნისში ანბანის საკითხის მოგვარებასთან დაკავშირებით აწყობდა ექსპედიციებს უკრაინის ქალაქ ხარკოვში, სომხეთსა და საქართველოში, უფრო მეტად აფხაზეთის ტერიტორიაზე.

დოკუმენტებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ საკავშირო ხელისუფლება ცალკე განიხილავდა აფხაზეთს და უშუალოდ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას მიმართავდა საქართველოს მთავრობის გვერდის ავლით.

შემუშავებული გეგმის თანახმად, ექსპედიციას უნდა ენახა რესპუბლიკის ის რაიონები, სადაც კომპაქტურად ცხოვრობდნენ ბერძნები. საკითხის სირთულისა და პოლიტიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით, საკავშირო ცაკი მიიჩნევდა საქართველოში ექსპედიციის მუშაობის დროს მათთან ყოფილიყო სპეციალურად შერჩეული პირი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობას მიიღებდა მუშაობაში.

ბერძნების ლიტარატურული ენის საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს უწყებამ შექმნა კომისია მეცნიერებისა და საქართველოში მცხოვრები ბერძენი მოსახლეობის კომპეტენტური წარმომადგენლებისგან, რათა განეხილათ აღნიშნული საკითხი.

დღეს შეიძლება თამამად ითქვას, რომ მხოლოდ დამოუკიდებელ საქართველოში ეძლევა მტკიცე გარანტიები ბერძნებსა და აქ მცხოვრებ სხვა ეროვნულ უმცირესობას, ეროვნული კულტურის განვითარებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის.

გერმანელები

ქართველი და გერმანელი ხალხების ურთიერთობის ისტორია საუკუნეებს ითვლის. მრავალი გერმანელი მოგზაური აღფრთოვანებულა ჩვენი ხალხის და ბუნების სილამაზით. ბევრის შემოქმედებისათვის კი საქართველო მუზის შთაგონების წყაროდაც ქცეულა.

ჯერ კიდევ XII საუკუნის მეორე ნახევარში გერმანიის იმპერატორი ფრიდრიხ I ბარბაროსა სთავაზობდა მეფე თამარს თავის ერთ-ერთ ვაჟს. საქართველოში ამ წინადადებას უყურადღებოდ არ შეხვედრიან, ამ ქორწინებაში, ბიზანტიის მმართველი დინასტიის სანინააღმდეგოდ, ბევრი ხედავდა ბაგრატიონებისა და გერმანიის საიმპერატორო გვარის შტაუფენების დამოყვრებას. ეს კავშირი მტკიცე ხიდს გასდებდა საქართველო-გერმანიას შორის, რასაც, შესაძლოა, მოყოლოდა გავლენის სფეროების გაყოფა მცირე აზიაში. მეფე-ქალის დაქორწინება იყო უდიდესი პოლიტიკური აქტი. ფრიდრიხ II ბარბაროსას წინადადების შემოთავაზება სავარაუდოდ 1185-1187 წლებში უნდა მოხდარიყო, ე. ი. თამარის პირველსა და მეორე ქორწინებას შორის. შტაუფენების წინადადება უარყოფილ იქნა, რადგან გაიმარჯვა ჩრდილო კავკასიურმა ორიენტაციამ. პროევროპული ორიენტაციის მომხრენი უფრო სუსტი აღმოჩდნენ, თუმცა დაიდო პოლიტიკური კავშირი საქართველო-გერმანიას შორის, რაც გამოჩნდა ჯვაროსანთა IV ლაშქრობის დროს.

კავკასიითა და საქართველოთი დაინტერესებაზე მიგვითითებს შუა საუკუნეების უდიდესი გერმანელი მწერლის ვოლფრამ ფონ ეშენბახის სარაინდო რომანები, ასევე ფონ ვოლკენშტაინის, ადამ ოლეარიუსის, გრიფიუსის, ვინკელმანის, კანტის, ლესინგის, ბოდენშტედტის და მრავალ სხვათა შემოქმედებაში ასახული საქართველოს თემა. გერმანელ მოგზაურთა ცნობები კი ჩვენი ერის ისტორიის არაერთი საკითხისათვის პირველ წყაროს წარმოადგენს.

ერთ-ერთი პირველი გერმანელი, ვინც საქართველოში ჯერ კიდევ 1396-1417 წლებში იმოგზაურა, შიტბერგერი იყო. ასევე – შობერი (1717-1722), ვოლფი (1734), შნეზე (1733-1736), ცოტა მოგვიანებით – შტედერი და მრავალი სხვა.

XVIII საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში იმყოფებოდა ბალტი-ისპირელი გერმანელი ოიჰან ანტონ გიულდენშტედტი. თავმდაბალმა, ზრდილობიანმა, ბეჯითმა და სიტყვაძუნწმა ექიმმა ძალზე საინტერესო და ფასდაუდებელი ცნობები მოგვაწოდა არა მარტო მედიცინაზე, არამედ სხვა დარგებზეც. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ XVIII საუკუნის საქართველოს შესახებ ასეთი მრავალმხრივი და შედარებით სწორი, დამაჯერებელი ცნობები არც ერთ უცხოელ მკვლევარს არ მოუცია.

თბილისში ყოფნის დროს გიულდენშტედტმა მიიღო და უმკურნალა 67 ავადმყოფს, მათგან 26 ქალსა და 41 მამაკაცს. პაციენტების სიაში იყვნენ მეფე ერეკლე, მისი მეუღლე დარეჯანი, დედინაცვალი ანახანუმი, შვილები (გიორგი, მარიამი, ანა) პატრიარქი ანტონი, ქსნის ერისთავი დავითი და სხვ.

ასევე გარკვეული კვალი დატოვა XVIII საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში ერეკლე II-ის კარზე მყოფმა გერმანელმა ექიმმა, დიპლომატმა, მეცნიერმა და პოლიგლოტმა ქრისტიან რუდოლფ ელიხმა, რომელიც იაობ რეინეგსის სახელით არის ცნობილი. ერეკლე მეფემ საქართველოში სამსახურისათვის (საქართველოდან პირველად გამგზავრებამდე ორი თვით ადრე) რეინეგსს აჩუქა ბოლნისის 7 სოფელი, სადაც 700 კომლი ცხოვრობდა, რეინეგსისავე სიტყვებით, ამ სოფლებიდან წლიური შემოსავალი 4000 ფორინტს შეადგენდა.

გერმანელი და ქართველი ხალხის ურთიერთობა განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც საქართველოში XIX საუკუნის 10-იანი წლებიდან რუსეთის ცარიზმის ინიციატივით გერმანელი კოლონისტები დამკვიდრდნენ.

თავად რუსეთში გერმანელების მოსვლას ხელი შეუწყო 1762–63-64 წლებში გამოქვეყნებულმა მანიფესტებმა, რომელთა მიხედვითაც უცხოელებს იწვევდნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან. 1764 წელს სამხრეთ ვოლგაზე აღმოცენდა გერმანული დასახლებები. მოგვიანებით მათ შეუერთდნენ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებიც – ფრანგები, შვეიცარიელები, ჰოლანდიელები, რომლებიც გერმანიიდან გადმოსახლებულებთან ერთად, უკვე ამ დროიდან ითვლებიან ვოლგისპირელ გერმანლებად. მეფის ხელისუფლების წყალობით გერმანელები რუსეთში ჩამოსახლებიდანვე პრივილეგიებით სარგებლობდნენ. მათზე არ გაავრცელეს ბატონყმური ურთიერთობა, ე. ი. არც ერთი გერმანელი საბატონო გლეხი არ გამხდარა, ხოლო სამხედრო ვალდებულებისაგან გაათავისუფლეს ასი წელი. რუსეთის ტერიტორიაზე გერმანელების ჩამოსახლება პერიოდულად მიმდინარეობდა XIX საუკუნის 70-იან წლებამდე.

XIX საუკუნის დასაწყისში გერმანიაში აღმოცენდა სექტანტური მოძრობა, ე. წ. „სეპარატიზმი". ხელისუფლების დევნამ, სექტანტები აიძულა, გადასახლებულიყვნენ ამერიკასა და რუსეთში. აღნიშნული მოძრაობა უფრო მეტად შესამჩნევი გახდა ვიურტემბერგში, ბავარიასა და შვეიცარიაში, რასაც ხელი შეუწყო იმ დროს ცნობილი მქადაგებლების – ბენგელისა და შტილინგის – გავლენამ. ისინი წიასწარმეტყველებდნენ სამყაროს დასასრულის მოახლოებას და არწმუნებდნენ „სეპარატისტებს" თავის გადარჩენა სამშობლოს გარეთ, კავკასიაში, არარატის მთასთან ახლოს ეძებნათ. შეშინებულმა სექტანტებმა კავკასიაში გამოგზავნეს „განსაკუთრებული მზვერავები" ადგილის დასათვალიერებლად და კოლონიზაციის ხელსაყრელი გარემოს შესარჩევად. რუსეთის ხელისუფლება დათანხმდა გერმანელების ჩამოსახლებას მათთვის სასურველ ადგილზე.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ მთავარმართებელ ციციანოვის დროს დაიწყო საქართველოს კოლონიზაცია. ამ წლებში ჩამოასახლეს შავიზღვისპირელი და დონელი კაზაკები მდინარე ენგურზე, ხოლო ჩეხი სექტანტები – იმერეთში.

ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში, გერმანელთა კოლონიზაციას ცარიზმი ხელს უწყობდა პოლიტიკური და ეკონომიკური მოსაზრებებით. ეკონომიკური პოზიცია იგივე იყო რაც რუსეთის იმპერიის სხვა კუთხეების კოლონიზაციისა: დაუსახლებელი ადგილების ათვისება და ეკონომიკის გამოცოცხლება. ცარიზმის პოლიტიკური თვალსაზრისი იმაში გამოიხატებოდა, რომ საქართველოს კოლონიზაციით თავისი დასაყრდენი გაეჩინა ადგილობრივ მოსახლეობაში.

კოლონისტთა პირველი ჯგუფი 31 ოჯახის (181 სულის) შემადგენლობით თბილისში ჩამოვიდა 1817 წლის 21 სექტემბერს. ეს კოლონისტები დაასახლეს სართიჭალის მახლობლად, კოლონიას ეწოდა მარიენფელდი. 1818 წელს ჩვენს დედაქალაქს გერმანელთა დიდი ტალღა მოანვა (500 კოლონისტი გერმანელის ოჯახი). ისინი თბილისის გუბერნიის სხვადასხვა ადგილას დაასახლეს. მთავრობამ მათ მოსაწყობად ერთდროულად გაიღო 65 ათასი მანეთი ოქროთი. თითოეულ კოლონისტ მუშა მამაკაცზე უნდა გამოეყოთ 35 დესეტინა სახნავი საუკეთესო ადგილებში ჰავით და სასმელი წლით. გარდა ამისა, მკვიდრ მოსახლეობას აიძულებდნენ მიწები დაეხნათ და საშენი მასალა მიეწოდებინათ ჩამოსახლებული ახალმოშენეთათვის.

1819 წლის ბოლოს ამიერკავკასიში სულ რვა კოლონა შეიქმნა, აქედან ექვსი საქართველოში განლაგდა. ესენი იყო: 1. მარიენფელდი –

31 ოჯახით, კახეთის გზატკეცლზე (სართიჭალაში), 2. თბილისის კოლონია – ქალაქის მაშინდელ გარეუბან კუკიაზე (ახლანდელი დავით აღმაშენებლის გამზირის ტერიტორია) – 51 ოჯახით. 1852 წელს ეს კოლონია, რომელიც ხელოსნებისაგან შედგებოდა, ქალაქს მიეკუთვნა, ხოლო 1861 წლიდან კოლონისტების სარგებლობაში არსებული მიწები სრულ საკუთრებაში გადაეცათ; 3. ალექსანდერსდორფი – 23 ოჯახი (დაერქვა ალექსანდრე I-ის საპატივცემლოდ, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპირზე, თბილისიდან ჩრდილოეთით, 6 ვერსის დაშორებით: დიდუბის სახაზინო მიწებზე (ახლანდელი სამტრედიის ქუჩის მიდამოები); 4. პეტერსდორფი – 17 ოჯახით (სახელწოდება მიიღო პეტრე I-ის პატივსაცემად). ეს კოლონია დაარსდა მარიენფელდის მახლობლად; 5. ელიზავეტალი – 65 ოჯახით (სომხითში – დღევანდელი ასურეთი). სახელწოდება მიიღო დასახლების ადგილის არჩევის დღესთან დაკავშირებით, (1818 წ. ნოემბერი ახალი სტილით); 6. ეკატერინენფელდი – 116 ოჯახით (სახელწოდება მიიღო ვიუტენბერგის დედოფლის ეკატერინე პავლეს ასულის საპატივცემლოდ). ეს კოლონია მდებარეობდა ბორჩალოს მაზრაში ბოლნისთან, თბილისიდან 60 ვერსის მანძილზე. ჩამოსახლებული „სეპარატისტების" დიდი ნაწილი სწორედ ეკატერინენფელდში დამკვირდა, ეს ტერიტორია ამავე დროს შერჩეული იქნა სექტანტების ხელმძღვანელთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილად. ამის გამო ეკატერინენფელდის კოლონიამ დაარსების დღიდანვე ყველაზე საპატიო ადგილი დაიკავა კავკასიაში არსებულ კოლონიათა შორის და ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში დიდ როლს თამაშობდა კავკასიელ კოლონისტთა ცხოვრებაში.

გერმანიიდან ჩამოსულთა გარდა საქართველოში, მოგვიანებით, სხვადასხვა ტერიტორიიდან მოდიოდნენ კოლონისტები. 1842 წელს რუსეთიდან საქართველოში ჩამოსულა გერმანელთა 10 ოჯახი. მათ კურორტი აბასთუმანი მოწონებიათ, მაგრამ, ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან წინააღმდეგობის გამო, 1 ოჯახი რუსეთში დაბრუნებულა. 18 ოჯახს მარიენფელდთან ახლოს 370 დესეტინა აუღია. მთავრობამ მათ მატერიალური დამხარება აღმოუჩინა. ამ დასახლებას მარეიდენტალი უწოდეს. ერთი კომლი ბოლნისში მისულა და ეკატერინენფელდელ გერმანელებს შეხიზნებია.

1884 წელს სოხუმის მახლობლად გადმოასახლეს კოლონისტები, რომლებმაც აქ შექმნეს ორი კოლონია: ნაიდორფი (53 მცხოვრები) და გნადენბერგი (16 მცხოვრებით).

1848 წლამდე გერმანულ კოლონისტთა დასახლებები ჩვენში იწოდებოდნენ „საქართველოს გერმანელ კოლონიებად", ხოლო აღნიშნული

წლიდან მათ „ამიერკავკასიის გერმანული კოლონიების“ სახელწოდება მიღეს.

ჩამოსახლებული გერმანელები თავდაპირველად რელიგიური ინსტრუქციების გარეშე იყვნენ, მაგრამ სომხებს შორის მოღვაწე ზოგმა გერმანელმა მისიონერმა, დაინახა რა მათი ძალზე გაჭირვებული მდგომარეობა, კონისტორიას მიმართა და თუმცა რუსეთის მთავრობამ გარკვეული სიძნელები შეუქმნა, პასტორებმა თავისას მაინც მიაღწეს, რის შემდეგაც იმპერატორი მათ მცირე გასამრჯელოს უხდიდა.

კოლონიებში, და განსაკუთრებით ეკატერინენფელდში ხშირი იყო რელიგიური დაპირისპირება, რის გამოც აუცილებელი ხდებოდა ხელისუფლების ჩარევა. გერმანელები ვერ ეგუებოდნენ, როდესაც კავკასიის ადმინისტრაცია ნიშნავდა პასტორს.

1843 წელს კოლონიებში გარცელდა ცნობა, რომ ღმერთი სეპარატისტთა სასულიერო ხელმძღვანელის, მოხუცი ქალის შპონის, მეშვეობით, მოითხოვდა წმიდა მიწაზე – იერუსალიმში – გადასახლებას. შპონის წინადადებით გადაწყდა, რომ სეპარატისტები გაყიდდნენ ქონებას, შეიკრიბებოდნენ ეკატერინენფელდში და აქედან გემგზავრებოდნენ იერუსალიმში. ამის შემდეგ მრავალმა გერმანელმა თავი მიანება მუშაობას და ისე შრომობდა, რომ შიმშილით არ დაღუპულიყო. შედარებით მდიდრებმა გაყიდეს თავისი ქონება და მათხოვრობით ირჩენდნენ თავს.

ხმებმა სეპარატისტების გამგზავრების შესახებ ხელისუფლების ყურამდე მიაღწია, ეკატერინენფელდში გაიგზავნა კაზაკთა რაზმი პოლკოვნიკ კოცებუს მეთაურობით. დაუმორჩილებლობის გამო მოხუცი შპონი და ათამდე ლიდერი დააპატიმრეს და თბილისში გაგზავნეს. ცოტა ხნის შემდეგ ვითარება შეიცვალა და გერმანელების ცხოვრება ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა.

უკვე XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან თბილისის სიახლოვეს განლაგებული გერმანელთა კოლონიები მალფუჭადი პროდუქტების აქტიური მიმწოდებლები გახდნენ თბილისის მოსახლეობისათვის. „მათი მეოხებით თბილისში აუარებელი რძე, კარაქი, კარტოფილი და ლუდი იყო“.

გერმანელების კოლონია „ახალი თბილისი“ აკურატულად შერეთებული კოტეჯების ორ რიგს ქმნიდა, რომელთა შორის ფართო გზა გადიოდა. ირგვლივ პატარა ბაღი იყო განლაგებული. საოცრად ლამაზი სანახავი ყოფილა, როდესაც სადღესასწაულო ტანსაცმელში გამონყობილი მოსახლეობა ეკლესიისაკენ მიეშურებოდა. „ქალები, სუფთა ქუდებითა და წელამდე მოსასხამებში მათი ნითური თმებითა და ჭორფლიანი სახეებით, – აღნიშნავს ინგლისელი მოგზაური რიჩარდ უილბრაჰამი, რომელიც

თბილისში იმყოფებოდა 1837 წლის შემოდგომაზე, – მართლაც ვერ შეეცილებოდნენ სილამაზეში თავიანთ შავთვალა და გრძნობიერ მეზობლებს, მაგრამ მათი აკურატული და მოკრძალებული გარეგნობა საკმაოდ გამახალისებელია აღმოსავლელი ქალების უსუფთაო ტანისამოსს შეჩვეული თვალისათვის".

„ახალი თბილისის" კოლონიაში ძირითადად შვაბიიდან გადმოსახლებული გერმანელები ცხოვრობდნენ. კოლონია თბილისიდან ჩრდილოეთით, ნახევარი საათის სავალზე მდებარეობდა. დასახლება, ქართულ ღარიბულ სახლებთან შედარებით, მეტად კარგ სანახაობას წარმოადგენდა. საერთოდ, გერმანულ კოლონებს ამიერკავკასიაში დიდი მსგავსება ჰქონდა იმ კოლონიებთან, რომლებიც ფრიდრიხ დიდმა (1712-1786) შვიდწლიანი ომის დროს დაარსა.

„ახალ თბილისში" გერმანელების სახლები თითქმის ყველა ერთსართულიანი იყო, წინ პატარა, ხოლო უკანა მხრიდან დიდი ბაღი აკრავდა, რომელშიც ბოსტნეული მოჰყავდათ და ყვავილები და ხეხილი ჰქონდათ გაშენებული. ყოველი კომლი ცალკე ცხოვრობდა თავის პატარა სახლში და მას ოჯახის სიდიდის მიხედვით აწყობდა.

საერთოდ, ქალაქის მახლობლად მცხოვრები კოლონისტები უფრო დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ, ვიდრე ქალაქიდან მოშორებით მდებარე კოლონიები: ისინი თავიანთ პროდუქტებს და სხვადასხვა ნაწარმს უფრო სწრაფად და მომგებიანად ყიდდნენ, პირველ რიგში რძით და კარაქით ამარაგებდდნენ ქალაქს. რუსულ და ქართულ კარაქთან შედარებით, გერმანული კარაქი ყოველთვის ორმაგად ფასობდა.. პურსაც გერმანულს ამჯობინებდნენ. ამას გარდა, კოლონიის მცხოვრებლებს ბოსტნეულიც მოჰყავდათ, უმთავრესად კარტოფილი, რომელსაც საკმაოდ ძვირად ყიდდნენ.

ყველა ამ უპირატესობის მიუხედავად, „ახალი თბილისი" მაინც არ წარმოადგენდა ისეთ დოვლათიან ადგილს, როგორსაც მოელოდნენ. მართალია, კოლონისტებისათვის გამოყოფილი მიწა უნაყოფო არ იყო, მაგრამ მას აკლდა სარწყავი წყალი, განსაკუთრებით ზაფხულში. ამას ძალიან უშლიდა ხელს კოლონიასთან ახლოს მდ. მტკვრის საკმაოდ მაღალი ნაპირები, სადაც წყლის ამოქაჩვა მხოლოდ ძვირად ღირებული წისქვილების საშუალებით ან არხის გაყვანით შეიძლებოდა, რაც დიდ სახსრებს მოითხოვდა.

დასახლებამ დიდი დანაკლისი განიცდა, იმით, რომ მოსახლეობის შედარებით კულტურულმა ნაწილმა მიატოვა კოლონია და ქალაქში გადასახლდა. იქ მათ სხვადასხვა ხელობას მიჰყვეს ხელი, განსაკუთ-

რებით დურგლობას, ხაბაზობას, რითაც კარგ შემოსავალს იღებდნენ. ადგილობრივ ხელოსნებთან შედარებით მათ მიერ შესრულებული სამუშაო ორმაგად ფასობდა. რუსების მიერ დამზადებული საუკეთესო ფეხსაცმელიც კი გაცილებით ნაკლები ღირდა, ვიდრე გერმანული.

თბილისიდან 4 ვერსიის მოცილებით განლაგებული იყო გერმანული კოლონია კუკია, იქ, სადაც იმავე სახელობის ქართული სოფელი მდებარეობდა. 1824-1825 წლებში კუკიაში 30 გერმანული ოჯახი ცხოვრობდა, რომელთა მეურნეობა საგარეუბნო ხასიათს ატარებდა და თბილისის მოასახლეობისათვის მნიშვნელოვან სამეურნეო ბაზას წარმოადგენდა. მოახალშენეები თესდნენ ხორბლეულს, კარტოფილს, ლობიოსა და სხვა ბოსტნეულს, რომელიც კარაქთან, ყველთან, ნაღებთან და რძესთან ერთად თბილისში ჩაჰქონდათ და იაფად ყიდდნენ. ასევე ამარაგებდნენ გერმანელები ქალაქებს ხბოს ხორცით და ისეთი სახის პროდუქტებით, რაც ადგილობრივ მოსახლეობას იშვიათად გაჰქონდა, ამ პერიოდში თბილისელები უფრო მეტად ცხვრის ხორცს ეტანებოდნენ, ხოლო ძროხის რძესთან შედარებით, კამეჩის რძეს აძლევდნენ უპირატესობას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჩამოსახლებულ გერმანელთაგან უმეტესობა ხელოსნები იყვნენ, მინა, როგორც მეურნემ, ყველამ მიიღო. ისინი თავდაპირველად ქირაობდნენ ადგილობრივ მცხოვრებთ, გამოდის, რომ ჩამოსახლებულ გერმანელთა ნახევარი მიწის დამუშავებას ეწეოდა იმ ადგილობრივი მოსახლეობის ძალებით, რომელთაც მამაპაპეული მიწა-წყალი გამოსტაცა და თვითონ მიითვისა.

მეფის მთავრობამ გერმანელებისათვის უხვად მოხსნა ქისას პირი, თითოეულ ჩამოსახლებულ ოჯახზე დამხარების სახით გასცა 2800 მანეთი. ეს იმ დროს, როდესაც სპარსეთიდან გადმოსახლებულ სომხებს მისცეს კომლზე 25 მანეთი, ხოლო ოსმალეთიდან გადმოსახლებულ ბერძნებს კი – მხოლოდ 10 მანეთი. უფრო მეტიც, სომხებს და ბერძნებს სესხი უკლებლივ გადაახდევინეს, გერმანელებს კი ვალი თითქმის სულ აპატიეს. გარდა ამისა, გერმანელებს აუნაზღაურეს ყველა ის ხარჯი, რაც მათ გასწიეს, როგორც რუსეთამდე, ისე რუსეთში მოგზაურობა-ცხოვრების დროს.

მთავრობის განკარგულებით, ადგილობრივ მოსახლეობაში უფასოდ აკრიფეს და გერმანელებს მისცეს ხორბალი დიდი რაოდენობით. გარდა ამისა, ადგილობრივ აზერბაიჯენელ მოსახლეობას წლის განმავლობაში გერმანელებისათვის, როგორც კვების საფასური, ყოველდღიურად უნდა ეძლიათ თითო სულზე 10 კაპიკი.

პირველ ხანებში სათანდო რაოდენობის გამწევი ძალის უყოლობის გამო, გერმანელ კოლონისტებს უჭირდათ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულება. კოლონისტებს ამჯერადაც დაეხმარა ქვეყნის ადმინისტრაცია, რომლის განკარგულებითაც, მათი მიწები საკუთარი გუთნეულით სრულიად უსასყიდლოდ მოახვნევინეს ადგილობრივ გლეხებს, რომელთაც თავიანთი სავარგულები არც კი ჰქონდათ ჯერ მოხნული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოსახლებული გერმანელებიდან ცოტა იყო მიწის მუშა. მათში ჭარბობდნენ ხელოსნები: მეშუშეები, მექუდეები, მეუნაგირეები, ლურსმნის მჭედლები, მესაათეები, ხარატები, ნემსების მკეთებელნი, ზეინკლები, მეიარაღენი, ლუდის მხდელნი, ეტლის მკეთებელნი, მეპურეები, მეკასრეები, დურგლები, მეჩექმეები, კალატოზები და სხვ.

თბილისელ ხელოსნებს გარკვეულ კონკურენციას თბილისის გერმანელთა კოლონიაში მცხოვრები ხელოსნებიც უნევდნენ, ისინი ბევრნი არ იყვნენ: 5 მეჩექმე, 3 მკერავი, 3 მჭედელი. მკერავ გუბლერს ქალაქის მცხოვრებლებისაგან მიღებულ შეკვეთებთან ერთად, ოჯარით ჰქონდა აღებული თბილისის გიმნაზიისათვის ტანსაცმელის შეკერვა, საიდანაც დიდ შემოსავლს ილებდა; ხოლო კოლონისტი მაიერი საკმაოდ ფართო სახელოსნოს მფლობელი იყო, ჰყავდა შეგირდები, ქვეოსტატები. იგი ქალაქში საუკეთესო მეჩექმედ და მეტად შეძლებულ კაცად ითვლებოდა.

1832 წლიდან თბილისელი თერძები კატეგორიულად თხოვდნენ კოლონისტებს ქალაქიდან შეკვეთები არ მიეღოთ, ანდა შესაბამისი გადასახადები გადეხადათ. თავის მხრივ, როგორც მკერავი, ისე მეჩექმე კოლონისტები ყოველნაირად ცდილობდნენ, თავი აერიდებინათ გადასახადებისათვის. ისინი განგებ არ ამხელდნენ ხელოსანთა რაოდენობას და გადასახადების გამნერ მოქალაქეებს მთელი რიგი ეშმაკობა სჭირდებოდათ, რათა დაეზუსტებინათ, თუ რამდენი ხელოსანი მუშაობდა გერმანელთა კოლონიაში.

მნიშვნელოვნად იყო განვითარებული გერმანულ კოლონიებში მეფორნეობა, რასაც უმთავრესად, თბილისის მახლობლად მდებარე კოლონიების შედარებით ღარიბი მოსახლეობა მისდევდა. 80-იანი წლების დასასრულისათვის, ამიერკავკასიაში რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებით მეფორნეობის მნიშვნელობა დაეცა და იგი თანდათან შემცირდა.

ლუდის დამზადებას თბილისსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში გერმანელი კოლონისტების მიერ დაარსებული საწარმოებით ჩაეყარა საფუძველი. 1850 წელს თბილისის კოლონიაში მცირე ზომის ლუდხანა დაარსა მადერმა. მის მიერ გამოშვებულ შავ უხარისხო ლუდს ისევ

კოლონისტები იძენდნენ. 1865 წელს დაარსდა ვეტცელის ქარხანა, სადაც ბავარიულ ლუდს ამზადებდნენ. მალე ისევ გერმანულ კოლონიაში გაიხსნა ლუდის ორი ქარხანა.

რაც შეეხება მიწათმოქმედ გერმანელებს, გარკვეული დროის განმავლობაში გაუჭირდათ სოფლის მეურნეობის ადგილობრივი ტრადიციული დარგების შეთვისება. მაგალითად, საქართველოში მეაბრეშუმეობას უძველესი დროიდან მისდევდნენ, გერმანელებით დასახლებულ ტერიტორიაზე კი მეურნეობის ეს დარგი სულს ღაფავდა. იმ დროს, როცა ქართველები აბრეშუმის ჭიის საკვებ ბაზას (თუთის ხის ნარგავებს აფართოებდნენ, გერმანელმა კოლონისტებმა თუთის ხის პლანტაციები შეამცირეს: 1852 წელს მათ გაჩეხეს 14000 ძირი თუთის ხე და გამოკაფულ ადგილზე ვენახის გაშენება დაიწყეს, ამის გამო მათი დასახლების ადგილებში მეაბრეშუმეობა საგრძნობლად დაქვეითდა.

გერმანელებმა ვერც თამბაქოს კულტურის მოყვანას გაართვეს თავი. მეფის მთავრობამ ბოლნისელ კოლონისტებს კუნძულ კუბიდან თამბაქოს საუკეთესო თესლი მოუტანა. შრომის არასწორი ორგანიზაციის გამო გერმანელებმა თამბაქოს კარგი ჯიშიც გადააჯიშეს. მთელ პლანტაციაზე 13 გირვანქა თამბაქო მოიყვანეს და ამით დაასრულეს თავიანთი საქმიანობა მეთამბაქოებაში. მათ ვერც ბრინჯის თესვა-მოყანას მოაბეს თავი.

ნალკის რაიონში, გერმანელთა კოლონია ალექსანდერსდორფში, ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის სამმართლოს ინიციატივით, 1864 წელს აშენდა ყველის ქარხანა, ეს ახალი, ნაკლებად ცნობილი საქმე, გერმანელებს მეტად საეჭვოდ ეჩვენათ. ქარხნის გახსნას ისინი უნდობლობით შეხვდნენ, ქარხანა მომგებიანი გამოდგა. გერმანელებმა არსებითად შეცვალეს თავიანთი შეხედულება, სარფიან საქმეს ორივე ხელით ჩაეჭიდნენ. მოგებას დაეპატრონენ. ხარჯები კი აიცილეს. ასეთი საქმიანობის შედეგად, მაგალითად, უფულო, ბედის საძიებლად კავკასიაში ჩამოსული ბარონი კუჩენბახი დიდი ქონების პატრონი გახდა.

ყველის დამზადება გერმანლებმა არ ოცოდნენ, მთავრობამ შვეიცარიიდან ჩამოუყვანა მათ ხელოსნები, შვეიცარული ყველის ოსტატები – ნიდიგერი, შაბოლდიე და სხვანი გერმანელებს ხუთი წლის განმავლობაში უმზადებდნენ. შემდეგში გერმანელებმა ადგილობრივ მოსახლეობას ყველის დამზადების წესი არ გააცნეს. ადგილობრივ ხალხს მხოლოდ „შავ სამუშაოს“ – ფურების მოვლასა და თივის დამზაადებას – ავალებდნენ. გაურბოდნენ მოსახლეობაში ჯიშიანი საქონლის გავრცელებას.

გამდიდრებულმა კაპიტალისტად ქცეულმა ბარონმა კუჩენბახმა 1882 წელს ბორჩალოს მაზრაში აამოქმედა იმ დროისათვის საკმაოდ

დიდი მინის ქარხანა, რომელიც, როგორც მაშინ წერდნენ, „საკსებით ევროპულ ყაიდაზე იყო მონყობილი. ქარხანა წელიწადში ამზადებდა 300 ათას ღვინის ბოთლს, 200 ათას ლამპის შუშას, 200 ათას სააფთიაქო შუშას, 100 ათას მინის სურას და ა. შ. მთელი ეს ნაწარმი საქართველოსა და ამიერკავკასიაში საღდებოდა. გერმანელებმა ენერგიულად მოჰკიდეს ხელი მევენახეობა-მეღვინეობის წარმოებას, განსაკუთრებით XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ისინი ღვინოს უმთავრესად, გასაყიდად ამზადებდნენ, ამიტომ მათ ღვინის რაოდენობა უფრო აინტერესებდათ, ვიდრე ხარისხი. ყურძნის ტკბილის გამოწურვის შემდეგ, ჭაჭაზე ასხამდნენ წყალს, განახლდებოდა სუსტი დულული და მზადდებოდა დაბალი ხარისხის ღვინო. სიმაგრე 5 გრადუსს არ აღემეტებოდა. ასეთ ღვინოს ისინი „ვასერვაინს" — წყალღვინოს — უწოდებდნენ, ხოლო გასაყიდად შაქრით ამზადებდნენ ფალსიფიცირებულ ღვინოს. ისარგებლეს რა ადგილობრივი მუსლიმანური მოსახლეობის ღვინის საქმეში გაურკვევლობით, მრავალი გერმანელი გამდიდრდა შაქრისაგან დამზადებული ღვინის გაყიდვით.

აღსანიშნავია, რომ კახეთის ტერიტორიაზე ვენახების უცხოელი მეპატრონეები ყურძნის წვენს მაშინვე ასხამდნენ ქვევრებში და მისი დულილი მიმდინარეობდა ყოველგვარი მორევის გარეშე. პირველი დულილის დამთავრების შემდეგ ეს ახალი ღვინო უკვე იყიდებოდა ჩვეულებრივი ფასებით უცხოელ ვაჭრებზე. ღვინის ვაჭრები სწორედ ამ დროს დადიოდნენ სოფლებში, სინჯავდნენ ღვინის კასრებიდან და თუ მოეწონებოდათ, ყიდულობდნენ და მაშინვე ბეჭდავდნენ კასრებს, რათა გაყიდული ღვინო დაეცვათ ფალსიფიცირებისაგან. დაცარიელებული ღვინის კასრები უკან მიჰქონდათ გერმანიის რკინიგზის საშუალებით, ყოველგვარი გადასახადების გარეშე. საგულისხმოა, რომ უცხოელებს საკუთარ გამგებლობაში ჰქონდათ რკინიგზის ქსელი.

მიუხედავად გარკვეული ცოდნისა და გამოცდილებისა, გერმანელი კოლონისტები ხშირად დადიოდნენ წინანდალსა და მუხრანში მევენახეობა-მეღვინეობის უკეთ დასაუფლებლად.

მევენახეობის გარდა, გერმანელები მისდევდნენ მარცვლეული კულტურების მოყვანას, თითქმის ყველა ოჯახს მდინარის პირას ჰქონდა ბოსტანი. ბოსტნეულიდან გასაყიდად გაჰქონდათ მხოლოდ კარტოფილი და კომბოსტო.

გერმანელები ბაღებსა და მინდვრებში მუშაობას ერთდროულად ანარმოებდნენ: ისე ცხადდებოდნენ თავის სამუშაო ადგილზე, როგორც ფაბრიკებსა და ქარხნებში დადიან მუშები. დისციპლინა და წესრიგი

კოლონისტებში მისაბაძი იყო, სიმკაცრე კი ზოგჯერ ღიმილისმომგვრელი. მაგალითად, ადგილობრივი ხელისუფლება ბავშვებს სჯიდა სხვისი ბაღიდან კიტრის ან თუნდაც ყურძნის ერთი მარცლის აღებისათვის.

მხოლოდ კოლონია ეკატერინენფელდში 150 ათას ვედრო ღვინოს ილებდნენ, რომელიც გასაყიდად გაჰქონდათ თბილისში. ასევე ყოველ წელიწადს აქ 10 ათას ვედრო სპირტს ამზადებდნენ.

გერმანელების რაოდენობა საქართველოში მკვეთრად იზრდება განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც უცხოურმა და კერძოდ, გერმანულმა, კაპიტალმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი რუსეთის იმპერიაში.

ამიერკავკასიაში სატელეგრაფო ხაზების მშენებლობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა გერმანული ფირმის „სიმენსის და ჰალსკეს" საქმიანობაში კაპიტალის დაგროვებაში. 1866 წლიდან, მას შემდეგ რაც მეფის მთავრობამ აღარ გააგრძელა ფირმასთან კონტრაქტი რუსეთში სატელეგრაფო ხაზების გამართული მუშაობის უზრუნველყოფის შესახებ, პეტერბურგის „სიმენსის და ჰალსკეს" საქმიანობა 80-90-იან წლებში, ძირითადად ამიერკავკასიაში იყო კონცენტრირებული. ამ პერიოდში ფირმა კვლავ ძლიერდება რუსეთში, უმთავრესად – ელექტროტექნიკის მრეწველობაში. სწორედ ამ დროს, 1866-1867 წლებში თბილისში ღასახლდნენ ვერნერ სიმენსის უმცროსი ძმები ვალტერი და ოტო. მოგვანებით – კარლი, თავიანთი ოჯახებით და განზარახული ჰქონდათ აქ მტკიცედ დამკვიდრება. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სიმენსები ამიერკავკასიაში საქმიანობას.

ცარიზმმა ვერ მოახერხა ამიერკავკასიის პოლიტიკური დაპყრობის შემდეგ მისი სრული ეკონომიკური ათვისება, ამიტომ იგი ხელს უწყობდა უცხოური კაპიტალის მოზიდვას ამიერკავკასიაში. ეს პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ამიერკავკასიაში, როგორც ზევით დავინახეთ, მოიპოვა გერმანულმა კაპიტალმა, მან წამყვანი პოზიციები დაიკავა ამიერკავკასიის მრეწველობის მრავალ დარგში და მათ შორის – სამთამადნო მრეწველობაში. მანგანუმისა და სპილენძის წარმოება – აი, ის დარგები, სადაც განსაკუთრებით წარმატებით მოიკიდეს ფეხი გერმანელებმა. როგორც ჩანს, ამ მისწრაფებას არა მარტო კომერციული მოგება, არამედ სამხედრო-სტარტეგიული მიზნებიც ედო საფუძვლად.

XX საუკუნის დამდეგისათვის გერმანელების ძველ კოლონიათა ბაზაზე წარმოიშვა ახალი დასახლებანი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კავკასიის ადმინისტრაციის ცდას – ჩაესახლებინა ისინი დასაელეთ

საქართველოში, შედეგი არ მოჰყოლია, ამაში თვით კოლონისტებს მიუძღვით „ბრალი“.

გერმანელები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი მინის ნაკვეთები შეეძინათ საქართველოში. 1901 წელს კარლ სიმენსმა მიიღო ბათუმიდან 57 კილომეტრის მანძილზე, ართვინის მახლობლად, სოფ. ქვარცხანასთან არსებული სპილენძის მდიდარი საბადოს დამუშავების უფლება. აქ მალე ააგეს შახტები და დაიწყეს მადნის მოპოვება. სიმენსებმა იზრუნეს აგრეთვე ახალი მადნიანი მინის ნაკვეთების შეძენაზე.

1900-1909 წლებში ქვარცხანის ახლოს, სოფელ ბაშაულში, კარლ სიმენსის მემკვიდრეებმა რუსეთის ქვეშევდრომმა ბარონესებმა მარია გრეევნიცმა და შარლოტა ბუკსგევდენმა ადგილობრივი გლეხებისაგან შეიძინეს მინის ნაკვეთები და დაიწყეს მადნის მოპოვება. როგორც წყაროებშია აღნიშნული, სიმენსები მინას იძენდნენ ჩალის ფასად.

XX საუკუნის დამდეგიდან ჭიათურაში სამრეწველო საქმიანობა გართულდა. ქართველი მრეწველები დიდი სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ. მათ ან კაპიტალი უნდა გამოენახათ, ან დაეტოვებინათ სამრეწველო საქმიანობის ასპარეზი. სათანადო მოლაპარაკების შემდეგ, გერმანული ფირმის „მანგანსინდიკატის“ მეშვეობით, ქართველ მრეწველთა საზოგადოება აწარმოებდა მარგანეცის ექსპორტს. ოჯარით იღებდა და ყიდულობდა მარგანეცის საბადოებს. უდავოა, „მანგანსინდიკატს“ იმთავითვე უფრო დიდი მიზანი ამოძრავებდა, ვიდრე კაპიტალის პროცენტის მიღება და მადნის გასაღების საქმეში შუამავლობა იყო. კერძოდ, მას სურდა ხელთ ეგდო ჭიათურის მდიდარი საბადოები და თვითვე ეწარმოებინა მათი ექსპლოტაცია.

1902 წელს ჩამოყალიბებული ქართველ მრეწველთა საზოგადოება „შავი ქვა“ თანდათან ებმებოდა „მანგანსინდიკატის“ მიერ დაგებულ ბადეში. მალე გამომჟღავნდა, რომ საზოგადოებას ავანსი და კრედიტი არახელსაყრელი პირობებით ჰქონდა მიღებული, რაც იწვევდა მის დაქვემდებარებას გერმანული ფირმისამდი. „მანგანსინდიკატს“ დიდხანს აღარ დაუყოვნებია გადამწყვეტი ნახტომის გაკეთება, 1906 წელს თბილისში მოლაპარაკება გაიმართა „შავი ქვის“ რწმუნებულ ზდანოვიჩსა და „მანგანსიდიკატის“ წარმომადგენელ ფრიდრიხ ნეიმანს შორის. გერმანელ კაპიტალისტთა ბადეში გახლართული ქართველ მრეწველთა საზოგადოების რწმუნებული იძულებული გახდა არახელსაყრელი შეთანხმებისათვის მოეწერა ხელი. მოგვიანებით საზოგადოებამ დიდი მსხვერლის გაღების ფასად, თავი დაალწია გერმანულ ფირმაზე დამოკიდებულებას, მაგრამ საკუთარ ფეხზე მტკიცედ დადგომა ვერ შეძლო და მალე დაიწყო სხვა კრედიტორის ძებნა.

ჭიათურის სამრეწველო რაიონის ეკონომიკური დაპყრობის მიზნით, უცხოელ კაპიტალისტთა შემოტევა განსაკუთრებით დაძლიერდა 1908 წლიდან. კონკურენციაში დამარცხებული ქართველ მრეწველთა ერთი ნაწილი ხელს იღებს წარმოებაზე, ყიდის ან ოჯარით სცემს საბადოებს; ძირითადად უცხოელებზე. დიდი რაოდენობით შეისყიდა მარგანეცის საბადოები გერმანულმა ფირმამ (გელზენკირხენის სამთო სამრეწველო საზოგადოება), რომელმაც მარტო 1910-1911 წლებში ჭიათურაში დააბანდა 1 მლნ მანეთი. ძალიან გააქტიურდნენ სხვა უცხოური საზოგადოებანი და მრეწველები.

საინტერესოა, რომ წარმოების მთელი აპარატი ჭიათურაში მხოლოდ გერმანელებით იყო დაკომპლექტებული, რის შესახებაც მეფისნაცვალი 1916 წელს აცნობებდა რუსეთის მინისტრთა საბჭოს: „გერმანული ფირმების მოღვაწეობის უარყოფით მხარედ უნდა ჩაითვალოს რუსული ტექნიკური ძალების იგნორირებაც, მათ მთელი მომსახურე პერსონალი გერმანიიდან მოიყვანეს".

გერმანული ეთნიკური ელემენტის ეკონომიკურ და პოლიტიკურ გაძლიერებას ხელი შეუწყო ცარიზმის მიერ მინიჭებულმა პრივილეგიებმა, რაც აქტიური ფორმით XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან ხორციელდებოდა. მაგალითად, გერმანული კოლონიები ჯერ ემორჩილებოდნენ ჩამოსახლებულთა საგანგებო კომიტეტს, რომელიც სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიასთან იყო ჩამოყალიბებული, 1841 წელს იგი გაუქმდა და მისი ფუნქციები ახლად შექმნილ „ქართლ-იმერეთის" სამეფო ქონებათა პალატას გადაეცა. რვა წლის შემდეგ მისი რეორგანიზაციაც მოხდა. კოლონისტთა მმართველობის საქმე, ე. ნ. „სახელმწიფო ქონების ექსპლოატაციის" კომპეტენციას დაექვემდებარა, რომელიც კავკასიაში მეფისნაცვალის სამმართველოსთან დაარსდა.

1859 წელს მოხდა მისი მორიგი რეორგანიზაცია, და შეიქმნა „უცხოელთა კოლონიების სოფლის მეურნეობის საგანგებო მმართველობა". ხუთი წლის შემდეგ კი „სახელმწიფო ქონების დეპარტამენტად" გარდაიქმნა. რეორგანიზენულ იქნა აგრეთვე „გერმანელთა კოლონიების ზედამხედველობაც".

ადგილებზე გერმანელებში არსებობდა თავისებური ორძალაუფლებიანობა: შინაწესრიგის დამცველი იყო მამასახლისი, ანუ „შულცი", ორი დამხმარე მრჩევლით, რომლებსაც ორი წლის ვადით ირჩევდნენ. საკანცელარიო საქმეებს განაგებდა მდივანი., ამასთანავე სოფლის კოლონია ირჩევდა კიდევ სასულიერო ხელმძღვანელებს.

ცხოვრება თავისას მოითხოვდა. მთავრობა კოლონიის მმართვე-

ლობაში უფრო აქტიურად ერეოდა. საერთო მმართველობის ხაზით ეს საკითხი ადვილად მოგვარდა: „შულცები" თანდათანობით სოფელში სახელმწიფოს წარმომადგენლებად გადაიქცნენ. ამავე დროს კოლონისტებისათვის ისინი შინაურ, არჩეულ პირებად ითვლებოდნენ.

სასულიერო მმართველობის გაუმჯობესების მიზნით, სახელმწიფომ გერმანელებს „პასტორები" დაუნიშნა, მაგრამ ისინი ლუთერანული მიმდინარეობისა იყვნენ და ამის გამო საქმე ხშირად რთულდებოდა.

მეფის ხელისუფლება აშკარად ანსხვავებდა კოლონისტებსა და აბორიგენ მოსახლეობას, როდესაც საქართველოში მძიმე სენი მძვინვარებდა და მრავალი ადამინის სიცოცხლე შეწირა. ქართველებმა და გერმანელებმა დახმარებისათვის მთავრობას მიმართეს, მეფემ ქართველებს არავითარი დამხარება არ აღმოუჩინა. გერმანელებს კი, რომლებიც ბეგარა-გადასახადისაგან სრულიად თავისუფალი იყვნენ ერთდროიული დახმარების სახით 85000 მანეთამდე ფული დაურიგა.

1874 წელს ეკატერინენფელდელმა გერმანელებმა ისარგებლეს მთავრობის მხარდაჭერით და ორბელიანებს წაართვეს მდინარე ქციის სათევზაო ადგილების ერთი ნაწილი.

თუ რუსეთის შიდა გუბერნიებში გერმანულმა კოლონიებმა XIX საუკუნის 70-იან წლებში დაკარგეს თავისი „ავტონომია", ხოლო კოლონისტები იურიდიულად გაუთანაბრეს მესაკუთრე გლეხებს, ამეირკავკასიის კოლონიებმა არამარტო შეინარჩუნეს თავისი განკერძოებული მდგომარეობა, არამედ განამტკიცეს კიდეც იგი. 1883 წლამდე ისინი დამოუკიდებელი იყვნენ ადგილობრივი (სამაზრო, საგუბერნიო) ორგანოებისაგან, ხოლო 1883 წლის შემდეგ კოლონიები ფაქტიურად არ ემორჩილებოდნენ არა მარტო ადგილობრივ, არამედ მხარის მთავარ ადმინისტრაციასაც. მხოლოდ 1903 წლის 10 ივლისს სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ამეირკავკასიის გერმანული კოლონიების და საგუბერნიო, სამაზრო და აგერთვე ადგილობრივ საგლეხო საქმეთა დაწესებულებების გამგებლობაში გადაცემას. მაგრამ შენარჩუნებილი იქნა კავკასიის მხარის კოლონისტთა წესდების ისეთი მუხლები, რომელთა მიხედვითაც ადგილობრივ გლეხობასთან იურიდიული გათანაბრების პირობებშიც კი კანონი ითვალისწინებდა კოლონისტებისათვის პრივილეგიების მინიჭებას.

ჰქონდათ რა განსაკუთრებული მმართველობა, კოლონისტები, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გვერდის ავლით, უშუალოდ ემორჩილებოდნენ ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებას. ცარიზმის მიერ დაწესებული განსაკუთრებული მმართველობა კოლონისტებს იცავდა

საგუბერნიო და სამაზრო ბიუროკრატიული ადმინისტრაციის ყოველგვარი ჩარევისაგან.

მეფის მთავრობის ხელშეწყობით, კოლონისტები წარმოადგენდნენ კარჩაკეტილ კასტას, რომელთა მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იყო არა მარტო ადგილობრივ გლეხობასთან, არამედ თვით რუს კოლონისტებთან, შედარებითაც კი. სწორედ ამით იყო გამოწვეული, რომ გერმანელი კოლონისტები უკეთეს შემთხვევაში ინდეფერენტულად იყვნენ განწყობილი XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისში ამიერკავკასიაში მომხდარი სოციალურ-პოლოტიკური ძვრების მიმართ.

XX საუკუნის დასაწყისიდან ვითარება არსებითად იცვლება. მეფის მთავრობა უკვე ცდილობს გერმანული კოლონიზაციის სანინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას. ცარიზმის განწყობილების შეცვლა გერმანული კოლონიზაციის მიმართ გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, საგარეო-პოლიტიკური ვითარებით, გერმანიასთან ურთიერთობის გამწვავებით, ხოლო, მეორე მხრივ, – საშინაო ფაქტორით, ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესებით.

XX საუკუნის დასაწყისში გერმანელების გადმოსახლება რუსეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა გერმანიის მთავარი შტაბის მითითებით. რუსეთში გადმოსახლების მსურველებს საგანგებოდ ამონმებდნენ, პოლიტიკური საიმედოობისა და გერმანიზმის იდეებისადმი ერთგულებაში. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც გერმანიის დაზვერვა დარწმუნდებოდა, რომ „კოლონისტი" მზად იყო, შეესრულებინა ნებისმიერი დავალება, უფლება ეძლეოდა წასულიყო გერმანიიდან და მიეღოთ ყოველგვარი მატერიალური დახმარება.

გერმანელების რუსეთში გადმოსახლებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისათვის რუსეთში ითვლებოდა 2 მილიონი გერმანელი, მაშინ, როცა აფრიკასა და გერმანელთა სხვა კოლონიებში 30 წლის განმავლობაში (1914 წლამდე), მხოლოდ 20 ათასი ადამიანი ჩავიდა საცხოვრებლად.

ომის დაწყების წინ ინგლისური გაზეთი „თაიმსი" წერდა: „არ უნდა დავივიწყოთ. რომ გადმოსახლებული კოლონისტების უმრავლესობა წარმოადგენს გერმანიის არმიის რეზერვებს და ომის შემთხვევაში მათ შეუძლიათ მოულოდნელად შექმნან მებრძოლი ბანდები, რომელთაც ეცოდინებათ მხარის ტოპოგრაფია და მშვიდად დაიკავებენ სტრატეგიულად ყველაზე მნიშვნელოვან ადგილებს".

გერმანული კოლონისტების საქმიანობისადმი კონტროლს ასუსტებდა ნიკოლოზ II-ის კარზე ძლიერი პროგერმანული დაჯგუფება, რომელსაც

ხელმძღვანელობდა დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული. აღნიშნული ჯგუფი ყველაფერს აკეთებდა გერმანიის „კოლონიზაციური" მოღვაწეობის ხელის შესანყობად. ყოველ წელს რუსეთის იმპერიის გერმანულ სოფლებს ნახულობდნენ პასტორები, სამხედრო ინსტრუქტორები, სამთავრობო ჩინოვნიკები, განსაკუთრებული დავალებით ბერლინიდან ჩამოსული „დამთვალიერებლები".

ომის წინ კავკასიაში ასეთი „მოგზაურობა" განახორციელეს დოქტორმა გროტმა და დოქტორმა ფონ ვეიკმანმა.

მხედველობაში იღებდა რა ამიერკავკასიის კოლოსალურ მნიშვნელობას, გერმანიის სადაზვერვო ორგანოებმა როგორც ომის დაწყებამდე, ისე მის პერიოდში, ფართოდ გააჩალეს კავკასიაში სადაზვერვო მუშაობა, რაც მიზნად ისახავდა, წმინდა სამხედრო ხასიათის ცნობების შეკრებასთან ერთად, ამიერკავკასიის მოსახლეობისათვის შეექმნა გერმანიის პოლიტიკისადმი სასარგებლო განწყობილება. ამ მიზნით ამიერკავკასია ივსებოდა გერმანელებით, რომლებიც „ტურისტების", სხვადასხვა სავაჭრო ფირმების, „კულტურულ-საგანმანალთლებლო საზოგადოებათა" და სხვ. წარმომადგენლების სახით ეწეოდნენ დაზვერვით მუშაობას.

კავკასიაში გერმანიის დაზვერვის გამაერთიანებელ ცენტრს წამოადგენდა გერმანიის საკონსულო თბილისში. ამასთან დაკავშირებით თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი პასტურლინი 1914 წლის 30 დეკემბერს თბილისის გუბერნატორს სწერდა: „ამა წლის 28 აგვისტოს ქ. თბილისში გერმანიის კონსულის შენობაში მომხდარი ჩხრეკის დროს აღმოჩენილი იქნა მასალები, რომლებიც სრული სიცხადით მოწმობენ, რომ საკონსულოს აგენტებს გერმანიის მთავრობის მიერ დაკისრებული ჰქონდათ ჯაშუშური მოვალეობანი".

საერთოდ საკონსულომ განსაკუთრებით გააქტიურა მოქმედება ამ მიმართულებით უკვე 1911 წლის აპრილიდან, როდესაც გერმანიის კონსულად თბილისში დაინიშნა გრაფი შულენბურგ ფონ ბერგი. შულენბურგს დიდ დახმარებას უწევდა გერმანიის კონსული არზრუმში — ედგარ ანდერსი.

აი, როგორ ახასიათებდნენ ადგილობრივი გაზეთები („გოლოს კავკაზა" „ზაკავკაზსკაია რეჩ", „მშაკ") გერმანიის კონსულის ანდერსის საქმიანობას არზრუმში: „გარდა ოფიციალური მოვალეობისა (ანდერსი), სამეცნიერო ექსკურსიებზე დადიოდა კავკასიაში, ეცნობოდა ადგილობრივ გერმანელებს, აგროვებდა ხოჭოებს, პეპლებს, მცენერებს, გზადაგზა საინტერესო, უმთავრესად სტრატეგიული ადგილებისა და საინჟინრო

ნარმოებათა ფოტოსურათებს ილებდა,... იგი აღტაცებაში მოდიოდა, მაგალითად, შაგალის ხიდით ყარსის შტოზე, მაღალ ნვრილ ბურჯებზე დაყრდნობილი მისი გაბმული სამი მილით, იგი დიდხანს უმზერდა მართლაც ლამაზ ხიდს და ფიქრობდა: „დინამიტის პატარა მუხტი, და ერთადერთი სწრაფი კავშირი თურქეთის საზღვართან შეწყვეტილია დიდიხნით. ის ბათუმშიც იყო მედუზების განსაკუთრებული მოდგმისა და ბათუმის სიმაგრეების შესასწავლად. მისი პროექტის მიხედვით უნდა აეფეთქებინათ შაგალ-ელიარის რკინიგზის ხიდი, რათა გაეძნელებინათ რუსეთის ჯარებისა და სამხედრო საჭურველის მიწოდება ომის დროს".

მას შემდეგ, რაც ფონ შულენბურგმა ომის დაწყებასთან დაკავშირებით დატოვა თბილისი, ამიერკავკასიაში გერმანელ მზვერავთა ცენტრი გახდა შვეიცარიის საკონსულო, სადაც კონსულის თანამდებობა მიიღო საკონსულოს ყოფილმა მდივანმა – ბარონმა დრახენფელსმა, რომელიც მოგვიანებით რობერტ მაიერმა შეცვალა.

ომის წინ და ომის წლებში გერმანიის სასარგებლოდ სხვადასხვა სახის ჯაშუშური მუშაობისათვის მრავალი გერმანელი იქნა მხილებული და დასჯილი. თუმცა სასჯელის უმაღლესი ზომა ჯაშუშობისათვის ითვალისწინებდა მხოლოდ ჩრდილოეთ გუბერნიებში თავისუფალ გადასახლებას ომის პერიოდში.

პირველი მსოფლიო ომის დროს ანტიგერმანული განწყობილება, რუსეთის გარდა სხვა მეომარი ქვეყნების პოლიტიკაშიც გამომჟღავნდა. ანტანტის სახელმწიფოთა ტერიტორიებზე მცხოვრები გერმანელები გარკვეული შევიწროების ობიექტები გახდნენ. ცნობილია, რომ შეერთებული შტატები ომში მხოლოდ 1917 წელს ჩაება, მაგრამ ანტიგერმანული განწყობილება, ქვეყანაში ომის დაწყებისთანავე გამეფდა. ეს იყო ერთგვარი სოციალური ფსიქოლოგიის მეტად საინტერესო და თავისებური გამოვლინება. შერთებულ შტატებში მელუდეთა უმრავლესობა გერმანული წარმოშობის იყო, ლუდის კულტურასაც გერმანულ ტრადიციასთან აიგივებდნენ. ამიტომაც ანტიპათია ყოველივე გერმანულისადმი შეეხო აგრეთვე გერმანულ ყოფასა და კულტურასაც.

როგორც ცნობილია, პირველი მსოფლიო ომის დროს საქართველოდან გაინვიეს 200 ათასზე მეტი მებრძოლი, ომს თავისი კანონები აქვს. ზოგიერთი მათგანი ტყვედ ჩავარდა და გერმანიის ტერიტორიაზე იქნა გადაყვანილი. რუსეთის არმიიდან ტყვედ ჩავარდნილთა ერთი ჯგუფი გაგზავნეს შეიდელმიულში... შემდეგ – ვენზელში, იქიდან – ცოხენში და ბოლოს – ზაგენში. აქ ქართველები, დაახლოებით 1500 კაცი, ცალკე ბანაკში მოათავსეს. გერმანელების მხრიდან იყო ცდა,

ქართველები დაეპირიპირებინა რუსებისათვის, რის საფასურადაც საქართველოს იმპერიის მარწუხებიდან თავდახსნას ჰპირდებოდნენ. ამ მიზნით 1916 წელს გერმანიის დედოფალი შვილთან – იოახიმთან ერთად მივიდა ქართველ სამხედრო ტყვეთა ბანაკში. დედოფალმა მოუწოდა ტყვე ქართველებს, შეექმნათ თავისუფალი ლეგიონები და ალუთქვა დახმარება რუსეთისაგან საქართველოს განთავისუფლებაში.

გერმანიაში მოღვაწე ქართველთა ძალიხსმევით ჯერ კიდევ 1916 წლის სექტებერში ოსმალეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა საჯარისო შენაერთი – „ქართული ლეგიონი". მას სათავეში ედგნენ ხან გერმანელი, ხან კი ქართველი სამხედრო პირები; ლეო კერესელიძე, გრაფი ფონ დერ შულენბურგი, მურად ბეი მაღალოვი, გრაფი გალენი და სხვები. ლეგიონის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ქართველთა დარაზმვა და ბრძოლა გერმანია-ოსმალეთის მხარდამხარ ანტანტის ბლოკის ქვეყნების (ძირითადად რუსეთის) წინააღმდეგ. მასში გაერთიანდნენ როგორც ქრისტიანი, ისე მაჰმადიანი ქართველები, აგრეთვე იქ მყოფი კავკასიის ზოგიერთი წარმომადგენელიც.

1916 წლისათვის „ქართულ ლეგიონში" უკვე 1500 მებრძოლი იყო გაერთიანებული, თუმცა იმავე წლის დამლევისათვის გერმანია იძულებული გახდა დაეშალა ქართული ლეგიონი, რომლის შექმნასა და არსებობას ვერაფრით შეურიგდა ოსმალეთის არმიის გენერალიტეტი. სავარაუდოა, რომ ამიერკავკასიის მიმართ ტრადიციული, ექსპანსიონისტური ზრახვებით გამსჭვალული თურქები ქართულ ლეგიონში პოტენციურ მოწინააღმდეგეს ხედავდნენ.

საინტერესოა, რომ ქართულ ლეგიონს ჰქონდა როგორც საკუთარი და განსხავებული სამხედრო ფორმა, ისე საკუთარი სამხედრო ჯილდოებიც. ჯერ კიდევ 1915 წელს ქართული ლეგიონის მთავარსარდლის გენერალ კრეს ფონ კრესენშტაინის ბრძანებით იქმნება I, II და III ხარისხის ქართული სამხედრო ორდენები ჩვენი სახელოვანი მეფის თამარის გამოსახულებით.

თამარის ორდენით დაჯილდოება შეზღუდული არ ყოფილა. ამ საპატიო ორდენის კავალერი შეიძლებოდა გამხდარიყო ის ადამიანიც, ვინც არ შედიოდა ქართულ ლეგიონში, მაგრამ რაიმე სერიოზულ სამსახურს გაუწევდა გერმანულ-ქართულ სამხედრო ალიანსს. თამარის ორდენით ხშირად გერმანელებიც ჯილდოვდებოდნენ.

ბუნებრივია, გერმანელების თანადგომა საკუთარ ინტერესებს პასუხობდა არა მხოლოდ ომის დროს, არამედ შემდგომ პერიოდშიც. ასე მაგალითად, 1918 წლის ზაფხულში. სპეცილურად საქართველოს სა-

კითხისადმი ბერლინში მოწვეულ ერთ-ერთ ღია თათბირზე გამოსულმა ორატორმა როსბახმა პირდაპირ განაცხადა: „ვისაც სურს ფეხი დადგას აზიაში, ის პირველ რიგში უნდა დამკვიდრდეს საქართველოში... შემდეგ შეუდგეს თავისი პროდუქციის რეალიზაციას შორეულ ბაზრებზე და შემოიტანოს ჩვენი ინდუსტრიისათვის აუცილებელი ნედლეული".

გერმანულთა ინტერესი საქართველოსა და ამიერკავკასიაში, მართლაც, მრავალმხრივი იყო. კაიზერული გერმანიის ერთ-ერთი ბურჯთაგანი ფონ ლუდენდორფი საქართველოსა და ამიერკავკასიაში გერმანელთა გეგემებზე საკმაო გულახდილობით მიუთითებს თავის მოგონებებში. გერმანიას საქართველოსკენ ენეოდა სამხედრო ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები: ამიერკავკასია სტრატეგიული თვალსაზრისით გერმანელთა სამხედრო გეგმებში ფრიად მიმზიდველად გამოიყურებოდა. ამიერკავკასიის რკინიგზებით შეიძლებოდა ჯარების გადაყვანა ჩრდილოეთ ირანში და ინგლისელთა განდევნა ირანის პლაცდარმიდან. ამ საქმეში საქართველოს ჯარების გამოყენებაც იყო ნავარაუდევი. საქართველოში ადგილობრივი მოსახლეობიდან შეგროვდებოდა მუშახელი, რომელსაც გერმანიაში მუშათა არმიაში გასაწვევი კონტინგენტი უნდა შეეცვალა.

ეკონომიკური ინტერესები უფრო ფართო იყო: ხანგრძლივ ომში სისხლიდან დაწრეტილ გერმანიას სამრეწველო ნედლეული და სურსათი აღარ გააჩნდა. ამიერკავკასია კი, თავისი წიაღისეული სიმდიდრეების სიუხვით და მრავალფეროვნებით, დიდ იმედს იძლეოდა: აქ იყო მარგანეცი, ნავთი, ქვანახშირი, ხე-ტყე. გერმანელებს განსაკუთრებით ბაქოს ნავთი აინტერესებდათ. საქართველოში დამკვიდრება ბაქოსკენაც კაფავდა გზას. მით უმეტეს, განჯაში ჩამოყალიბებული მუსავატური მთავრობა გერმანელებს სთხოვდა დახმარებას ბაქოს კომუნის წინააღმდეგ.

კაიზერის გერმანიის მესვეურები თავიანთ პოლიტიკას საქართველოში არც კი ფარავდნენ. საქართველო მათ მომავალ გეგმებში გამოიყურებოდა, ისე, როგორც ინდოეთი ინგლისის იმპერიალიზმის მფარველობაში. როცა ბერლინში საქართველოს დელეგაციის წევრი ზ. ავალიშვილი სიმონსს შეეკითხა, თუ როგორ ესახება მას მომავალში გერმანიის წარმომადგენლის მდგომარეობა საქართველოში, ამ უკანასკნელმა უპასუხა: „ფორმით ეს ჩვეულებრივი დიპლომატიური წარმომადგენელია, არსებითად იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ინგლისის რეზიდენტი დამოუკიდებელი ინდოეთის სახელმწიფოში". როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ინდოეთს ინგლისის პროტექტორატის დროს, ეს ავალიშვილსა და სიმონსს კარგად ესმოდათ.

ამიერკავკასიის სეიმმა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება არ ცნო, რომლის მიხედვით თურქეთის ხელში გადადიოდა ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ტერიტორიები. ამიერკავკასიის დელეგაციასთან მოლაპარაკების დროს თურქეთის მხარე აიძულებდა სეიმის წარმომადგენელს, რომ ვიდრე ამიერკავკასიის მთავრობა არ უცვნია სხვა სახელმწიფოებს, ამიერკავკასია ითვლებოდა რუსეთის ფედერაციის ნაწილად, და მათთვის საკალდებულო იყო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებათა მიღება. ამასთანავე თურქეთის გეგმებში შედიოდა, რომ ამიერკავკასია ჩამოეცილებინა რუსეთისათვის და წამოეყენებინა მისი დამოუკიდებლობა, რათა უფრო მეტი ტერიტორია ჩაეგდო ხელში. ასე, რომ გერმანიისა და თურქეთის ინტერესები ამიერკავკასიაში ერთმანეთს ემთხვეოდა.

როდესაც გერმანია კისრულობდა შუამავლის როლს საქართველოსა და თურქეთს შორის და ქმნიდა პირობებს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის, ეგრმანიის სახელმწიფოს ძირითადად საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში. ეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა 1918 წლის 27 აპრილს თურქეთსა და გერმანიას შორის საიდუმლო შეთანხმებაში, რაც მიზნად ისახავდა გავლენის სფეროებად ამიერკავკასიის განაწილებას.

1918 წლის 18 მაისს გერმანელმა გენერალმა ფონ ლოსოვმა გამოთქვა მზადყოფნა ამიერკავკასიის დელეგაციასა და თურქეთს შორის შუამავლად გამოსულიყო. იმავე წლის 2 მაისს გემ „მინა ხორნზე" სამსაათიანი საუბრის შემდეგ, ხელი მოანერეს ბათუმში შეთანხმებული ხელშეკრულების ტექსტს.

საქართველოს ხელისუფლება ნებას რთავდა გერმანიის ჯარებს განლაგებულიყვნენ რესპუბლიკის ყველა სარკინიგზო სადგურში. საქართველოში კი ყველა მნიშვნელოვან დასახლებულ პუნქტზე გადიოდა რკინიგზის ხაზი. შეთანხმების საფუძველზე ბათუმის, ფოთისა და ოჩამჩირის გარდა, გერმანელების შეიარაღებული ძალები განლაგდნენ თბილისში, ქუთაისში, გორში, სიღნაღში, ბორჩალოში, სამტრედიაში, ახალ სენაკში და სხვ. მათ რაოდენობაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტიც რომ მხოლოდ ფოთში 10 ათასი ჯარისკაცი იდგა, ხოლო თბილისში – უფრო მეტი. სოფლებში განლაგებული სამხედრო ნანილებიც კი შეიარაღებული იყვნენ თოფებით, ზარბაზნებით, ტყვიამფრქვევებითა და ზოგიერთ ადგილას სამხედრო თვითმფრინავებით. რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაშვებული იქნა გერმანული მარკა ქართულ ფულთან ერთად.

უცხო ქვეყანასთან ომის შემთხვევაში გერმანელებს უფლება ეძლეოდათ სურვილისამებრ გამოეყენებინათ საქართველოს ნავსადგურებში

მყოფი ყველა სახის გემი. გემის კაპიტნებს ეძლეოდათ დროებითი მოწმობები გერმანიის სამსახურში მათი გადასვლის შესახებ. ამ დროისათვის საქართველოში გერმანიის ოფიციალურ წამომადგენლად დანიშნული იყო გრაფი შულემბურგი, რომელიც 1912 წლიდან წარმოადგენდა გერმანიის კონსულს თბილისში.

1918 წლის ივნისში საქართველოს ხელისუფლება მოსახლეობას საზეიმოდ აუწყებდა, რომ გერმანიის შეიარაღებული ძალები თბილისში შემოვიდნენ მთავრობის მოწვევით, რომელთა ამოცანას წამოადგენდა საქართველოს საზღვრების დაცვა და ანარქიასთან ბრძოლა.

1918 წლის 11 ივლისს, 5 საათზე, გოლოვინის (დღევანდელი რუსთაველის) პროსპექტზე, ჩატარდა საქართველო-გერმანიის ჯარების სამხედრო აღლუმი. სამივე სახეობის ჯარები ჩამწკრივდნენ სასახლიდან დაწყებული დიდების ტაძრის მიმართულებით – ერთ მხარეზე გერმანელები, მეორეზე – ქართველები სრული საბრძოლო არჭურვილობით. აღლუმს ესწრებოდნენ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. რამიშვილი, გერმანიის ელჩი, გრაფი შულენბურგი, სამხედრო მინისტრი გორგაძე, გენერალ-ლეიტენანტი გაბაევი და ობერ ლეიტენანტი კაიზერი ოფიცერთა ჯგუფის თანხლებით.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ და გერმანიის მისიის შემოსვლამ საქართველოში დიდი შეშფოთება გამოიწვია საბჭოთა რუსეთში. ბოლშევიკები ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ყოფილი იმპერიის მთელი ტერიტორიის გასაბჭოებას ვარაუდობდნენ და ყოფილ კოლონიურ ქვეყნებს ახლა ბოლშევიკების „საკუთრებად“ აცხადებდნენ. ამასთან დაკავშირებით 1918 წლის 8 ივლისს სტალინი სწერდა კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისარს სტეფანე შაუმიანს: „ამიერკავკასიის საკითხში ჩვენი ზოგადი პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ გერმანელები ვაიძულოთ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საკითხები ოფიციალურად აღიარონ რუსეთის შინაურ საკითხებად, რომელთა გადაწყვეტაში გერმანელები არ უნდა იღებდნენ მონაწილეობას. სწორედ ამიტომ არ ვცნობთ ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობას, რომელიც გერმანიამ სცნო“.

ამ წერილიდან ნათლად ჩანს, რას უპირებდა მომავალში საბჭოთა რუსეთი საქართველოს. უკვე ამ დროიდან მზადდებოდა 1921 წლის თებერვლის ტრაგედია.

მართალია, რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარება ჩაკარდნებითა და წინააღმდეგობებით ხასიათდებოდა, იყო გამოსვლები გლეხობის მხრიდან (რომელთა დასაწყნარებლად გერმანული სამხედრო შენაერ-

თებიც იქნა გამოყენებული), მაგრამ ეს ეხებოდა მოთხოვნებს ხელისუფლებისადმი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და არავითარ შემთხვევაში 1918 წლის 26 მაისის აქტის უგულებელყოფას. თუმცა გამოსვლების თავის სასარგებლოდ გამოყენებას ცდილობდნენ ბოლშევიკები.

საქართველოში გერმანელების მყარად დამკვიდრებას ხელი შეუწყო მთავრობის გადაწვეტილებამ, გაეტარებინა კანონი წიაღის მონოპოლიზაციის შესახებ და ეს მონოპოლია გადაეცა საქართველო-გერმანიის სამთამადნო საზოგადოებისათვის, რომელსაც მიეცემოდა საქართველოს ტერიტორიაზე წიაღის ექსპლოატაციის საგანგებო უფლება.

გერმანიის დელაგაციის სამეურნეო განყოფილებაში გამუდმებით ირეოდნენ გერმანიდან და უკრაინიდან ჩამოსული ბიზნესმენები. აქ იკრიბებოდნენ ადგილობრივი კომერსანტებიც, რომელთაც სურდათ გერმანიიდან გამოენერათ სხვადასხვა საქონელი, ყველაზე უფრო დიდი მოთხოვნილება იყო მაუდზე, ბამბის ქსოვილებსა და ფოლადის ნაწარმზე.

თბილისიდან გერმანელები ამზადებდნენ ძლიერ ექსპედიციას ბაქოს ნავთობის ხელში ჩასაგდებად. ამ მიზნით 1918 წლის ივნისში თბილისში დამატებით შემოიყვანეს გერმანიის დიდი სამხედრო ნაწილები, რომელთა შემადგენლობაში შედიოდა საავიაციო ქვეგანაყოფები, კავალერიის ბრიგადები და მძიმე არტილერია. მხოლოდ გერმანელი მფრინავები, მძღოლები, რკინიგზელები და სხვა სამხედრო სპეციალისტების რაოდენობა თბილსიში 2000-ზე მეტ კაცს აღწევდა.

1918 წლის აგვისტოს ბოლოს საქართველოში იმყოფებოდა გერმანელების ორი პოლკი. პოლკში იმყოფებოიდა ორი ბატალიონი. სამხედროები აღჭურვილი იყვნენ ატრტილერიისა ტყვიამფრქვევების სათანადო რაოდენობით. გარდა ამისა, აქ იმყოფებოდნენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები: მფრინავები, რკინიგზელები, ავტომძღოლები, ელექტროტექნიკოსები, რადიოტელეგრაფისტები, სამედიცინო პერსონალი და სხვ. ახლად დანიშნულ გერმანელ სარდალს, პოლკოვნიკ ფონ-დერ ჰოლცს დამატებით ჩამოყვა 1 100 სამხედრო მოსამსახურე.

„საქართველოში ჩვენ უნდა გვემოქმედა ენერგიულად – წერს თავის მოგონებებში ლიუდენდორფი, – ამას მოითხოვდა ნედლეილით ჩვენი მომარაგების პირობები... ბაქოდან ნავთის მიღება ჩვენ იმ შემთხვევაში შეგვეძლო, თუ მარტო ჩვენს საკუთარ ძალებს დავეყრდნობოდით... პოლკოვნიკ ფონ-კრესს უნდა მოეგვარებინა ექსპლოატაცია ბათუმი-თბილის-ბაქოს რკინიგზისა, სადაც ვაგონცისტერნების დიდი პარკი იყო".

შეშფოთებულმა თურქეთმა საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებას მოსთხოვა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა რკინიგზა ოტომანის იმპერიისათვის გადაეცა. ამასთან დაკავშირებით საქართველოში გერმანიის მთავრობის წარმომადგენელმა, გრაფმა შულენბურგმა დეპეშით მიმართა ოტომანის დელეგაციის თავმჯდომარეს ბათუმში – ხალილ-ბეის, სადაც აგრძნობინა, რომ საქართველოს რკინიგზას გერმანელების სახით ახალი პატრონი ჰყავდა.

გერმანელებმა მთავრობის ლოალობის შედეგად, ფაქტიურად დაიკავეს ინფორმაციისა და კავშირგაბმულობის საშუალებანი. ამას ხელი შეუწყო მთავრობის მიღებულმა დირექტივამ: „აღმოუჩინათ ყოველმხრივი დახმარება გერმანელი სამხედროებისათვის კერძო ბინებში ჩასასახლებლად". აღნიშნულ გადაწყვეტილებას რომ გართულებები არ გამოწვია, გერმანელები ცდილობდნენ პირველ რიგში მოსახლეობის განიარაღებას, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში „გერმანელები სასტიკად ცემდნენ როგორც მამაკაცებს, ასევ ქალებს... ახდენდნენ სახლების ჩხრეკას", – აღნიშნულია საქართველოს მთავრობის მოხელის პატაკში. იარაღის ჩამორთმევასთან ერთად, გერმანელები მოსახლეობას მუქარით ართმევდნენ პროდუქტებსაც.

დროთა განმავლობაში გერმანელები უხეშად ერეოდნენ რესპუბლიკის საშინაო საქმეებში როგორც ცენტრში, ასევე პერიფერიებში. იქ, სადაც განლაგებული იყო მათი ჯარის ნაწილები, გერმანელებმა მიითვისეს როგორც სამართალდამცავი ორგანოების ფუნქციები, ისე სოფლისა და ქალაქის მმართველობის უფლებაც.

ასეთი ურთიერთობა უფრო საოკუპაციო რეჟიმს ჰგავდა, ვიდრე მეგობარი ქვეყნის თანადგომას ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად.

გერმანელების პრივილიგირებულმა მდგომარეობამ განაპირობა საქართველოში მცხოვრები ოსების გააქტიურება. მათმა წარმომადგენლობამ 1918 წლის ივნისში მიმართეს გერმანიის რწუნებულს გრაფ შულენბურგს, რომ შუამდგომლობა გაეწია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან „ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის" შეერთებაზე საქართველოსთან ფედერაციულ პრინციპებზე.

გერმანელები საქართველოში შემოსვლის პირველი დღეებიდანვე თანაგრძნობას გამოხატავდნენ მონარქიის აღდგენის მსურველებისადმი. ასეთმა დამოკიდებულებამ ფეოდალურ არისტოკრატიას მონარქიის აღდგენის გარკვეული იმედი ჩაუსახა. როგორც ჩანს გერმანელები მონარქისტებში დასაყრდენ ძალას ხედავდნენ. გერმანელების მხრიდან იყო

წინადადება, საქართველოს სამეფო ტახტზე დაესვათ ბაგრატიონთა ერთ-ერთი შთამომავალი ან გერმანიის რომელიმე პრინცი. ამ საკითხზე მოლაპარაკება მიმდინარეობდა მოსკოვშიც, საქართველოს წარმომადგენელსა და საბჭოთა რუსეთში გერმანიის ელჩს – გრაფ მირბახს შორის.

მეფობის აღდგენას განსაკუთრებით უჭერდნენ მხარს ქართლის მინის მფლობელები. იყო ცდა გორის მაზრის მემამულეების მიერ გერმანელების შეიარაღებული ძალების მხედართმთავარის გენერალ ფონ-კრესის გადაბირებისა, რომელსაც სთხოვდნენ მონაწილეობა მიეღო მონარქიის აღსადგენად სახელმწიფო გადატრიალების მოწყობაში. საბოლოოდ გერმანელებმა თავი შეიკავეს აღნიშნულ აქციაში მონაწილეობის მიღებაზე. ქართველი შეთქმულები მთავრობამ დააპატიმრა. როგორც ნოე ჟორდანია იგონებს, გერმანია რომ მონარქისტებს დახმარებოდა, „მათი გამარჯვებით მოხდებოდა დიდი უბედურება – სამოქალაქო ომი, ქართველებ-გერმანელების შეტაკება, სოფლების აჯანყება, თავისუფალი საქართველო დაილუპებოდა ექვს თვეში, მის შემდეგ ველარ აღდგებოდა, მით უფრო, რომ შორიდან უკვე სჩანდა გამარჯვებული ინგლისი, ჩვენ სამტროდ განწყობილი".

გერმანელების შემოსვლის შემდეგ ყოველმხრივ გაუმჯობესდა გერმანელი კოლონისტების მდგომარეობა. 28 მაისს დადებულ ხელშეკრულებაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა გერმანელი კოლონისტების დაცვას საქართველოში. რესპუბლიკის მთავრობა ვალდებულებას იღებდა დაედასტურებინა რუსეთის იმპერიის ძველი ბრძანებები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ აქ მცხოვრები კოლინსტების პრივილეგიებს. რა თქმა უნდა, გერმანელები სერიოზულ დასაყრდენს ხედავდნენ კოლონისტებში საქართველოს ტერიტორიაზე. საგულისხმოა, რომ გერმანელებმა კოლონისტების მობილიზაცია გამოაცხადეს.

გერმანიის კონსულებს საქართველოში, და საერთოდ გერმანის დიპლომატიურ წარმომადგენლებს, სხვა უფლებამოსილების გარდა, ნება ეძლეოდათ დაეცვათ საქართველოში დასახლებული გერმანელი კოლონისტების ინტერესები. საქართველოს ხელისუფლება, როგორც აღვნიშნეთ, ვალდებულებას კისრულობდა არ შეეცვალა რუსეთის იმპერატორების ბრძანებულებანი, რომლებიც ეხებოდა გერმანელ კოლონისტებს საქართველოში. მთავრობის უნდა დაეცვა „ამ კოლონისტებისათვის მინიჭებული თავისუფლებანი და უპირატესობანი".

ფაქტიურად გერმანელები კოლონისტების მიმართ მოითხოვდნენ ისეთივე დამოკიდებულებას, რასაც რუსეთის ხელისუფლება. გამოდის, რომ ჩამოსახლებულ ეროვნულ უმცირესობას უფრო მეტი პრივილე-

გიები უნდა ჰქონოდა, ვიდრე ადგილობრივ, მკვიდრ მოსახლეობას.

მოგვიანებით აღნიშნული ვითარებაც აღარ აკმაყოფილებდა გერმანელთა მისიას და კიდევ უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვდნენ საქართველოს ხელისუფლებისაგან. მაგალითად, 1918 წლის 19 სექტემბერს ფონ-კრესმა წერილობით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს, სადაც აღნიშნავდა, რომ „... მთავრობას ისეთი პირობები შეექმნა კოლონისტებისათვის, რის შემდეგაც საშუალება მიეცემოდათ მომავალში შეესრულებინათ ეროვნული და კულტურული ამოცანები". ამასთან დაკავშირებით ფონ-კრესი მოითხოვდა გადასინჯულიყო საქართველო – გერმანიას შორის დადებული ხელშეკრულება და მასში შეეტანათ დამატებები „გერმანელ კოლონისტთა ინტერესების შესახებ".

გერმანელი სამხედროებისაგან ზურგგამაგრებული კოლონისტები მბრძანებლურად ეპყრობოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, ფაქტიურად გერმანელები ისე იქცეოდნენ როგორც დაპყრობილ ქვეყანაში.

1918 წლის ივლისში თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ასურეთის მცხოვრებმა 25 გერმანელმა კოლონისტმა 15 გერმანელ ჯარიკაცთან და ერთ ოფიცერთან ერთად განაიარაღეს რამდენიმე ქართული სოფელი. განიარაღების დროს გერმანელები მკაცრად ექცეოდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. რიზგებით სცემდნენ ქალებს და კაცებს. კლავდნენ გლეხების ძაღლებს, იჭრებოდნენ სახლებში და ახდენდნენ ჩხრეკას. იარაღის დამალვის შემთხვევაში ისე სასტიკად სცემდნენ გლეხებს, რომ ზოგიერთი მათგანი ილუპებოდა.

1918 წლის 1 აგვისტოს კვლავ ასურეთში მცხოვრებმა გერმანელებმა სოფ. ბოგვში (დღევანდელი ჯორჯიაშვილი) ქართველ გლეხებს წართვეს 60 ფუთი ხორბალი და თანაც უბრძანეს საკუთარი ურმებით ჩაეტანათ მათთვის ასურეთში. იმავე თვეში გერმანელების რაზმმა სოფ. მუხრანს დააკისრა 35 ათასი მანეთის გადახდა. მცხეთის რაიონის კომისარი განაიარაღეს და დაპატიმრეს.

1918 წლის შემოდგომაზე ბორჩალოს მაზრა ფაქტიურად გერმანელთა სათარეშო ასპარეზად აქციეს და საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციას ჩამოაცილეს. მაზრაში მათ თვითნებურად დაანესეს ფასები, ხორბალზე – 150 მანეთი, ხორბლის ფქვილზე – 200 მანეთი, ქერზე – 70 მანეთი. სოლანლულის გზით ბორჩალოს მაზრიდან ყოველდღიურად მოჰქონდათ რამდენიმე ურემი პურ-პროდუქტები, ურმებს აცილებდა გერმანელების შეიარაღებული დაცვა. საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების კანონიერ მოითხოვნაზე გერმანელები ცეცხლით პასუხობდნენ.

21 სექტემბერს ღამის 2 საათზე, სადგურ სანაინის რაზმის მთვრალ გერმანელ ჯარიკაცთა ჯგუფი ძალით შეიჭრა მე-2 კლასის დარბაზში, სადაც მგზავრებისაგან მოითხოვდნენ ქალიშვილების დათმობას. „მგზავრები შეშინდნენ, ატირებული ქალები მუხლმოდრეკით ემუდარებოდნენ – არაფერი დაგვიშაოთო".

გერმანელები განსაკუთრებით ავიწროებდნენ ბირჩალოს მაზრის აზერბაიჯანულ სოფლებს. 11 აგვისტოს სოფელ ჯასუმლოს გლეხებს ნაართვეს 65 ფუთი ხორბალი, ამავე დროს მოსთხოვეს 9 ათასი მანეთი. სოფ. ბორჩალოს მცხოვრებლებს მოსთხოვეს სამი საათის განმავლობაში 150 ათასი მანეთი გადაეხადათ კოლონისტების სასარგებლოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ მთელი სოფლის გადაწვით.

ჯარისკაცები გერმანელი კოლონისტების სასარგებლოდ ძარცვავდნენ ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ სოფლებს, არ ერიდებოდნენ აშკარა ძალმომრეობას, თვითონვე ასამართლებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და აკისრებდნენ გადასახადს. უფრო მეტიც, გახშირდა თავდასხმები სახალხო გვარდიის ჯარიკაცებზეც. ქართველი საზოგაფოება აღაშფოთა მომხდარმა ფაქტმა. გლეხობის წარმომადგენლები აცხადებდნენ, „რომ იარაღით დაიცავდნენ თავიანთ ღირსებასა და თავისუფალი მოქალაქის სახელს".

მოსახლეობაში ანტიგერმანული განწყობილების შექმნას მისიის წარმომადგენლებიც ამჩნევდნენ. გენერალმა ფონ-კრესმა ნოე ჟორდანიასთან საუბარში განაცხადა, რომ „როგორც მას ესმის, ქართველი ხალხი უარყოფითად ეკიდება გერმანელთა ყოფნას საქართველოში, ამავე დროს კი გერმანიიის ჯარები მოვიდნენ აქ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მთავრობის სურვილის თანახმად". ნ. ჟორდანიამ, თავის მხრივ, პირდაპირ პასუხს თავი აარიდა და დიპლომატიურად შენიშნა, რომ „საქართველოში გერმანელთა ყოფნით ქართველი ხალხის უკმაყოფილება – გაუგებრობაა...".

სინამდვილეში საქართველოს ხელისუფლება კარგად ხედავდა გერმანიის პოლიტიკის ნამდვილ არსს საქართველოს მიმართ. მთავრობის ოფიციოზი ამასთან დაკავშირებით მიუთითებდა: „მიამიტობა იქნებოდა მოლოდინი იმისა, რომ თითქოს გერმანია უანგაროდ დაუჭერს მხარს ქართველ სოციალ-დემოკრატიას... ამრიგად, ყველაფერი ეხება საკითხს – საქართველოში გერმანიის რეალური ინტერესების შესახებ. გერმანელები საქართველოში მოვიდნენ არა სოციალ-დემოკრატებისა და არა ნაციონალ-დემოკრატების გულისათვის, არამედ მარგანეცის, სპილენძის, ხე-ტყისა და ქვეყნის სხვა ბუნებრივი სიმდიდრის გულისათვის".

მართლაც, როდესაც საქართველოს მოსახლეობას ეკონომიურად ძალიან უჭირდა, თვით ფონ-კრესის აღიარებით, გერმანელებმა საქართველოდან გაიტანეს 31 ათასი ტონა მარგანეცი, 66,7 ტონა სპილენძი, 360 ტონა მატყლი, 45 ტონა ძონძები, 40,350 ცალი ცხვრის ტყავი, 340 ცალი რეზინის სალტე, 1201 ცალი ავტოსაფარი და სხვ. სამაგიეროდ – აცხადებდა ფონ-კრესი, – გერმანელებს განზრახული ჰქონდათ საქართველოში შემოეზიდათ გერმანული საქონელი, მაგრამ, ვერ მოხერხდა ჯერჯერობით, რადგან... გერმანიის ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაშია და საქონლის ყოველგვარი მარაგი ამოწურულიაო.

ამდენად, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ქართველი პოლიტიკოსები კარგად იყვნენ გარკვეული გერმანელების ნამდვილ ზრახვებში. ზემოაღნიშნული დათმობები განპირობებული იყო თავისუფლების ფასზე ახლად გამოსული საქართველოს სიძნელებით, რომელსაც გარშემო უამრავი მტერი ეხვია. თურქეთისაგან თავის დაღწევას გერმანიის ჩარევის გარეშე, საქართველო ვერ შეძლებდა. გერმანელებმა კი, სავსებით ბუნებრივია, ისარგებლეს ჩვენი ქვეყნის მძიმე მდგომარეობით და შეეცადნენ სარგებელი მეტი ენახათ.

1918 წლის მაისის ბოლოს საქართველოში შემოსული გერმანელები აქ დიდხანს არ გაჩერებულან. 1918 წლის 9 ნომებერს გერმანიაში დაიწყო რევოლუცია, რომელმაც ტახტიდან ჩამოაგდო ვილჰელმ II, ხოლო 11 ნოემებრს გერმანიის წარმომადგენლები იძულებული იყვნენ კომპიენის ტყეში ხელი მოეწერათ დაზავებაზე, რომლითაც გერმანია თავს დამარცხებულად ცნობდა. ამის შემდეგ გერმანია იძულებული გახდა დაეტოვებინა ამიერკავკასია და კონკრეტულად საქართველო. 1918 წლის 26 დეკემბერს ფოთიდან გავიდა გერმანიის ჯარების უკანასკნელი ეშელონი.

ბუნებრივია გერმანელ კოლონისტებს ამის შემდეგ მოაკლდათ ის მხარდაჭერა, რაც მათ პრივილეგიურ მდგომარეობას ყოველმხივ უზრუნველყოფდა.

მიუხედავად გერმანიის მხარდაჭერისა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში, რესპუბლიკის ფაქტიური ცნობის შემდეგ ისინი არ ჩქარობდნენ ჩვენი ქვეყნის იურიდიულ აღიარებას. გერმანიამ საქართველო დე-იურედ ცნო მხოლოდ 1920 წლის 24 სექტემბერს. მანამდე საქართველოს დამოუკიდებელობა იურიდიულად აღიარა თურქეთმა 1918 წლის 3 ივნისს, არგენტინამ 1919 წლის 13 სექტემბერს და რუსეთმა 1920 წლის 7 მაისს.

1921 წლის იანვრის პირველ დღეებში იტალიური თბომავალ

„ფრანც ფერდინანდით" ბათუმში ჩამოვდია გერმანიის ელჩი საქართველოში როშერი. მოგვიანებით იგი დიდი პატივისცემით მიიღეს თბილისში. ელჩს თან ახლდა საელჩოს მრჩეველი ანდერსი, რომელიც ადრე ფოთში ასრულებდა ექს-კონსულის მოვალეობას. გარდა ამისა, გერმანიის დელეგაციაში შედიოდნენ საკმაო დიდი რიცხვი პირებისა, რომელთაგან უმეტესობა სხვა ეროვნების პასპორტებით ჩამოვიდა. ბათუმში მყოფი ფრანგი კონტრადმირალის დიუმენილის სიტყვით, ეჭვს გარეშე იყო, რომ მისიის აქტივობა ანტანტის წინააღდმეგ იქნებოდა მიმართული.

დიუმენილის მოხსენებითი ბარათის მიხედვით, რომელიც საფრანგეთის ხელისუფლებას გაეგზავნა, გერმანიის დელეგაციის ჩამოსვლის შემდეგ ანტიფრანგული პროპაგანდა დაიწყო ბათუმში, სახელდობრ, გერმანელები ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ ფრანგები ადრე მხარს უჭერდნენ ცარიზმს და ახლა სურდათ ძველი რუსეთის აღდგენა მის ადრინდელ საზღვრებში, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას ნიშნავდა.

ფრანგების აზრით, საქართველოში გერმანელების ეკონომიკური გავლენა აქამდე იტალიის დროშით ინიღბებოდა. იმ მომენტში კი ეს საშიშროებას აღარ წარმოადგენდა, რადგან სუფთა გერმანული კომერციული ოპერაციები იფარგლებოდა საქონლის ისეთი სახეებით, რომლებიც მარკის გაუფასურებას ძალიან განიცდიდა. მდგომარეობა მთლიანად შეიცვლებოდა მაშინ, როდესაც განახლდებოდა გერმანული საქონლის პირდაპირი ექსპორტი. მაშინ საფრანგეთისა და ინგლისისთვის კონკურენცია სახიფათო გახდებოდა, მით უფრო, რომ საქართველოში ბევრი იყო გერმანული კოლონიები მათი მოხერხებული და გავლენიანი წარმომადგენლებით.

მაგრამ საქართველოს აღარ დასცალდა ევროპის თუ სხვა კონტინენტის ქვეყნებთან ურთიერთობა მომავალში ნორმალურად განეკითარებინა. 1921 წლის შავმა თებერვალმა კიდევ ერთხელ დააჩოქა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზაზე მდგარი ჩვენი სამშობლო.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობას გერმანელები სკეპტიკურად შეხვდნენ. ზოგიერთი მათგანი გასაბჭოებას უარყოფითად აფასებდა. მხოლოდ მცირე ნაწილი თანაუგრძნობდა ახალ ხელისუფლებას. საერთოდ კი კოლონისტები ამჯობინებდნენ პოლიტიკისაგან განზე დგომას.

გერმანელების შემოსვლის პროცესი საქართველოში 20-იანი წლების დასაწყისშიც გრძელდებოდა. როგორც ცნობილია 1921 წელს შიმშილობამ მთელი რუსეთი მოიცვა. უბედურება განსაკუთრებით მძვინვარებდა

გერმანელებით დასახლებულ ვოლგისპირეთში. მიუხედავად ამისა, აქ, გერმანელების ავტონომიურ ოლქში, ამერიკიდან და გერმანიიდან დაბრუნდნენ ის კოლონისტები, რომლებიც ნავიდნენ სტოლიპინის რეაქციისა და პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. ამ დროისათვის საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე ითვლებოდა 2 ათასზე მეტი გერმანული სოფელი (ძველი ოფიციალური ტერმინოლოგიით „კოლონია"), სადაც ცხოვრობდა 1 მილიონი ადამიანი.

რუსეთის ტერიტორიაზე მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი გერმანელები დამხარებას საქართველოში მცხოვრებ გერმანელებს სთხოვდნენ, ხშირი იყო მათი ჩამოსვლაც. მაგალითად, 1921 წლის შემოდგომაზე ვოლგისპირეთიდან თბილისში ჩამოვიდა 41 წლის ალექსანდრე პელში მეუღლით და 10 წლის შვილით. გერმანელთა ეროვნული საბჭო საქართველოს ხელისუფლებას თხოვნით მიმართავდა, რათა ყოველგვარ პირობებს მოკლებული ლტოლვილებისათვის დამხარება აღმოეჩინა.

1921 წლის ბოლოს ვოლგისპირეთიდან 23 ლტოლვილი გერმანელი ჩამოვიდა, ისინი მოათავსეს ნერსესის ქუჩაზე. ამ დროისათვის ჩვენს დედაქალაქში შექმნილი იყო „ვილგისპირეთის დამშეულთა დახმარების კომიტეტი", რომელიც მაქსიმალურ დახმარებას უწევდა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანებს. ვოლგისპირეთის დამშეული გერმანული მოსახლეობის დასახმარებლად წალკის რაიონის სოფელ („კოლონია") ალექსანდრესგილფიდან შეგროვდა 7375250 მანეთი.

1922 წელს თბილისში ცხოვრობდა 2457 გერმანელი, 1926 წელს მათმა რიცხვმა 3156 სული შეადგინა. ამავე წლის სრულიად საკავშირო აღწერით საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ცხოვრობდა 1238486 გერმანელი, აქედან 184 769 – ქალაქებში, 1053717 – სოფლად. ვოლგისპირეთში გერმანელთა ავტონომიურ რესპუბლიკაში ითვლებოდა 379630 სული.

აქვე აღვნიშნავთ, რომ 1918 წელს ვოლგისპირეთის გერმანულ კოლონიათა საბჭოების I ყრილობის გადაწყვეტილებით, რომელიც 1918 წლის 19 ოქტომბერს ლენინის ხელმოწერილი დეკრეტით დაამტკიცა სახკომსაბჭომ, შეიქმნა ვოლგისპირეთის გერმანელთა ავტონომიური ოლქი, ან, როგორც კიდევ უწოდებენ, „შრომითი კომუნა". 1924 წელს ავტონომიური ოლქი გარდაიქმნა ვოლგისპირეთის გერმანელთა ავტონომიურ რესპუბლიკად.

საქართველოს ტერიტორიაზე გარდა საკუთრივ გერმანელებით დასახლებული სოფლებისა, მათი ნაწილი ადგილობრივ მოსახლეობასთან შერეულად ცხოვრობდა თბილისთან ახლოს სოფელ სართიჭალაში.

30-იანი წლების დასაწყისში მხოლოდ აღბულაღ-მანგლისის, ლუქსემბურგის, ბაშკიჩეთისა და ბორჩალოს რაიონებში 5924 გერმანელი ცხოვრობდა.

1930 წელს ლუქსემბურგის რაიონში მცხოვრებმა გერმანელებმა გადაწვიტეს დაეტოვებინათ საქართველო და გერმანიაში გამგზავრებულიყვნენ. წავსლის წინ ისინი მოითხოვდნენ კომპენსაციას დატოვებული შენობების, ბაღების, ვენახისა და საბოსტნე ნაკვეთებისათვის. ასევე დამუშავებული ნიადაგის გამო, რომელსაც ტოვებდნენ მოსავლის აულებლად.

გერმანაიში გამგზავრება სურდა რამდენიმე ათეულ გერმანულ ოჯახს. კომპენსაცია 100 ათას მანეთს შეადგენდა მაშინდელი კურსით. რესპუბლიკის სახკომსაბჭომ უარი განაცხადა გერმანელებისათვის რაიმე ანაზღაურებაზე, იმ მოტივით, რომ ისინი ნებაყოფილებით ტოვებდნენ საქართველოს და მათ არავინ აიძულებდა აქედან წასულიყო.

იმავე წელს აღნიშნულ რაიონში მცხოვრებ ერნსტ და გოტლიბ ალმენდინგერებს, გიორგი ვიდმაიერს მათ სარგებლობაში არსებული ვენახი ჩამოართვა ადგილობრივმა ხელისუფლებამ და გადასცა სასოფლო-სამეურნეო არტელს. ამდენად, დასახელებულ გერმანელთა შრომითი საქმიანობა ძალდატანებით იქნა შეწყვეტილი, ისინი იძულებული გახდნენ მოეხდინათ დანარჩენი ქონების ლიკვიდაცია, რაზეც სასოფლო-საბჭოსაგან 1930 წლის 7 თებერვალს მიიღეს თანხმობა. მოგვიანებით გერმანელებმა სარჩელი აღძრეს უზენაეს სასამართლოში და ჩამორთმეული ქონების სანაცვლოდ მოითხოვდნენ 102483 მანეთსა და 50 კაპიკს.

სასამართლომ უარი განაცხადა რაიმე კომპენსაციის მიცემაზე. მოკლე ხანში ძალდატანებით შემქნილი კოლმეურნეობა სწრაფად დაიშალა. სასოფლო საბჭომ ერთი პირობა გადაწვიტა ნაკვეთები კვლავ გერმანელებისათვის დაებრუნებინა, მაგრმ მათ უარი განაცხადეს.

ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, როგორც დავინახეთ, გერმანელი კოლონისტების მიმართ მეფის რუსეთის მთავრობა განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა, რადგან მათი კავშირ-ურთიერთობა გერმანიასთან რუსეთის სახელწმიფო ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედების საშიშრობას ქმნიდა. შესაძლოა, ეს საშიშროება იყო მეორე მსოფლიო ომის დროსაც. პირველი მსოფლიო ომის დროს რუსეთის სახელმწიფო ადმინისტრაცია იმას დასჯერდა, რომ გერმანელთა კოლონიებს სახელწოდება შეუცვალა (მაგალითად, ალესანდერსჰილფს უწოდა ალექსანდროვსკოე, პეტერსდორფს – პეტროვსკოე, მარიენ-

ფელდს – მარინო, ფრაინდენტალს – ვესიოლოე (აწ საქართველოს სასაზღვრო რაიონი რუსეთთან). ელიზავეტალს – ასურეთი, ხოლო ეკატერინენფელდს – ეკატერინოვკა.

მეორე მსოფლიო ომის დროს კერძოდ, ომის დაწყებისთანავე, განხორციელდა გერმანელი მოსახლეობის პირწმინდად გასახლება ქვეყნის ცენტრალური და სამხრეთ რეგიონებიდან. მათ შორის საქართველოდან ალმოსავლეთ რაიონებში.

საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ საქართველოდან, და არა მხოლოდ საქართველოდან, გერმანელი მოსახლეობის აყრა უსამართლო აქცია იყო და, როგორც შემდგომმა მოვლენებმა ცხადყვეს, ალბათ, არც აუცილებელი, მაგრამ მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ გასახლება განხორციელდა გერმანია – საბჭოთა კავშირის ომის ყველაზე მძიმე ეტაპზე, დაძაბულ სტრატეგიულ ვითარებაში, როდესაც ფაშისტური არმიის ნაწილები მოსკოვის მისადგომებს მიადგნენ, ქვეყანა დიდი საფრთხის წინაშე დადგა. ამასთან, გერმანიის სარდლობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კავკასიის დაპყრობის ჰიტლერული გეგმის რეალიზაციას. საბჭოთა კავშირის ხელისუფლება ლამობდა მოესპო დასაყრდენი მტრისათვის გერმანელი მოსახლეობის სახით. ასეთ შიშსა და ზედმეტ სიფრთხილეს შეწირა მრავალი ადამიანის სიცოცხლე. გასახლებული გერმანელი მოსახლეობიდან იყვნენ ბავშვები, მოხუცები და სხვები, ვინც ვერ გადაიტანა შორეული მგზავრობა და გაჭირვება.

მართალია, გერმანელთა გასახლება ოფიციალურად ომის დაწყების შემდეგ მოხდა, მაგრამ, ეს აქცია დიდი ხნით ადრე მზადდებოდა. უფრო მეტიც, როგორც ზევით დავინახეთ საბჭოთა ხელისუფლება აშკარად ისეთ პირობებს უქმნიდა გერმანელ მოქალაქეებს, რომ იძულებული გაეხადა თვითონ გამოეთქვა გერმანიაში წასვლის სურვილი.

გასახლებული გერმანელების საცხოვრებელი ადგილი ისევ ქართლის მთიანეთიდან ჩამოსახლებულმა ქართველებმა დაიკავეს. ასე შემორჩა დღეს არსებული რამდენიმე ქართული სოფელი ბოლნისსა და მარნეულში. ეს პროცესები ბერიას უშუალო მითითებით ხორციელდებოდა და, ნებსით თუ უნებლიეთ, საქართველოსთვის დადებითი შედეგები გამოიღო.

იმ დროს, როდესაც გერმანელებს ასახლებენდნ საქართველოდან, ლუქსემბურგიდან (ბოლნისელმა) პაულ შმიდტმა, რომელმაც კარგად იცოდა აზერბაიჯანული ენა, გარდაცვლილი მეგობრის ალი ახმედოვის სახელით იბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ და ბერლინამდე ჩავიდა. მოგვიანებით, მარშალ ჟუკოვის პირადი მითითებით, მას დაუბრუნეს ნამდვილი გვარი.

ომის პერიოდში შეიქმნა ე. წ. შრომითი არმიები, სადაც „საბჭოთა“ გერმანელები იყვნენ ჩართული. 1947 წლის ბოლოს შრომითი არმიები ძირითადად დემობილიზებული იქნა და მრავალ გერმანელს უფლება მიეცა დაბრუნებულიყვნენ იქ, საიდანაც 1941 წელს გაასახლეს, მაგრამ 1948 წლის 26 ნოემბერს გამოქვეყნდა ახალი ბრძანება, სადაც ნათქვამი იყო, რომ გერმანელები, როგორც კალმიკები, ინგუშები, ჩეჩნები, ყარაჩაელები, ბალყარელები, ყირიმელი თათრები და სხვა ხალხის წამომადგენელები გადასახლებული არიან მუდმივად და მათი წამოსვლა საცხოვრებელი ადგილიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული ნებართვის გარეშე ისჯება საკატორღო სამუშაოებით 20 წლის ვადით.

ადამიანებისათვის, რომლებიც იმედით ცხოვრობდნენ დაბრუნებოდნენ მშობლიურ ადგილებს, აღნიშნული ბრძანება ნამდვილ კრახს წამოადგენდა. მთელი ხალხები გახდნენ დევნილნი საკუთარ ქვეყანაში. იმ წლებში „საბჭოთა“ გერმანელებს არ შეეძლოთ შესულიყვნენ პარტიაში, ესწავლათ უმაღლეს სასწავლებელში ან ემსახურათ არმიაში. მხოლოდ 1974 წლის უმაღლესი ხელისუფლების გადაწვეტილებამ მისცა უფლება გერმანელებს დაბრუნებულიყვნენ მშობლიურ ადგილებს. თუმცა მთლიანობაში არც ეს გადაწვეტილება განხორციელებულა.

ძველ თბილისში, როგორც ჩანს გარკვეული „ეროვნული სპეციალიზაცია“ შემუშავდა. იგი განაგრძობდა არსებობას საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშიც, განსაკუთრებით „ნეპის“ დროს: კბილის ექიმები, ძირითადად, ებრაელები იყვნენ, ფოტოგრაფების უმრავლესობაც ებრაელებით იყო დაკომპლექტებული. მაგალითად, კოზაკი – თავისუფლების მოედანზე, შიხმანი – პუშკინის ქუჩაზე და სხვ. აფთიაქები უმეტესად გერმანელებს ეკუთვნოდათ. თბილისელი ევგენი ზემელი, ეროვნებით გერმანელი, აფთიაქის მეპატრონე, ტრამვაის ვაგონებს ფულს უხდიდა, რომ აფთიაქიდან ახლოს გაჩერებაზე მგზავრებისათვის ხმამაღლა შეეხისნებინა ზემელის გაჩერება.

დიდუბეში გერმანელ კოლონისტთა სახლები ძირითადად ერთსართულიანი იყო, მაღალი ორკალათიანი სახურავებით, რომლებშიც დიდი სხვენი იყო მოწყობილი. ჯერ კიდევ მეფის ხელისუფლება იმედით უყურებდა კოლონისტებს, რომ ისინი ადგილობრივ მოსახლეობას მეურნეობის ევროპულ ყაიდაზე წარმოებას შეასწავლიდნენ. სინამდვილეში ასურეთელი გერმანელები ადგილობრივი დიდი გუთნით ხნავდნენ და ქართული კევრით ლენავდნენ ბურის ყანას.

გერმანელები აწარმოებდნენ შერეულ მეურნეობას, როგორიც იყო

მეღვინეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა და მეცხოველეობა. სამუშაო დღის საშუალო ხანგრძლიობა 12-16 საათს აღწევდა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ღვინისა და რძის სასურსათო კოოპერატივები ოთხჯერ იყვნენ დაბეგრილი, რის გამოც კონკურენციას ვერ უწევდნენ კერძო მწარმოებლებს და საერთოდ მათი მეურნეობის განვითარება ფერხდებოდა.

გერმანელთა ნაწილი მერძევეობის მეურნეობით იყო დაკავებული. მათთვის გამოყოფილ მიწებზე მოქმედებდა ყველისა და კარაქის ქარხნები. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ასეთი სახის მეურნეობის წარმოებას მეტნაკლებად რაციონალური ხასიათი ჰქონდა იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოებაში მონაწილეთა რაოდენობა 50-70 კომლზე ნაკლები იქნებოდა. აქედან გამომდინარე, მიწათმოქმედების კომისარიატს თხოვნით მიმართავდნენ ახალქალაქის მაზრის გერმანელები, რომ ხელისუფლებას გერმანელებით დასახლებულ სოფელში გამოეყო მიწები 30 კომლი გადმოსახლებული გერმანული ოჯახისათვის, რათა მეურნეობა რენტაბელური განხდარიყო.

ბორჩალოს მაზრის გერმანულ სოფელ ეკატერინენფელდში უკვე 1921 წლის შემოდგომიდან ჩამოყალიბდა მევენახეობისა და მეღვინეობის კოოპერატივები, რომელსაც თავისი წესდება გააჩნდა. ამავე მაზრაში, კოლონია ვალდჰეიმში, შეიქმნა მერძევეობის არტელი. ანალოგიური ამხანაგობა მოქმედებდა ნალკის რაიონის ტერიტორიაზე, კოლონია ალექსანდერს გილფში.

საერთოდ მერძევეობის განვითარებაზე საქართველოში გავრცეული გავლენა მოახდინეს გერმანელმა კოლონისტებმა. 1922 წელს მათი ქარხნები ბორჩალოს მაზრაში იჯარით ჰქონდათ აღებული კოოპერატივებს. ასე მაგალითად, სოფელ მაშუტლოში კურტ კუჩენბახის ქარხანა აღებული ჰქონდა მუშათა კოოპერატივს. სოფელ მოგაზ კასანეში ალექსანდრე კუჩენბახის ქარხანა – მთლიან სამხედრო კოოპერატივს და სხვა.

ამავე პერიოდში კოლონია ტრაუბენბერგში ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა, ხოლო კოლონია ელიზავეტალში დაიწყო ელექტროსადგურისა და წისქვილის მშენებლობა.

თბილისის ახლოს არსებული გერმანელთა კოლონია – ალექსანდერსდორფის მოსახლეობას 1921 წლის ოქტომბერში შეშის გადასაზიდად უნდა გამოეყვანა 20 ფურგონი. ხელისუფლება სხვადასხვა საჭიროებისათვის კიდევ ითხოვდა გერმანელებისაგან იმავე თვეში 64 ფურგონს.

ალექსანდერდორფი ადმინისტრაციულად ექვემდებარებოდა თბილისის მაზრის ავჭალის რაიონს, საქართველოში არსებულ გერმანულ კო-

ლონიებს შორის ალექსანდერორფი ყველაზე ღარიბსა და დანგრეულ კოლონიას წარმოადგენდა. ამასთან ერთად, დასახლებაც მცირერიცხოვანი იყო.

თბილისის მოსახლეობის ზოგიერთი მოთხოვნილების დასაკმაყოლებლად სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე გერმანელებს განსაზღვრული მოვალეობა ჰქონდათ დაკისრებული, ამიტომაც გერმანელები სთხოვდნენ ხელისუფლებას შელავათი გაეწია ზემოაღნიშნული დავალების შესასრულებლად.

თბილისში მოქმედმა გერმანიის სავაჭრო განყოფილებამ საქართველოს დამშეულთა მთავარ კომიტეტს შეატყობინა, რომ 1922 წლის 3 აპრილიდან მთელი თვის განმავლობაში გადაწყვეტილი ჰქონდა ღვინის შემოსავლის 5 პროცენტი გამოეყო საქართველოს მოუსავლიანობით დაზარალებული რაიონებისათვის.

1930 წელს გერმანელებისათვის შეიქმნა კოლმეურნეობები ასურეთსა და სართიჭალაში. იმავე წელს ლუქსემბურგელი გერმანელების ფრიც რაიზერის, მილლერ ფრანსის და სხვათა ინიციატივით ჩამოყალიბდა გერმანელთა კოლმეურნეობა „ანფანგ" (დასაწყისი). 1933 წლის 1 იანვრისთვის „ანფანგ"-ში უკვე გაერთიანებული იყო 480 ინდივიდიალური მეურნეობა, იმავე წელს შეემატა კიდევ 27 ოჯახი. ასეთ ვითარებას ჰქონდა ადგილი გერმანელებით დასახლებულ სოფელ ტრაუბენბერგშიც.

ლუქსემბურგში მცხოვრები გერმანელების ერთი ნაწილის ბედი იმავე პერიოდში სხვაგვარად დატრიალდა. 1929 წელს აქ ადგილი ჰქონდა მოჯამაგირეთა მძლავრ გამოსვლებს. საქართველოს მინა-ტყის მუშაკთა პროფკავშირის VIII ყრილობაზე (1930) ლუქსემბურგის რაიონის დელეგატმა გველესიანმა განაცხადა: 1929 წელს ცენტრალური გამგეობის მხარდაჭერით გაიფიცნენ მოჯამაგირეები, გაფიცვის გამო ლუქსემბურგის გერმანელი ქვეშევრდომები გერმანიაში წავიდენენ და უპატრონოდ მიატოვეს ბაღები.

როზენფელდის სამანქანო ამხანაგობაში თავმოყრილი იყო გერმანელთა შეძლებული ნაწილი, ჰქონდათ ტრაქტორი, მაგრამ დანარჩენ გლეხებს ტრაქტორით არ ასარგებლებდნენ, ამიტომ ისინი მოითხოვდნენ გერმანაიში დაბრუნებას.

20-იანი წლების ეკონომიკურად გაჭირვებულ საქართველოს მოქალაქეებს ხელისუფლების ორგანოები აძლევდნენ ე. წ. „სილარიბის მოწმობას". თბილისში ამ პერიოდში მოქმედებდა გერმანელების საავადმყოფო, რომელიც ყოველდღიურად უწევდა უფასო საექიმო დახმარებას 10 მოქალაქეს, ვისაც ექნებოდა აღნიშნული მოწმობა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მცხოვრებ გერმანელებს შექმნილი ჰქონდათ „გერმანელთა ეროვნული საბჭო", რომელიც მათ ინტერესებს იცავდა. საბჭოს შენობა მდებარეობდა დღევანდელი აღმაშენებლის გამზირზე №108 ბინაში. გერმანელთა ყოველ კოლონიას არჩეული ჰყავდა კომისარი, რომელსაც ემორჩილებოდა მოსახლეობა.

გერმანელები განსხვავებული წეს-ჩვეულების ცხოვრებას მისდევდნენ. გერმანელი ქალები ტრადიციულად ერიდებოდნენ ურთიერთობას სხვა ეროვნების ქალებთან, რაც მათ კარჩაკეტილ ცხოვრებას იწვევდა. იშვიათი იყო შერეული ქორწინება. ცოლის გარდაცვალების შემთხვევაში გერმანელ მამაკაცს უფლება ჰქონდა განსვენებული მეუღლის და ცოლად მოეყვანა.

1922 წლის მარტში საზღვაო კავშირი დამყარდა ჰამბურგსა და როტერდამთან, რომელიც მოაწყო გერმანულმა საზოგადოებამ. თავდაპირველად ხაზზე დაგეგმილი იყო ორი გემი მგზავრების გადასაყვანად. ამასთან, გათვალისწინებული იქნა ტვირთის გადასაზიდად რამდენიმე გემის მოძრაობა რაც ხელს შეუწყობდა საქართველოსა და გერმანიას შორის საგაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოებას.

გერმანული სოფლის ტრაუბენბერგის გარშემო იყო აზერბაიჯანელებით დასახლებული სოფლები: ქაშაკლისი, მეღანლო, არუხლო, ქიზილაჯილო, და სხვ. გერმანელების სიტყვით, 1921 წლიდან აზერბაიჯანელები მათ ძარცვავდნენ, ამცირებდნენ და ა.შ.

1922 წელს ბორჩალოს მაზრის ბაშკიჩეთის რაიონში მდებარე გერმანელთა კოლონია „ვალდჰეიმს" გამუდმებით ესხმოდნენ თავს მეზობელი აზერბაიჯანული სოფლის მოსახლეობა. კოლონისტებს მთლიანად განადგურება ემუქრებოდათ. ადგილობრივი ღონისძიებანი სასურველ ეფექტს არ იძლეოდა. ცალკეულ რაზმებად დაყოფილი შეიარაღებული აზერბაიჯანელები დღისითაც არ ერიდებოდნენ თავდასხმების მოწყობას. თავდაპირველად მაჰმადიანური სოფლებისაგან შექმნილი ჯგუფები თავდახმებს გერმანელ კოლონისტებზე გაძარცვის მიზნით აწარმოებდნენ, რაც თანდათან ეროვნულ შუღლში გადაიზარდა. არსებულმა ვითარებამ იმდენად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო გერმანელი მოსახლეობა, რომ მოითხოვდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლების ნებართვას.

1927-1928 წლებში აზერბაიჯანელები წამლავდნენ გერმანელების ბაღ-ბოსტნებს, რაც მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში აყენებდა მოსახლეობას. ამის გამო ხშირი იყო ფიზიკური ანგარისსწორების შემთხვევები.

30-50 კაცისაგან შედგენილი შეიარაღებული აზერბაიჯანული ფორმირებები გერმანელ მოსახლეობას მინდვრის სამუშაოების დროსაც არ ინდობდნენ. იტაცებდნენ ნივთებს, მუშა საქონელს და ცხენებს. ანადგურებდნენ გერმანელთა ბაღებსა და ბოსტნებს. თავდასხმები ხშირად მსხვერპლით მთავრდებოდა. გერმანელები მოკლებული იყვნენ იარაღის გამოყენების საშუალებას, რადგანაც დეკრეტის თანახმად, ისინი ადრევე განაიარაღეს. პრაქტიკამ აჩვენა, რომ აზერბაიჯანულ სოფლებში იარაღის ჩამორთმევა არ განხორციელებულა მაშინაც კი, როდესაც გერმანელები ინფორმაციას აწვდიდნენ რაიონის მილიციას მძარცველთა ვინაობისა და ადგილის შესახებ, არავითარ რეაგირებას არ ჰქონდა ადგილი. უფრო მეტიც, როდესაც გერმანელებმა მილიციას გადასცეს ბანდის მეთაური მამედ ისმაილ-ოღლი, რომლის მეშვეობით შეიძლებოდა მეორე ბანდის მეთაურის როსტამ ქერიმ-ოღლის დაპატიმრება, მილიციამ განკურნების შემდეგ გაათავისფლა მამედ ისმაილ-ოღლი.

როგორც ვხედავთ ადგილობრივი საბჭოთა აპარატი და სამართალდამცავი ორგანოები ფაქტიურად ხელს უწყობდნენ ეთნოკონფლიქტების გამწვავებას.

საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მცხოვრები გერმანელები მძაფრ ნაციონალიზმს ამჟღავნებდნენ სხვა ეროვნებისადმი. მათთან ურთიერთობის დროს ქედმაღლობდნენ და საკუთარ თავს დიდ უპირატესობას ანიჭებდნენ. გერმანელების აზრით, ყველა დანარჩენი ველურები იყვნენ, რუსებს განსაკუთრებული ეპითეტით – ღორებად მოიხსენიებდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც მრავალრიცხოვან კოლონია ელენდორფში – გერმანელების კლუბში სტუმრად მოსული რუსი მოქალაქეები ცემ-ტყეპით გამოუყრიათ.

როგორც ჩანს გერმანელებს უფრო შორს მიმავალი აზრებიც ჰქონდათ. კერძოდ, „ამიერკავკასიის გერმანელთა კომიტეტს (მდებარეობდა თბილისში, მიხაილოვის ქ. №373) სურდა შექმნა სახელმწიფო სახელმწიფოში". დოკუმენტებიდან აშკარად ჩანს, რომ გერმანელების მიზანი იყო საქართველოს ტერიტორიაზე შექმნათ გერმანელთა ავტონომიური ოლქი. ამ მიზნით ისინი გერმანიიდან იღებდნენ საჭირო დირექტივებს და ფინანსურ დახმარებას.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან გერმანელთა თითქმის ყველა კოლონიაში იყო სასწავლო დაწესებულება. სწავლისაგან თავისუფალ დროს ბავშვები გაჰყავდათ ყანებსა და ბაღ-ვენახებში, სადაც ისინი ეცნობოდნენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს. მასწავლებელი კოლონისტებს შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და პასტორის შემ-

დეგ ყველაზე საპატიო პიროვნებად ითვლებიდა. 70-იანი წლებიდან განსაკუთრებით ხშირდება კოლონიებიდან მასწავლებლების გაგზავნა გერმანიაში კვალიფიკაციის ასამღლებლად, ხოლო ზოგჯერ გერმანიიდან ინვევდნენ პედაგოგებს.

კოლონიებში, სადაც მოსწავლეთა რიცხვი დიდი იყო, მასწავლებელს დამხმარედ უნიშნავდნენ მოადგილეს. ამასთნავე მასწავლებელი კოლონიაში ითვლებიდა ე. წ. „კისტერადაც", ე. ი. პასტორის მოადგილედ და უფლება ჰქონდა შეესრულებინა ზოგიერთი რელიგიური აქტი. მოგვიანებით, როდესაც სკოლებში გაჩნდა 4-5 მასწავლებელი, კისტერის როლს ასრულებდა საღვთო სჯულის (თუ მას პასტორი არ ასწავლიდა), ან გერმანული ენის მასწავლებელი.

XIX საუკუნის 70-იანი წლებამდე სწავლება გერმანულ სკოლებში მხოლოდ და მხოლოდ გერმანულ ენაზე მიმდინარეობდა. გერმანული ენის გარდა ასწავლიდნენ არითმეტიკას, გეოგრაფიას და საღვთო რჯულს. სხვა ენებს ცალკე საგნის სახითაც კი არ გადიოდნენ.

გარდა კოლონიებში არსებული დაწყებითი სკოლებისა, 1850 წლის 1 იანვარს თბილისის პეტრე-პავლეს ლუთერანულ ეკლესიასთან გაიხსნა საშუალო სასწავლებელი, რომელშიც არაგერმანელი ბავშვებიც სწავლობდნენ. იგი მდებარეობდა მიხეილის (დღევანდელი დავით აღმაშენებლის გამზირი) ქუჩაზე, ლუთერანული ეკლესიის გვერდით.

1850-1889 წლებში თბილისში არსებობდა სახელოსნო სასწავლებელიც, სადაც ასწავლიდნენ სხვადასხვა ხელობას.

900-იანი წლების დასაწყისში ეკატერინენფელდის სკოლაში 200 ვაჟი სწავლობდა. სკოლას 4 გერმანელი მასწავლებელი უძღვებოდა. სასწავლო პროცესი გერმანულ ენაზე მიმდინარეობდა. მხოლოდ მცირე დრო ეთმობოდა რუსული სალაპარაკო ენის გაცნობას.

გერმანელი ინტელიგენციის წარმომადგენლები მრავლად იყვნენ დასაქმებული ქართული საგანმანათლებლო კულტურის სფეროში. მაგალითად, თბილისელი გერმანელი კარლ ჰანი 1874-1906 წლებში თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში გერმანულ და ბერძნულ ენებს ასწავლიდა. 1906-1909 წლებში იგი ქალთა პირველი გიმნაზიის დირექტორია, ხოლო 1909 წლიდან კვლავ ემსახურებოდა ვაჟთა პირველ გიმნაზიას.

ჩვენი საუკუნის დასაწყისში კი ბათუმის გიმნაზიას რუდოლფ ჰერცი განაგებდა.

1918-1921 წლებში მეტად მნიშვნელოვანი იყო ქართული პერიოდიკის როლი საჟურნალგაზეთო გრაფიკის, უპირველეს ყოვლისა, კარიკატურის განვითარებაში. ამ საქმეში დიდი დამსახურება მიუძღოდათ

თბილისის მკვიდრს, ოსკარ შმერლინგს, ალექსანდრე ზალცმანს და ა. შ.

საგულისხმოა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში მხოლოდ თბილისში მოქმედებდა 2 გერმანული სკოლა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთის გერმანული კოლონიები სხვადასხვა მხარეებში სცემდნენ რამდენიმე გერმანულ გაზეთს. თბილისის გერმანული კოლონია 1906-1921 წლებში სცემდა გაზეთს „კავკაზიშე პოსტ", რომელიც განკუთვნილი იყო მთელი კავკასიისა და სამხრეთ რუსეთის გერმანელებისათვის.

1921 წელს გერმანელთა კოლონიების ზოგიერთმა სკოლამ ადგილობრივი სამთავრობო ორგანიზაციებისაგან მიიღო წერილობითი მითითება, რომლის თანახმად, აიკრძალა სკოლაში საღვთო სჯულის სწავლება. მითითება უკრძალავდა აგრეთვე სკოლის გარეშე დროს კერძო მეცადინეობასაც, თუნდაც მშობლების სურვილი ყოფილიყო. ასეთმა გადაწყვეტილებამ გერმანელთა კოლონიები სიძნელეების წინაშე დააყენა. პირველ რიგში იმიტომ, რომ სკოლის შენობები აღჭურვილი იყო კოლონიების საეკლესიო თემების სახსრებით. მეორეც, სკოლის შენობები ფაქტიურად წარმოადგენდნენ ერთადერთ დანესებულებებს, სადაც წყდებოდა კოლონიის ყველა საზოგადოებრივად საჭირო პრობლემა. ხოლო ზოგიერთ კოლონიაში, სადაც ეკლესია არ იყო, რელიგიური რიტუალებისა და შეკრების ადგილსაც წარმოადგენდა.

20-იან წლებში თბილისში იყო გერმანელთა რამდენიმე ტექნიკუმი: №18, 21 და სხვა, სადაც მრავალი ქართველი ბავშვიც სწავლობდა. 1923 წელს №21 ტექნიკუმი გადაკეთდა სამრეწველო-ეკონომიკურ ტექნიკუმად. კურსდამთავრებულებს ხშირად გზავნიდნენ გერმანიაში სწავლის გასაგრძელებლად. აღსანიშნავია, რომ, გადმოცემით, 20-იანი წლების დასაწყისში გერმანიაში 500-მდე ქართველი ცხოვრობდა, რომელთა უმრავლესობა განათლების მისაღებად იყო ჩასული.

როგორც ვხედავთ, გერმანელი ახალგაზრდებისათვის საქართველოში შექმნილი იყო ზოგადი განათლების მიღების ფართო შესაძლებლობა. მათთვის გაიხსნა როგორც დაწყებითი, ისე არასრული და საშუალო სკოლები, ტექნიკუმები, ხოლო უმაღლესი განათლების მისაღებად საკუთრივ გერმანიის გარდა, ისინი იგზავნებოდნენ ვოლგისპირეთის გერმანელთა ავტონომიურ ოლქში.

1921 წლის ოქტომბერში გერმანელი კოლონისტები თხოვნით მიმართავდნენ ფინანსთა კომისარიატს, რათა მას უფლება მიეცა ვალიუტა გაეტანათ გერმანიაში 20 გერმანელი სტუდენტის სასწავლებლად გაგზავნის გამო.

განათლების უწყებამ თანხმობა მისცა გერმანელ მოსახლეობას ლუქსემბურგში გაეხსნათ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი. ამასთანავე, ლიკვიდირებული უნდა ყოფილიყო თბილისის ■ გერმანული ეკონომიკურ-სამრეწველო ტექნიკუმი, რომლის მუშაობა ვერ პასუხობდა გერმანელი მოსახლეობის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს.

20-იან წლებში თბილისში მოქმედებდა გერმანელების გიმნაზია, სადაც საჭიროების დროს აწყობდნენ გერმანელთა საზოგადოების საღამოებს. ერთ-ერთი ასეთი საღამო გაიმართა 1922 წლის 8 იანვარს, შემდეგი პროგრამით: 1. გერმანული გიმნაზიის დირექტორის ლექცია ხელოვნების საკითხებზე; 2. მუსიკალურ-ვოკალური განყოფილება; 3. გერმანელთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მოხსენება საქართველოს გერმანულ კოლონიებში კულტურული მუშაობის ამოცანების შესახებ. იმავე თვეში ბორჩალოს მაზრის კოლონია ეკატერინენფილდში მოწვეულ იქნა კონფერენცია საქართველოში გერმანული სკოლების მასწავლებელთა მონაწილეობით. კონფერენციაზე განიხილეს მასწავლებელთა კადრების გაზრდისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების საკითხები.

1923 წლის 2 იანვრის გადაწყვეტილებით საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ გერმანელთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს ნება მისცა გაეხსნა თბილისში წიგნის მაღაზია. ოღონდ, საზღვარგარეთიდან გამოწერილი წიგნების სია წინასწარ უნდა წარედგინათ დასამტკიცებლად განათლების კომისარიატის ლიტერატურის მთავარ განყოფილებაში. თბილისის ხელმძღვანელობის დასტურით, 1924 წლის ივნისში გერმანელებით დასახლებულ სოფელ როზენფელდის მოსახლეობისათვის გაიხსნა ბიბლიოთეკა და გამოიყო განსაზღვრული თანხა ბიბლიოთეკისათვის სასურველი ლიტერატურის შესაძენად.

საგულისხმოა, რომ 1926-1927 სასწავლო წელს საქართველოში ფუნქციონირებდა 11 გერმანული სკოლა, ხოლო გერმანელები საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა შორის განათლების დონით პირველ ადგილზე იყვნენ. თუმცა ზოგჯერ გვხვდებოდა სასწავლო პროცესის დარღვევის შემთხვევებიც. მაგალითად 1926 წლიდან როზენფელდის შვიდწლიან სასწავლებელს სათავეში ჩაუდგა თეოფილე გოფმანი, რომელმაც სკოლა საკუთარ ოჯახად გადააქცია. სკოლაში მასწავლებლად იყვნენ გოფმანის ცოლი იდა, ცოლისძმა ავგუსტ მორიცი, სიძე – დენიკინის ყოფილი ოფიცერი გ. რაულედერი და გოფმანის მეგობარი, ყოფილი დიაკონი დავით შილე.

სკოლას ჰქონდა მინის ნაკვეთი, რომელსაც გოფმანის ოჯახი ეპატრონებოდა. მიუხედავად იმისა, რომ 1928 წელს სკოლაში რამდენიმე

მონაფე დადიოდა, გოფმანმა არ აცნობა განათლების განყოფილებას მოსწავლეთა კონტინგენტის რადიკალური შემცირება, რათა სკოლა არ დაეხურათ და ოჯახის შემოსავლის წყარო შეენარჩუნებინა.

საქართველოში საჭიროებისამებრ უცხოელ სპეციალისტებსაც იწვევდნენ. მაგალითად, მარელისის გრეხილ-ავეჯეულობის ფაბრიკის მშენებლობისა და მოწყობისათვის 1926 წელს ვენიდან მოიწვიეს ცნობილი ინჟინერი როლანდ ფელზენი, რომლის დახმარებით განხორციელდა აღნიშნული საწარმოს მშენებლობა.

1929 წლის სექტემბერში თბილისში ჩამოვიდნენ გერმანელი პროფესორები: ზაუერი და ფინდეიზენი. ხოლო 1930 წლის ნოემბერში ჩამოვიდა არქეოლოგი შნეიდერი, რომელსაც გ. ჩუბინაშვილსა და შ. ნუკუბიძესთან ერთად მონაწილეობა უნდა მიეღო ნოქალაქევის გათხრებში.

აღსანიშნავია, რომ 1929 წელს გერმანიაში გამოფენაზე გაიგზავნა საქართველოს შუა საუკუნეების ხელოვნების ნიმუშები.

XX ს-ის დასაწყისიდან არაერთი გერმანელი მოღვაწე დაინტერესებულა ქართველი ხალხითა და საქართველოთი. მათ შორის აღსანიშნავია ქართველი ხალხის უანგარო მეგობარი არტურ ლაისტი (1852-1927), რომელიც 1892 წლიდან სამუდამოდ მკვიდრდება მის მეორე სამშობლო – საქართველოში და ქართველ მოღვაწეებთან ერთად დაუღალავად იღწვოდა ქართული კულტურის განვითარებისა და პროპაგანდისათვის. მონდომებითა და გატაცებით მუშაობდა თითქმის ყველა სფეროში, რათა ქართველი ერის სულიერი სიმდიდრე ევროპელ ხალხს გაეცნო. საქართველოში მყოფმა ლაისტმა მეგობრული ურთიერთობა დაამყარა ქართველ მოღვაწეებთან, თეატრალური და ლიტერატურული საზოგადოების წარმომადგენლებთან, აგრეთვე იმ მეცნიერებთან, ვისაც კი სურდა სცოდნოდა საქართველოზე. მან ფრიად მნიშვნელოვანი ცნობები შემოგვინახა ზუტენერებზე, ბოდენშტედტზე, კარლ-ლემან ჰაუპტზე, ჰოლდაჯზე და სხვებზე.

არტურ ლაისტის სიტყვით, გერმანელმა გეოლოგმა აბიხმა ჩინებული აღწერა დაგვიტოვა თუშეთისა. უფრო მეტიც, „თუშეთის განსაკუთრებული ბუნების სილამაზე ამ მწერალმა აღმოაჩინა". სვანეთის სურატები კი, ლაისტის აზრით, მოგვცა გერმანელმა მწერალმა მერცბახერმა.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა „ჩვენი დროის აბოს" – არტურ ლაისტს – 1922 წელს ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლის იუბილე გადაუხადა. ლაისტი გარდაიცვალა თბილისში 1927 წელს. ჩვენმა საზოგადოებამ დიდად დააფასა მისი ღვაწლი და თავის სხვა სათაყვანო

შვილების გვერდით მიაბარა მიწას ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

საქართველოს ასევე მრავალი მეგობარი გამოუჩნდა თავად გერმანიაში XX საუკუნის მთელ მანძილზე. მაგალითად, ქართველი კაცისადმი უზომო სიყვარულის შედეგი იყო, რიდესაც სწავლულმა ასტრონომმა, ასტრონომთა საერთაშორისო კავშირის გენერალური მდივნის თანაშემწემ რიჰარდ ვესტმა გამოჩენილი ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილის (1896-1980) სახელი უწოდა ახალ მცირე პლანეტას, რომელიც მან აღმოაჩინა.

ასტრონომთა საერთაშორისო კავშირმა დაამტკიცა გერმანელი ასტრონომის წინადადება და საერთაშორისო კატალოგში შეიტანა ახალი პლანეტის სახელწოდება.

რიჰარდ ვესტი საქართველოს დიდი მეგობარია, კარგად იცნობს ჩვენს ისტორიას და ხელოვნებას და, მრავალ სხვა ენასთან ერთად, ქართულიც იცის.

დეპეშაში, რომელიც თბილისში გამოგზავნა ახალი მცირე პლანეტის აღმოჩენასთან დაკავშირებით, გერმანელი ასტრონომი აღტაცებული წერდა: „ბედნიერი არიან ისინი, ვინც იცნობდა ამ საოცარ ადამიანს, ბუმბერაზ ტალანტს, თქვენი სამშობლოსათვის ღვთისგან მომადლებულ კაცს – ლადო გუდიაშვილს. მისი სახელი მარად დარჩება კაცობრიობის გულში".

მეგობრობის იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს დრეზდენელი ექიმის გიუნთერ მუკეს სიყვარული ქართველი ერისადმი. ოთხ წელინადში გიუნთერ მუკემ დამოუკიდებლად შეისწავლა ქართული ენა. ამ ხნის მანძილზე გადაიკითხა ყველა ნიგნი და ჟურნალი, რომლებზეც ხელი მიუწვდა. ყოველდღიურმა „გაკვეთილებმა" მას პირველი წარმატება 1975 წელს მოუტანა. მან შეძლო მეგობრისათვის ქართულად ასეთი ნერილი მოეწერა: „მე ვარ სულით და გულით ქართველი, მიყვარს საქართველო, მისი ისტორია და კულტურა".

ჩვენი კულტურის პოპულაროზაციას დიდად შეუწყვეს ხელი ისტორიკოსებმა, ხელოვნებათმცოდნეებმა, მწერლებმა და მთარგმნელებმა. მათ შორის სამუდამო ადგილო დაიმკვიდრა ბერლინის ხელოვნების აკადემიის წევრმა, ავსტრიის ახალი რესპუბლიკის ერთ-ერთმა აქტიურმა მშენებელმა, პრესის დაუცხრომელმა მოღვაწემ, ბერლინის „ველტბიუნეს" თანამშრომელმა, მაიაკოვსკისა და ტვარდოვსკის უებრო მთარგმნელმა, ესეისტმა და კრიტიკოსმა ჰუგო ჰუპერტმა. მან თავის შრომის ყველაზე უფრო საპატიო აღიარება – ჰაინრიხ ჰაინეს პრემია მიიღო სწორედ „ვეფხისტყაოსნის" თარგმანისათვის 1964 წელს.

გერმანელმა პოეტმა გულთან ახლოს მიიტანა ქართული სინამდვილე, ჩვენი ერის ისტორიული წარსული და დღევანდელობა, მისი მომავალი. ნახული და განცდილი პოეტურ ქურაში გადაადნო და შექმნა შესანიშნავი ლექსი „შეუდრეკელი ხალხი", რომლითაც მკითხველს ქართველი კაცის სრულყოფილი სურათი დაუხატა. ლექსთა კრებულში „ქართული სამგზავრო კვერთხი" ჰუპერტმა თავისებური ჰიმნი უძღვნა ჩვენს დედაქალაქს, მამადავითს, ნარიყალას, საქართველოს მუზეუმს, ალაზანს, ბაკურიანის ტყეს, რინას, უშბას, გორს, ვარძიას...

ჩვენი ქვეყნის წარსულზე პოეტი აღნიშნავდა: „რომ ვკითხულობთ ქართველი ხალხის მატიანეს, თითქოს გულში ასი დანა ატრიალეს... ის შეება ათას მტარვალს, ათას ვერაგს, და აბჯარი შეადგენდა იმის პერანგს. გლოვის დღეებს ცვლიდა ქვეყნის განახლება და ფერფლიდან ძლევის დროშის ამაღლება..."

1969 წლის თებერვალში გერმანელ მაყურებელს შესაძლებლობა მიეცა პირველად გასცნობოდა ქართული ცეკვის ეშხსა და ლაზათს. ანსამბლის სოლისტების დახვეწილმა ტექნიკამ, მხატვრულმა ოსტატობამ მაყურებელი გააოცა და პატივისცემა აღუძრა. ქართულმა ცეკვამ გერმანულ მიწაზე პირველი უჩვეულო ბარიერი წარმატებით გადალახა. მიუნხენი, ჰანოვერი, მაინის ფრანკფურტი, დიუსელდორფი, ბონი, ბადენ-ბადენი და სხვა ქალაქები ანსამბლის გამოსვლებს აღტაცებით ხვდებოდა. დაინტერესება იმდენად დიდი იყო, რომ მიუნხენში გერმანიის კინოდოკუმენტალისტებმა ფირზე აღბეჭდეს ანსამბლის მთელი საკონცერტო პროგრამა.

საარის მხარის მმართველი ნორბერ იუნგფლაიში აღნიშნავდა, რომ საარის მხარეში საქართველოს სახელი ამ ბოლო ხანებში უფრო ხშირად გაისმის, გაიზარდა ჩვენი ხალხის ინტერესები ქართველებისადმი. ამ საერთო საქმეში დიდი როლი შეასრულა ხელოვნებამ. ჩვენი ხალხების კეთილმეგობრული დამოკიდებულების მოპოვებას ჩვეულებრივი ინფორმაციის გაცვლის საშუალებით შესაძლოა წლები დასჭირვებოდა. ხელოვნებამ კი, ამ უდიდესმა ჰუმანურმა მოვლენამ, მინიმუმამდე შეამცირა დრო, რომელიც მოვანდომეთ დამეგობრებას.

დღეს საქართველოს რესპუბლიკასა და გერმანიას შორის სრულიად ახალი ურთიერთობის ხანა დაიწყო. გერმანელი ხალხი თანაგრძნობითა და თანადგომით ეკიდება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ეკლიან გზაზე მიმავალ საქართველოს, რაც მომავალში კიდევ უფრო დიდი მეგობრობის საწინდარია.

ქურთები

საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა შორის ქურთები, ებრაელების მსგავსად, ის ხალხია, ვისაც თითქმის არასოდეს ჰქონია ქართველებთან დაპირისპირება და ჩვენი ქვეყნის ჭირვარამი და სიხარული გაუზიარებია.

ქურთების საკუთარი სახელწოდებაა „ქურდი", „კურმანჯი". ქურთები წინა აზიის ერთ-ერთი უძველესი ეთნოსია. ძირითადად ცხოვრობენ ირანში, თურქეთში, სირიაში, ერაყში (ქურთისტანის ტერიტორიაზე), ლიბანში, ავღანეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, ყაზახეთში, თურქმენეთში. 1978 წლის მონაცემებით, ქურთები 10 280 ათასს შეადგენდნენ. აქედან ყოფილ საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა 116 ათასი, საქართველოში – 26 ათასი კაცი. მათი ენაა ქურთული, რომელიც განეკუთვნება ირანული ენის დასავლურ შტოს და გამოიყოფა ორი ძირითადი დიალექტი. კურმანჯი (ჩრდილო-დასავლური) და სორანი (სამხრეთ-აღმოსავლური). ქურთები ძირითადად სუნიტი მუსლიმანები არიან, მცირე ნაწილი შიიტები, იეზიდები, ალი-ილაჰები და სხვა.

იეზიდების საკუთარი სახელწოდება არის ეზდი. იეზიდები არიან ქურთების ნაწილი, რომლებიც აღიარებენ განსაკუთრებულ რელიგიას. ისინი ცხოვრობენ უმეტესად ერაყში, თურქეთში, აგრეთვე სირიასა და ირანში. 1969 წლის მონაცემებით, იეზიდების რაოდენობა 150 ათასზე მეტს შეადგენდა. იეზიდები ლაპარაკობენ ქურთებში ყველაზე გავრცელებულ დიალექტზე – კურმანჯზე. მათი რელიგია სინკრეტულია, ახლოს დგას ძველ ირანულ სარწმუნოებასთან ზოროასტრიზმთან, ამავე დროს მასში ასახულია იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის ელემენტები. იეზიდური რელიგიის ფუძემდებლად ითვლება XII საუკუნის მოღვაწე შეიხი ადი, რომელსაც იეზიდები თავიანთ წინასწარმეტყველად მიიჩნევენ. აღიარებენ ერთიან ღმერთს და თაყვანს სცემენ მთავარანგელოზს – მალაქტაუსს, რომელიც წარმოდგენილი ჰყავთ ფარშავანგის სახით; აგრეთვე მზეს, განსაკუთრებით ამომავალ მზეს.

იეზიდები იყოფიან საერო (მიურიდები) და სასულიერო (თარიყები, რუჰანი) კასტად. სასულიერო კასტა შედგება მაღალი წოდების (ემირი, შეიხი, ფირი) და დაბალი წოდებისაგან (ყავალი). ცნობები მათი საზო-

გადოებრივი წყობისა და რელიგიის შესახებ გადმოცემულია მათსავე რელიგიურ წიგნებში: „გამოცხადების წიგნი“ („ქითაბი“, „ჯილვა“), „შავი წიგნი“ („მასხავი რაში“), რომლებიც საიდუმლო შრიფტითაა დაწერილი. იეზიდების ერთადერთი საკულტო ნაგებობა შეიხ ადის ტაძარი და მისი საფლავია, რომელიც მდებარეობს ერაყში, კერძოდ ლალეში. ქურთი ეთნოსის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდნენ ძველი მიდიელი და ირანელი ტომები.

1514 წელს ქურთისტანი გაინაწილა თურქეთმა და ირანმა, ხოლო პირველი მსოფლიო ომის (1914-1918 წწ.) შემდეგ გაიყო 4 სახელმწიფოს შორის (თურქეთი, ირანი, ერაყი და სირია). ამ დაყოფამ ქურთი ერი ჩაგრული უმცირესობის მდგომარეობაში ჩააყენა. XIX საუკუნეში ქურთების ნაწილმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო.

საქართველოში, კერძოდ მესხეთში, ცალკეული ქურთული მომთაბარე ტომები XVI საუკუნეში გაჩნდა. XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართლ-კახეთის სამეფოს გაერთიანებისა და გაძლიერების კვალდაკვალ თბილისში ჩამოდიოდნენ იეზიდ ქურთთა დელეგაციები, რომლებიც იმედოვნებდნენ ოსმალეთში განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს ერეკლე მეორის მხარდაჭერას.

ქურთები თბილისში გამოჩნდნენ XIX საუკუნის მეორე ნახევარში. პირველად ერთი ქურთი, როგორც თბილისის მცხოვრები, დაფიქსირებულია 1876 წელს, 1886 წელს – 3, 1899 წელს 464 ქურთია აღნერილი.

საერთოდ, ქურთების ძირითადი მასა საქართველოში დასახლდა 1918-1920 წლებში, მას შემდეგ, რაც თურქებმა დაიწყეს მათი რელიგიურ-პოლიტიკური შევიწროება. ქურთები გადმოსახლდნენ ვანიდან და ყარსიდან.

XX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში ქურთების რაოდენობა 10217 სულს უდრიდა. თბილისში ქურთების გამოჩენასთან ერთად გაჩნდა ახალი იეზიდების კონფესია, რომელიც დასახელებულ წლებში 1,5 ათას კაცს ითვლიდა. 1926 წლის აღრიცხვით, თბილისში ცხოვრობდა 458 ქურთი, მათგან 258 მამაკაცი და 200 ქალი. ამავე აღწერით, თბილისში იეზიდი იყო 2044 სული, აქედან 1157 მამაკაცი და 887 ქალი.

ამავე პერიოდში აფხაზეთში ცხოვრობდა 22, აჭარაში – 3295 და ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“ – 1 ქურთი.

1926 წელს თურქეთიდან ქურთების საკმაოდ დიდი რაოდენობა ცდილობდა ამიერკავკასიაში შემოსვლას. ხელისუფლება საცხოვრებელი ტერიტორიის სიმცირის გამო შეუძლებლად თვლიდა ქურთების ტომის

– ბრუკის მილებას უახლოესი წლების მანძილზე. თუმცა იმავე წლის ნოემბერში თურქეთიდან ლტოლვილ ქურთებს უფლება მიეცათ დასახლებულიყვნენ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, რისთვისაც სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 100 ათასი მენეთი.

აღნიშნულ პერიოდში ირანიდან აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ჩამოვიდა ქურთების 400 ოჯახი. თითოეულ ოჯახზე საჭირო იყო 700 მანეთის გამოყოფა.

ადრე, ერევნის გუბერნიაში სოფელ სურმალის მცხოვრები იეზიდების 12 ოჯახი, რომლებიც XX საუკუნის 20-იან წლებში კახეთში ცხოვრობდნენ, 1926 წლის თებერვალში თხოულობდა ერევნის გუბერნიის სოფელ კაზიმირში გადასახლებას. ისინი აღნიშნავდნენ, რომ დასახელებულ სოფელში მინის ნაკვეთზე, რომელსაც ტალინი ეწოდებოდა, არავინ ცხოვრობდა და თავისუფალი იყო. იეზიდების ოჯახები შეადგენდნენ 69 სულს. ჰყავდათ 13 ხარი, 18 ძროხა, 112 ცხვარი და ცხენი. დოკუმენტებიდან არ ჩანს რა შედეგი მოჰყვა მათ თხოვნას.

1930 წლის მონაცემებით, უკვე იხსენიებიან ცალკე ქურთები და ცალკე იეზიდები, ქურთების დიდი ნაწილი ცხოვრობს თბილისში, მცირე – სოფლად, ძირითადად კახეთში. რელიგიური კუთვნილების მიხედვით, საქართველოს ქურთები იეზიდები არიან, მათი წარმოდგენით, იეზიდობა ეროვნული ვინაობის გამომხატველია.

თბილისში ქურთები ცხოვრობდნენ კომპაქტურად, უბნებად ხარფუხის გაგრძელებაზე – ორთაჭალში, ბერძნების უბნის გვერდით. ასევე გაფანტულად – საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში.

სოფლად მცხოვრებ ქურთებს ორი ტიპის სახლი ჰქონდათ. ზამთრისა – მიწური ან გუმბათიანი, ნახევრად მიწური და საზაფხულო – კარავი. ქურთი მამაკაცის ეროვნული სამოსი შედგება ქურთუკის, შარვლის, ქამრისა და დოლბანდისაგან. ქალისა – ჭრელი პერანგის, შარვალი (იეზიდების თეთრი), ნაოჭებიანი ქვედა ტანის, ქამრის, წინსაფრისა და თავსაფრისაგან (ქუფი).

ქურთებში განვითარებული იყო ხალიჩების ქსოვა, მეთუნეობა, ხეზე, ქვაზე ჭრა, სპილენძის ჭურჭელზე გრავირება და სხვა.

20-იან წლებშიც კი ქურთები იყოფოდნენ ტომებად და გვარებად. თითოეულ მათგანს ჰყავდა მამამთავარი უფროსი, რომელსაც ემორჩილებოდა გვარის ყველა წევრი. საქართველოში მცხოვრები ქურთები იყოფოდნენ 4 ტომად,: 1. ზუკრი (ოსმალეთიდან), 2. სიპიკის (ყარსიდან), 3. ოსინი (სურმალელები) და 4. როშკა; ეს ტომები თავიანთ მხრივ იყოფოდნენ გვარებად, სულ იყო 39 გვარი. გვარები ატარებდნენ

ცხოველების, მცენარეების, იარაღის, მზისა და სხვა სახელებს. მაგალითად, „ფიზალი“ ნიშნავს მშვილდისარს, „რაჟი“ – შავს, „დისანა“ – ნამგალს, „მანდეკა“ – მწვანე ბალახს, „ჩაკოია“ – იარაღს, „როშკა“– მზიანს, „ტუშკა“ – მჭედელს, „კაბალკა“ – ჭრელ ხარს და სხვა.

გვარის უფროსებს დიდი გავლენა ჰქონდათ და გვარის წევრები მკაცრად ასრულებდნენ მათ ბრძანება-განკარგულებებს. ყოველ საკითხს, რაც ცალკე წევრის ყოფა-ცხოვრებას ეხებოდა, იხილავდა მთელი გვარი. ამავე დროს გვარი ვალდებული იყო დაეცვა თავისი წევრი შეურაცყოფისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ გვარის უფროსების უმრავლესობა წარმოადგენდნენ მამაცსა და გონიერ ადამიანებს.

გვარის უფროსების გარდა, ქურთ მოსახლეობაზე დიდი გავლენა ჰქონდათ შეიხებს. რელიგიური რწმენა საკმაოდ ძლიერი იყო მოსახლეობაში. შეიხებს არ ჰქონდათ უფლება დაქორწინებულიყვნენ უბრალო ქურთის გოგონაზე. შეიხის შვილსაც კი უბედურება ელოდა, თუ მასზე სოციალურად დაბლა მდგომ ქალიშვილს ითხოვდა ცოლად. შეიხობა მემკვიდრეობით გადადიოდა. შეიხის ყოველი სიტყვა კანონად ითვლებოდა, ყოველ გვარს (იქნებ რამდენიმე გვარს) თავისი შეიხი ჰყავდა. ხშირად მას თვლიდნენ გვარის უფროსად.

ქურთ ქალს, თურქთან შედარებით, მეტი თავისუფლება გააჩნდა. ქურთი ქალები ჩადრის გარეშე დადიოდნენ, ზოგჯერ მონაწილეობასაც იღებდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებში. დაოჯახების საკითხი კი კვლავ მისი ნების გარეშე რჩებოდა. ქურთი გოგონა უნდა გათხოვილიყო თავის გვარში. საქმრო ცოლის თხოვისათვის იხდიდა გამოსასყიდს (კალიმი) 1000 მანეთამდე. იმ შემთხვევაში თუ ქალი სხვა გვარის წარმომადგენელზე გათხოვდებოდა და არც გამოსასყიდი იქნებოდა გადახდილი, მაშინვე წარმოიშობოდა საგვარეული მტრობა, რაც სისხლის აღებით მთავრდებოდა.

ღარიბებს თითქმის არ ჰქონდათ შესაძლებლობა გადაეხადათ გამოსასყიდი, ხოლო თუ გადაიხდიდნენ დიდი ხნის განმავლობაში კაბალაში ექცეოდნენ ვალის გადახდამდე. 20-იანი წლების ბოლოს კალიმის გაცემა და მიღება აიკრძალა სისხლის სამართლის კოდექსით.

საქართველოს დედაქალაქში მცხოვრები ქურთების უმრავლესობა სოფლებიდან იყო ჩამოსული. ქურთი ქალაქად საშოვარზე მიდიოდა, რათა გამოეკვება ოჯახი და ხელი შეეწყო სოფლად მეურნეობის განვითარებისათვის. აღსანიშნავია, რომ ოსმალეთიდან გადმოსულ ქურთებს არაფერი გააჩნდათ, ისინი წარმოადგენდნენ პროლეტარებს – ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

20-იან წლებში შრომითი საქმიანობის მიხედვით, ქურთები შეიძლება დავყოთ სამ კატეგორიად: 1. სორვოზი ანუ სახლის მუშები, რომელთა ორგანიზაციულ კავშირში ითვლებოდა 228 კაცი. 2. ტასკალები ანუ გაერთიანებული ტვირთმზიდავები. მათი არტელის შემადგენლობაში იყო 395 წევრი და 3. ასენიზატორები, იგივე სანიტარული ტრანსპორტის არტელი 150 კაცისა და 5 ქალის წარმომადგენლობით. სახლის მუშებს ეძლეოდათ გარკვეული რაოდენობის ხელფასი – დაახლოებით 70 მანეთი. ტვირთის მზიდავების შემოსავალი დამოკიდებული იყო შემთხვევითობაზე. ე. ი. გაჩნდა, როგორი იყო მოკვეთულ პერიოდში საქონლის ბრუნვა თბილისში. საერთოდ, მათი შემოსაველი უდრიდა 30-45 მანეთს თვეში.

ქურთები, რომლებიც ასენიზატორობას ეწეოდნენ, შედარებით შეძლებულად ცხოვრობდნენ. ჰქონდათ საკუთარი საზიდავები ნაგვის გადასატანად. ასენიზატორის შემოსავალი მერყეობდა 100-დან 300 მანეთამდე თვეში. სანიტარულ ტრანსპორტზე მომუშავე ქურთები მთელი თვის შემოსავალს გზავნიდნენ სოფელში და ქმნიდნენ იქ საკმაოდ ძლიერ მეურნეობას. ისინი განსაკუთრებით ეტანებოდნენ საქონლის შეძენას, რისთვისაც ფულს ყოველთვის აგროვებდნენ, ფულის დანარჩენი დანაზოგით ყიდულობდნენ ოქროულობის ნაწარმს და ინახავდნენ.

იმის შიშით, რომ არ გაერიცხათ გაერთიანებიდან ქურთების უმრავლესობა მალავდა სოფლად მინის ნაკვეთის არსებობას.

როდესაც ქურთი სოფლიდან საშოვარზე მიდიოდა ქალაქში, ოჯახში ტოვებდა მამას ან ძმებს, რომლებიც სოფლის მეურნეობას მისდევდნენ. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ თავისი მცირე შემოსავლით (30-45 მან) ქურთი ოჯახსაც ინახავდა ქალაქში და სოფელშიც ეხმარებოდა ოჯახის დარჩენილ წევრებს, ადვილი წარმოსადგენია რა სილატაკეში უხდებოდათ არსებობა. 1927 წლის ზაფხულში სეზონურად წასული 648 კაციდან მინდვრის სამუშაოებს დაუბრუნდა 252.

ჩვეულებრივ ქურთები გაფანტული იყვნენ მთელ ქალაქში, ცხოვრობდნენ ბნელ და ნესტიან სარდაფებში. უკიდურესად ანტისანიტარულ პირობებში. იკვებებოდნენ ძირითადად ხმელი პურით. ბავშვები თითქმის შიშვლები იზრდებოდნენ, ნაწილი შვილებს ქუჩაში გზავნიდა სამათხოვროდ.

თბილისში მცხოვრები მეზოველები თითქმის ქურთები იყვნენ. ძირითადად კაცები, ზოგჯერ ცოლ-ქმარი. მაშინ ისინი ქალაქს ბევრად „აჩნდნენ", რაკი ისეთ ფუნქციებსაც ასრულებდნენ, რომლებიც ახლა აღარ ეკისრებათ. ღამით (მთელი ღამე) მორიგეობდნენ ქუჩაში და დროდადრო

სასტვენით ეხმაურებოდნენ ერთმანეთს. აᲮე რომ, ქუჩა მათი მუდმივი მეთვალყურეობის საგანს შეადგენდა.

ᲙურᲥნიანი მუშებიც მხოლოდ ქურთები იყვნენ. არსებითად ეს იყო ტვირთის გადაზიდვის ძირითადი საშუალება. „მიᲰქონდათ“ ზურგზე გადაკიდებული კარადა, სკივრი, სკამები – ესენი თითო მუშას; მიᲰქონდათ როიალიც – ეს უკვე რამდენიმე კაცს. როგორც აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე იგონებს, მათი ყიყინისაგან ყურთასმენა აღარ იყო.

ქურთებში წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა 1-2%-ს უდრიდა. ახალციხის მაზრისა და თბილისის მთელ ქურთულ მოსახლეობას ᲰᲭონდა მხოლოდ 2 სკოლა და 1 კლუბი. ერთ სკოლაში ასწავლიდნენ ქურთული ანბანით, რომელიც ქურთი პედაგოგების შედგენილი იყო. მეორეში – თურქულით. სკოლებში მოსწავლე ბავშვების რიცხვი უმნიშვნელო იყო. 1200 მოსახლეზე მოდიოდა სულ 100 მოსწავლე.

1922 წელს ერევანში შემოღებული იქნა ე.წ. ქურთული დამწერლობა, გამოქვეყნდა პირველი ანბანის წიგნიც – „შამსი“. 1923 წელს თბილისში გაიხსნა სკოლა-ინტერნეტი, სადაც სწავლა რუსულ-ქართულ, სომხურ და ქურთულ ენებზე მიმდინარეობდა. სასწავლებელმა დიდი როლი შეასრულა არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთელი ამიერკავკასიის ქურთთა ცხოვრებაში. ქურთთა სწავლა-აღზრდის საქმეში ჩაბმული იყვნენ სხვა ეროვნების გამოჩენილი პედაგოგები. მაგალითად, ინტერნატში, ქართულ ენას ასწავლიდა კოტე ბახტაძე.

ამავე დროს თბილისში მოქმედებდა პირველი საფეხურის შრომის სკოლა იეზიდებისათვის, სადაც ძალიან მცირე რაოდენობის ბავშვები სწავლობდნენ. 1926 წელს 400 სასკოლო ასაკის ბავშვიდან სკოლაში დადიოდა 39, ხოლო 1927 წელს – 25 ბავშვი, მათგან მხოლოდ 2 გოგონა. სკოლა მდებარეობდა „თათრის მოედანზე“. შენობა ტერიტორიულად არ შეესაბამებოდა მოსწავლეთა საცხოვრებელ პირობებს. ბავშვები მიდიოდნენ სკოლაში ფეხით ვაგზლის, ვერისა და სხვა მოცილებული რაიონებიდან. სკოლა აძლევდა ბავშვებს ჩაის, პურს, და „სპეცტანსაცმელს“ – წინსაფარს მეცადინეობის დროს. უფასოდ ილებდანენ ზოგიერთ სასწავლო სახელმძღვანელოს.

აღნიშნულ ნლებში ქურთი Ჭაბუკებისა და ქალიშვილებისათვის გაიხსნა სკოლები, ქართულ სკოლებთან კი – ქურთული სექტორები. ყურადღება მიექცა ქურთი ინტელიგენციის მომზადებას. ამ მიზნით, ისინი სასწავლებლად იგზავნებოდნენ რესპუბლიკის გარეთ, სხვადასხვა უმაღლეს სანავლებელებში. მაგალითად, 1928 წელს საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან 25 ახალგაზრდა ქურთი გაემგზავრა

ლენინგრადში და ჩაირიცხა აღმოსავლეთის ინსტიტუტში. ბევრი მათგანი (კანატე კურდოევი, სემანდ სიაბანდოვი, ხალიტ ჩეტოვი და სხვა) გახდა თანამედროიევ ქურთული კულტურის ფუძემდებელი

1925 წელს თბილისში დაარსდა ქურთ-იეზიდების კლუბი ლიტერატურული, დრამატული და ხალხური ცეკვა-სიმღერის წრეები. მათი მუშაობა ფრიად ნაყოფიერი აღმოჩნდა. ლიტერატურულმა წრემ დიდი როლი შეასრულა ქურთ-იეზიდების მდიდარი ფოლკლორის შეგროვებაში. წრეების მუშაობაში მონაწილეობდნენ შემდეგში საკმაოდ ცნობილი პოეტები და მწერლები: შკოე-ჰასანი, ბაღჩოე ისკო-სლოიანი, ჯალილე აჯო, ტოგარ ბროევი, მორო მამედოვი და სხვა. დრამატულმა წრემ პირველმა განახორციელა ქურთული კლასიკური ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენლის ასმადე, იგივე ახმედ ხანის გალექსილი რომანის მიხედვით პოემა-ტრაგედიის „მამე და ზინეს" დადგმა. იგი ქურთ-იეზიდების ისტორიაში პირველი პროფესიული წარმოდგენა იყო. წრემ როგორც ქურთი, ისე ქართველ ავტორთა ბევრი კარგი სპექტაკლი უჩვენა მაყურებელს და არაერთი საგასტროლო მოგზაურობა მოაწყო სომხეთში.

ქურთების ისტორიის შესანიშნავ მცოდნეს იოსებ ორბელს მიაჩნდა, რომ ქურთებმა შეიტანეს თავისი წვლილი საერთო კავკასიურ და მთლიანად აღმოსავლურ კულტურაში. ვფიქრობთ, საქართველოში მცხოვრები ქურთების ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა კიდევ უფრო გაამდიდრებს ჩვენს ეროვნულ ისტორიოგრაფიას.

ასორები

ასურელების საკუთარი სახელწოდებაა *ათურაი, სურაი, ქალდაი.* ისინი სემიტური მოდგმის ხალხია, არამეელების შთამომავლები, ძირითადად ცხოვრობენ ირანში, თურქეთში და სირიაში.

ასურელები ცნობილნი არიან სხვა სახელწოდებითაც (ნესტორიენელები, იოაკობიტები, ქალდეველები), რაც ძირითადად დაკავშირებულია მათ კონფესიონალურ დაყოფასთან. ასურელები უმეტესწილად ქრისტიანები არიან. იუდეველი ასურელები უმთავრესად ისრაელში ცხოვრობენ; მუსლიმი ასურელებით ორიოდე სოფელია დასახლებული სირიაში, ანტილიბანის მთებში ბახა და ჯუბადინი. „სირიელი" დღეს გულისხმობს არა მარტო სირიის არაბული სახელმწიფოს მკვიდრს, რადგან ამჟამად სირია არაბული სახელმწიფოა, არამედ ქრიტიან არამეელებსაც და სწორედ ეს უკანაკნელი იყო მისი პირველადი და ძირითადი მნიშვნელობა. რაც შეეხება ტერმინ „ასურელს", დღეს იგი ძირითადად (ძირითადად და არა მხოლოდ), რადგან თანამედროვე სირიელები თავის თავს „ასურელებს" უწოდებენ, თვლიან რა თავს ძველი ასურელების (აქადელების) შთამომავლებად.

„სირიელის" და „ასურელის" აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში დიდი ხანია შემოსულია, რაც უკავშირდება ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში. როგორც ცნობილია, სწორედ ქრისტიანობის გავრცელებამ ჩვენში შექმნა პირობები მის მებაირაღტრეთა – ბერძენთა და სირიელთა საეკლესიო თუ სხვა ხასიათის თხზულებათა ქართულად თარგმნის. ქრისტიანულ აღმოსავლეთში (სირია, მესოპოტომია, პალესტინა, ეგვიპტე, სომხეთი და საქართველო) ბერძნულზე ნაკლები მნიშვნელობა როდი ჰქონდა სირიულ ენას, ამ ენაზე შექმნილ ლიტერატურას. საყურადღებოა, რომ თვით ქრისტიანობის გავრცელებაც საქართველოში სირიელი საეკლესიო მოღვაწეების სახელებთანაა დაკავშირებული. ამიტომ სირიელთა და მათი ენის მოხსენიება ქართულ ლიტერატურაში მისი სათავეებიდანვე დაიწყო. თუ გავითვალისწუნებთ იმ ფაქტსაც, რომ ქრისტიანობის დასაწყისში საქართველოში (IV-V სს.) მონოფიზიტობა იყო გავრცელებული, ხოლო მონოფიზიტობის კერად სირია ითვლებოდა, მაშინ სავსებით გასაგები იქნება ის მჭიდრო კავშირი ქართულ და სი-

რიულ სამყაროთა შორის, რომელიც იმ ხანებში უნდა არსებულიყო. „სირიელისა" და „ასურელის" აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართული ლიტერატურის ისტორიის მთელ მანძილზეა დამონმებული, დაწყებული ჩვენამდე მოღწეული უძველესი ხელნაწერებით (Xს.). სათანადო მასალის შესწავლამ გამოავლინა ხსნებული ცნებების შემდეგი ტერმინებით გადმოცემა: ასური, ასურასტანელი, ასურელი. მათთან დაკავშირებული სახელები (ასურები, ასურასტანული, ასურული) და ქვეყნის სახელონდებანი: „ასურია, ასურასტანი, ასურეთი, ასურია, სირია, არამ").

ეთნიკური ტერმინი „ასურული" ასურის ნაცვალია, და ქართულში გვიან შემოდის. იგი ჩვეულებრივ XIX საუკუნეში ჯერ კიდევ ქრისტიანი არამელის – სირიელის – აღმნიშვნელი ტერმინია.

ტერმინი „ასურელი" დადასტურებულია XVIII საუკუნის ძეგლში ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", სადაც მას „აქადელის", ძველი ასურეთის მკვიდრის მნიშვნელობა აქვს. მაგრამ „ასურელი" დღეს ძირითადად „აქადელს" ნიშნავს, რაც ასახულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც.

„ასურელი" ქართული და სომხური ტრადიციით „სირიელ", ე.ი. ქრისტიან არამელს ნიშნავს.

არამეული ენა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სემიტური ენაა, რომელსაც 30-საუკუნოვანი ფიქსირებული ისტორია აქვს. მართალია, ამ ენის მატარებელმა არამელებმა ვერ შექმნეს დიდი სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი, მაგრამ მათი ენა ასეული წლების განმავლობაში სამსახურს უწევდა ისეთ დიდ და ძლიერ სახელმწიფოებს, როგორიც იყო ასურეთისა და ირანის იმპერიები.

არამეულ ენას ჩვენს ქვეყანაში დიდი ხნის ისტორია აქვს – იგი 20 საუკუნეზე მეტია საქართველოში ისმის, უფრო მეტიც, საკვარაუდოა, რომ არამეულის გამოყენებას სამწერლობო ენად (თუნდაც საქმის წარმოებაში) სათავე უნდა ჰქონდეს აქამენიანთა იმპერიის (ე. ი. ძვ. ნ. VI-IV სს.) ხანიდან. სწორედ „სახელმწიფო არამეულის" ხანგრძლივი ხმარების ნიადაგზე შეიქმნა „არმაზული დამწერლობა" – არამეული დამწერლობის სახეობა, რომელიც ძირითადად საქართველოსათვისაა სპეციფიკური.

ახალი არამეული საქართველოს ტერიტორიაზეც ფიქსირდება; კერძოდ, აქ შეხვდებით მისი აღმოსავლური დიალექტების მთელ ჯგუფს (ურმიულს, სალამასურს, ვანურს, ჯილუს, ბოტანის).

ამავე დროს, თანამედროვე აღმოსავლურმა არამეულმა დიალექტებმა, რომელთა წარმომადგენლები დღეს საქართველოს მკვიდრნი,

არიან, ძირითადად დაიცვეს ძველი სემიტური ენის ტიპი, თუმცა მისმა სტრუქტურამ მრავალი ცვლილება განიცადა. ძირითადი ცვლილება ეხება ზმნას. ზმნის დრო-კილოთა წარმოებას, ასევე ბგერით სისტემასაც. საყურადღებოა, რომ თანამედროვე არამეული დიალექტებიდან სწორედ ჩვენ ასურეთელთა მეტყველებაში დასტურდება თანხმოვანთა ისეთი რიგები, რომლებიც სემიტურისათვის ცნობილი არა არის, ხოლო ქართულისათვის (ასევე სომხურისათვის) დამახასიათებლად მიიჩნევენ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში მცხოვრები არამეელების (ასურელების) დიდი ნაწილისათვის დღეს ასირიული დამწერლობა უცნობია და მშობლიურ ტექსტს ჩვეულებრივ ქართული ასოებით გადმოსცემენ (კერძო წერილები, ლექსები, ზღაპრები, რომლებსაც თვითონვე თხზავენ). აქ ისიც უნდა ითქვას, რომ სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე დამკვიდრებული ასურელთა მეტყველების მიხედვით დადგინდა არსებობა აქამდე უცნობი დიალექტის – ვანის დიალექტისა, რომელიც საინტერესო თავისებურებებით ხასიათდება (მასზე მეტყველებენ თურქეთიდან კერძოდ ვანის ვილაიეთიდან ლტოლვილი ასურელები).

1970 წლის მონაცემებით ასურელების საერთო რაოდენობა ერთ მილიონს შეადგენდა, აქედან ყოფილ საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა 24,3 ათასი ასურელი. საქართველოში კი მათი რაოდენობა 5617 სულით განისაზღვრებოდა.

ასურელების მასობრივი იმიგრაცია რუსეთის იმპერიაში მოხდა რუსეთ-ირანის 1828 წლის თურქმანჩაის საზავო ხელშეკრულების შემდეგ. ლტოლვილთა მძლავრი ნაკადი იყო პირველი მსოფლიო ომის დროსაც. ასურელების კომპაქტური დასახლებებია სომხეთსა და კრასნოდარის მხარეში (არმავირის მახლობლად).

რევოლუციამდელ რუსეთში გავრცელებული იყო სახელწოდება „აისორები", რომელიც მათი სომხური სახელწოდებიდან მოდის. ტერმინი „აისორები" მეფის რუსეთში დამამცირებლად ითვლებოდა.

XIX საუკუნის I ნახევრიდან დაიწყო ასურელების მიგრაცია მშობლიური ადგილებიდან. დღეს ემიგრირებული ასურელები მთელ მსოფლიოში არიან გაფანტულნი. მათი ერთი ნანილი საქართველოშიც დამკვიდრდა (სოფელი ქანდა – მცხეთის რაიონი, ვასილევკა – გარდაბნის რაიონი, ქალაქები – თბილისი, ქუთაისი, სამტრედია, ზესტაფონი). ზესტაფონის საქორწინო აქტებში წარმოდგენილი ასურელები აღნიშნული არიან ქართული გვარებით; ესენი არიან: იონანიძე, იგავაიძე, იჭავაიძე, აზვანიშვილი. ერთადერთი არაქართული გვარია ბიტკაში, თუმცა ის სხვა შემთხვევაშიც ქართველად არის მოხსნიებული.

საფიქრებელია, რომ ლტოლვილთა პირველი ნაკადი ერეკლე მეორეს დროს შემოვიდა საქართველოში, რაზედაც მიუთითებს ასურელი კათალიკოსის მარშიმუნისა და ეპისკოპს ესაიას წერილები ერეკლე მეორისადმი.

ეს წერილი ერეკლეს 1770 წლის 26 სექტემბერს მიუღია. წერილს აქვს ერეკლეს მინაწერი: „ასურთ ეპისკოპოზი ისაია, რომელიც ამის უნინარეს ჩვენთან მოვიდა მკითხა: ასურთ შემოერთება უნდათ თქვენთანო ...“ სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, თუ რა შედეგი მოჰყვა ამ მოლაპარაკებას. გვიანდელი იმიგრაციის დიდ ნაკადს ადგილი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჰქონდა, როდესაც ირანიდან დაბრუნებულ რუსეთის ჯარს კვალდაკვალ ქრისტიანი ასურელები მოჰყვებოდნენ. 1916 წელს საქართველოში სახლდებიან ვანის ვილაიეთიდან (თურქეთი) ლტოლვილი ასურელები.

სოფელ ქანდაში ასურელების დასახლება დაიწყო 1867 წლიდან, როდესაც ეს სოფელი მუხრან-ბატონის კუთვნილებას წარმოადგენდა. 1900 წელს სოფელი იყიდა ერთ-ერთმა მდიდარმა ასირელმა უსტა-ალავერდიმ და 1917 წლამდე, ყველა გადასახადს იხდიდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში სოფელს და მის მოსახლეობას აღნიშნული უფლებები აღარ ჰქონდა. სოფელს გაჩნდა კარგი სავარგულები, რომლებიც ჩამოართვეს და გადასცეს მეზობელ ქართულ სოფლებს, დადგა ქანდადან ასირიელების გადასახლების საკითხი.

საბჭოთა რეჟიმმმა ცნობილი პოლიტიკური მოსაზრებებით ასირიელებს საუკეთესო პირობები შეუქმნა. თვით ასირიელების სიტყვით არცერთ ეროვნებას არ მიუღია ისეთი დონის თავისუფლება და შესაძლებლობები, როგორიც მათ მიენიჭათ. ასირიელების მეზობლად ცხოვრობდნენ გერმანელები, რომლებიც დემოკრატიული საქართველოს პირობებში მეტი უფლებებით სარგებლობდნენ, ვიდრე კომუნისტური რეჟიმის დროს.

1922 წლის ზაფხულში ბათუმსა და ახალქალაქის მაზრაში შემოვიდნენ ასირიელი და სომეხი ლტოლვილები. სომხების რაოდენობა 7 ათას აღწევდა, ასირიელები 360 სულს ითვლიდნენ. ამიერკავკასიის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწვეტილება ლტოლვილები დაესახლებინათ ახალქალაქის მაზრის სომხურ სოფლებში.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ყარაიაზის თემში დასახლება დაიწყო ცალკეულმა ასირიელმა. ისინი თავდაპირველად ქირაზე მუშაობდნენ. მოგვიანებით გადაეცათ მიწები მეურნეობის საწარმოებლად.

1927-1928 წლებში სოფელ ვასილიევკაში ცხოვრობდა 203 სულისაგან შემდგარი 55 კომლი ასირიელის ოჯახი, ყარათაფაში – 16 კომლი 55 სულით. ყარათაფა ნახევარი ვერსით იყო დაცილებული ვასილიევკას და ამიტომ ისინი ყოველდღიური ცხოვრებით იყვნენ დაკავშირებულნი ერთმანეთთან. ამ დროსათვის ასირიელთა რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის 1 % უდრიდა, სულ მათი რიცხვი 2904 სულს აღწევდა. სხვა საარქივო დოკუმენტის მიხედვით 1926 წელს ასირიელები საქართველოში 6 ათასი სული იყო.

1897 წლის აღწერით თბილისში ცხოვრობდა 1017 სული აისორი. 20-იანი წლების პირველ ნახევარში აისორების რაოდენობა 1861-ით განისაზღვრა, 1930 წელს 2303 სულს მიაღწია, 1939 წლის მონაცემებით კი თბილისში 2986 აისორი იყო.

წარსულის მძიმე პირობებიდან გამომდინარე სოფელი ძველი ქანდა 20-იანი წლების ბოლოსაც ვერ განთავისუფლდა მიწის დამუშავების პრიმიტიული ფორმებისაგან. მოსახლეობის უმრავლესობა ღარიბი იყო. 1928 წელს სოფელში ცხოვრობდა 84 კომლი ასირიელი, რაც სულადობრივად 382 სულს შეადგენდა. 84 კომლიდან 50 იყო ღარიბი., 10 მოჯამაგირე, 24 კომლი საშუალო და 1 კომლი მდიდარი. 20-25 აისორი ახერხებდა დამატებითი სამუშაო შესრულებინა თბილისის მშენებლობებზე. ისინი შაბათობით სოფელში ბრუნდებოდნენ. 1927 წელს ეპიდემიამ დიდძალი საქონელი იმსხვერპლა, რის შემდეგ მუშა პირუტყვი თითქმის აღარ ჰყავდათ. ასევე ძლიერი კვალი დატოვა სოფლის ცხოვრებაზე მოუსავლიანმა წელა. მოსახლეობა იძულებული გახდა მიწის დასამუშავებლად მეზობელი სოფლის მცხოვრებნი დაექირავებინა.

სოფლის ძირითად სამეურნეო მიმართულებას მარცვლეულის მოყვანა წარმოადგენდა (ხორბალი, ქერი, სიმინდი). პარალელურად მისდევდნენ მებოსტნეობას, უპირატესობას აძლევდნენ კიტრის, ხახვის და ლობიოს კულტურებს.

სოფელ ქანდისათვის ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხს საძოვრების პრობლემა ქმნიდა. 1920 წელს მათი კუთვნილი საძოვრების ნაწილი, ქართულ სოფლებს გადაეცა, რაც მძიმე დანაკლისი იყო ასიერელებისათვის. მათი სახლები თითქმის ნახევრად მიწური და დანგრეული იყო.

მიწათმოწყობის ღონისძიებების გატარების დროს ხშირი იყო დარღვევებიც. მაგალითად, მიწის განაწილებისას ყველა ასირიელმა ვერ მიიღო ნორმით გათვალისწინებული ნაკვეთი. სამაგიეროდ იქვე არსებულ გერმანელთა კოლონიას ნორმის ზევით გადაეცა 168 დესეტინა მიწა.

სოფელ ვასილიევკაში აისორთა უმრავლესობა ღარიბი იყო. ხუთ ოჯახს არავითარი მეურნეობა არ ჰქონდა. ისინი სოფლის პროლეტარებად ითვლებოდნენ და მოჯამაგირეობით ირჩენდნენ თავს. ქონებრივი ცენზის მიხედვით ვასილიევსკის ასირიელები ასე გამოიყურებოდნენ: მდიდარი გლეხი 1 კომლი, საშუალო 7 და 42 ღარიბი ოჯახი.

ყარათაფაში 16 ოჯახიდან 3 ითვლებოდა საშუალოდ, დანარჩენი ღარიბებად. მეურნეობის ჩამორჩენის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს ნარმოადგენდა ის გარემოება, რომ მუშა-საქონელი ფაქტიურად არ ჰყავდათ. ორივე სოფლის 71 ოჯახიდან მხოლოდ 4-5 კომლს გააჩნდა ნყვილი ხარი ან კამეჩი. დანარჩენი მოსახლეობა იძულებული იყო მინის დასამუშავებლად დაექირავებინა მუშა-საქონელი. შემოსავლის ერთ მესამედზე მეტი საქონლის ქირაზე იხარჯებოდა. მართლია, ადგილზე არსებობდა მემინდვრეობის ამხანაგობა, რომელთაც ჰქონდათ თავისი ტრაქტორი და დესეტინაზე 12 მანეთს იღებდნენ, მაგრამ ტრაქტორი ვერ აკმაყოფილებდა მთელი მოსახლეობის მოთხოვნებს და უმეტეს შემთხვევაში გლეხებს უხდებოდათ მინის სამუშაოებზე გადაეხადათ 25-30 მანეთი ერთ დესეტინაზე მეზობელი თათრებისათვის.

სხვა პრობლემათაგან აღსანიშნავია სარწყავი ნყლის ნაკლებობა, რის გამოც მეზობელ სოფლებს შორის ხშირი იყო დაპირისპირება. არ იყო მოწესრიგებული გადასახადების ნორმა. ამიტომ ორივე სოფლის გლეხობა ხშირად გამოთქვამდა უკმაყოფილებას. იყო შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე ხარისხისა და ნორმის მინა განსხვავებულად იბეგრებოდა. ზოგჯერ მდიდარი გლეხი უფრო ნაკლებს იხდიდა, ვიდრე ღარიბი.

1928 წელს თბილისში ცხოვრობდა 50-60 ასიერიელის ოჯახი. მათი ძირითადი საქმიანობა კუსტარული ნარმოება იყო. მოზრდილი მამაკაცები მისდევდნენ კალათების დამზადებას, მათი მცირე ნაწილი ძველი ავეჯის რეალიზაციით იყო დაკავებული. გარკვეული ჯგუფი კი შვილების შრომის ხარჯზე ცხოვრობდა. 13-25 წლის ახალგზარდები ფეხსაცმელების მწმენდავებად მუშაობდნენ. მცირენლოვანი ბავშვები მათხოვრობდნენ. ქალები ქსოვდნენ წინდებს, ართავდნენ ძაფს.

1926 წელს დაისვა საკითხი თბილისში შექმნილიყო ასირიელთა კავშირის განყოფილება, მაგრამ ხელისუფლების მიერ უარყოფილი იქნა. გადაწვეყილებაში აღინიშნა, რომ სანევრო შენატანით და შენირულობით ცენტრალური ორგანოს განსაკუთრებული სუბსიდიის გარეშე კავშირი არსებობას ვერ შეძლებდა.

ასირიელი ხელოსნები გაერთიანებული იყვნენ „მშენებელთა ორგანიზაციაში". 1927 ნლისთავის ორგანიზაციის ნევრთა რაოდენობა 269

სულს შეადგენდა. აქედან თბილისში – 183, ბორჯომში – 8, ახალციხეში – 4, აბასთუმანში – 17, ლიბანში –7, სილნაღში – 28, გორში – 4, ქუთაისში –4, ჭაიათურაში – 3, ბათუმში –8, შიდა ქართლში –3.

საბჭოთა რეჟიმი ასირიელებს ყოფდა მთიელებად, ურმიელებად და სალამასურელებად. ურმიელები და სალამასურელები კულტურული დონით შედარებით მაღლა იდგნენ, ვიდრე მთიელები. მათი ძირითადი საქმიანობა თბილისში სამშენებლო სამუშაოები იყო. მუშაობდნენ ინდივიდუალურად. მათ ეკონომიკურ მდგომარეობას განსაზღვრავდა სეზონური შემოსავალი. ეს პერიოდი 5-6 თვეს გრძელდებოდა. დანარჩენი დრო თითქმის ყველა აისორი სამუშაოს გარეშე რჩებოდა. ქალაქად მცხოვრებ აისორებს სოფელთან კავშირი არ ჰქონდათ. გამომუშავებული თანხით იმარაგებდნენ სანოვაგეს ზამთრისათვის. ბუნებრივია გაჭირვებით ცხოვრობდნენ. მართალია მათი საცხოვრებელი პირობები 1923-26 წლებში შედარებით გაუმჯობესდა, მაგრამ უდიდესი უმრავლესობა მძიმე საყოფაცხოვრებო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ცხოვრობდნენ ნესტიან მინურებში, სიბნელეში...

როგორც აღვნიშნეთ სოფლად მცხოვრები აისორები ინტენსიურად მისდევდნენ მეურნეობას. ამავე დროს ყველა მამაკაცმა, როგორც წესი, კარგად იცოდა სახლის მშენებლობასთან დაკავშირებული საქმიანობა: კალატოზობა, მლესაობა, სადურგლო ხელობა, სახლის კედლების მბატვრულად გაფორმება და სხვ. სახლებს ისინი ძირითადად აფორმებდნენ „ვეფხისტყაოსანის" ცნობილი ილუსტრაციების მიხედვით.

20-აიან წლებში ფართოდ გავრცელდა ქალდელ ასირიელებში ლოთობა. ღვინის სმის ორგია განსაკუთრებით ინტენსიურად ხდებოდა შაბათ-კვირას, როდესაც თბილისიდან ბრუნდებოდნენ სამუშაოდ მყოფი მამაკაცები, ისინი მიდიოდნენ ქანდიდან 2-3 ვერსით დაშორებულ სოფელ მუხრანის ბაზარში ღვინის საყიდლად. ხშირად ალკოჰოლიან სასმელებს ნისიად იღებდნენ.

გოგონას არ შეეძლო მამის ნებართვის გარეშე გათხოვება. საერთოდ, ქანდაში ქალს მეტი უფლებები ჰქონდა, ვიდრე თბილისელ ასირიელებში. ეს აიხსნებოდა იმით, რომ ქალი სამეურნეო საქმიანობაში მამაკაცის თანაბრად იყო ჩართული, მუშაობდა ოჯახში, მინდვრად, მეურნეობაში, ფაქტიურად ქალს მამაკაცთან შედარებით მეტი დატვირთვა ჰქონდა სამეურნეო საქმიანობაში. ეს ყოველივე მყარ საფუძველს უქმნიდა ქალის სამართლებრივ მდგომარეობას ოჯახის წევრებს შორის. თუმცა, ბუნებრივია ოჯახის უფროსი მამაკაცი ყველა საკითხის გადაწვეტაში მთავარი განმკარგულებელი იყო.

ასირიელების ყოფითი ურთიერთობა მთლიანად პატრიარქალური გადმონაშთებით იყო გაჯერებული. ასირიელები იყოფოდნენ გვარებად. ყოველ გვარს თავისი ხელმძღვანელი (მალიქი) ჰყავდა, რომლიც ითვლებდია ტომის ყველა წევრის ხელისუფლად. ერთ-ერთი ასეთი მალიქი იმყოფებოდა თბილისში. მაგრამ მისი ავტორიტეტი შედარებით უმნიშვნელო იყო. ეს ფაქტი შემდეგი გარემოებით აიხსნება: თბილისელი ასირიელები ხელისუფლების დახმარების იმედზე უფრო იყვნენ, რაც თავის თავად მალიქის ავტორიტეტსა და გავლენას აკნინებდა.

ურმიელებსა და სალამასურელებს შორის არ იყო გავრცელებული ქალის ყიდვა. სამაგიეროდ, როგორც წესი, ქორწილში ინვევდნენ ნაცნობებსა და უცნობებს, აწყობდნენ ხალხმრავალ წვეულებებს. ტრადიციის თანახმად სტუმრები ფულს აგროვებდნენ ოჯახის სასარგებლოდ. ყოველი სტუმარი ცდილობდა მეტი თანხა გაელო საჩუქარის სახით, რადგან დიდი თანხის გადამხდელი გამორჩეული პატივცემით სარგებლობდა. ფულის შეგროვებას ასირიულად „საბახტა“ ეწოდებოდა. შესაწირავის სახით გროვდებოდა 500-700 მანეთი. ზოგჯერ 1000 მანეთამდე. ქორწილის დროს მიღებული იყო აზარტული თამაშები, განსაკუთრებით ბანქო. ასე რომ, ქორწილის ცერემონიალს ამავე დროს შეიძლება ვუწოდოთ „ქორწილი – კაზინო“. იყო შემთხვევები, როდესაც მთელი შემოსავალი კარტში წაუგიათ.

მთაში მცხოვრებ ასირიელებში 30-იანი წლების ბოლოსაც მოქმედებდა დაუწერელი კანონი ქალების ყიდვა-გაყიდვის შესახებ სუფთა ოქროზე ფაქტიურად, როგორც საქონელზე. აქედან გამომდინარე ქალი მთლიანად დამოკიდებული იყო ქმარზე. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ურმიელებსა და სალამასურელებს შორის ქალი ნახევარდ დამოკიდებული იყო მეუღლეზე, ხოლო მთის ასირიელებში ქალი წარმოადგენდა ნაყიდ მონას. გარდა ამისა მათთან არ იყო წესი ქალი გაეთხოვებინათ სქესობრივი სიმწიფის პერიოდში. ხდებოდა პირიქით. შემორჩენილი იყო სისხლის აღების წესი.

ასიერელები იყოფოდნენ კათოლიკეებად და მართლმადიდებლებად. სოფლად მცხოვრებ კათოლიკეებს ყოველ რელიგიურ დღესასწაულზე თავისი ხარჯით თბილისიდან მოყავდათ მღვდელი რელიგიური რიტუალების შესასრულებლად. ასევე იქცეოდნენ ნათლობისა და მიცვალებულისათვის წესის აგების დროს. მაშინ, როცა 1928 წელს სოფელ ქანდაში არ მოქმედებდა ეკლესია, თბილისში ფუნქციონირებდა ოთხი ასირიული ეკლესია.

იმავე წელს ვასილიევკაში შეაგროვეს ფული ეკლესიის ასაშენებლად. ადგილობრივი პარტიული და კომკავშირული ორგანზიაციები ან პრო-

ცესს თვალს ადევნებდნენ, რათა შემდეგში აშენებული ეკლესია კლუბად ან ქოხ-სამკითხველოდ გადაექციათ.

კათოლიკე და მართლმადიდებელ ასირელებს შორის ხშირი იყო დაპირისპირება რელიგიურ ნიადაგზე, რაც მწვავე კონფლიქტის ფორმას იღებდა. როგორც ცნობილია, ისინი საქართველოში ჩამოვიდნენ ირანის სხვადასხვა სოფლებიდან. მათში არ იყო კეთილმეზობლური დამოკიდებულება. მიუხედავად იმისა რომ ყოველ მათგანს ჰქონდა საკუთარი ბაღი და ბოსტანი მაინც ცდილობდნენ მიეთვისებინათ, წაერთმიათ, მოესპოთ ერთმანეთის მოსავალი.

როგორც ვხედავთ, ერთი ეთნოსის შიგნით კონფესიურ ნიადაგზე აღმოცენებული დაპირისპირება საკმაოდ რთულ ვითარებას ქმნიდა.

ასირიელები ტრადიციულად ამყლავნებდნენ ანტისემიტიზმს და ნაციონალურ ანტაგონიზმს. მათში ანტისემიტიზმის ფესვები რელიგიურობით იყო განპირობებული. ასირიელები ასევე გამოხატავდნენ მძაფრ სიძულვილს თურქებისადმი, რადგან მიაჩნდათ, რომ მაჰმადიანები ყველა ქრისტიანის მტერი ოყო.

თავის დროზე მეფის რუსეთი, ინგლისი და საფრანგეთი, გასაგები მიზეზების გამო, ცდილობდნენ უფრო მეტად გაელვივებინათ რელიგიური დაპირისპირება. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ ასირიელებისათვის ინგლისელების, ამერიკელებისა და ფრანგების გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ ისინი მათ მფარველობაში მყოფ ეროვნებად მიიჩნევდნენ თავს.

საქართველოში, ისე როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, ასირიელები წარმოადგენდნენ კულტურულად და პოლიტიკურად ერთ-ერთ ჩამორჩენილ ეროვნებას. ასირიულის გარდა ისინი ვერ ფლობდნენ სხვა ენებს, რაც აძნელებდა მათ ჩართვას მაშინდელი საქართველოს ეკონომიკურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მწვავე მოთხოვნა იყო ასირიულ ბეჭდვით სიტყვაზე. აღსანიშნავია, რომ შრიფტი ასირიულ ენაზე მხოლოდ თბილისში ჰქონდათ. მოსახლეობის 85-90% წერა-კითხვა არ იცოდა. ერთეულებს შეეძლოთ ასირიულად წაეკითხათ და გარკვეული სიტყვების დაწერაც მოეხერხებინათ. რამდენიმე ადამიანი ფლობდა რუსულ ენას. ქანდაში 20-იანი წლების ბოლოს კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა იყო. ქანდელების 90-95% ანბანი არ იცოდა. ფაქტიურად 382 სულიდან მხოლოდ 10-15 ადამიანს შეეძლო წერა-კითხვა ასირიულ ენაზე. 5-6 კაცი ახერხებდა ქართულად ლაპარაკს და წერა-კითხვას.

20-იანი წლების მეორე ნახევარში რესპუბლიკაში ფუნქციონირებდა სამი პირველი საფეხურის ასირიული სკოლა. აქედან 2 თბილისში და

1 ძველ ქანდაში. თბილისის ასირიულ სკოლებში პირველ-ორ წელს სწავლა ასირიული ენაზე მიმდინარეობდა; მესამე და მეოთხე წელს ასირიულ და რუსულ ენებზე (შერეულად). ქართული ენა პროგრამაში იყო შეტანილი, როგორც სასწავლო საგანი.

ძველ ქანდაში ასირიელი ეროვნებისა და ენის მცოდნე პედაგოგები არ იყვნენ, ამიტომ სწავლა ქართულ ენაზე წარმოებდა. თბილისში 174 ასირიელი მონაფე 7 ჯგუფში იყო გაერთიანებული, რომელთაც ათი პედაგოგი ემსახურებოდა, მათგან 7 ასირიელი. მონაფეები ყველა ხელოსან მშენებელთა შვილები იყვნენ. სასწავლო პროცესი კომპლექსური მეთოდით მიმდინარეობდა. სკოლას გააჩნდა ბავშვთა თვითმმართველობა.

კედლის გაზეთები გამოდიოდა ასირიულ და რუსულ ენებზე. ასრიელებს არ ჰქონდათ სკოლის საკუთარი შენობა და სწავლა უხდებოდათ სხვადასხვა სკოლებში. მეცადინეობა მეორე სმენაში მიმდინეერეობდა.

მრავალი ასირიელი ბავშვი სწავლობდა პოლონურ და რუსულ სკოლაში. მოსახლეობა დიდ სურვილს გამოთქვამდა მომავალ თაობას მიელო საკოლო განათლება, მაგრამ ხელისშემშლელი პირობების გამო მრავალი აღსაზრდელი სკოლის გარეთ რჩებოდა. მაგალითად, 1928 წელს ვაკის რაიონში 40 ასირიელი ბავშვი სკოლის გარეთ დარჩა.

მთიან ნაწილში მცხოვრებ ასირიელ ახალგაზრდებში დიდი იყო სპორტისადმი ლტოლვა. მათ დამოუკიდებლად შეიკერეს სპორტული ტანსაცმელი. როდესაც მშობლებმა ნახეს ვარჯიშისათვის განკუთვნილი მაისურები, ნაკუწებად აქციეს. უფროსების აზრით სპორტული ჯგუფების შექმნა კომკავშირის რიგებში მიღებას ნიშნავდა. აქედან ნათლად ჩანს, როგორი უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა ასირიელ მოსახლეობას საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

საერთოდ, საკუთარ ენასთან ერთად ჩვენმა ასურელებმა შემოინახეს მამაპაპათაგან გადმოცემული ზღაპრები, არაკები, ანდაზები. ყურადღებას იქცევს მათ მიერ შექმნილი პოეტური თუ პროზაული ნაწარმოებები. საქართველოში მცხოვრებ ასურელ პოეტთაგან, რომლებიც მშობლიურ ენაზე წერდნენ, ფართოდ ცნობილია ფრიდონ ათურაის, დავით ილიანისა და სხვათა სახელები. საქართველოში ერთხანს გამოდიოდა ასურული ჟურნალი და გაზეთი, რომლის ფურცლებზე სისტემატიურად იბეჭდებოდა ადგილობრივ მკვიდრთა ნაწარმოებები, ფოლკლორული მასალები, თარგმანები ქართული ლიტერატურიდან (მათ შორის ქართული ზღაპრები და თქმულებები). ორკვირეული ჟურნალი „მადინხა“ („აღმოსავლეთი“) გამოდიოდა თბილისში 1913-1914 წლებში

ასირიულ ენაზე. ჟურნალი ძირითადად განკუთვნილი იყო ამერკავკასიისა და რუსეთში მცხოვრები ასირიელებისათვის, თუმცა, როგორც ჩანს, ამ ჟურნალით უცხოეთშიც სარგებლობდნენ (მიწერილია ფასი როგორც რუსეთისათვის, ისე ირანის, ამერიკისა და ინგლისისათვის). ჟურნალში იბეჭდებოიდა როგორც ახალი ამბები და პოლიტიკური ხასაითის სტატიები, ისე ლექსები, არაკები, ანდაზები. გარკვეული ადგილი ეთმობოდა თბილისურ ქრონიკას. 1926-1938 წლებში თბილისშივე გამოდიოდა ასურული გაზეთი „ქოხვა დ-მადინხა" („აღმოსავლეთის ვარსკლავი"), სადაც სირიული შრიფტის გვერდით გამოყენებული იყო ლათინური ანბანის საფუძველზე საბჭოთა კავშირში შექმნილი დამწერლობა (ამ უკანასკნელმა ასურელთა შორის ფეხი ვერ მოიკიდა და დღესაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები ასურელები, მსგავსად საზვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეებისა, მხოლოდ საკუთარი (სირიულ) დამწერლობას იყენებენ. გაზეთში, გარდა ჩვეულებრივი მასალისა, მრავლად იბეჭდებოდა მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებიც; მათ შორის ხშირად თარგმანები ქართულიდან („ვეფხვისტყაოსნის") ცალკეული ადგილები, ქართული კლასიკოსიების თხზულებანი და სხვ.

ამჟამად საქართველოში მოღვაწეობს ასურელ მწერალთა მთელი ჯგუფი, რომელთა თხზულებანი უმეტესად რუსული თარგმანის სახით ქვეყნდება. ასურელებს საქართველოში აქვთ სათვისტომო.

საქართველოში ასირიელების საუკუნოვანი თანაცხოვრების შედეგად ბოლო წლებში მოხდა ინტეგრაცია ქართველებთან, რაც გამოხატა მათ მიერ სალაპარაკო ქართული ენის დამკვიდრებაში და ასირიელების გვარსახელების ქართულ ყაიდაზე გაფორმებაში „ძე" და „შვილის" წარმოებით. დიდი როლი ითამაშა იმანაც, რომ ეს მოხდა დასავლეთ საქართველოს შედარებით უფრო ეროვნულ გარემოში, და, რაც მთავარია, იმანაც, რომ ასირიელები ქრისტინები არიან (მართლმადიდებლები და კათოლიკები), მაგრამ ეროვნული თვითშეგნებით მაინც ასირიელებად დარჩნენ.

კაზაკები

რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა უაღრესად საყურადღებო და ორგანული ნაწილია ორი ერის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობისა. ისტორია, ამ ორი ხალხის ერთობლივი ბრძოლებისა დამშვენებულია აურაცხელი ფაქტებით და მოვლენებით, რომლებიც ცხადყოფენ ისტორიული ვითარებით შედეგებულ რუსთა, უკრაინელთა და ქართველთა საბრძოლო თანამეგობრობას.

XI საუკუნის ცნობილმა ქართველმა მწერალმა გიორგი მთაწმინდელმა ბერძნულიდან გადმოიღო თქმულება სპარსელთა და სკვით-რუსთა მიერ 626 წელს კონსტანტინეპოლის ალყის შესახებ. ტექსტს ახლავს მთარგმნელის შენიშვნა, რომ „სკვითნი ესე იგი არს რუსნი".

X საუკუნის I ნახევრის მოღვაწე ანდრია სალოსის „ცხოვრების" აპოკრიფული მოთხრობის ქართულ თარგმანში, რომელიც ექვთიმე ათონელმა (955-1028 წწ.) გადმოიღო ბერნძულიდან, ვკითხულობთ: „ნათესავი მწითურთა მოვალს, რომელთა ჰქვიან რუსნი". მართლაც დღეს მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ეთნიკური ტერმინი „რუსი" შეიძლება წარმოდგებოდეს ძველი რუსულ-სლავური სიტყვიდან „Русый", რაც ნიშნავს მწითურს, ქერას, ღია ფერის თმის მქონეს და იგი, ალბათ, ძველი რუსების გარეგნობის აღწერიდან მომდინარეობს.

XI საუკუნის შუა წლებში რუსთა სამხედრო რაზმები, რომელთაც ქართული წყარო „ვარიაგებს" უწოდებს, აქტიურად მოქმედებდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. ამჯერად ისინი უკვე ბაგრატ IV-ისა და ლიპარიტ ერისთავს შორის ბრძოლებში მონაწილეობდნენ.

მართლაც, ქართული ნარატიული წყაროების ცნობით, 1047 წელს საქართველოში იმყოფებოდა რუსი მხედრობა 3000 კაცის რაოდენობით, რომლებიც ქართული ხელისუფლების მოწვევით ჩამოსულან აქ.

ხოლო უფრო გვიან, 1564 წელს, ივანე მრისხანეს განკარგულებით საქართველოში, კერძოდ კახეთში, ჩამოვიდა 500-კაციანი რუსთა რაზმი, რომელმაც 7 წელი დაჰყო საქართველოში. ეს რაზმი დიდ დახმარებას უწევდა ლევან კახთა მეფეს დაღესტნელ ფეოდალთა და ტომთა მეთაურების ალაგმვის საქმეში.

ბევრის მთქმელია იტალიელი მოგზაურის პიეტრო-დე-ლავალეს ცნობები დნეპრელი კაზაკებისა და საქართველოს ზღვისპირა რაიონების მოსახლეობის მოკავშირეობაზე 1617-1627 წლებში თურქების წინააღმდეგ. მისი გადმოცემით, ქართველებს არაერთგზის გაუყვანიათ სამშვიდობოზე თურქთა მიერ რკალში მოქცეული კაზაკები, ხოლო ამ უკანასკნელთ თავის მხრივ მფარველობის ქვეშ ჰყოლიათ ზღვით მოსიარულე ქართველთა სავაჭრო ხომალდები და სხვ.

ქართველებისადმი კაზაკების ძმური და გულსიხმიერი ზრუნვის შესახებ აღტაცებით მოგვითხრობს დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი, რომელმაც ლეკთა ტყვეობაში მრავალი წლის განმავლობაში ყოფნის შემდეგ მოახერხა გაქცევა თერგის კაზაკებთან...

ტყვეობიდან გამოქცეულ დავით გურამიშვილს მუეძინთა გაბმული ძახილის ნაცვლად ეკლესიის ზარების რეკვა შემოესმა. მიხვდა, რომ უკვე გადარჩენილია, უკვე სამშვიდობოსაა გასული. მაგრამ გამახვილებულმა და გაზვიადებულმა ეჭვიანობამ, ერთხელ კიდევ მოაგონა, რომ სიფრთხილე იყო საჭირო. ერთი წუთით გაურბინა ფიქრმა, შეიძლება ეს ყველაფერი მოჩვენება იყოსო. მით უმეტეს შეაშინა ხალხის ჩაცმულობამ, რომელიც შორიდან რაღაც ფანტასტიკურად ეჩვენებოდა. ქალების თავის მოსართავი და სამკაული თითქოს დევის რქებსაც მიამსგავსა, მაგრამ ახლა არჩევანისა და ყოყმანის დრო აღარ იყო. გავიდა ბაღიდან და მიუახლოვდა ადამიანებს, რომელნიც კალოს ლეწავდნენ.

კალოზე მომუშავეებს გრძელი პერანგები ეცვათ, ყელზე ჯვრები ეკიდათ. დავითი მიუახლოვდა ერთ მათგანს, ჯვარზე ემთხვია და პირჯვრის წერა დაიწყო. ხანგრძლივი ხეტიალისა და შიმშილის შემდეგ, ალბათ, საშინელი გამომეტყველება უნდა ჰქონოდა, რომ რუსებმა სიტყვის თქმაც აღარ დააცალეს და მაშინვე პური მიანოდეს.

„Лазарь, дай-ка парню хлеба“, ეს რომ გაიგონა დავითმა, მიხვდა, რუსებში იყო. სიხარულით მუხლებმა კანკალი დაიწყო:

„ხლება რა მესმა, დამეცა
მე სიხარულით თავზარი,
მუხლებმა რყევა დამიწყეს
ზე ტანმა შექმნა ზანზარი,
ველარ დაიგნეს სვეტებმა
და გარდაიქცა ტაძარი

რუსულად „ხლება“ პურს ერქვა,
უნინვე გამეგონაო;

სანამ ის იქ არ ახსენეს,
მე რუსი არ მეგონაო,
რა რომ თქვეს პერის სახელი,
მე იმან მომიფონაო;
ამ სიხარულმა დამშალა
ჯავრით შეკრული კონაო".

სიხარულმა დაშალა კაცი; მანამდე ის ჯავრისაგან შეკრული იყო და გაკაჟებული, ჯოჯოხეთი გამოიარა და ყველაფერი დასძლია; აქ კი ერთმა სიტყვამ ნააქცია. აბა ერთი დაუკვირდით ადამიანური სიკეთის რა მადლი ტრიალებს გურამიშვილის ამ სტრიქონებში! ტყვიას გამოქცეულს პერი მიანოდეს და ადამიანმა უცებ იგრძნო, რომ კვლავ არის ქვეყნად სიკეთე, სათნოება, ისევ კრთის მადლის შუქი, „რამეთუ მშიოდა და მეცით მე ჭამადი; მწყუროდა და მასვით მე; უცხო ვიყავ და მომხედეთ მე; საპყრობილესა ვიყავ და მოხვედით ჩემდა".

„როგორც რომ ერთმან ყაზახმან
მე მაშინ მამიარაო,
როცა რომ მყვანდა მივლიდა
მეტს მამაჩემი არაო;
შევბრალდი, გულზე მიმიქვა!
მკოცნა და ცრემლი ღვარაო,
სწრაფად მოენედ მომგვარა
ფხოვლელი იანვარაო".

დავით გურამიშვილს ეს სათნოება გულის ფიცარზე ეწერა და მომავალსაც ეს დაუგდო ანდერძად:

„ეეო, მეო, აქეთ მომხედეო,
მცან, მე ვარ შენი მოყვარე, მე შენ გიყვარდეო.
ნურასოდეს დამივიწყებ, მუდამ გახსოვდეო.
მაგ ჩემს წერილსა ნიგნებსა, წაიკითხვდეო,
რაც რომ ანდერძად დამეგდოს აღასრულებდეო,
ღარიბს აჭმევდე, მშიერსა, მწყურვალს ასმევდეო,
შიშველს შემოსდე, უძლურსა, სნეულს ნახევდეო,
საპყრობილეში მჭმუნვარსა ნუგეშსა სცემდეო,
პატიმარს, ტყვესა უცხოსა, შეინყნარებდეო,
ასეთი სახით მეჩვენე, გნახო, მამწონდეო".

ჩვენ ხშირად ვაზვიადებდთ ხოლმე ძველი და ახალი აღთქმის წიგნების გავლენას გურამიშვილის პოეზიაზე. სინამდვილეში კი, როგორც

ახლა ვნახეთ, ის თავისი გულით განცდილსა წერს და ამიტომ ასე ძლიერად შესძრავს ხოლმე ადამიანის სულს. ის ჭეშმარიტი რეალისტია. ასეთია ის ამ სცენაშიც, როცა რუსების კალიზე მოდის და მეკალოენი მას პურს გაუწვდიან. რომელი ადამიანის გული არ აუთრთოლებია ამ სურათს, მაგრამ ყველაზე კარგად გრძნობა, რომელსაც ეს ეპიზოდი ინვევს, გამოხატა რუსმა მწერალმა ანატოლი ტარასენკოვმა, როცა შემდეგი სტრიქონები დაწერა:

„ახლა, დავით გურამიშვილის მიერ აღწერილი მოვლენებიდან ორ საუკუნეზე მეტი ხნის გავლის შემდეგ, როდესაც ვკითხულობ სიტყვა „ხლებს", რომელიც გატანჯულმა, მშიერმა, ღონემიხდილმა დ. გურამიშვილმა გაიგონა რუსულად, რუსულ სოფელში სადაც იგი მოხვდა ტყვეობიდან გაქცევის შემდეგ, სიხარულის ცრემლები მეპკურნება ყელში. და ეს ცრემლები გასაგებს ხდიან, აახლოვებენ ჩემთან სხვა ეროვნებების, სხვა კულტურის, სხვა და ასე შორეული საუკუნის ადამიანის ბედსა და განცდას. ხომ ამაში არის ხელოვნების მეტად ხანგრძლივი სიცოცხლის საიდუმლოებაც, ხელოვნებისა, რომელიც მიდის წინ, „საუკუნეთა ქედებზე" და „პოეტებისა და მთავრობების" თავებზე „გადაბიჯებით".

კალიზე მისული პოეტი, რომელილაც კაზაკმა შვილივით გადაჭოცნა და მისი საცოდაობით დამწვარმა, ცხარე ცრემლით იტირა. დავითს სასწრაფოდ თარჯიმანიც უშოვეს, ერთი გადაკარგული ფხოველი, სახელად იანვარა, რომელიც, ალბათ, თვითონაც ტყვეობიდან იყო გაქცეული.

ტყვედყოფილი ჯერ ეკლესიაში წაიყვანეს, მერე სამდივნოში მიიხმეს და თავგადასავალი აამბობინეს...

ასეთი ფაქტები მრავალია ქართველებისა და კაზაკების ურთიერთობაში.

ვინ არის კაზაკი?

სიტყვა კაზაკი თურქული წარმოშობისაა, რაც ნიშნავს თავისუფალს, თავზეხელაღებულ კაცს; ადამიანი, რომელმაც კავშირი გაწყვიტა თავის სოციალურ გარემოსთან. XV საუკუნის ბოლოს კაზაკები ეწოდებოდა რუსეთის სახელმწიფოს განაპირა მხარეების თავისუფალ მოსახლეობას.

ქართულ ენაში კაზაკი მოიაზრებოდა, როგორც ყაჩაღი (აბრაგი); ზოგიერთ კუთხეში კი შეუპოვარს, ვაჟკაცს ნიშნავდა. მას უკავშირდებოდა ისეთი თვისებები, როგორიც არის გულადი, პატიოსანი, თავისუფლების მოყვარე და, რა თქმა უნდა მშრომელი. XIX საუკუნის 40-იან წლებში თბილისში მყოფი გერმანელი მეცნიერი და მოგზაური მორიც ვაგნერი

აღნშნავდა, რომ „თვით მთვრალი კაზაკიც, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს მებრძოლი სულის მთიელი, სრულ იარაღშია ჩამჯდარი...“

კაზაკები იყვნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, მაგრამ მათ აერთიანებდათ ერთი სარწმუნოება, თავისი ხალხის დაცვისა და გადარჩენის საერთო ინტერესები.

ვინმე ფათერაკის მაძიებელი, ამა თუ იმ ერის წარმომადგენელი, კაზაკების რიგებში რომ მიეღოთ, მას აუცილებლად დიდი სიმამაცე უნდა გამოიჩინა და მკაცრი კანონების ბრმა მორჩილი ყოფილიყო. თუ ერთი კაზაკი მეორეს წინასწარი განზრახვით მოკლავდა, მკვლელს სიკვდილით სჯიდნენ და ორივეს ერთად მარხავდნენ.

როდესაც უკრაინაში დიდი ხნის წინათ დამკვიდრებული კაზაკი უცოლობის აღთქმას დაარღვევდა, კანონი მას არ სჯიდა. ქალთა თაეაშვებულობის მიმართ კი მკაცრად შეუწყნარებელი იყო. თუ ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი ბავშვს გააჩენდა, მას თმებით მიაბამდნენ ეკლესიის კარზე და ყველა იქ შემსვლელი ამ ქალს სახეში აფურთხებდა, თან უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა. თუ გათხოვილ ქალს ქმრის ღალატს დაუმტკიცებდნენ, მას მიწაში კისრამდე ჩაფლავდნენ და შიმშილით სულს ამოხდიდნენ.

ამ ჩვეულებებისა და კანონების მქონეთ, სტუმართმოყვარეობა საყოველთაო წესად ჰქონდათ მიღებული და მათთან ჩამოსულ უცხოელს ყველგან სანაქებო მასპინძლობას უწევდნენ. ამასთანავე, უხუცესების მიმართ კაზაკები განსაკუთრებულ პატივისცემას იჩენდნენ, რაც პატრიარქალური ჩვეულებების ტრადიცია იყო.

ექსპლოატატორთა ხელისუფლების უკმაყოფილო და მის წინააღმდეგ ამხედრებულ გლეხებს გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში ყაზახებს უწოდებდნენ. მეურნეობას მოწყვეტილ და ტყვედ გაჭრილ ყაზახ გლეხთა სიმრავლე, „მოყაზახეთა“ მძიმე მდგომარეობა ხელსაყრელ ვითარებას ქმნიდა მათი ჯგუფ-ჯგუფად გაერთიანებისა და მეტ-ნაკლებად ორგანიზებული ბრძოლისათვის. ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიაში იხსენიება „ყაზახთა უფროსი“ (მის სასჯელად დადგენილია ხელფეხის მოჭრა ან თვალის ამოთხრა) და „ცხადად ყაზახნი, რომელნიცა დგანან ტყეშია ანუ გზაზედა“ (ისინი უნდა „დაიჭირონ და ანძაზე აცვან, რომე სხვათაც ნახონ და შეშინდნენ“).

ვახტანგ VI-ის სამართლის მიხედვით (მუხლი 89), „მზირობით“ (ჩასაფრებით) კაცისმკვლელ ყაზახს, თუ მეფე საგანგებოდ არ დასჯიდა, სამმაგი „სისხლის გადახდა ეკისრებოდა; თვით „მზირი“ ყაზახის მკვლელი კი არ ისჯებოდა“.

ექსპლოატაციისა და ბატონყმობის გაძლიერებამ რუსეთსა და პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფოებში XV-XVI სს-ში გამოიწვია გლეხთა მასობრივი გაქცევა ამ სახელმწიფოების საზღვრებს გარეთ, უპირატესად სამხრეთის აუთვისებელი მიწებზე – დონის, ვოლგის, იაიკის აუზებში. მეზობელი ფეოდალური სახელმწიფოებისა და მომთაბარეების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობამ განაპირობა ამ თავისუფალი ხალხების გაერთიანება სამხედრო ორგანიზაციებში. აღმოცენდა დონის, ვოლგის, დნეპრის (ჩერკასის), გრებენის და იაიკის კაზაკთა გასამხედროებული თემები.

XVI საუკუნის შუა ხანებში კაზაკებს ჩვენ ვხედავთ რუსეთის სხვადასხვა მხარეში, ლიტვის დიდი სამთავროს ტერიტორიაზე.

თავდაპირველად მათ უწოდებდნენ მრეწველებს, რომლებიც თევზის ჭერას მისდევდნენ. შემდეგ შეარქვეს მეომრები, რომლებიც ავსებდნენ დაშკოვიჩისა და დიმიტრი ვიშნევეცკის რაზმებს. მოგვიანებით ლიტვის ხელისუფლებამ მათგან შექმნა სოციალური ფენა, განსაკუთრებული ხელმძღვანელობით. ამავე დროს თვითნებურად დაარსეს დნეპრის ნაპირებზე თავისუფალ მეომართა საძმო, ზაპოროჟიეს სეჩის სახელწოდებით. ასეთივე მოვლენებს ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთ რუსეთში.

XVI საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა ციმბირისა და თერგის თემები. უკრაინის კაზაკობამ დიდი როლი შეასრულა უკრაინელი ხალხის ეროვნულ-განმანთვისუფლებელ ბრძოლაში.

კაზაკების შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო იყო სამხედრო ნადავლი და რუსეთის მთავრობის ჯამაგირი. კაზაკები აქტიურად მონაწილეობდნენ თავისუფალი ტერიტორიების ათვისებაში. XVI-XVII საუკუნეებში ერმაკის, ს. დეჟნიოვის, ე. ხაბაროვისა და სხვათა მეთაურობით, კაზაკობამ დიდი წვლილი შეიტანა რუსეთის წინსვლაში ციმბირსა და შორეულ აღმოსაველთში.

კაზაკობა სოციალურად თავიდანვე არ იყო ერთგვაროვანი. შემდგომი დიფერენციაციის შედეგად წარმოიშვა ღარიბ კაზაკთა დიდი ფენა, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა რუსი ყმა-გლეხობის სოციალურ ბრძოლებში. მათი რიგებიდან გამოვიდნენ ანტიფეოდალური ბრძოლის გამოჩენილი ხელმძღვანელები – ს. რაზინი, კ. ბულავინი და ე. პუგაჩოვი. ამავე დროს კაზაკთა ზედა ფენა (ე. წ. სტარშინები) მხარში ედგა რუსეთის თვითმპყრობელობას.

ზაპოროჟიელი კაზაკები დიდი ხნის განმავლობაში მოსვენებას არ აძლევდნენ თავიანთ მეზობლებს – რუსებს, პოლონელებს, მოლდავეელებს, თათრებსა და თურქებს. ისინი ამ სახელმწიფოსაგან ხან ერთის,

ხან მეორის მფარველობაში შედიოდნენ; ყველაზე მეტად კი საერთო ენას ნახულობდნენ რუსებთან, რასაც საერთო – მართლმადიდებლური – სარწმუნოებაც უწყობდა ხელს.

სულთანი მურად IV ხშირად ამბობდა: თუ ვინმე რაღაცას მინყობს ან მებრძვის, ყველა შემთხვევსათვის ცალ გვერდზე მძინავსო, მაგრამ თუ ზაპოროჟიელები მემუქრებიან, განუწყვეტლივ ვფხიზლობო. არც სულთან ოსმანსა და მის მემკვიდრეებს ჰქონდათ ნაკლები შიში კაზაკებისა. ამიტომაც იყო რომ ოტომანთა იმპერიასა და პოლონელებს შორის დადებულ ყველა ხელშეკრულებაში პირველი პუნქტი ითვალისწინებდა კაზაკებისათვის დნეპრისა და შავ ზღვაზე ნაოსნობის აკრძალვის მოთხოვნას.

ზაპოროჟიელებისათვის მთავარ სიძნელეს დნეპრის ჭორომების გადალახვა წარმოადგენდა, ამ დაბრკოლების დაძლევის შემდეგ კი მათი ხომალდები ერთიად იყრიდნენ თავს, მიეკვრებოდნენ ერთმანეთს და ასე გაივლიდნენ ამ მდინარის შესართავთან თურქების ორ ციხეს შუა და ორმოცი საათი საკმარისი იყო მათთვის ტრაპიზონისა თუ სინოპის გასაძარცვად და კონსტანტინოპოლში გასაყიდი ტყვეების შესაგროვებლად.

XVII საუკუნის პირველ მეოთხედში შავ ზღვზე გაბატონებული მდგომარეობა დონისა და უკრაინის კაზაკებმა მოიპოვეს. ისინი თავიანთი გემებით გამუდმებით თავს ესხმოდნენ ოსმალეთის სანაპიროს და საფრთხე შეუქმნეს ოსმალეთის დედაქალაქსაც კი. კონსტანტინოპოლში იმდენად შეშინებული იყვნენ, რომ სულთანმა ბრძანება გასცა, კაზაკებისაგან თავდაცვის მიზნით, ბოსფორის სრუტეში რკინის ჯაჭვი გაებათ. ერთ-ერთი ასეთი თავდასხმა კაზაკებმა მოაწყვეს 1625 წელს. ამის შესახებ რუსული წყაროები გვაცნობებენ: „გასულ (1625) წელს მარტის თვეში შავი ზღვით ცარგოროდიდან (კონსტანტინოპოლიდან) ნახევარი დღის სავალზე 300 ნავით ძალზე ბევრი ზაპოროჟელი, ჩერქეზი და დონელი კაზაკი მოვიდა, რომელთაც აიღეს და დაწვეს სამი თურქული სოფელი: ბოქუ, იენჩიკოი და ფანარი. ამის შემდეგ მოვიდნენ და აიღეს თურქეთის ქალაქები: ტრაპიზონი, სინოპი და უნია"

მიუხედავად იმისა, რომ შავი ზღვის კაზაკები ყუბანის ნაპირზე მინათმოქმედებას მისდევდნენ, ისინი შეუპოვარ მეომრებად ითვლებოდნენ და მთიელებს შიშის ზარს სცემდნენ. მათ ჩერქეზებისაგან გადაიღეს ტანსაცმელი, იარაღი, ჩვეულება და ბრძოლის წესები. თარეშის ჟინი, რომელიც მათში არ ქრებოდა, კაზაკებს უბიძგებდა გადაელახათ ყუბანი და ეძარცვათ ჩერქეზული სოფლები. ბუნებრივია, ასეთი ქმედება

რეპრესიებს ემსგავსებოდა. რუსეთის ხელისუფლებამ აკრძალა მათი ყოველგვარი თავდასხმა ჩერქეზებზე, მაგრამ კაზაკებს კანონიერი თავდაცვის უფლება დაუტოვეს. ამ აკრძალვის შედეგად და ამასთანავე, შავი ჭირის საშიშროების თავიდან ასაცილებლად, კაზაკებს ყოველ შემთხვევაში ფორმალურად მაინც, არ ჰქონდათ ყუბანის გადალახვის უფლება.

ყირიმელ თათართა მუდმივი თარეშები და კაზაკთა საპასუხო ლაშქრობები და „ფარული ომი" თურგზე დასამკვიდრებლად, ხელს უწყობდა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის პერმანენტულ დაძაბულობას. რუსეთი კი მეტად სუსტი იყო თურქეთთან საბრძოლველად. მაგრამ, როგორც ითქვა, ყირიმელთა და კაზაკთა პრობლემა შეუძლებელს ხდიდა ურთიერთობის ნორმალიზიას. აი, ეს „დამოკლეს მახვილი" იყო ერთ-ერთი ძირითადი მიზეზთაგანი, რომელიც თავისებურ ელფერს აძლევდა მოსკოვის სახელმწიფოს ურთიერთობას თურქეთთან, რაც განაპირობებდა მოსკოვის ერთობ მოკრძალებულ პოზიციას ამ ურთიერთობაში.

თუმცა, როგორც დავინახეთ, მოსკოვის სახელმწიფოს გააჩნდა თავისი ფარული, მაგრამ საკმაოდ მძლავრი კონტრიარალი, დონისა და დნეპრის კაზაკების სახით. კაზაკების შეუპოვარი ლაშქრობები თურქეთის ტერიტორიაზე, თავისი ხასიათითა და მეთოდებით არც თუ ძლიერ განსხვავებული თათართა თარეშებისაგან, სერიოზულ მატერიალურსა და ფსიქოლოგიურ ზიანს აყენებდა სულთანის იმპერიას. კაზაკობის ისტორია სავსეა ამგვარი თარეშებითა და ლაშქრობებით. ხშირ შემთხვევაში კაზაკთა ლაშქობები – თუმცა ისინი დიდი ზიანს აყენებდნენ თურქეთს და, ამდენად, ობიექტურად ხელს უწობდნენ აგრესორთა შესუტებას – არ იყვნენ სანქციონირებული მოსკოვის მთავრობის მიერ. უფრო მეტიც – კაზაკები, არაიშვაითად, ხელს უშლიდნენ მოსკოვის მთავრობას მოეგვარებინა თურქეთთან ურთიერთობა და სულთანისა და ყირიმის ხანის არმიები პოლონეთის წინააღმდეგ წარემართა. ამის მრავალრიცხოვანი დადასტურებაა მოსკოვ-დონის ურთიერთობის მასალები.

როგორც ცნობილია, კაზაკები არ კმაყოფილდებოდნენ მარტო შავი ზღვით და სხვა მიმართულებითაც არ თაკილობდნენ ლაშქრობებს – მათ შორის რუსეთის მდინარეებისა და კასპიის ზღვის აუზებს. ერთ-ერთ ასეთ ლაშრობას მოსკოვის მეფე თავის სასარგებლოდაც იყენებდა 1632 წელს, როცა კონსტანტინოპოლს მოსკოვის ელჩები – ათანასე პრონჩიშჩევი და დიაკი ტიხონ ბორისოვი ეწვივნენ. საუბარში თურქმა დიპლომატებმა ჰკითხეს რუს ელჩებს: მართალია, რომ კაზაკებმა ყიზილბაშების მიწები დაარბიესო?! პრონჩიშჩევმა უპასუხა, რომ მეფემ კაზაკებს სულთანისა და ყირიმის მიწების დარბევა აუკრძალა, ამიტომ

დონელები იაიკზე გადავიდნენ, იაიკელებს შეუერთდნენ, კასპიის ზღვაში ილაშქრეს და ყიზილბაშების მინები და გემები დაარბიეს, ნადავლი დონზე მოიტანეს და იქ იაფად გაყიდესო. მაგრამ ასეთი ფაქტი – თუ გადავხედავთ დონის კაზაკთა ისტორიას – თითქმის ერთეული იყო. მალე მათ კიდევ განაახლეს ყირიმ-თურქეთზე ლაშქრობები.

მაგრამ, როგორც ჩანს, კაზაკებზე მაინც და მაინც არ მოქმედებდა მოსკოვის მთავრობის აკრძალვები, რადგან მათი განსაკუთრებული გააქტიურება თურქეთ-ყირიმის წინააღმდეგ ბრძოლაში სწორედ XVII საუკუნის პირველ ნახევარს ემთხვევა. კაზაკები განაგრძობდნენ შავი ზღვის სანაპიროების დარბევას და შიშის ზარს სცემდნენ ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობას. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ფრანგი კურმენენის სიტყვით, 1621 წელს კონსტანტინოპოლში „კაზაკთა თავდასხმის შიშით თურქებმა აიძულეს ფრანგი ვაჭრები მათთან ერთად გამოსულიყვენენ დედაქალაქის საყარაულოდ, კაზაკთა მოულოდნელი თავდასხმებისაგან თავდაცვის მიზნით; ხოლო თურქმა დიდებულებმა ერთხელ საფრანგეთის რეზიდენტს მიმართეს თხოვნით, რომ მას კაზაკების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემთხვევაში თავშესაფარი მიეცა მათთვის“.

კაზაკთა აქტიურობის კულმინცია იყო აზოვის დაპყრობა დონელების მიერ 1637 წელს. ეს ფაქტი მეტად დიდმნიშვნელოვანია მოსკოვ-დონის ურთიერთობის გასარკვევად, ერთი მხრივ, და მოსკოვის სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური ამოცანებისა და პოტენციალის დასადგენად, მეორე მხრივ.

ირანთან, ომის დამთავრებისა (1639 წ.) და ზოჰაბის საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ სათანადოდ მომზადებული თურქეთის არმია მიადგა აზოვს. მაგრამ კაზაკებმა 24 ივლისი მოიგერიეს და თურქები იძულებული გახადეს ალყა მოეხსნათ. მოსკოვში კაზაკთა ამ წარმატებას სერიოზული რეაქცია მოჰყვა და 1642 წლის 3 იანვარს შეკრიბა საერობო კრება, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა კაზაკებისაგან აზოვის ციხის მიღების საკითხი (ამას სთხოვდნენ კაზაკები მოსკოვს). ბუნებრივია, რომ ეს საკითხი თურქეთთან ომის დაწყებას უკავშირდებოდა. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ (გამოანგარიშებული იქნა რომ აზოვის დაცვას დაჭირდებოდა 10 ათასი კაცი და 221 ათასი მანეთი) მთავრობამ უარი თქვა აზოვის მიღებაზე და 30 აპრილს კაზაკებმა დატოვეს აზოვი, თუმცა წინასწარ მთლიანად მინასთან გაასწორეს იგი.

კონსტანტინოპოლის კარს, რასკვირველია, არ სჯეროდა მოსკოვის გულწრფელობისა, როცა მიხეილ თეოდორეს ძე კაზაკებს კანონგარეშე

ავაზაკებად აცხადებდა და მათი მოქმედებისათვის პასუხისმგებლობას ამით იხსნიდა. დონზე ყოველწიურად იგზავნებოდა ფულადი ჯამაგირი, სარჩო და ტყვია წამალი, რაც თურქებისათვის შეუმჩნეველი არ რჩებოდა და ეს მეტად მჭევრმეტყველი ფაქტი იყო. მოსკოვის მთავრობა კი ამ ფაქტს თავისებურად ხსნიდა: ასე რომ ამ მოვიქცეთ, თქვენც აგანიოკებენ და ჩვენცო.

XVII საუკუნის დასაწყისში კაზაკთა თემები გარადაიქმნენ ირეგულარულ კაზაკთა ჯარებად. 1721 წლიდან ისინი საშხედრო უწყებას დამორჩილდნენ. კაზაკებში თანდათან გაუქმდა ჯარის უფროსების არჩევითობა, მათ რუსეთის მთავრობა ნიშნავდა.

პოლონელების საზღვრებთან განლაგებულ კაზაკთა ამბოხებებს ბოლო არ უჩანდა. ამ მიზეზის თუ კაზაკთა მებრძოლი ბუნების გამო, ყუბანის მარცხენა ნაპირზე მცხოვრებ ჩერქეზთა მიერ რუსებზე ხშირი თავდასხმების ასალაგმავად, ისინი დედოფალმა ეკატერინე II-მ აუსტლაბანიდან ტამანამდე განასახლა, მდინარე ყუბანის მარჯვენა მხარეს.

XIX საუკუნის დასაწყისში მათ „ჩერნომორელ", ანუ შავი ზღვის კაზაკებს უწოდებდნენ.

საერთოდ, „ჩერნომორელი" (შავი ზღვისპირელი) კაზაკები შავი ზღვისა და მდ. ყუბანის ნაპირებზე დასახლებულ კაზაკებს ერქვათ. ისინი ზაპოროჟელი კაზაკების შთამომავალნი არიან, რომელსაც „ზაპოროჟიეს სეჩის" სახელწოდებითაც იცნოდბდნენ.

გარკვეული პერიოდის განმავლობაში კაზაკთა მეთაურს ჰეტმანი ეწოდებოდა. ჰეტამანი (პოლონურად hetman, ჩეხურად hejtman, გერმანულად Hautmann – ნიშნავს უფროსს, მეთაურს, წინამძღოლს...) XV საუკუნის ჩეხეთში ტაბორიტების ჯარის მეთაური იყო, ამავე საუკუნის დასაწყისიდან 1795 წლამდე, პოლონეთში მუდმივი ჯარის მეთაურის თანამდებობასა და ტიტულს წარმოადგენდა.

უკრაინაში XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან სარეესტრო კაზაკების წინამძღოლს ჰეტმანი ეწოდება. ჰეტმანს უწოდებდნენ აგრეთვე კაზაკურ-გლეხურ მოძრაობათა მეთაურებს: კ. კოსინსკის, ს. ნალივაიკოს და სხვებს. 1648 წელს ჰეტმანის ტიტული მიიღო ბოგდან ხმელნიცკიმ. მისი გარდაცვალებისა (1657 წ.) და ჰეტმან ი. ვიგოვსკის ღალატის გამოვლენის შემდეგ როცა მარჯვენა ნაპირის უკრაინა პოლონეთს დაუმორჩილდა, უკრაინაში, ჩვეულებრივ ორი ჰეტმანი იყო – მარჯვენა და მარცხენა ნაპირის უკრაინის ჰეტმანები.

მარცხენა ნაპირის უკრაინის ჰეტმანს ხელთ ეპყრა უმაღლესი სამოქალაქო, სამხედრო და სასამართლო ხელისუფლება, აგრეთვე სხვა

სახელმწიფოებრივ-დიპლომატიურ ურთიერთობათა უფლებები. 1708 წლიდან ჰეტმანს მეფის რუსეთის ხელისუფლება ნიშნავდა.

ფელდ-მარშალი, გრაფი კირილე გრიგოლის ძე რაზუმოვსკი (1728-1803 წწ.) ელისაბედ პეტრეს ასულის ფავორიტი, უკრაინის უკანასკნელი ჰეტმანი იყო (1750-1764 წლებში). 1764 წელს ეკატერინე II-მ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად საბოლოოდ გაუქმდა ჰეტმანობა და შეიზღუდა უკრაინის ავტონომია. უკრიანის მმართველობა გადავიდა მალოროსიის ხელში, რომელსაც სათავეში ედგა პ. რუმიანცევი.

XIX საუკუნის ბოლოდან რუსეთის ცარიზმი ფართოდ იყენებდა კაზაკებს რევოლუციური ძალებისა და ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. კაზაკთა მთელი ჯარების ატამანად 1827 წლიდან რუსეთის ტახტის მემკვიდრე ითვლებოდა.

XX საუკუნის დამდეგისათვის კაზაკთა 11 ჯარი იყო (დონის ყუბანის, თერგის, ასტრახანის, ურალის, ორენბურგის, შვიდმდინარეთის, ციმბირის, ბაიკალისპირეთის, ამურის, უსურის). 1917 წელს შეიქმნა ენისეის კაზაკთა ჯარი და იაკუტიის კაზაკთა პოლკი.

1916 წლისთავის კაზაკი მოსახლეობა რუსეთში 4434 ათას კაცს შეადგენდა. აქედან, სამხედრო სამსახურში იყო 285,4 ათასი მეომარი.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის დროს კაზაკების დიდი ნაწილი აჯანყებული ხალხის მხარეს გადავიდა. ოქტომბრის გადატრიალების პერიოდში ბოლშევიკებმა შეძლეს ფრონტელი და ულარიბესი კაზაკების მიმხრობა. სამოქალაქო ომის წლებში გამძაფრებულ ბრძოლას მოჰყვა კაზაკთა მერყეობა და მათი დიდი ნაწილი ანტისაბჭოთა პოზიციაზე დადგა. 1919 წლის ბოლოს და 1920 წლის დამდეგს ბოლშევიკების დიპლომატიური მანევრების შედეგად დაიწყო კაზაკების შემობრუნება საბჭოებისაკენ. წითელი არმიის რიგებში იბრძოდნენ კაზაკთა ნაწილები ს. ბუდიონის, ბ. დუმენკოს, პ. ბახტუროვის და სხვ. სარდლობით.

1920 წლის თებერვალ-მარტში ჩატარდა რუსეთის კაზაკთა ყრილობა, რომელმაც დაადასტურა ლოიალობა საბჭოთა რეჟიმისადმი. ამავე წელს სრულიად რუსეთის ცაკის დადგენილებით კაზაკთა ყველა ოლქზე გავრცელდა რსფსრ კანონმდებლობა, რითაც ბოლო მოეღო კაზაკების, როგორც დამოუკიდებელი სამხედრო ფენის არსებობას.

მიუხედავად იმისა, რომ კაზაკობა მძიმე წუთებში არაერთხელ დახმარებია რუსეთის ხელისუფლებას, მათ არასდროს გამოუხატავთ კაზაკებისადმი განსაკუთრებული გულმოწყალება და ყურადღება. კაზაკებს იყენებდნენ გარეშე მტრის წინააღმდეგ სასაზღვრო რაიონებში. ისინი ყველგან აჩვენებდნენ ვაჟკაცობისა და გმირობის მაგალითებს. ამისათვის

კაზაკებს აჯილდოვებდნენ უმაღლესი ორდენებითა და მედლებით, აწინაურებდნენ მაღალ თანამდებობებზე, მაგრამ მათდამი მაინც გულგრილად და შიშითაც კი იყვნენ განწყობილი.

განსაკუთრებული უარყოფითი დამოკიდებულება გამოამჟღავნა კომუნისტურმა რეჟიმმა კაზაკებისადმი XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში. დაიწყო კაზაკების დევნა, ფიზიკური განადგურება, რეპრესიები... კაზაკები იძულებული გახდნენ ემიგრაციაში წასულიყვნენ და თავშესაფარი უცხო ქვეყნებში (აშშ, კანადა) ეძებნათ. კაზაკობა, როგორც სოციალური მოვლენა, 1920 წელს „გაუქმეს". კაზაკების დევნა შემდეგ წლებშიც გრძელდებოდა, მაგრამ კაზაკობა გადარჩა, ის არსებობდა და იარსებებს.

კაზაკების ავტორიტეტი რომ დაეკნინებინათ და სულიერად გაეტეხათ, მათზე თხზავდნენ ყოველგვარ სისაძაგლეს, მაგალითისათვის 1924 წლის 14 თებერვალს გაზეთ „იზვესტიაში" გამოქვეყნებული პუბლიკაციაც იკმარებდა, სადაც აღნიშნულია: „კაზაკთა მასა იმდენად უკულტუროა, რომ ფსიქოლოგიური კუთხით მათი გამოკვლევის შემთხვევაში შევამჩნევდით დიდ მსგავსებას ზოოლოგიურ სამყაროსთან, კაზაკი, ჩვეულებრივ, საყურეს ატარებს, ზოგჯერ – ორს. შეხვდებით კაზაკს, რომელსაც ცხვირის ნესტოც კი გახვრეტილი აქვს, განსაკუთრებული ხარისხის რგოლის გასაკეთებლად".

ცენტრალურ პრესაში ასეთი შინაარსის სტატიების გამოქვეყნების არსი მდგომარეობდა იმაში, რომ გაემართლებინათ კაზაკების წინააღმდეგ ბრძოლა. კერძოდ, მოწოდების შესრულება: „მოკალი კაზაკები – ადამიანები არ არიან!" ასეთი სტატიების, კულისებსმიღმა, ავტორები შეიძლება ყოფილიყვნენ მხოლოდ მაღალი ჩინოსნები (შესაძლებელია ტროცკი ან რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ვაცეტისი).

მხოლოდ 1936 წელს გაუქმდა წითელ არმიაში კაზაკების სამსახურის შეზღუდვები, ჩამოყალიბდა ახალი ცხენოსანთა დივიზიები, დიდი სამამულო ომის დროს კაზაკთა ნაწილები პ. ბელოვის, ვ. დოვატორის, ი. პლიევისა და სხვ. სარდლობით, გმირულად იბრძოდნენ გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ.

საბრძოლო ურთიერთობის სათავეებთან

კაზაკებთან საქმიანი ურთიერთბისა და თანამშრომლობის არსებობა ჯერ კიდევ XVI საუკუნეში არის დადასტურებული. გავიხსენოით თუნდაც კახეთსა და ქართლში რუს კაზაკთა რაზმების სამსახურის ამბავი 1586-1589 წლებში, ან კიდევ უფრო ადრე, XVI საუკუნის შუა ხანებში ივანე

IV-სადმი კახეთის მეფის ლევანის მიმართვის შედეგად თერგიდან კახეთში მოსული სტრელცებისა და კაზაკთა რაზმის სამსახური, რომელიც თითქმის 7 წელზე მეტხანს გრძელდებოდა (1565-1572). წყაროებიდან ირკვევა, რომ ქართველებს საკმაოდ გაცხოველებული ვაჭრობა ჰქონდათ ჩრდილო კავკასიაში თერგის კაზაკებსა და, აგრეთვე რუსთა მფლობელობაში მყოფ მთელ რიგ ქალაქებთან.

ასევე, მიუხედავად არახელსაყრელი საშინაო და საგარეო პირობებისა, დასავლეთ საქართველოს სამეფო, სამთავროები ვაჭრობას ეწეოდნენ ოსმალეთთან, ირანთან, პოლონეთთან, უკრაინისა და დონის კაზაკებთან.

დასავლეთ საქართველოს საზღვაო სანაპიროსთან სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა დნეპრის კაზაკებსაც. ოდიშისა და გურიის სამთავროს ქვეშევრდომები გულთბილად იღებდნენ თავიანთ ქვეყანაში კაზაკებს, რომლებიც დნეპრის შესართავთან ცხოვრობდნენ. თვით პოლონეთის ხელმწიფეს მიმოწერა და მეგობრობა ჰქონდა ქართველ მთავრებთან. „ხშირად ერთი ქვეყნიდან მეორეში სავაჭრო ხომალდები" დადიოდნენ, კაზაკებიც ბევჯერ მფარველობდნენ სავაჭრო გემებს.

და მაინც მთავარი იყო საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლა და თანადგომა. თერგის ციხე – ქალქიდან დაბრუნდა კახთა მეფე ალექსანდრე მეორე ლევანის ძის (1574-1605 წწ.) მიერ იქ გაგზავნილი ჩერქეზი იანშა და მეფეს ჩამოუტანა ორი სიგელი: ერთი – თერგის ვოევოდის ანდრეი ხვოროსტინინისაგან და მეორე – კაზაკთა მეთაურის გრიგორი პოლტევისაგან.

„ჩვენ, – სწერდა მეფეს ხვოროსტინინი, – ვავიწროვებთ შამხალს და თანახმად ხელმწიფის ბრძანებისა, გვინდა ავაგოთ ციხე-ქალაქი მდინარე კოისუზე. ამჟამად გავგზავნეთ ჯარი ხელმწიფის ურჩ მონინააღმდეგეთა დასათრგუნველად და მოველით ცხენოსანსა და ქვეითს ჯარს – გემებით. როგორც კი ჯარი მოაღწევს, დაუყოვნებლივ შეგატყობინებთ".

ხვოროსტინინი სთხოვდა ქართველ მეფეს, – მძევლის ჩამოურთმევლად ალკასი შინ არ გაუშვათო, და მადლობას მოახსენებდა იანშას ხელით ბოძებული საჩუქრებისათვის.

კაზაკთა მეთაური გრიგორი პოლტევი ატყობინებდა ქართველ მეფეს – დავიწყეთ ლაშქრობა თურქეთის მხარეზე გადასული ყაბარდოელების წინააღმდეგო. თვითონ იანშა გახდა მოწმე იმისა, თუ როგორ გაუსწორდნენ რუსები ურჩ ყბარდოელებს. იანშა დაწვრილებით ჰყვებოდა, როგორ ანადგურებდნენ კაზაკები ცეცხლმსროლელი იარაღით ურჩებს; კა-

ზაკებმა გადასწვეს 30 სოფელი და მძევლად წამოიყვანეს ოცი საუკეთესო ყაბარდოელი უზდენი.

მეფე ალექსანდრესა და თერგის ვოევოდებს შორის უბრალო და კარგი ურთიერთობა დამყარდა. ალექსანდრე ჯერ კიდევ მდიდარი მეფე გახლდათ და არ იშურებდა ქონებას მეფური წყალობის გასაცემად. ამასთან, დიდად აფასებდა რუსებს, რუსი ვოევოდების, კაზაკ-მეთაურებისა და რიგით მოისართა მოქმედებას მისთვის მარტო სამხედრო მნიშვნელობა არ ჰქონდა. ისინი საფუძველს ქმნიდნენ, რათა ალექსანდრეს მხარეზე მებრძოლ და საქართველოს მინა-წყლის დამცველ რუს მოისართა და კაზაკთა მცირე საომარ მოქმედებაში მტრებს თვალნათლივ დაენახათ, რომ ქართველთა და რუსთა კავშირი ლიტონი სიტყვა არ იყო. კახეთში, მთებზე, საშამხლოს საზღვრების ერთ-ერთ უბანზე (დიდოეთში) საგუშაგო სამსახურს ასრულებდნენ ყირიმის და თურქეთის ტყვეობიდან საქართველოში დაბრუნებული რუსი კაზაკები. როცა რუსმა ელჩებმა აღრიცხეს ისინი იმ განზრახვით, რომ თან წაეყვანათ, მეფე ალექსანდრემ გულისწყრომა გამოთქვა.

„მე იმ რუსი კაზაკებით ჩემს საზღვრებს ვერ დავიცავ – განუცხადა ელჩებს ალექსანდრემ, – მათი რიცხვი ოც კაცს არ ალემეტება, მხოლოდ ხმა მინდა დაირხეს, რომ ჩემი ქვეყნის საზღვრებზე რუსები დგანან“.

კაზაკებმა საზღვაო ლაშქრობების დროს თავისი ყურადღების არეში მოაქციეს საქართველოს ზღვის სანაპიროები, რამდენადაც ამ სანაპიროებსა და მდინარეთა შესართავებს მოხერხებული დასაყრდენი პუნქტების როლის შესრულება შეეძლოთ კაზაკებისათვის, მათი ხშირი საზღვაო ექსპედიციების დროს თურქეთის წინააღმდეგ. ამასვე ადასტურებს პიეტრო დელა-ვალე 1627 წელს მოხსენებით ბარათში რომის პაპის ურბან მერვესადმი, სადაც ნათქვამია, რომ „კაზაკები დღეს შავი ზღვის ბატონები არიან და ბევრად ძლიერნი... ქართველებს კი, თავის მხრივ, თავიანთი ნავსადგურებითა და უშიშარი თავშესაფარი ადგილებით, რომლებიც ზღვის ნაპირებზე აქვთ, შეუძლიათ, დიდი დახმხარება აღმოუჩინონ კაზაკებს მათ საქმეში“.

ამდენად, დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობები, მისი მდებარეობის სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა, თურქეთის სამფლობელოებზე თავდასხმების მონყობისას, აგრეთვე საქართველოს ზღვისპირეთის მოსახლეობაში ნადავლის გასაღების ადვილი შესაძლებლობა, ცხადია, დონის კაზაკთა ყურადღებას იზიდავდა. გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ქართველები და კაზაკები ერთმორწმუნენი, მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ.

რაც მათი ურთიერთდაახლოების ერთ-ერთ პირობად შეიძლება მივიჩნიოთ. კაზაკებმა ისიც კარგად იცოდნენ, რომ თურქი აგრესორებისაგან შევიწროებული ქართველები მტრის წინააღმდეგ შეუპოვრად იბრძოდნენ და ამ საქმეში წარმატების მოსაპოვებლად რუს ხალხთან დაკავშირებას ეძებდნენ,.ამის შესახებ ისინი თურგის კაზაკთა მეშვეობითაც უნდა ყოფილიყვნენ ინფორმირებულნი.

ამ ვითარების ნიადაგზე, რუს ხალხთან, კერძოდ, კაზაკებთან ქართველთა ურთიერთობა, რასაკვირველია, სრულიად ბუნებრივ და თავისთავად გასაგებ მოვლენად წარმოგვიდგება. ცხადია, რომ ეს დაახლოება უაღრესად ხელსაყრელი იყო ორივე მხარისათვის. როგორც ფედოტ ელჩინის მუხლობრივი აღნერილობიდან ჩანს, ქართველები მოხარული იქნებოდნენ, თუკი რუსეთის ხელმწიფე ოფიციალურად ნებას დართავდა კაზაკებს, რათა მათ ქართველებისათვის დახმარება გაეწიათ თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ დონის კაზაკთა საქმიანი ურთიერთობა ქართველებთან, თვით დონის უბატონო კაზაკთა ლაშქრის საკუთარი ინიციატივით, და არა რუსეთის მეფის ოფიციალური ბრძანებით ხორციელდებოდა. ე. ი. ჩანს, რომ ქართველებთან კაზაკთა ურთიერთობა, მათი მხრიდან, სავსებით თავისუფალი ნებასურვილის გამოხატულებას წარმოადგენდა. ამით ქართველები, რასაკვირველია, კმაყოფილი იყვნენ, მაგრამ მათთვის ისიც სასურველი იქნებოდა თუკი რუსეთის მეფე ოფიციალურად უბრძნებდა კაზაკებს ქართველებისთვის დახმარების განევას.

ოსმალეთის სულთნის კარმა კარგად იცოდა, რომ ქართველებს ახლო ურთიერთობა და კავშირი ჰქონდათ ზაპოროჟიესა და დონის კაზაკებთან. XVII საუკუნის მოგზაური, მართლმორწმუნე მაჰმადიანი და სულთნის ერთგული მოხელე ევლია ჩელები იძულებულია აღიაროს, რომ რუსი ხალხისა და მისი ნიაღიდან გამოსული დონის კაზაკთა საუკუნოვანი ბრძოლები თურქეთის აგრესიის წინააღმდეგ უაღრესად გამამხნევებელი იყო ქართველთათვის იმ მძიმე ბრძოლაში, რომელსაც ისინი ამავე მოძალადეების წინააღმდეგ ეწეოდნენ საუკუნეების მანძილზე. ევლია ჩელები თავის აღწერილობაში, თუმც მეტისმეტად ფრთხილად, მაგრამ მაინც იძულებულია აღნიშნოს, რომ ზღვისპირეთის ქართველთა თანაგრძნობა ციხე-ქალაქ გონიოში გამაგრებული კაზაკებისაკენ იყო მიმართული და მათ დასახმარებლად, თუმც დაგვიანებით, პრაქტიკული ნაბიჯიც კი გადაუდგამთ.

კაზაკები ხშირად ქართველთა ზღვისპირა ეკლესიებში ღმერთს სამადლობელს სწირავდნენ და ეკლესიებსაც დიდძალ ოქროსა და

ვერცხლის ფულს უტოვებდნენ საჩუქრად. ერთი ამაგვარი ფაქტის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის იტალიელი მისიონერი ჯოვანი ჯულიანო და ლუკა. აღნერს რა საქართველოს ერთ ზღვისპირა ქართულ ეკლესიას, გვაუწყებს, რომ „ტრაპეზზედ იდგა ერთი თეფში საცსე ოქროსა და ვერცხლის ფულით... მღვდელს ვკითხე, ეს ფული ვის შეუწირავს მეთქი, იმანაც მიპასუხა, რომ კაზაკები, რომლებიც ნავებით დონისა და დნეპრის მდინარით შავ ზღვაში შემოდიან, ოსმალეთისა და თათრების დასარბევად, როდესაც მობრუნდებიან ნადავლით, ამ ეკლესიაში ლოცულობენ დ სტოვებენ ფულს".

ეს ფაქტი სხვა მასალებთან ერთად, ერთხელ კიდევ ადასტურებს კაზაკობისა (დონისა და ზაპოროჟიეს) და შავი ზღვისპირეთის ქართველებს შორის ურთიერთობისა და კარგი განწყობილების არსებობას. ჯოვანი ჯულიანო და ლუკას ზემოაღნიშნული ცნობის მიხედვით, ამ ფაქტის სხვაგვარად გაგების შესაძლებლობა გამორიცხულია.

ამრიგად, მძიმე ლაშრობიდან გამარჯვებით დაბრუნებული კაზაკები, შვებას და მოსვენებას სწორედ ზღვისპირეთის ქართველებთან პოვებდნენ. აქვე ასაღებდნენ ისინი ნადავლის ნაწილს, რომელზედაც მოთხოვნილება ადგილობრივ მოსახლეობაში მუდამ არსებობდა. ამგვარი ურთიერთობა ქართველებსა და კაზაკებს შორის თავის მნიშვნელობას მარტო საბრძოლო წარმატებათა პერიოდში როდი ინარჩუნებდა: იგივე ურთიერთობა მათ შორის ავბედობის დროსაც გრძელდებოდა. ცნობილია, რომ კაზაკთა საზღვაო ლაშქრობანი ზოგჯერ არახელსაყრელი გარემოებათა გამო, მათთვის მძიმე მარცხით თავდებოდა, ასეთ შემთმთხვევაშიც კაზაკები დამხარებას, თავშესაფარსა და მფარველობას ზღვისპირეთის ქაველ მოსახლეობაში პოვებდნენ. უფრო მეტიც, თურქთა ტყვეობიდან კაზაკები ზოგჯერ სომხეთში, საქართველოსა და შემახიაში გადიოდნენ, ხოლო აქედან კი, ადგილობრივ მკვიდრთა ხელშეწყობით, რუსეთში მშვიდობით ბრუნდებოდნენ. მსგავსი ფაქტები წყაროებში მრავლად არის მითითებული.

საგულისხმოა, პიეტრო დელა-ვალეს ცნობა: „ეს ორი ხალხი ემოყვრებიან ერთმანეთს"... ეს შეფასება მრავლის მეტყველია – დასტურდება ქართველებსა და კაზაკებს შორის ახლო ურთიერთობა, ერთმანეთისადმი ნდობისა და პატივისცემის არსებობა – სხვანაირად მათ შორის დამოყვრება წარმოუდგენელი იქნებოდა.

1640 წელს სამეგრელოს სამთავროს და რუსეთს შორის მოლაპარაკების დროს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა კაზაკების საკითხს. საერთოდ, XVII საუკუნის 40-იან წლებში სამეგრელოს სამთავროს, დონის

და ზაპოროჟიელ კაზაკთა შორის დამყარდა მეგობრული ურთიერთობა. შემთხვევითი არ არის, რომ 1650-51 წლებში, რუსეთის ელჩის ა. ივ-ლევის მონაცემებით, რომელიც იმერეთში იმყოფებოდა, ლევან II-ს კაზა-კები დაუჯილდოვებია თურქეთის ფლოტის წინააღმდეგ ბრძოლაში მათი დახმარებისათვის. შესაძლებელია კაზაკებსა და სამეგრელოს მთავრებს შორის არსებობდა თავისებური სამხედრო კავშირი, რის დასტურსაც წარმოადგენდა 1647 წელს ერთ-ერთ ციხე-სიმაგრეში ალყაშემორტყმული კაზაკების დასახმარებლად მეგრელების მისვლა.

იმერეთის მეფე ალექსანდრე II კარგად ხედავდა, როგორი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კაზაკების დახმარებას სამეგრელოს სამთავრო-სათვის. ამიტომ ის შეეცადა დაკავშირებოდა კაზაკებს და გამოეყენებინა მათი ძალა.

ლევან დადიანს სამიამოვნოდ მიაჩნდა თუკი კაზაკები თურქეთის სანაპირო ადგილების დარბევის შემდეგ, უკან დაბრუნებისას, ანდა მათ წინააღმდეგ თურქთა კატარღების დადევნებისას, სადადიანოს ფარგ-ლებში შემოვოდოდნენ. ასეთ შემთხვევაში დადიანი კაზაკებს თურქი მდევრებისაგან დაცვასა და მფარველობას პირდებოდა. ეს გარემოება თავისთავად ხელს უნყობდა მათ შორის კარგი ურთიერთობის შენარ-ჩუნებას.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველები დონის კაზაკებთან ურთი-ერთობას სასურველად და ხელსაყრელად მიიჩნევდნენ. ასევე, კაზაკებ-საც თავისთვის უაღრესად სასარგებლოდ მიაჩნდათ ქართველებთნ ურთიერთობის შემარჩუნება.

მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, ისიც, რომ ეს ურთიერთობა მათ შორის ყოველთვის არ აბარებდა კეთილგანწყობილებისა და ურთიერთ-გაგების ხასიათს და ესეც სავსებით გასაგები. გვიანი ფოდალური ხანის სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა, აგ-რეთვე დაძაბული საერთაშორისო ვითარება, რომელშიც თითოეულ მათ-განს (ქართველებსა და კაზაკებს) უხდებოდა ცხოვრება დ ბრძოლა, მნიშვნელოვნად განაპირობებდა მათ შორის ურთიერთობის არასტაბი-ლურობას. ამიტომ იყო, რომ ქართველებსა და კაზაკებს შორის ზოგ-ჯერ, თუმცა იშვიათად სხვადასხვა მიზეზების გამო, გაუგებრობა და შუღლიც კი ჩამოვარდებოდა ხოლმე. ეს გარემოება კი ცხადია, ანე-ლებდა მათ შორის ურთიერთნდობას და ქმნიდა ერთმანეთისადმი ეჭვიან განწყობილებას.

ლევან დადიანთან იმყოფებოდა ჯოვანი ჯულიანო და ლუკა. ერთ-ერთი საუბრის დროს მეტად საინტერესო საკითხი ნამოჭრილა. საუბარი

ეხებოდა სამეგრელოს მთავრის დამოკიდებულებას კაზაკებთან და თურქებთან. იტალიელი მისიონერი წერს: „მერვე დღეს, ეპისკოპოსთან ერთად ისევე მთავრის სანახავად ნავედით. მიგვიღო. ვისაუბრეთ. ამ საუბრის დროს, მთავარმა მკითხა: რა უყოს ამ 400 კაზაკს, რომლებიც თურქებს გამოექცნენ, მიატოვეს რა მათი ნავები და მის სახელმწიფოში მოვიდნენ. აქციოს ისინი ტყვეებად და გაყიდოს, მისი ქვენის ჩვეულების მიხედვით, თუ დასაჯოს ისინი, რადგან ნარსულში მათ არაერთხელ გაუძარცვიათ მისი საუნჯე. მე ვუთხარი: რამდენადაც ისინი იმავე სარწმუნოებისა არიან, როგორისაც თვითონ, მას უფლება აქვს ისინი დასაჯოს (და არა გაყოდოს). მაგრამ, თქვა მთავრმა, – გალერების კაპიტნებმა მოითხოვეს რომ ისინი მათ დავუბრუნო...

მთავარმა თურქებს მისცა 48 კაზაკი და უთხრა: სიმართლე რომ ითქვს, მას არ შეუძლია გაჰყიდოს თავისი ვასალი მონები ტყვეებივით, რადგან მათი შთამომავლობა მის ყმებად ითვლებოდა. თუმცა თავიდანვე ისინი ტყვედ ჩავარდნენ ომში. თუნდაც, თუ მათმა წინაპრებმა ისინი გაჰყიდეს ეს, – შენიშნა მთავარმა, – მათ ცუდი საქმე გაუკეთებიათ და უმძიმესი ცოდვა ჩაუდენიათ ღვთის კანონების საწინააღმდეგოდ, რომელიც თითიოეულმა უნდა დაიცვას".

სხვანაირად მოქცევა დადიანს, უეჭველია, არ შეეძლო: მან კარგად იცოდა, რომ სულთნის მოთხოვნის სავსებით უგულებელყოფას, შესაძლოა, მასთან ურთიერთობის გამწვავება გამოენვია, რაც ჩვეულებრივ, ზღვისპირეთის ბლოკადაში, ან სამხედრო ექსპედიციის მოწყობაში შეიძლებოდა გამოხატულიყო. დადიანი კი როგორც ერთს, ისე მეორესაც გაურბოდა.

ზემოთ მოტანილი ცნობა, მეორე მხრივ, იმითაც არის საყურადღებო, რომ დადიანი, მიუხედავად თურქებისადმი აღნიშნული „დათმობისა", მაინც თურქების მოთხოვნას მთლიანად არ ასრულებს. მათ მხოლოდ 48 კაცს უბრუნებს, ხოლო დანარჩენს 352 კაზაკს ჯერჯერობით თავისთან იტოვებს, რათა ისინი შემდეგში თავიანთ ქვეყანაში დააბრუნოს. ეს ფაქტი კი აუცილებლად იმის მაჩვენებელია, რომ დადიანი თურქეთის სულთნის მოთხოვნებსა დ სურვილებს ნაკლებ ანგარიშს უწევდა, თანაც მის წინაშე შიშსაც სრულად არ განიცდიდა.

არის ცნობები, რომელთა მიხედვით დონის კაზაკების ლაშქრობათა მონაწილენი ქართველებიც ყოფილან. ისინი, როგორც ჩანს, მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო ყირიმის ულუსებსა და თურქეთის შავიზღვისპირა სამფლობელოებზე თავდასხმებში, არამედ რუსეთის მეფესთან იმ ხანებში მეგობრულ დამოკიდებულებაში მყოფ შაჰის კასპიისპირა ქა-

ლაქებისა და სოფლებზე თავდასხმაშიც, რის გამოც მეფის განკარგულებით ხშირად სასტიკად ისჯებოდნენ.

XVII საუკუნის შუა ხანებში ერთი ასეთი ქართველი კაზაკი თავის ამხანაგებთან, დონის 32 კაზაკთან ერთად, ირანის კასპიისპირა ქალაქებზე თავდასხმის გამო, საპყრობილეშიც კი ყოფილა მოთავსებული მოსკოვში. ეს ქართველი კაზაკი უბრალო, რიგითი კაზაკი არ უნდა ყოფილიყო, რადგან „კრუგზე" არჩეულ კაზაკთა „სტანიცის" შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო ასეთებად ყოველთვის იმ კაზაკებს ირჩევდნენ, რომლებსაც დიდი სახელი და ავტორიტეტი ჰქონდათ მოპოვებული კაზაკთა ლაშქრის ფართო მასებს შორის.

ბუნებრივია, ქართველი კაზაკი ერთადერთი არ იქნებოდა დონის კაზაკთა ლაშქარში. ქართველების გარკვეული ჯგუფის მონაწილეობა დონის კაზაკთა შეიარაღებაში ეჭვს არ იწვევს. ასეთი ფაქტი დასტურდება 1639 წელს სამეგრელოში გამოგზავნილი რუსეთის ელჩების ფედოტ ელჩინისა და განსაკუთრებით, ხუცეს პავლე ზახარიევის მუხლობრივი აღწერილობიდან, საიდანაც ირკვევა, რომ ფედოტ ელჩინს თერგში კაზაკთა შორის შეურჩევია ვილაც ალექსანდრე ივანოვი, ტომით ქართველი („родинец из земли Грузинские"), რომელიც ელჩს სადაღიანოში თარჯიმნად უნდა გამოდგომოდა, როგორც ქართული და რუსული ენების მცოდნე და აგრეთვე ადგილობრივ ვითარებას კარგად გაცნობილი. როგორც თვით ელჩინის ჩვენებიდან ირკვევა, ეს ქართველი კაზაკი ალექსანდრე წარმოშობით იმერეთიდან ყოფილა, შემდეგ იგი მოუტაციათ ყუმუხებს, მაგრამ იქიდან გაქცეულა და თერგის კაზაკებს მიჰყოლია.

სავარაუდოა, რომ თერგის კაზაკებთან ქართველები საკმაო რაოდენობით უნდა ყოფილიყვნენ, რადგან თერგი ტერიტორიულად საქართველოსთან ახლოს მდებარეობდა და ამიტომაც, საჭიროების შემთხვევაში, ყველა უკმაყოფილოსა და დევნილს იქ გადასვლა ადვილად შეეძლო (როგორც უშუალოდ საქართველოდან, ისე უმთავრესად დაღესტნელ მტაცებელთა ტყვეობიდან გამოქცეულ ქართველებს).

როგორც აღვნიშნეთ, წყაროებიდან ჩანს, თუ რამდენად მახლობლად და საიმედოდ მიაჩნდათ ქართველებს დონის „უბატონო" კაზაკები, – მიუხედავად იმისა, რომ კაზაკთა ლაშქრის ზოგიერთი ატამანი (მაგალითად, ივანე კიშკინი, რომელიც კაზაკთა შეძლებული ზედა ფენის ინტერესებს გამოხატავდა და მოსკოვის მეფისადმი „უბატონი" კაზაკთა უშუალოდ დამორჩილებისათვის იბრძოდა) ზოგჯერ თურქებზე ქრისტიანი ტყვეების გაყიდვასაც არ თაკილობდა.

საინტერესოა, რომ ყირიმის თათრების მიერ მოტაცებული ქართველი ლუკა 19 წელი იყო ტყვეობაში. ბოლოს მოუხერხებია გაქცევა და დონის კაზაკებთან უპოვია თავშესაფარი. ტყვეობიდან თავდაღწეულთა ნაწილი ზაპოროჟიელ კაზაკთა რიგებში შედიოდა. XVIII საუკუნის 50-ინ წლებში ზაპოროჟიელთა შორის ქართველებიც იყვნენ. საინტერესოა, რომ 1752 წელს ქართველ ჰუსართა პოლკის ადიუტანტს სერგი ბარათაშვილს, როდესაც დაევალა ახალი კადრებით პოლკის შევსება, თხოვნით მიუმართავს ჰეტმან რაზუმოვსკისათვის, რათა ნება მიეცა პოლკში ჩაერიცხა ზაპოროჟიელი ქართველი კაზაკები.

1770 წელს ზაპოროჟიელ კაზაკთა ბანაკებს შორის მოიხსენიება პატარა სოფელი „გრუზინოვკა".

XIX საუკუნის რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის ომებში კიდევ ერთხელ რელიეფურად გამოჩნდა ქართველებისა და კაზაკების სოლიდარობა.

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის. მან ხელი შეუნყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღგდენას და ქართველი ერის კონსოლიდაციას; ამასთანავე, დააჩქარა საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების პროცესი. ამ ომში ქართველი ხალხის მონაწილეობამ ის დადებითი შედეგი გამოიღო, რომ რუსები და ქართველები ერთიმეორეს კიდევ უფრო დაუახლოვდნენ: საერთო მტრის წინააღმდეგ რუსი და ქართველი ჯარისკაცის მხარდამხარ ბრძოლამ და მათ მიერ ერთად დაღვრილმა სისხლმა გააღრმავა და გააძლიერა ამ ორი ხალხის ტრადიციული საბრძოლო თანამეგობრობა.

1918 წლის ივლისში ბოლშევიკებისაგან დევნილი 500-მდე კაზაკი, რომელთა რაოდენობა შემდეგში კიდევ უფრო გაიზარდა ჩრდილო კავკასიიდან მთიანი ულელტეხილების გამოვლით ჩამოვიდნენ სოხუმში და ითხოვეს უკრაინაში გამგზავრებისათვის დახმარება. იმდენად, რამდენადაც იმ დროს საჭირო პირობები არ არსებობდა, საქართველოს სამხედრო მინისტრთან შეთანხმებით, აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორმა გიორგი მაზნიაშვილმა წინადადება მისცა კაზაკებს დროებით, ვიდრე მათი თხოვნის შესრულების შესაძლებლობა შეიქმნებოდა, ემსახურათ ქართულ არმიაში. კაზკები დათანხმდენენ, გენერალი მაზნიაშვილი კაზაკებთან დაკავშირებით შემდეგს აღნიშნავდა: „მივეცით მათ ფორმის ტანსაცმელი და იარაღი. ორი ასეული ოჩამჩირეში განლაგდა, დანარჩენები – სოხუმში. მათი აქ ყოფნის პერიოდში კაზაკებს არავითარი მცირე დანაშულიც არ ჩაუდენიათ, იქცეოდნენ სამაგალითოდ, დისციპ-

ლინას არ არღვევდნენ და კარგად ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას".

1918 წლის აგვისტოში კაზაკებმა ქართული ჯარის შემადგენლობაში გაანადგურეს თურქების დესანტი, რომელიც გადმოსვეს ოჩამჩირის რაიონში. იმავე წელს კაზაკებმა მიიღეს ყველაზე აქტიური მონაწილეობა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელთაც დაკავებული ჰქონდათ გაგრა და გუდაუთა. შემდეგ მონაწილეობდნენ გენერალ მაზნიაშვილის რაზმთან ერთად ბოლშევიკების განსადევნად, რომლებისაგანაც გაათავისუფლეს შავი ზღვის სანაპიროები ტუაფსემდე.

1918 წლის აგვისტო-სექტემბერში კაზაკები შევიდნენ გენერლების – ალექსეევისა და დანიკინის მოხალისეთა არმიაში. არმიის ხელმძღვანელობამ მადლობა გადაუხადა გენერალ მაზნიაშვილსა და საქართველოს მთავრობას კაზაკების მიღებისა და დახმარებისათვის.

ქართველი კაზაკი ნიკოლოზ ბარათაშვილი, რუსეთის არმიის კავალერიის გენერალი (1917 წ. დენიკინის თანამებრძოლი და მეგობარი იყო. ნიკოლოზი დაიბადა 1865 წელს ვლადიკავკაზში. მისი მამა-პაპა რუსეთში ცხოვრობდნენ და მეფის არმიაში მსახურობდნენ. ნიკოლოზ ბარათაშვილმა დაამთავრა რეალური სასწავლებელი, სამხედრო სკოლა და სამხედრო აკადემია. 1890 ნლიდან მეფის არმიაში იმყოფებოდა სხვადასხვა სამეთაურო თანამდებობებზე, აქტიური მონაწილეობა მიიღო პირველ მსოფლიო ომში – მეთაურობდა კავკასიის 1-ელ კაზაკთა დივიზიას, 1916 ნლიდან კ კავკასიის ცალკე საკავალერიო კორპუსს. მცირე ხნის შემდეგ დაინიშნა ირანში განგალებული რუსეთის ჯარების სარდლად. ჯარებმა მისი სარდლობით თვალსაჩინო ბრძოლები ჩაატარეს სასარიყამიშისა და ალაშკერტის ოპერაციების დროს. ამიერკავკასიაში ვიზიტის დასრულების შემდეგ, 1920 წლის თებერვლიდან სამხრეთ რუსეთის მთავრობაში ეკავა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა. დენიკინის გადაყენების შემდეგ, ყირიმის თეთრგვარდიულ ხელისუფლებაში, სერიოზულად განიხილებოდა ნ. ბარათაშვილის კანდიდატურა სამხრეთ რუსეთის მთავრობის ხელმძღვანელის თანამდებობაზე. გარდა იმისა, რომ იგი იყო პროფესიონალი სამხედრო მოღვაწე, წარმატებით ეწეოდა აგრეთვე დიპლომატიურ საქმიანობასაც.

საგულისხმოა, რომ 1919 წლის ივნისის ბოლოს დენიკინმა თავის წარმომადგენლად ამიერკავკასიაში ნიკოლოზი დანიშნა. საქართველოს მთავრობა მას დენიკინის არაოფიციალურ ელჩად მოიხსნიებს.

ნ. ბარათაშვილის ძირითადი მიზანი იყო ამიერკავკასიაში დარჩენილი მეფის ყოფილი ოფიცრების მობილიზება და სამხრეთ რუსეთის

შეიარაღებული ძალების არმიებში მათი გაგზავნა. მას ევალებოდა აგრეთვე შეეცვალა ის ანტიდენიკინური განწყობილება, რომელიც საქართველოსა და აზერბაიჯანის ხელისუფლებაში სუფევდა.

შემთხვევითი არ იყო, რომ დენიკინმა თავის წარმომადგენლად საქართველოში ქარიფელი კაზაკი გენერალი დანიშნა. 1919 წლის 3 აგვისტოს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა მიიღო ნიკოლოზი. გენერალმა განუცხადა მინისტრს, რომ მოხალისეთა არმიის სარდლობა არ ემუქრებოდა საქართველოს დამოუკიდებლობას, მაგრამ შეშფოთებული იყო, რომ ქართული არმია ახდენდა თავდასხმებს მოხალისეთა არმიის ზურგში (ნაგულისხმევი იყო ზღვისპირეთში გამართული საბრძოლო მოქმედებები). ბარათაშვილმა პრეტენზია გამოთქვა იმის გამოც, რომ მის ხელთ არსებული ცნობებით, საქართველოდან მოხალისეების მტრებს, კერძოდ, ინგუშებს ეგზავნებოდა საბრძოლო იარაღი (ასეთი ფაქტები ნამდვილად არსებობდა, კერძოდ 1919 წლის 23 იანვარს საქართველოს სამხედრო საბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება, რომელშიც აღნიშნული იყო: „რადგან ჩვენ აქამდე კეთილ განწყობილებაში ვიყავით ინგუშებთან და სასურველია ეს განწყობილება შემდეგშიც განვაგრძოთ, სამხედრო საბჭო სცნობს შესაძლოდ, გაუმართოს მათ ხელი, რითაც შეიძლება".

ე. გეგეჭკორმა სტუმარს მიუგო, რომ საქართველოს რესპუბლიკას არავითარი აგრესიული გეგმები არ ჰქონდა და ყოველთვის ცდილობდა დაემყარებინა მათთან კეთილმეზობლური ურთიერთობები...

ე. გეგეჭკორისა და გენერლის შეხვედრა საინტერესოდ აღწერა თავის დღიურში სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარემ ვ. ჯუღელმა: „ჯუშინ ევგენიმ (გეგეჭკორი), კონიამ (გვარჯალაძე) და მე ვინახულეთ გენ. ბარათოვი – დენიკინის არაოფიციალური ელჩი. მე პირველად შევხვდი ამ პოპულარულ გენერალს. იგი მეტად მჭერმეტყველია, მეტად სიტყვა-წყლიანი და ძალიან ტაქტიანად მღერის, ახდენს გულწრფელობის შთაბეჭდილებას. მან განაცხადა, დენიკინი სცნობს თქვენს ხელშეუხებლობის, ნეიტრალიტეტს, თქვენს დამოუკიდებლობას და არ თხოულობს თქვენგან არავითარ ძალას. მას უნდა ერთი რამ: – გაათავისუფლეთ იგი თქვენი შეტევის მუქარისაგან, ნუ დაუშლით მას მოსკოვზე შეტევას"-ო

აღნიშნული შეხვედრის გარდა ნ. ბარათაშვილს საგარეო უწყების ხელმძღვანელთან კიდევ ორჯერ ჰქონდა აუდიენცია, რომლის დროს მხარეებმა ძირითადად განიხილეს საქართველოს ჩრდილოეთის საზღვრებთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოში ვიზიტამდე გენერალი იმყოფებოდა ბაქოში, სადაც შეხვედრები ჰქონდა პრემიერ-მინისტრ ნ. უსუბეკოვთან. აგვისტოს ბოლოს ნიკოლოზი აზერბაიჯანის პარლამენტში გამოცხადდა. იგი არწმუნებდა დეპუტატებს, რომ მისი სარდალი არ იყო მტრულად განწყობილი აზერბაიჯანის მიმართ.

ამიერკავკასიაში ქართველი კაზაკი გენერლის ვიზიტმა ძალიან შეაშფოთა ბოლშევიკები. მათ, ცხადია, არანაირად არ აწყობდათ საქართველოსა და აზერბაიჯანის შეთანხმება დენიკინთან. სნორედ ეს გახდა მიზეზი, რომ ბოლშევიკურმა ორგანიზიამ გადაწყვიტა გერნერლის მოკვლა.

1919 წლის 13 სექტემბერს თბილისში ნ. ბარათაშვილზე განხორციელდა ტერორისტული თავდასხმა. რუსთაველის პროსპექტიდან ვერის დაღმართზე მიმავალ საქართველოს სამხედრო უწყების ავტომობილს, რომელშიც ისხდნენ გენერლები: ი. ოდიშელიძე, ნ. ბარათაშვილი და მისი ადიუტანტი პოლკოვნიკი სელიმ ალხავი, ხელყუმბარა ესროლა ბოლშევიკ-ტერორისტმა არკადი ელბაქიძემ. ტერაქტის შედეგად ადგილზე დაილუპნენ პოლკოვნიკი ს. ალხავი, ავტომობილის მძღოლი, მისი თანაშემწე და შემთხვევით გამვლელი ერთი მოქალაქე. მსუბუქად დაიჭირა ი. ოდიშელიძე, ხოლო ნ. ბარათაშვილი – მძიმედ. მას ყუბბარის ნამსხვრევები ორივე ფეხში მოხვდა. გენერლები სასწრაფოდ გადაიყვანეს მიხაილოვის საავადმყოფოში. რაც შეეხება თავდასხმელს, იგი მილიციელების მიერ იქნა მოკლული.

ვინაიდან თავდამსხმელი ბოლშევიკი აღმოჩნდა, მოხალისეთა არმიის სარდლობას არავითარი პროტესტი არ გამოუთქვამს საქართველოს მთავრობისათვის. ნ. ბართაშვილის ადიუტანტი პეროჩიკი დესპოტური გაზეთ „უტრო იუგასთან" მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავდა, რომ ბოლშევიკებს ამ ტერაქტით სურდათ საქართველოს ხელისუფლებისა და მოხალისეთა არმიის სარდლობას შორის დაწყებული მოლაპარაკების ჩაშლა.

ნ. ბარათაშვილი საავადმყოფოში მოინახულეს ნ. ჟორდანიამ და ე. გეგეჭკორმა, აგრეთვე უცხოური მისიების წარმომადგენლებმა. ისინი, როგორც ჩანს, ძალზე შეწუხდნენ მომხდარი ფაქტით, რადგან ოლივერ უორდროპი და ვ. ჰესკელი დღეში ორჯერ მიდიოდნენ დაჭრილთან. კაზაკ გენერალს თანაგრძნობის დეპეშები გაუგზავნეს ნ. უსუბეკოვმა და გენერალმა ს. მეხმანდაროვმა.

ასეთია მოკლედ ქართველთა და კაზაკთა ურთიერთობის ფურცლები. აქვე აღვნიშნავთ, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს მრავალი კაზაკი ქართველების მხარდამხარ იბრძოდა საერთო მტრის წინააღმდეგ.

ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ 1830 წლამდე ამიერკავკასიაში არ ცხოვრობდა რუსული მოსახლეობა, რაც გადასინჯვას საჭიროებს.

რა თქმა უნდა, რუსები ჩრდილოევროპეიდები არიან. ანთროპოლოგიურად რუსების სხვადასხვა ტერიტორიული ჯგუფები საკმაოდ კარგადაა შესწავლილი და ისინი მიეკუთნებიან ბელომორობალტიურ და საშუალო ევროპეიდულ რასებს. საქართველოში მცხოვრები რუსების მორფოლოგიური სტატუსი არ შეცვლილა.

გარეშე მტრების შემოსევების შედეგად, უკვე XVIIII საუკუნის პირველ ნახევარში, თითქმის მთლიანად დაიცალა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, გუჯარეთი, ყაიყული. მეტად მცირე მოსახლეობა შემორჩა ქვემო ქართლის ცნობილ პროვინციებს: საბარათიანოსა და სომხითს. საბოლოოდ დაკარგეს თავისი ფუნქციები და მთლიანად გაუკაცრიელდნენ ადრე ცნობილი ქალაქები: დმანისი, სამშვილდე და ასობით სასოფლო დასახლება; შესამჩნევად გაძლიერდა ქვემო ქართლიდან ქართველი მოსახლეობის გახიზვნა და მათ ყოფილ სოფლებში გარედან მოსული არაქართველების დასახლება.

როდესაც გენერალმა სუხოტინმა 1772 წლის ივლისში რუსეთის საექსპოლოტაციო კორპუსი საქართველოდან გაიყვანა, რუსულ კორპუსს ჩამორჩა ბევრი დეზერტირი, რომელთა დიდი ნაწილი უშუალოდ თბილისში დარჩა და ხელოსანთა რიგებს შეერია.

XVIII საუკუნის გერმანელი მოგზაური იაკობ რაინეგსი ერეკლე მეორის კარზე იმყოფებოდა 1778-1781 წლებში. მისი ჩანაწერები პირველ წყაროს წარმოადგენს აღნიშნული პერიოდის საქართველოს ისტორიისათვის. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კაზაკების დასახლების ცნობას საქართველოში, რაც ჯერჯერობით ცნობილ სხვა არცერთ ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროში არ გვხვდება. ბამბაკის ქედის დახასიათებისას რაინეგსი აღნიშნავს, რომ „ეს ქედები, ისევე როგროც მათი ნაყოფიერი ველები (ხეობები), დასახლებულია ხალხით, რომელიც თავს დონელი კაზაკებიდან წარმოშობილად თვლის და ამიტომ მთელ მხარეს, რომელშიც ისინი სახლობენ, ყაზახს უწოდებენ. ეს ხალხი ბორჩალოსაგან მდინარე ხრამით გამოიყოფა, რომელზდაც გადებულია ქვის მშვენიერი ხიდი. ის აშენებულია მეფე როსტომის მიერ..."

საგულისხმოა, რომ რაინეგსი მაღალკვალიფიციურად მოჯნავს კაზაკებსა და ყაზახებს. კერძოდ, ავტორი აღნიშნავს, რომ „ყაზახს ეძახიან კიდევ ხალხს, რომელიც, როგორც მათ მიერ დასახლებული ქვეყანა,

ინოდება შამშადილად. მისი მოსახლეობის ნახევარზე მეტნი არიან აგრთვე მაჰმადიანები...".

გიორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ კაზაკების რეგულარულმა პოლკებმა მიიღეს ბრძანება იმპერიის სამხრეთი საზღვრების დასაცავად კავკასიაში დისლოცირების შესახებ. საქართველოს რუკაზე გამოჩნდა ქალაქი ლაგოდეხი (რუსულიდან თარგმანში ნიშნავს, „კაზაკების დასასვენებელ ბანაკს", ასევე – რამდენიმე სოფელი რუსული სახელწოდებით.

კაზაკთა სასაზღვრო სამსახურის ფორმირება მოხდა ტვერის, ყუბანისა და დონის კაზაკებისაგან. ათასობით მათგანი აღარ დაბრუნებულა სამშობლოში. მრავალი განისვენებს ლაგოდეხის სასაფლაოზე, ნაწილი – კუკიაზე, რომლებიც რუსეთ-თურქეთის ომში დაიღუპნენ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ლაგოდეხი წყაროებში ცნობილია აგრეთვე ლაგოეთის, ლაკუათის და ლაკუასტის სახელწოდებით. პირველად დამონმებულია VIII საუკუნეში (ადმინსიტრაციული ერთეული ლაკუატის ხევი), როცა ერისმთავარმა არჩილმა ციხე-სიმაგრე ააგო. XI საუკუნეში აქ იყო ჰერეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონასტერი.

ა.ა. მუსინ-პუშკინმა გადაწყვიტა ლორის მაზრა ყარაბაღის მელიქის ხიმშიტ შაჰნაზაროვისაგან შეეძინა და იქ დაესახლებინა ბერძნები, სომხები და ციმბირიდან გადმოსახლებული ხელოსნები. მათ სამეფო ხარჯზე უნდა ეცხოვრათ. რუსეთის მთავრობა ა.ა. მუსინ-პუშკინს აძლევდა დასტურს იმ ანგარიშით, რომ ლორის მაზრაში უცხო ხალხით დასახლებას უნდა გამოეწვია ადგილობრივ მოსახლეობისათან აღრევა. რუსეთის საიპერატორო კარი თვლიდა, რომ სწორედ ამ ხერხით უნდა მომხდარიყო ადგილობრივი მოსახლების სიცოცხლისუნარიანობის შესუსტება და უცხო ერთან გარკვეული ასიმილაცია.

აღსანიშნავია, რომ ახლად მოსულთ არავითარი ვალდებულება არ ეკისრებოდათ, გარდა საქარხნო სამუშაოებისა. თუ საქართველოს მოსახლეობა დაიბეგრებოდა სულადობრივი გადასახადით, საზღვრის გარედან „ახლად მოსულებს" ხუთი წლის განმავლობაში გადასახადი არ უნდა გამოეღოთ. ყველა უფლებანი და სარგებელი, რომელიც კი გაიცემოდა საქართველოს მაცხოვრებლებზე უნდა გავცრელებულიყო „ახლად მოსულებზედაც". ისინი ადგილობრივ მოსახლეობასთან თანაბრდებოდნენ, როგორც „дети одного отца". „ახლად მოსულნი" თავისუფლდებოდნენ სამხედრო ვალდებულებისაგან. ეს დიდი პრივილეგია იყო. პ. ცაციანოვი სთავაზობდა რუსეთის იმპერატორს, რომ ქვეყნის ხაზინის სასარგებლოდ დაცარიელებულ ადგილებში „ახლად მოსულნი" დაესახლებინათ და მათ 25 წლის სამხედრო სამსახური 2 წლის დაკლებით მეოხადათ.

საიმპერატორი კარი ყველა დიდ საომარ ოპერაციას კაზაკების მეშვეობით ახორციელებდა. ცნობილია პავლე პირველის დროს უშედეგო ლაშქრობა ინდოეთზე. ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო საბჭოს წევრები – ვორონცოვი და კოჩუბეი სინანულით მიუთითებდნენ, რომ ინდოეთის „გაუვალ ტრამალებში დიდძალი კაზაკობა დაილუპაო".

კაზაკების მყარად შემოსვლა საქართველოში, ბუნებრივია, განაპირობა რუსეთის მიერ საქართველოს თავის შემადგენლობაში მოქცევამ. კაზაკები, თავისთავად ცხადია, მონაწილეობას იღებდნენ იმ ბრძოლებშიც, რომლებიც მიმართული იყო ქართველი ხალხის მიერ რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ.

1804 წლის ქართლის მთიანეთის აჯანყების დროს, აჯანყებულებისაგან საქართველოს სამხედრო გზის გასანმენდად კავკასიის ხაზიდან დაიძრა დონის კაზაკთა პოლკი, რომელმაც პირველ შეტაკებაში მარცხი განიცადა. თავისუფლების სიმბოლოდ ქცეულმა კაზაკებმა ბრძოლაში არ გამოამჟღავნეს მთელი შესაძლებლობები, მათ კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მნიშვნელობა.

1810 წელს, იმერეთის აჯანყების დროს, მთავარმართებელი ტორმასოვი იძულებული გახდა ირანისა და ოსმალეთის ფრონტებზე მოქმედი რუსთა ჯარი გაენახევრებინა, რამდენიმე ბატალიონი და კაზაკთა რაზმები იმერეთის აჯანყების ჩასახშობად გაეგზავნა.

XIX საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს ტერიტორიაზე დაბანაკდა რუსის ჯარი. მაგალითად, ხობის მარცხენა ნაპირზე XIX საუკუნის 20-იან წლებში განლაგებული იყო ყაზარმები და ოფიცერთა საცხოვრებელი სახლები. გარნიზონი 700-მდე კაცისაგან შედგებოდა. ესენი იყვნენ ქვეითი ჯარისკაცები, არტილერისტები და კაზაკები. ხობის მარჯვენა ნაპირზე მოთავსებული იყო კარანტინი. თოფისწამლის, მარილისა და სახელმწიფო მომსახურების სხვა საწყობებიც მდინარის მარცხენა მხარეს იყო განლაგებული.

კაზაკთა საგუშაგო ასევე იყო ცივის ხეობაში და ზემოდან დაჰყურებდა მდინარეს... ყველა კაზაკი ჯანმრთელი იყო. ჩვეულებრივ, კაზაკთა საგუშაგოებისათვის ადგილს ასე კარგად ვერ არჩევდნენ ხოლმე. კაზაკების საგუშაგო განლაგებული იყო ნესტიან მავნე ადგილას ორ მდინარეს შორის: ერთი მათგანი პატარა ნაკადულს წარმოადგენდა, მეორე კი – გუბისწყალს, რომელიც მდინარე რიონის მარცხენა შენაკადია იმერეთის დაბლობზე.

ალგეთის ხეობა, რომელიც ძველ დროში თითქმის მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული, XVIII საუკუნის ბოლოს გაუკაცრიელდა.

XIX საუკუნეში თანდათან შეივსო ახალი მოსახლეობით ხეობა და, განსაკუთრებით, მანგლისი თავისი შემოგარენით ეთნიკურად აჭრელდა, მრავალეროვნული გახდა.

XIX საუკუნის დამდეგიდან გაძლიერდა რუსთა დამკვიდრების პროცესი, მას შემდეგ, რაც მანგლისში რუსული არმიის პოლკი ჩადგა, თანდათან შეიცვალა მანგლისის იერსახე. ამ პოლკის ოფიცერთა და ჯარისკაცთა ნაწილი ადგილზე რჩებოდა, თანდათან ავსებდა მანგლისის ძნელბედობის შედეგად შეთხელებული მოსახლეობის რიგებს. XIX–XX საუკუნის მიჯნაზე მანგლისში 2500-3000 მცხოვრები ითვლებოდა, რომლის უმრავლესობას რუსები შეადგენდნენ.

საინტერესოა, რომ აქ ახლაც მკვიდრობენ რუსები. მანგლისში გავრცელებულია გვარები: ბესკროვნი, დავიდოვი, დუტოვი, ვლასოვი, ვასილევი, კაზანცევი, კატალევსკი, კვიტინსკი, კამიშინი, ლუკიანოვი, ლებედევი, მიხაილოვი, ნოვიკოვი, ოსტროვსკი, პეტროვი, პარშინი, სმოლიარი, სემინოჟენსკი, ფედოსეევი.

რუსი ეროვნების აქ ჩამოსახლებას ხელი შეუწყო 1823 წელს რუსეთის მთავრობის მიერ საქართველოს საოკუპაციო არმიის ერთ-ერთი საკმაოდ მსხვილი შენაერთის მანგლისის ტერიტორიაზე განლაგებამ. მისი საჭიროებისათვის კაზარმები და სხვა დამხმარე სათავსოები ააგეს. რუსული პოლკი, რომლიც სხვადასხვა სახელს ატარებდა (ბოლოს მას ალექსანდრე ნიკოლოზის ძის სახელობის პოლკს უნოდებდნენ), 90 წელი იყო დაბანაკებული მანგლისში და ბუნებრივია, დიდი გავლენა მოახდინა დაბის იერსახეზე, ბუნებასა და ცხოვრების წესზე.

გენერალ ერმოლოვის დროს, 1816-1827 წლებში, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე შეიქმნა 30-მდე „შტაბ-კვარტირა" – სამხედრო დასახლება, რომელითაც, თავის მხრივ, სათავე უნდა დაედოთ რუსული კოლონიზაციისათვის; მაგრამ მიუხედავად ამისა, აღნიშნული ნაბიჯს არ მოჰყოლია „კოლონიზაციის ტალღა", რამდენადაც პოტენციურ კოლონისტებს აშინებდათ ათწლეულების განმავლობაში მიმდინარე კავკასიური ომები. რუსეთის მთავრობა, მართალია, აქ „დასჯის" სახით ასახლებდა სექტანტებს (მალაკნებს, სტაროვერებს), რაც თავისთავად კავკასიაში რუსული მოსახლების მომძლავრებას ისახავდა მიზნად, მაგრამ ეს მათ საქმეს მაინც ვერ შველოდა: რუსული მოსახლეობის წილი ამიერკავკასიაში 5% მაინც ვერ აჭარბებდა.

რუსების დასახლებას საქართველოს ტერიტორიაზე განსაკუთრებით ფართო ასპარეზი მიეცა 1837 წლიდან, როდესაც აქ დაარსდა რუსული სამხედრო კოლონიები. ეს კოლონიები შეიქმნა იმ ჯარისკაცთაგან,

რომელთაც 15 წლის სამსახურის შემდეგ დაოჯახების უფლება ჰქონდათ. ყოველ პოლკთან ჩამოყალიბდა ცოლშვილიანი ჯარისკაცების როტა. ასეთი ჯარისკაცებისათვის ქალებს აგზავნიდნენ რუსეთიდან. სამსახურის გათავების შემდეგ, ეს ჯარისკაცები და მათი შთამომავლობა რჩებოდა ადგილობრივ. ამგვარად თანდათან გაჩნდა საქართველოს სხვადასხვა ადგილას რუსთა სლობოდები და სლობოდკები (მცირე სლობოდები). სამსახურგავლილი ჯარისკაცები ხდებოდნენ სახელმწიფო, ე. ი. თავისუფალი გლეხი და აქედან წარმოიშვა მათი უბნებისათვის სახელი სლობოდა (სიტყვიერად სვობოდა). ასეთი სლობოდები ჩამოყალიბდა თეთრწყაროში, ეომბორში, დედოფლის წყაროში (შირაქში), ქუთაისთან (რიონის მარჯვენა ნაპირას მცირედ მოცილებით) და სხვაგან.

რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლებისთვის კაზაკები რომ მთავარ დასაყრდენ ძალას წარმოადგენდნენ, კარგად ამტკიცებს ვაგნერის ცნობა: როდესაც, კათოლიკე მღვდლების საქართველოდან გაძევების დროს, „გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით, კაზაკთა თანხლებით საკმაოდ უხეშად (პირუტყულად) მიათრიეს უახლოეს ნავსადგურთან და აქ ძალით არეკეს ტრაპეზუნდისკენ მიმავალ გემზე“.

საღამოს ზეიმზე თბილისში ვაგნერი შეესწრო სამხედრო ტურნირს, სადაც სხვებთან ერთად „დონელი ხაზის კაზაკები უჩვენებდნენ მხედრულ ხელოვნებას, რომელშიც მათ მსოფლიოს სხვა რომელიმე ხალხი ძნელად თუ აჯობებს. ისინი ტყორცნიან შუბებს, სრული ჭენებისას ისვრიან თოფებსა და დამბაჩებს, იქნევენ ხმლებს და აწარმოებენ ბრძოლის იმიტაციას

რაც შეეხება რუსების ჩამოსახლებას თბილისში: 1803 წლის იანვრისათვის ჩვენს დედაქალაქში სულ ითვლებოდა 20 ათასი მცხოვრები, ჯარისა და რუსი მოხელეების ჩაუთვლელად აქ ცხოვრობდა რუსი ეროვნების ერთი კომლი ყმა-გლეხის ოჯახი, 3 სულის რაოდენობით.

თბილისის მოსახლეობის 1864 წლის აღწერით, დედაქალაქში ცხოვრობდა, 60085 კაცი და 6814 ჯარისკაცი. აქედან, რუსების რიცხვი 12302-ს უდრიდა. 1865 წლის აღწერით, მათი რაოდენობა 12142 იყო. 1876 წლის მონაცემებით, უკვე 30823 რუსია აღრიცხული. 1897 წლის აღწერით კი 159590 მოსახლიდან რუსებმა შეადგინეს 44823 სული.

1866 წლის 10 მარტს იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ დაამტკიცა „დებულება შავი ზღვის ოკრუგის დასახლებისა და მართვის შესახებ“, რომლითაც სანაპირო გათვალისწინებული იყო სამოქალაქო სასოფლო დასახლებისათვის, სახელონდებით „შავი ზღვის სანაპირო ხაზი“. „დებულების“ პროექტის განმარტებითი ბარათი მიზნად ისახავდა

ანაპიდან მდინარე ბზიფამდე სანაპიროს კაზაკებით დასახლებას. ეს ნანილობრივ განხორციელდა კიდეც 628 კაზაკური ოჯახის დამკვიდრებით კონსტანტინოვის სიმაგრესა და მდინარე ტუაფსეს შორის.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნეში, ამიერკავკასიის რუსულ პროვინციებში, ყველა თანამდებობა კაზაკებს ეკავათ. ისინი აქ სამი წლის განმავლობაში რჩებოდნენ. ეს პერიოდი მათ სამხედრო სამსახურად ეთვლებოდათ. მათი ნანილი მუდმივად რჩებოდა საქართველოში. ოჯახის შექმნის შემდეგ კაზაკები თანდათან ქართველდებოდნენ.

ის, რომ რუსეთის ხელისუფლება სამხედრო სამსახურის მოსახდელად საქართველოში გზავნიდა სწორედ კაზაკებს, სულაც არ ნიშნავდა მათთვის რაიმე პრივილეგიის მინიჭებას. პირიქით, ჩრდილოეთელისათვის საქართველოს სამხრეთული კლიმატი ბევრ მათგანს სიცოცხლის ფასად უჯდებოდა.

როგორც ვხედავთ, ცარიზმის მიერ რუსებისა და განაკუთრებით, კაზაკების ჩამოსახლება, საქართველოსა და კავკასიაში ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს შეადგენდა აქ შემოსვლის პირველი დღიდანვე. ეს ღონისძიება საჭირო იყო ამ მხარეში ცარიზმის ბატონობის განსამტკიცებლად. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგ, როდესაც აჭარა იმპერიამ შემოიერთა, აქაც ანალიგიური პოლიტიკის გატარება დადგა დღის წესრიგში.

მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის ოლქის ადგილობრივი მოსახლეობა მიწის დიდ ნაკლებობას განიცდიდა, რუსეთის ხელისუფლება მაინც ახერხებდა საკოლონიზაციო მიწის ფონდის შექმნას. რუსეთის ხელისუფლება მიწის ფონდის დაუფლებისათვის ხელს უწყობდა მუჰაჯირობას, რაც ცარიზმის შორს გამიზნული კოლონიური პოლიტიკის უშუალო შედეგს წარმოადგენდა.

1880 წელს ბათუმის 3,5 ათასი მცხოვრებიდან 895 იყო ჩამოსახლებული რუსი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი, 1882 წელს კი – 980 რუსი, ანუ ქალაქის მოსახლეობის 11,3% -ზე მეტი.

ჩამოსახლებული რუსები, როგორც წესი, კომპაქტურად არ სახლდებოდნენ. 1883 წელს ბათუმის ოლქში სულ იყო კომპაქტური რუსული დასახლება „სმეკალოვკა“ – ქობულეთთან“ და „ხოლოდნაია სლობოდა“ – ბათუმთან ახლოს.

1882-1890 წლებში ბათუმში რუსი მოსახლეობა გაიზარდა 4-ჯერ, 980 კაციდან 4 ათას კაცამდე, რც შეადგენდა ქალაქის მცხოვრებთა 22,9%-ს.

საერთოდ, აჭარაში რუსი მოსახლეობის მნიშნელოვანი ზრდა და-

კავშირებული იყო ბათუმში სამრეწველო განვითარებასთან. XX საუკუნის პირველ ათწლეულში ამიერკავკასიაში შეიქმნა 100-მდე რუსული დასახლება, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ადგილობრივი გლეხების მცირემინიანობა, გაამწვავა აგრარული საკითხი.

1910 წლის 23 სექტემბერს ბათუმის ოლქის გუბერნატორი ბ. რომანოვსკი-რომანკო მეფის ნაცვალს მოახსენებდა: „სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით ფრიად სასურველია მუსლიმების განდევნა კინტრიშის, ფონიოსა და ართვინის უბნებიდან, რადგან აღნიშნული მიდამოების ნიადაგი და კლიმატური პირობები, მთების სიმდიდრე, ზღვისპირი, სტრატეგიული მოსაზრება, ბუნებრივად აყენებს საკითხს გამოყენებულ იქნან ისინი უმაღლესი (სასოფლო-სამეურნეო) კულტურებისათვის და რუსი ხალხის გადმოსასახლებლად. ეს უნდა განხორციელდეს სამხედრო უწყების, ადმინისტრაციის, საგადასახლებო და სამთო სამმართველოების მიერ ნინასნარ მოფიქრებული და დამუშავებული გეგმით... აჭარის სხვა ნაწილებიდან მუსლიმანების განდევნა, ჩემი აზრით, სასურველი არ არის, რადგან ზემოაღნიშნული უბნების გარდა, აჭარის ტერიტორია წარმოადგენს მთიანსა და მიუვალ ადგილებს, რომლებიც რუსების დასასახლებლად სავსებით უვარგისია". მაგრამ პირველ მსოფლიო ომამდე კაზაკებისა და კოლონისტების აქ ჩამოსახლება შეფერხებით მიმდინარეობდა. ეს განაპირობა რიგმა ობიექტურმა მდგომარეობამ, პირველ ყოვლისა, მინათმფლობელობა-მინათსარგებლობის საკითხის ბოლომდე გადაუწყვეტელობამ ამ ოლქებში, აგრეთვე, აქაურმა მთაგორიანმა რელიეფმა, დასახლების სიმჭიდროვემ და ნაყოფიერი მიწების სიმცირემ.

გასათვალისწინებელია კოლონიზაციის ხელშემშლელი სუბიექტური ფაქტორებიც. კერძოდ, თავდაპირველად თვითონ მთავრობა იყო წინააღმდეგი საზვრისპირა – სტრატეგიულ პუნქტებში ჩამოესახლებინა სექტანტები. რუსი მართლმადიდებლები კი ადგილმონაცვლეობის დიდ სურვილს არ ამჟღავნებდნენ, ამასთან, რუსი მოახალშენეები ძნელად ეგუებოდნენ ადგილობრივ პირობებს, რის გამოც მათი მნიშვნელოვანი ნაწილი უკან ბრუნდებოდა. თავის მხრივ, მკვიდრი მოსახლეობაც ენერგიულად ეწინააღმდეგებოდა უცხოთა ჩამოსახლებას.

კოლონიზაციის ყველაზე აქტიურ ეტაპზეც კი, რაც სტოლიპინის მმართველობის პერიოდში გატარდა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში რუს მოახალშენეთა ყველაზე მცირე რაოდენობა ჩამოსახლდა. 1908-1914 წლებში კოლონიზაციის შედეგად კავკასიის სამეფისნაცვლოში სულ აითვისეს 285 ათასი დესეტინა მიწა, რომელზეც 50 ათასი სული

ჩამოასახლეს. მათგან: ყარსის ოლქში – 1520, ბათუმის ოლქში კი მხოლოდ 273 სული, მაშინ როცა, შავი ზღვის გუბერნიაში ჩაასახლეს 4 ათასზე მეტი; აფხაზეთში – 6518, თბილისის გუბერნიაში – 3263, ბაქოს გუბერნიაში კი – 24 ათასამდე კოლონისტი.

ყარსის ოლქში საკოლონიზაციოდ შეარჩიეს არტაანის მხარე, რომელიც გამოირჩეოდა ნაყოფიერი მიწებით და ხორბლეულით, კულტურების უხვმოსავლიანობით. 1905 წელს ამ მხარეში იყო 5 რუსული დასახლება (გულგერანი, ოდინცოვსკი, პლოდოროდნენსკი, გოლიცინსკი, პეტრეპავლოვსკი,), რომლებშიც 1365 რუსი მოახალშენე ცხოვრობდა.

ბათუმის ოლქში ძირითადად ათვისებულ იქნა თანამედროვე აჭარის ზღვისპირეთი, რომელიც ნაკლებად იყო დასახლებული და ადგილობრივი მკვიდრნი მას ძირითადად საძოვარ-სათიბებად იყენებდნენ. რამდენიმე ოჯახი მდინარე კინტრიშის დაბლობში, ბათუმის შემოგარენში დასახლდა („გოროდოკი"..) და მდინარე ჭოროხის დელტაში (სოფლებში: თხილნარი, ჭარნალი, ახალსოფელი, გონიო, ზღვის შესართავთან კი – „ალექსეევკა").

რუსული ახალშენის თავისებურ ნაირსახეობას წარმოადგენდა ჩაქვის საუფლისწულო მამული. მისი ადმინისტრაციული აპარატი და მუდმივი მუშახელის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსები იყვნენ, აგრეთვე, ბათუმქობულეთის დაბლობ რაიონებში 200-მდე არაქართველი ვაჭარ-მრეწველის მიერ მოწყობილი და დაქირავებულ შრომაზე დაფუძნებული ჩაის და სუპტროპიკული მეურნეობები, ამათ ემატებოდა მალალჩინოსანი მოხელეების ზღვისპირა აგარაკები მახინჯაურიდან ციხისძირამდე. მაგალითად, 1914 წლის მაისისათვის მწვანე კონცხზე აღირიცხა 15 წლის ზემოთ ასაკის 195 მოახალშენე, ჩაქვში – 840 სული, მახინჯაურში – 202 სული (149 აგარაკი), ხოლო ციხისძირში – 52 აგარაკი, რაც საგრძნობლად აღემეტებოდა ამ სოფელში ადგილობრივ მოსახლეობას.

1879 წელს არაკინი თავის მოხსნებით ბარათში წერდა, რომ ეს მხარე, კერძოდ, აფხაზეთი ხელსაყრელ საყრდენ პუნქტს წარმოადგენდა რუსეთის შემდგომი წინსვლისათვის აზიაში. ამიტომ აუცილებელი იყო, რომ ზღვისპირა ზოლი, რომელიც მუჰაჯირობის შედეგად დაცარიელებული იყო, რუსეთის იმპერიისათვის სასურველი და სანდო მოსახლეობით შეევსოთ. მართლაც ეს მიტოვებული მიწები რუსეთის ხელისუფლებამ მსხვილ სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებს დაურიგა. ამ პროცესმა 80-90-იან წლებში დიდი მასშტაბები მიიღო. ამავე დროს ე. წ. თავისუფალ მიწებზეც რუსმა ჩინოვნიკებმა სხვადასხვა ეროვნების კოლონიტების ჩასახლება დაიწყეს, მათ შორის იყვნენ; რუსები, ბერძნები, სომხები, ესტონელები, ბულგარელები და სხვ.

რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა აფხაზეთი გადაექცია რუსულ ოლქად და იქ ინტენსიურად ასახლებდნენ რუს კოლონისტებს.

საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარება აღინიშნა რუსებისა და უკრაინელების დაჩქარებული ზრდით, რაც გამოწვეული იყო მათი დიდი რაოდენობით ჩამოსახლებით. 1926 წელს ახალქალაქის მაზრაში ცხოვრობდა 2492 რუსი ეროვნება, ბათუმის მაზრაში – 9190, ქობულეთის მაზრაში – 295, ხულოს მაზრაში – 117, ქედის მაზრაში – 54. 12 წლის მანძილზე სამჯერ დ კიდევ უფრო მეტად გაიზარდა დასახელებულ ეროვნებათა რიცხოვნობა საქართველოში. ადიგენის რაიონში, 1939 წლის აღწერით, 1281 რუსია დაფიქსირებული, ასპინძის რაიონში – 293, ახალქალაქის რაიონში – 1538, ბოგდანოვკის რაიონში – 5862, ბათუმის რაიონში – 21786, ქობულეთის რაიონში – 8096, ხულოს რაიონში – 397, ქედის რაიონში –256.

რუსები და უკრაინელები ჩამოსახლდნენ უპირატესად ჩრდილო კავკასიიდან. მათი ძირითადი მასა ჩამოსახლდა ქალაქებში, უმთავრესად – თბილისში და ზღვისპირა დასახლებულ პუნქტებში. ნაწილი დამკვიდრდა ახლად შექმნილ საბჭოთა მურნეობებში. მიგრანტთა ძირითადი მასა მოსული იყო სოფლებიდან; ისინი ჩაებნენ წარმოების სხვადასხვა სფეროში: ფაბრიკა-ქარხნებში, შახტებსა და მაღაროებში, ტრასნპორტსა და მშენებლობაში, სოფლის მეურნეობასა და სხვა მომსახურე დარგში. დიდი ცვლილებები მოხდა მათ სოციალურ მდგომარეობაში, ბევრი გუშინდელი გლეხი ქალაქის სამრეწველო სანარმოების მუშა გახდა. ახლად ჩამოსახლებულთა ადაპტაციამ და მათთვის მატერიალურ-კულტურული ცხოვრების შესაბამისი პირობების შექმნამ, ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოითხოვა. რუსებსა და უკრაინელებს შორის საკმაოდ ბევრი იყო სამხედრო მოსამსახურე (ოფიცრები).

ყოფა-ცხოვრება

ტრადიციათა ფორმირებაზე პირდაპირ გავლენას ახდენს ჩამოყალიბებული სამეურნეო-კულტურული ტიპი. ეთნოლოგიური კვლევები ნათელყოფენ, რომ ხალხებს, რომლებიც ისტორიულად არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და სხვადასხვა ეთნიკურ და ლინგვისტურ ჯგუფებს მიეკუთვნებიან, მეურნეობისა და კულტურაში მსგავსი მოვლენები უვითარდებათ. ეს, როგორც წესი, განპირობებულია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთი და იმავე დონით და მსგავსი ბუ-

ნებრივ-გეოგრფიული გარემო-პირობებით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამეურნეო-კულტურული ტიპების განსაზღვრაში კულტურის განვითარების დონეს შედარებით მეორე ხარისხოვანი როლი უკავია და ნინა პლანზე წამოწეულია მისი ძირითადი მსაზღვრელი-მეურნეობა.

ჩერნომორელმა კაზაკებმა მას შემდეგ, რაც ხელი მიჰყვეს მათთვის მიცემული ნაყოფიერი მიწების დამუშავებას, ზნე შეეცვალათ; მათი ძველთა ძველი უმკაცრესი ჩვეულებანი და კანონები მოისპო ან მოძველდა. სოფლის მეურნეობით, ვაჭრობითა და მეთევზეობით გამდიდრებულებმა იწყეს ბავშვების განათლებზე ზრუნვა, რაც მათ ყოველთვის აკლდათ.

კაზაკებმა უკრაინიდან ჩამოიყვანეს კარგი ჯიშის ხარები, რომლებიც აქ საკმაოდ გავრცელდნენ. კაზაკთა ცხვრის ჯიშები გაცილებით უკეთესი იყო ვიდრე დონის ხეობაში გავრცელებული. ამ ჯიშის გაუმჯობესება პეტრე დიდს მიეწერება.

კაზაკებს აქვე მოყავდათ საუცხოო მაგარი ჯიშის ხორბალი, რომელიც ცნობილია არნაუტკას ხორბლის სახელწოდებით; ეს ჯიშები გავრცელებული იყო ნეაპოლის სამეფოში.

XIX საუკუნის პირველ მეოთხედში აქ მარცვლეულის მოყვანა შემცირდა და სანაცვლოდ ცხვრის მოშენება და ცხენების მომრავლებას მიჰყვეს ხელი. მათი ცხენები ტანმალალი და ერთნაირად გამოსადეგი იყო როგორც სასაპალნედ, ასევე საჯდომად. საბაჟოს მაშინდელი წესდებით სასტიკად იკრძალებოდა აქედან ცხნების გაყვანა. ასეთი კანონი შესაძლოა გამართლებული ყოფილიყო საომარი ოპერაციების დროს, მაგრამ მაშინ მხოლოდ უარყოფითი შედეგი მოჰქონდა. კერძოდ, სოფლის მეურნეობას მოაკლო საუცხოო მინდვრები, რომლებიც გაჭიმული იყო მოსკოვიდან კავკასიამდე, ხოლო რუსეთს მოუსპო მნიშვნელოვანი ფულადი შემოსავალი, რასაც იგი უდავოდ მიიღებდა ცხნებით ვაჭრობის შედეგად.

ცენტრალური გუბერნიებიდან ჩამოსულთა სოფლები განსხვავდებოდა მალოროსიიდან გადმოსახლებულთა სოფლისაგან. ეს განპირობებული იყო იმით, რომ რუსები შეგნებულად ცდილობდნენ ისეთივე სახლკარის მოწყობას, როგორიც ჰქონდათ სამშობლოში. რუსების სოფლებისათვის დამახასიათებელი იყო თავისებურებები: რუსული ეკლესია (რომელსაც მთავრობა უშენებდა), ფართო, სწორი ქუჩები, რომელთა ორივე მხარეს რიგებად შეღებილი სახლები იყო განლაგებული; დიდი ფართო ეზოები, სამეურნეო ნაგებობები, ეზოს უკან პატარა ბოსტანი.

ეს სოფლები სიკოხტავით, სისუფთავითა და მიმზიდველობით

გამოირჩოდნენ: შეთეთრებული სახლები, პატარა ბაღჩა ყოველი სახლის წინ. ხეებით შემორაგული ქუჩები. ადგილობრივი მოსახლეობისაგან განსახვავებით, რომლებიც სახურავს არაფრით არ რთავდნენ, ესენი სახურავს ტრადიციული კეხით ამკობდნენ და ჭიშკარზე აუცილებლად საშოშიეს აკეთებდნენ. ქართველებისაგან განსხვავებით, ოთახს შპალერს აკრავდნენ და ავეჯად იყენებდნენ თვითნაკეთ საწოლებს, სკამებს, მერხებს, ფანჯრებს ამშვენებდა ჩამოკიდებული ფარდები, რაც მკვიდრთათვის ძალზედ უცხო იყო, რადგან ისინი უფრო ხშირად უფანჯრებო სახლს აშენებდნენ. თითქმის ყველა რუსული სახლისათვის დამახასიათებელი იყო აივანი.

კოლორიტს ავსებდა სამოვარი, კუთხეში – ხატები, ხოლო სექტანტებს ეკიდათ მეფის, მხედართმთავრების სუართები და გეოგრაფიული რუკებიც კი.

კაზაკთა მთავარ მფარველად წმინდა იოანე ნათლისმცემელი ითვლებოდა, რომლის სახელზე მდიდარ შენირულობას გასცემდნენ და ეკლესიებში წირვა-ლოცვას ასრულებდნენ. ყუბანელი კაზაკები ცოლად ირთავდნენ მოტაცებულ ჩერქეზ გოგონებს.

კაზაკები, რომლებიც სამსახურის გავლის შემდეგ საქართველოში დარჩნენ, ძირითადად გაქართველდნენ. ზოგიერთმა გვარიც შეიცვალა. მაგალითად ტროფიმოვი გახდა ტროფიმაშვილი, პეტროვი – პეტრიაშვილი. კაზაკები სოფლის მეურნენი და ხელოსნები გახდნენ. რუსები, უკრაინელებსა და ბელორუსებთან ერთად, ძირითადად ხელოსნები მუშები იყვნენ. ისინი მისდევდნენ პურის ცხობას, ლუდის ჩამოსხმას, მეჩექმეობას, იყენენ ნალბანდები, მეეტლები და სხვა. შიდა ქართლში რუსთა განსახლების მნიშვნელოვანი ადგილები ქალაქებთან ერთად, ბორჯომის ხეობა იყო.

კაზაკები მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სამხედრო გზის გაყვანაში, კურორტ ბორჯომისა და ლიკანში მეფის ნაცვლის შენობის მშენებლობაში.

XIX საუკუნეში მხოლოდ გურიაში 500 კაზაკის ოჯახი ცხოვრობდა. მათ შეხვდებოდით სოფელ ენერში, მაკვანეთში, ბახვში, დვაბზუში, ლიხაურში, ხრიალეთში, აკეთში, ზედუბანში, ხვარბეთში, ლანჩხუთში, ნაგომარში და სხვ. მეუღლეები ყველას ქართველები ჰყავდათ. მათმა შვილებმა ერთი „ღერი" რუსული არ იცოდნენ, მხოლოდ გვარი შერჩენოდათ რუსული. აქ ყოფნის დროს ცნობილ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს თედო სახოკიას ერთი ასეთი ამბავი უამბეს: „სასამართლოში მონმედ დაბარებული ყოფილა ვინმე ნიკიტინი, ერთ-ერთი ზემოდასა-

ხელებული სოფლის მცოვრები. მოსამართლე საქმის გარჩევას შეუდგა და დაბარებულს ნიკიტინს გამოიუძახეს. მოსამართლის ნინაშე ნარსდგა ჩაქურ ტანისამოსში გამოწყობილი გურული. მოსამართლე რუსის გამოსვლას მოელოდა და გურული რომ დაინახა, გაკვირდა, – დაუძახეთ ნიკიტინსაო. ეს გახლავთ ბატონი ნიკიტინიო, – მოახსენა თარჯიმანმა, – ქართულის მეტი არაფერი იცისო". ასეთი მაგალითები აქ ხშირი ყოფილა.

ასაკოვანი რუსები ტანისამოსს ვერ ისევ რუსულს ატარებდნენ: ჩექმებს, რუსულ კარტუზს, ხალათს და სხვა. ახალგაზრდობა კი ქართული ტანსაცმელით იყო შემოსილი. ეწერელი ყოფილი კაზაკების უმრავლესობა ხვნა-თესვას მისდევდა. იმავე წესით ხნავდნენ და თესავდნენ, რა წესითაც გურულები. სამეურნეო იარაღიც კი გურულებისაგან ჭონდათ გადალებული. გაუმჯობესებული იარაღის შემოღებაზე არც ისინი ფიქრობდნენ და არც არავინ ზრუნავდა მათზე. მოჰყავდათ სიმინდი და ღომი, ვენახები არ გაუშენებიათ, რამდენიმე ძირი „ადესა" მხოლოდ ეზოებში ედგათ, მაგრამ ყურძნადვე ჭამდნენ. ღვინოს ყიდულობდნენ. გურულები მათ მიმართ აღნიშნავდნენ: „ესაა ბატონო ლოთობა უყვართ, რასაც იშოვნიან, უნდა „ოტკა" დალიონ მისი, თვარა სხვაფერ ქე არიან გვარიანიო". თავად კაზაკების სიტყვით: „სმაზე ხელი ვერ ავიღეთ. გურულებს კი სმა ეჯავრებათ. ჩვენი ცოლები სულ იმას გვეჩხუბებიან, რადა სვამთო?".

საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ, კომუნისტებისაგან დევნის გამო, მრავალი კაზაკი, თავის გადარჩენის მიზნით, რელიგიური სექტის წევრი გახდა. ზოგიერთმა მათგანმა სოფლის მეურნეობასა და სამრეწველო საწარმოებში დაიწყო მუშაობა. 1924 საქართველოს დედაქალაქში „სრულიად რუსეთის ფილატელისტების საზოგადოების ტფილისის განყოფილება"-ც კი შეიქმნა. როგორც საზოგადოება, ისე მისი თბილისის განყოფილება მიზნად ისახავდა, ყველა იმ დაინტერესებული პირის შეკავშირებას, ვისაც აინტერესებდა საფოსტო გადასახადის ყოვალგვარი ნიშნები, საღერბო და ფისკალური მარკები, აგრეთვე ნუმიზმატიკა და ბონები. საერთოდ, საზოგადოებას ჭონდა უფრო სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიზნები. საინტერესოა, რომ საზოგადოების წესდება ითვალისწინებდა „ბავშვების ცხოვრების გაუმჯობესებასა" და შიმშილობის წინააღმდეგ ბრძოლას".

თბილისის მაზრის სართიჭალის თემში რუსი მოსახლეობა უპირატესად მისდევდა მერძევეობას. რუსებს შორის შენარჩუნებული იყო პატრიარქატის პრინციპი. ახალგაზრდებისაგან განსხვავებით, მოხუცები

რელიგიურები იყვნენ. ახალგაზრდები, მხოლოდ საეკლესიო დღესასწულების დროს დადიოდნენ ეკლესიაში. ზოგიერთი მოხუცი აღნიშნავდა, რომ „ძველ დროს უფრო კარგად ცხოვრობდნენ, ვიდრე ახლა". ქართველებთან რუსებს მეგობრული და ნათესაური კავშირები ჰქონდათ. რუსი მოსახლეობა წიგნიერი იყო, ვლეხობა კითხულობდა გაზეთებს და ხალისით დადიოდა ქოხ-სამკითხველოებში.

სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ ყარაიაზის თემში ჩამოსახლებული რუსების მინდვრები უფრო ინტენსიურად და კარგად იყო დამუშავებული, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობისა. მოჰყავდათ ფასეული კულტურები, გაშენებული ჰქონდათ ვენახები, ხილის ბალები, ჰქონდათ ბაღჩეული და ბოსტნეულის მოსავალი.

მათი კულტ-საგანმანათლებლო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო. მოქმედებდა 4-ნლიანი სკოლა, მუშაობდა 2 პედაგოგი – ქართული და რუსული ენის მასწავლებელი. წერა-კითხვის უცოდინარობა მათთან 100%-ით აღმოიფხვრა. სკოლის გარეთ დარჩა მხოლოდ 2 რუსი და 4 ქართველი ბავშვი. ჰქონდათ კლუბი შტატიანი თანამშრომელის გარეშე.

საქართველოში მცხოვრებ რუს მოსახლეობასთან იდეოლოგიური მუშაობისათვის შექმნილი იყო სპეციალური ჯგუფი. უჯრედს საქმიანობა უხდებოდა მეტად მძიმე პირობებში, არ ჰქონდა ბინა, საკმაო მანძილით იყო დაცილებული სამუშაო ბაზას; კერძოდ, სკოლას, რომელთანაც უჯრედი ფუნქციონირებდა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მრავალი კაზაკი დარჩა საქართველში და, წინაპართა მსგავსად, ჩვენი სამშობლოს მკვიდრი გახდა.

კაზაკები და დღევანდელობა

90-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფონზე შეიქმნა საქართველოს კაზაკთა კავშირი. ეს იდეა აღმოცენდა ჯერ კიდევ აფხაზეთის ომის დროს. კავშირის შექმნის მიზანს შეადგენდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ამავე დროს რუსეთ-საქართველოს შორის კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების განმტკიცება. აღნიშნულ ინიციატივას მხარი დაუჭირეს რუსეთისა და საზღვარგარეთის კაზაკთა კავშირებმა.

საქართველოს კაზაკთა კავშირის უმაღლეს ატამანად აირჩიეს გენერალ-ლეიტენანტი ვასილ ივანეს ძე კადენეცი. კავშირი თავდაპირველად 50 წევრისაგან შედგებოდა. ამჟამად 5 ათასზე მეტს ითვლის.

საქართველოს კაზაკთა კავშირის უმაღლესი ატამანი ორჯერ შეხვდა ყუბანის კაზაკების რადის ატამანს ვლადიმერ გრომოვს, რათა აეკრძალათ დაქირავებულ კაზაკთა შემოსვლა აფხაზეთში, სეპარატისტების მხარდასაჭერად.

1997 წელს კაზაკთა 23 ატამანმა მხარი დაუჭირა საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივას „მშვიდობიანი კავკასიისათვის". 2000 წელს, მოსკოვში, კაზაკთა მესამე ყრილობაზე, ვასილ კადენეცი მძაფრი კრიტიკით გამოვიდა იმ კაზაკთა შესახებ, რომლებიც აფხაზეთის სეპარატისტთა მხარეს მოქმედებდნენ.

1998 წლის ნოემბერში ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა სალამო, მიძღვნილი საქართველოს კაზაკთა კავშირის შექმნის ხუთი წლისთავისადმი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს კაზაკთა კავშირს წარმომადგენლობა ჰყავს მოსკოვში, სომხეთში, უკრაინასა და ნიუჯერსში, სადაც მდებარეობს კაზაკების მსოფლიო ასოციაციის შტაბ-ბინა.

ინგილოები

საინგილო, ისტორიული კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, ახლანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებშია. მოიცავს ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონების ტერიტორიას. საინგილო იწყება იქ, სადაც დღევანდელი კახეთი თავდება და საზღვრად უდევს პატარა მდინარე მაზიმჩაი (ისტორიული მაჭისწყალი). საინგილო შედგობოდა ორი პოლიტიკური ერთეულისაგან – ჭარ-ბლაქნისა (ელისენი) და ესლისუს სასულთნოსაგან. მისი ტერიტორია ადრინდელ საუკუნეებში ძველი ქართული პროვინციის ჰერეთის შემადგენელი ნაწილი იყო. XI საუკუნის დასაწყისში ადმინისტრაციულად მაჭის საერისთავოს ფარგლებში მოექცა.

XVI-XVII საუკუნეებში კახეთის სამეფოს პოლიტიკურმა ცვლილებებმა, ოსმალეთისა დ სპარსეთის გამუდმებულმა აგრესიამ, დაღესტნელი ფეოდალების თავდასხმებმა ამ მხარის ეკონომიკური და პოლიტიკური დაცემა გამოიწვია. ნადგურდებოდა ქართველი მოსახლეობა, ამ ადგილებში სახლდებოდნენ წახურელი და ავარიელი ლეკები. ერთდროულად ხდებოდა ქართველი მოსახლეობის დაყმევება და გამაჰმადიანება. დროთა ვითარებაში საინგილო საერთოდ მონყდა კახეთის სამეფოს და XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ავარიელი და წახურელი ლეკების, ეგრეთ წოდებული, თავისუფალი თემები. კახეთის მეფეების არაერთი მცდელობა, გაეთავისუფელბინა აღმოსაველთ კახეთის მიწები, უშედეგოდ მთავრდებოდა.

1803 წელს ჭარ-ბელაქანი და ელისუს სასულთნო რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შევიდა. 1830 წელს ცარიზმმა გააუქმა მათი პოლიტიკური დამოუკიდებლობა და შექმნა ჭარ-ბელაქნის ოლქი, მის ბაზაზე კი 1840 წელს ბელაქნის მაზრა, რომელიც ადმინისტრაციულად საქართველო-იმერეთის გუბერნიაში შევიდა. 1842 წელს იგი კვალავ ცალკე ოლქად გამოიყო, ხოლო 1844 წლიდან ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქი გახდა. 1860 წლიდან ზაქათალის ოკრუგად იწოდებოდა და ექვემდებარებოდა დაღესტნის ოლქს. ამავე დროს, ყოფილი ელისუს სასულთნოს მთიანი ნაწილი, ეგრეთ წოდებული, მთიანი ძალალი, სამურის ოკრუგს შეუერთდა. 1921 წლიდან საინგილო აზერბაიჯანის ფარგლებში მოექცა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ 1918-1920 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას არ მიუმართავს საინგილოს შემოსამტკიცებლად რაიმე ღონისძიებისათვის. თუმცა საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს შორის 1920 წლის 7 მაისს ხელმოწერილი დოკუმენტის თანახმად საბჭოთა რუსეთმა ზაქათალის ოლქი საქართველოს ფარგლებში შემავალ ტერიტორიად აღიარა, მაგრამ საბჭოთა აზერბაიჯანის მესვეურებმა, გაიგეს რა ეს ფაქტი, იმ დღესვე სასწრაფოდ დეპეშები აფრინეს მოსკოვში: უკმაყოფილებას გამოთქამდნენ საკითხის ამგვარად გადაჭრის გამო. მოსკოველმა მმართველებმა არ აწყენინეს ბაქოელ კოლეგებს. ამის შედეგი ის იყო, რომ 12 მაისს საქართველო-რუსეთის დამატებითი შეთანხმების ძალით ოლქის მიკუთვნების საკითხი უნდა გადაეჭრა შერეულ კომისიას თანაბარი რაოდენობის ქართველი და აზერბაიჯანელი წარმომადგენლების შემადგენლობით, კომისიის თავმჯდომარე კი რუსეთიდან იქნებოდა, არც საქართველოს და არც აზერბაიჯანს კომისიის გადაწვეტილებამდე უფლება არ ჰქონდათ შეეყვანათ ოლქის ტერიტორიაზე ჯარების ახალი კონტიგენტი, ესე იგი, იმაზე მეტი, რაც 12 მაისს იქ იმყოფებოდა.

დამატებითი შეთანხმების ნამგებიანობა საქართველოსათვის აშკარა იყო. როგორც ვხედავთ, რუსეთმა მთლიანად დაუქვემდებარა თავის კონტროლს ზაქათალის საკითხის გადაწვეტა. 12 მაისის მდგომარეობით ზაქათალაში მხოლოდ მე-11 არმიის ნაწილები იმყოფებოდნენ და ქართულ მხარეს არ შეეძლო ძალების შეყვანა. თუ კომისია საკითხს განიხილავდა და კენჭისყრაზე მივიდოდა საქმე, რუსეთის წარმომადგენლის პოზიცია გადამწყვეტი აღმოჩნდებოდა. იგი აზერბაიჯანელებს დაუჭერდა მხარს და საკითხი საქართველოს საზიანოდ გადაწყდებოდა.

საქართველოს ხელისუფლება ამ ტერიტორიას ბუნებრივია ჩვენი სამშობლოს განუყოფელ ნაწილად თვლიდა, რაც აისახა კიდეც 1921 წლის კონსტიტუციის 107-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც ზაქათალის ოლქს ენიჭებიდა „ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა“.

საინგილოს საკითხი კვლავ უცვლელი დარჩა 1921 წლისათვის ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების საზღვრების გამიჯვნისას, როდესაც იგი აზერბაიჯანს ფაქტობრივად მიტაცებული ჰქონდა. იმის ნაცვლად, რომ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას ესარგებლა საზღვრების გამიჯვნის პროცესით და აღედგინა ისტორიული სამართლიანობა – საინგილო საქართველოს ტერიტორიაში მოექცია, 1921 წლის 5 ივლისს საქართველოს და აზერბაიჯანის დელეგატთა კონფერენციამ ოფიციალურად დააკანონა საინგილოს დატოვება აზერბაიჯანის შემად-

გენლობაში, რაც დაადასტურა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის საზღვრების დამდგენმა რკპ(ბ) კავბიუროს სპეციალურმა კომისიამ 1921 წლის 26 ივნისს.

ტერმინი „საინგილო" და „ინგილო" XIX საუკუნეში შექმნილი ტერმინებია. დაპყრობილი ქართული სოფლები გაბატონებულმა ლეკებმა მძიმედ დაბეგრეს. აი, ამ დამორჩილებულ-დაგბეგრილ ქართველ გლეხს ეწოდა „ინგილო", განსხვავებით ტერმინ „ლეკისაგან", რომელშიც უპირატესად მებატონე ან თავისუფალი იგულისხმებოდა დამოუკიდებლად იმისაგან, თუ ვინ იყო ის წარმოშობით: ავარიელი თუ ნახურელი, როგორც ეს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაშია აღიარებული, ტერმინი „ინგილო" წარმომდგარი უნდა იყოს საინგილოს ერთ-ერთი ქართული სოფლის „ჰენგიანის" სახელწოდებისაგან, რომელმაც თანდათან ზოგადი მნიშვნელობის შინაარსი შეიძინა და გადაიქცა საერთო სახელად მთელი ამ მხარის ქართული მოსახლეობისა. საინტერესოა, რომ ქორწილის დრის პატარძლის მოსაყვანად ვაჟის სახლიდან წასულ მაყრიონში მყოფ ახლობელ ქალებს „ჰენგები" ეწოდებოდათ.

ზოგის აზრით სიტყვა „ინგილო" სოციალური ტერმინია, ზოგი ფიქრობს, რომ ეს სიტყვა ახლად მოქცეულს, მორჯულებულს ნიშნავს. „ინგილა" სპარსულად ამოძირკულის, ამოგდებულის შესატყვისია. თვითონ ინგილოებში ამ სიტყვის შემოღებას უკავშირებენ შაჰ-აბასის შემოსევას, რომლის დროსაც ქართველები გადარჯულდნენ, ე. ი.გამაჰმადიანდნენ. ყოველივე ამაში ერთი უდავო ჭეშმარიტება ის არის, რომ სიტყვა ინგილო ეთნიკური ტერმინი არ არის, არამედ სოციალური შინაარსის ცნებაა. ეს გარემოება კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული თვით მეფის რუსეთის ოფიციალურ მოხელეებსაც კი. როგორც ცნობილია მეფის მთავრობამ XIX საუკუნეში რამდენჯერმე მოახდინა საინგილოს მხარის (ზაქათალის ოლქის) მოსახლეობის აღწერა (1859 წ. 1871 წ. 1886 წ.) და აი, როდესაც ვეცნობით ამ აღწერების იმ მასალებს, რომელნიც ინგილოური სოფლების მოსახლეობის ეროვნებას შეეხება, ვხედავთ, რომ ყოველი ინგილოური სოფლის გასწვრივ, სპეციალურ გრაფაში, საგანგებოდ და გარკვევით არის აღნიშნული: ეროვნება – ქართველი.

XX საუკუნის დასაწყისში ზაქათალის (საინგილოს) ოკრუგი თბილისის გუბერნიაში შედიოდა, რომლის ტერიტორია შეადგენდა 38 000 კვადრატულ კილომეტრს, ხოლო მოსახლეობა 1914 წლის მონაცემებით 85 000 სულს.

ამჟამად, აზერბაიჯანში 16 ათასამდე ქართველი ცხოვრობს, მათ შორის ბაქოში – 2340; კახში, ზაქათალასა და ბელაქანში – 13 ათასი,

ყველაზე დიდი დიასპორა (7450 ადამიანი) კახის რაიონშია, სადაც შემორჩენილია XVIII საუკუნის წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც ბაქოში მცხოვრები ქართველი მეცენატების დახმარებით მოიხატა და რესტავრირებული იქნა.

ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის დამყარებამდე კეთილშობილი ინგილო ქალი ევა ბაბალაშვილი თვალცრემლიანი მოსთქვამდა: „სახლები დაგვიჩხრიკეს შვილო თათრებმა, ჩემი ნამზითვი „ვეფხისტყაოსანი", ილიას და აკაკის ნაწერები წაგვართვეს, დაგვიწვეს".

1930 წელს ძალის გამოყენებით ისლამი მიაღებინეს სოფელ ყორაღნის მცხოვრებთ – ძმებს ივანე და შალვა საკნელაშვილებს, ივანეს სახელად ისლამი უწოდეს, გვარი მუსაევი დაუდგინეს. შალვას აბდურახმანი შეარქვეს.

ქართულ სოფელს, სადაც 1000 კომლამდე ინგილო ცხოვრობდა, ქათმისხევის ნაცვლად ალიბეილი შეარქვეს. ელისოს – თათრული ელისუ უწოდეს. ბევრს ცდილობდნენ ქართულ კახს (კაკს) თათრული გახი შეერქმიათ. ქართულ სოფლებს ალათემურსა და ლალაფაშას არ მოაშორეს ძველ მონღოლ და ოსმალო დამპყრობთა სახელები.

დევნის დროს შეწუხებული ქართველების ნაწილი ნითელწყაროს რაიონში გადმოსახლდა, იქ დარჩენილები იძულებული გახდნენ მიელოთ ისლამი. და ეს მოხდა 1930 წელს. საბჭოთა ხელისუფლება ყოველმხრივ ხელს უწყობდა ქართული ეთნოსის გადაგვარებას.

1942 წელს სოფელ კახის კოლმეურნეობაში მუშაობა დაიწყო ბიძინა ბაირამაშვილმა, რომელმაც თსუ ეკონომიკური ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მშობლიურ სოფელს მიაშურა. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ბიძინა პირველი და ერთადერთი ახალგაზრდა იყო ინგილოთა შორის უმაღლესი განათლებით, რომელიც სამოღვაწეოდ სამშობლოში დაბრუნდა. მან პირველმა აღიმაღლა ხმა მჩაგვრელთა წინააღმდეგ და ადგილობრივი ხელმძღვანელობისაგან სამართლიანობის დაცვა მოითხოვა. ბუნებრივია კახში მისი ყოფნა არ აწყობდა ხელისუფლებას... 1943 წლის 1 მაისს, ღამით სახლში მიმავალი ბიძინა ბაირამაშვილი თითქმის თავის სახლთან „უცნობმა" პირებმა დაიჭირეს, ხელით დაახრჩვეს და მდინარეში გადააგდეს.

1944-1946 წლებში საინგილოს ქართულ სოფლებში ჩაასახლეს დაღესტნიდან გადმოსული ლეკები და ადგილობრივი მუღალები. მხოლოდ სოფელ კახში 40-ზე მეტ ლეკსა და მუღალს მისცეს ინგილოების სახლკარი და ნაამაგარი ბაღ-ვენახები. ასევე ჩაასახლეს ლეკები და ავარები ქართულ სოფლებში – ქოთუქლოში, მუშაბაშში, თოფახსა და საკანში,

ყორაღანსა და შოთაკარში. ინგილოები ამ უკანკნელს შოთა რუსთაველის სამშობლოდ თვლიან.

აზერბაიჯანელების ქართულ სოფლებში ჩასახლების პროცესი 1949-1950 წლებშიც გაგრძელდა. მხოლოდ კახში დასახლდა 60 ოჯახი, რომელთაც აუშენეს საცხოვრებელი სახლები, ხოლო ქართველების 20 ბინა აზერბაიჯანელებმა დაიკავეს არენდის სახით. საგულისხმოა, რომ ჩამოსახლებულებს არაფერი საერთო არ ჰქოდნათ კოლმეურნეობასთან და არც მუშაობდნენ.

ჩამოსახლებული აზერბაიჯანელები სისტემატურად ლანძღავდნენ ქართველებს, დასცინოდნენ ქართულ ტრადიციებს და წეს-ჩვეულებებს, აშინებდნენ მილიციით და სხვ. ანგრევდნენ დ აპარტახებდნენ ძველი ქართული კულტურისა და ხელოვნების დიდებულ ძეგლებს. სახურავი გადახადეს ქურმუხის ბრწყინვალე ეკლესიას. ღვთისმშობლის ეკლესია და კასრის საყდარი კახში დანგრევის პირას იყო. საინგილოს ცნობილი 300 კილომეტრიანი კედლის ნანგერევებიდან გზებს არემონტებდნენ. სოფელ ყუმის ეკლესიის მიდამოებში განათხარი სასაფლაოდან ოქროს ჯვრები და ქართული მატერიალური კულტურის ძვირფასეულობა გაჰქონდათ და სხვათა მუზეუმებს ამდიდრებდნენ.

აზერბაიჯანელები წვავდნენ, მოგვიანებით ჩეხავდნენ ინგილოების მიერ გაშენებულ ვაზის კულტურას, კაკლის ხეებს. ქართველებისათვის ჩამორთმეული საკოლმეურნეო მიწების გამო შეიზღუდა მესაქონელეობის განვითარება. ქართული კოლმეურნეობები იმდენად განიცდიდნენ მიწის ნაკლებობას, რომ ინგილოს აღარ შეეძლო აეშენებინა საცხოვრებელი სახლი. უფრო მეტიც, ინგილოებს ნებას არ აძლევდნენ დაეთესათ სიმინდი თავის საკარმიდამო ნაკვეთზე.

ქართულ ოჯახებსა და მეურნეობებზე თავდასხმის შემთხვევაში აზერბიჯანელებს სამართალდამცავი ორგანოები პასუხისგებაში არ აძლევდნენ. 1949 წელს კი ბეროშვილის ოჯახში აღმოჩენილი 5 ლიტრი არაყის გამო ოჯახის პატრონს მიესაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

ადგილობრივი ხელისუფალნი ინგილოთა წამონყებას კულტურისა და ეკონომიკის სფეროში ყოველ მხრივ ახშობდნენ, აღვივებდნენ შულლსა და მტრობას აზერბაიჯანელ და ქართველ მოსახლეობას შორის.

ინგილო მოსახლეობას თითქმის არ უწევდნენ სამედიცინო დმხარებას, არ იყო მოწესრიგებული სარწყავი სისტემით სარგებლობა. ამ მხრივ უპირატესობით მხოლოდ აზერბაიჯანელები სარგებლობდნენ. ბევრ სოფელში კვლავ გრძელდებოდა ინგილოთა დევნა რელიგიურ

ნიადაგზე. ანგრევდნენ და აპარტახებდნენ ქართულ ისტორიულ ძეგლებს – ციხე-კოშკებს, ეკლესიებს...

აზერბაიჯანელები არა მარტო ვაზს ჩეხავდნენ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ამასთანავე ქვევრებს მიწით ავსებდნენ. მოსახლეობას ამცირებდნენ. მაგალითად, საკოლმეურნეო ბაზარში თუ თავშეყრის სხვა ადგილებში აზერბაიჯანელი მამაკაცები ინგილო ქალებს შეურაცხყოფას აყენებდნენ, რის გამოც მრავალჯერ გამართულა ინგილოებსა და აზერბაიჯანელებს შორის ხელჩართული ბრძოლა. ხშირად, ინგილოებს ბაზარში მიტანილ პროდუქტს აზერბაიჯენელები ართმევდნენ ან იქვე შეექცეოდნენ. საფასურს ბუნებრივია არ იხდიდნენ.

საბჭოთა აზერბაიჯანის ხელისუფლების მხრიდან იმდენად განიცდიდა დევნას ყოველივე ქართული, რომ ინგილოებს უფლება არ ჰქონდათ ოჯახში, განსაკუთრებით ოფიციალური შეხვედრების დროს ელაპარაკათ ქართულად. მიუხედავად იმისა რომ სოფელ ალიაბადში, მოსულში, ზაგანში, თაქმალოში და სხვ. ბავშვები სკოლაში ქართულად სწავლობდნენ.

ქართულ სოფლებში, კოლმეურნეობებსა და სასოფლო-საბჭოებში საქმის წარმოება მხოლოდ აზერბიჯანულ ენაზე მიმდინარეობდა.

შემთხვევითი არ არის, რომ ქალების სიმღერა საინგილოში არ იყო მიღებული. თუმცა ზოგმა გოგონამ კარგი სიმღერა იცოდა, მაგრამ საჯაროდ მღერის უფლება არ ჰქონდა. საერთოდ, მხიარულებისა და ქეიფის დროს ინგილოებმა სიმღერა არ იციან. ჩვენთვის საინტერესო პერიოდში მთელ საინგილოში ვერ ჰპოვებდით ხალხურ სიმღერას. ამ მხრივ საინგილო დიდ გამონაკლისს შეადგენს მხიარულსა და მუდამ მომღერალ საქართველოსაგან. ამიტომ აქაური ქორნილია თუ სხვა რამ დღესასწული უსიცოცხლოდ მიმდინარეობს, წყნარად შემოუსხდებიან სუფრას და წყნარად დაიშლებიან. ლეკთა და თათართა დიდი ხნის მონობას თავისი დაღი დაუსვამს მუდამ მხიარული ქართველებისათვის. ან კი რა ემღერებოდა ინგილოს! იმდენი ჭირი და ვარამი გამოუვლია მტრის ხელში.

თანანამემამულეთა მდგომარეობით შეწუხებული გიორგი სიმონის ძე გამხარაშვილი მოსკოვში ჩავიდა და წერილობით შეეცადა არსებული ვითარების შესახებ ეცნობებინა სტალინისათვის. მისი „ვიზიტი“ რამდენჯერმე განმეორდა, მაგრამ რეალური შედეგი არ მოჰყოლია. თხოვნით მიმართავდა პოსკრებიშევს და სხვებს, რათა გამოეჩინათ ყურადღება მძიმე მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობისათვის.

ინგილოთა წარმომადგენელს მდგომარეობის გამოსწორების ძირითად

საფუძვლად საინგილოს კვლავ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება მიაჩნდა, რის შესახებაც თხოვნით მიმართავდა მიხა ბარამიას 1946 წლის 23 აპრილს.

1959 წელს, როდესაც დაიწყო ქართველთა დევნის და აგდების კამპანია მთელ საბჭოთა კავშირში, აზერბაიჯანში მცხოვრებ ქართველებს ჩამოართვეს პასპორტები და ხუთი თვის შედეგ დაუბრუნეს შეცვლილები. მათი გვარები გადააკეთეს. მაგალითად, მიქელაძეს ეწერა მამედოვი და ა. შ. აღშფოთებულმა ქართველების ნაწილმა დაახლოებით 3 ათასმა უარი განაცხადა, ახალ პასპორტზე. მათ დაახლოებით 7-8 წლის შემდგე აღუდგინეს თავიანთი გვარები. დანარჩენები მომავლის იმედით შეეგუენ მდგომარეობას. მთელი 40 წლის განმავლობაში იქაური ქართველები წერდნენ განცხადებებს, როგორც აზერბაიჯანის, ასევე საქართველოს ცკ-ის მდივანს, მწერალთა კავშირს, მაგრამ ამაოდ...

ფერეიდნელები

ირანის ცენტრალურ მთიანეთში, დაახლოებით 180 კილომეტრზე სეფიანთა ძველ სატახტო ქალაქ ისფაჰანის სამხრეთ-დასავლეთით, იქ, სადაც აღმართულია ბახთიარის მაღალი მთები, ზღვის დონიდან 1000 მეტრზე მდებარეობს სპარსეთის ერთ-ერთი მაღალმთიანი დასახლებული რაიონი, რომელსაც ფერეიდანს ეძახიან. თითქმის ოთხი საუკუნეა, რაც ამ მაღალ მთებში ბინადრობს ისტორიული ბედუკუღმართობის გამო საქართველოსაგან მოწყვეტილი ქართველი მოსახლეობა, ისინი ჩვენში „ფერეიდნელი ქართველების" სახელით არიან ცნობილი.

ზუსტი და დაწვრილებითი ცნობები ფერეიდანში ქართველთა ჩასახლებისა და მათი იქ ცხოვრების შესახებ თითქმის არ შემონახულა. თვით ირანში საგანგებოდ იყო მიჩქმალული ფერეიდნელთა ქართველობა და დღემდე მათ რიცხვს ხელოვნურად მიაწერენ და უმატებენ სპარსულ მოსახლეობას.

ირანის ცნობილ ისტორიკოსსა და სტატისტიკოსს სეიდ ალის, რომელიც XX ს-ის 20-30-იანი წლებში მოღვაწეობდა და რომელმაც ირანის ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნებათა მთლიანი სტატისტიკა შეადგინა, წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ ირანში ქართველები მოსახლეობენ. რა თქმა უნდა, რომ არც საზღვარგარეთელი ავტორები იხსენიებენ ირანში ქართველი მოსახლეობის არსებობის ფაქტს. XIX ს-ის ცნობილი მკვლევარი ელიზე რეკლიუ, რომელმაც მსოფლიო გეოგრაფიის მრავალტომიანი შრომა შეადგინა, როცა ირანის გეოგრაფიას გადმოსცემს, ამ მხარეს ფერეიდუნად იხსენიებს და თვლის, რომ თითქოს იქ ცხოვრობენ საქართველოდან გადასული სომხები, რომლებიც ქართულ ენაზე ლაპარაკობენ. რეკლიუ სწორ ინფორმაციას ემყარება, როცა აღნიშნავს, რომ ფერეიდნის მოსახლეობა საქართველოდან არის გადასული (თუმცა არა გადასული, არამედ ძალით გარეკილი) და მათი სალაპარაკო ენა ქართულია, მაგრამ ცდება და ერთმანეთში ურევს სომხებსა და ქართველებს და ქართულ ენაზე მოლაპარაკე ფერეიდნის ქართველ მოსახლეობას სომხებად თვლის.

ისტორიის მანძილზე ქართველების ირანში გადასახლება 7-8 ჯერ განხორციელდა. ქართველებისა და სომხების ყველაზე დიდ მე-8 გადასახლებას ადგილი ჰქონდა შაჰ-აბას I-ის დროს.

გადასახლებულები დაამკიდრეს ქვეყნის ჩრდილოეთით – მაზანდერანში, გილანში, კერძოდ ხორასნის პროვინციაში, ყაზვინის, თეირანის და ჰამადანის რაიონებში.

მაზანდარანში ქართველები დაასახლეს ქალაქ აშრეფის ახლოს. უჩვეულო, მძიმე კლიმატური პირობების გამო, საშინელი ექსპლოატაციის, ირანელთა მხრიდან ძარცვისა და ძალდატენებით გამაჰმადიანების მიღების შედეგად გადმოსახლებულ ქართველთა ნაწილი დაიღუპა, ზოგიერთი გაიფანტა ირანის ტერიტორიაზე, ხოლო მცირე ნაწილის ასიმილაცია მოხდა.

ფერიდანში ჩაასახლეს ყველა ქართველი გლეხი, სომხების ნაწილი და 2 სოფელი ბორჩალოელი თათრები. ფერეიდნის სიახლოვეს მთიან რაიონში მხოლოდ სომხები დაასახლეს.

ზუსტი ცნობების უქონლობის გამო დაუდგენელია კახეთიდან გადასახლებული ქართული მოსახლეობის რაოდენობა. ჩვენს ისტორიოგრაფიაში ამის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. მაგალითად. ზ. ჭიჭინაძის მონაცემებით, რომელსაც მოაქვს ლათინთა პატრის ორსინეს ცნობა, შაჰს გადაუსახლებია ირანში – 80000, მის მიერ მოყვანილი ცნობით – 120000, ხოლო სხვა ცნობებით – 100000 კომლი. ზ. ჭიჭინაძე, სამწუხაროდ, ორსინეს გარდა არ ასახელებს იმათ ვინაობას, ვის ცნობებსაც ეყრდნობა.

აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის „ქართველი ერის ისტორიაში" აღნიშნავს, რომ შაჰს კახეთიდან 400000 კომლი აუყრია და სპარსეთის სხვადასხვა ადგილას დაუსახლებია.

საქართველოს ისტორიის ნარკვევების მიხედვით, კახეთიდან შაჰის შემოსევების შედეგად 200000-მდე ტყვე იქნა წაყვანილი, ხოლო აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის გამოთვლით, შაჰს კახეთიდან 40000 კომლი გადაუსახლებია. ასეთი განსხვავებულობის გამო, სარწმუნოდ, რა თქმა უნდა, წყაროები უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ მათაც ფრთხილად უნდა მივუდგეთ, რადგან იმ დროს არ არსებობდა მოსახლეობის ზუსტი აღწერა და მითითებული რაოდენობა მიახლოებით უნდა მივიჩნიოთ.

ევროპელი ისტორიკოსების ცნობებიც ზოგად ხასიათს ატარებენ. მაგალითად, ვილბერი მარტო იმას აღნიშნავს, რომ შაჰმა დაიმორჩილა აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო. დავით ლანგის მიხედვით, 100000 კაცი ჩასახლებულ იქნა სპარსეთის სხვადასხვა ადგილას (სად არ ასახელებს), ინგლისელი ალენი კი მიუთითებს ამ ადგილებს – მაზანდარანს, ხორასანსა და კასპიის ზღვის სანაპიროს.

შაჰ-აბასი საკმაოდ მოქნილი პოლიტიკოსი და იმ დროსათვის თავისი ქვეყნის მოხერხებული მმართველი იყო. იგი მუდამ წინსაწარ მოფიქრებული გეგმით მოქმედებდა. კახელი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის აყრით და მის ადგილზე ყიზილბაში მეკოგე თურქმენების ჩასახლებით შაჰი საქართველოს საბოლოო დამორჩილება --შემომტკიცებას ვარაუდობდა, მას წინგამიზნული მოსაზრება ჰქონდა ქართველთა ირანში ჩასახლების საკითხებზეც. იგი ქართველებში უნარიან მეურნეებსა და გულად მეომრებს ხედავდა. ამიტომ გადაწვიტა, რომ ტყვე ქართველების ფერეიდნის მაღალმთიან რაიონში ჩასახლებით მტკიცე ბარიერი შეექმნა ბახთიარების, ლურებისა და ქურთების ტომებისათვის, რომლებიც განუწყვეტლივ თავს ესხმოდნენ და მუდმივი შიშის ქვეშ აყენებდნენ სეფიანთა შაჰების სატახტო ქალაქ ისფაჰანსა და მიმდებარე სპარსელთა სოფლებს. ფერეიდანი სწორედ ბახთიარიდან ისფაჰანისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს. მოხერხებული და ცბიერი შაჰის ეს ვარაუდი შემდეგში ცხოვრებამ დაადასტურა.

ბახთიართა ტომები: ჩარლანგი, ჰაფლანგი, ბოსაქი, მომსალე, ქუნუსი დროგამოშვებით ერთიანდებოდნენ და დარბევებს აწყობდნენ ქართველთა სოფლებზე, ქართველები არა თუ თავს იცავდნენ, არამედ მეზობელი სოფლების მოსახლეობასაც მფრველობდნენ. თუ არა ქართველები, იქური სომხებისა და ზოგიერთი სპარსელების სოფლების ხსენებაც აღარ იქნებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც ქართველი ქალი იარაღს აისხამდა და მტრის წინააღმეგ იბრძოდა. ზოგჯერ ქართველები თავად ბახთიარებისაგან შევიწროებულ ბახთაიარებსაც იფარავდნენ.

სარწმუნო ცნობებით შაჰ-აბასმა ქართველები გაათავისუფლა გადასახადებისაგან და არ სდევნიდა ქრისტიანული რწმენის გამო. ეს პროცესი 130 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს შეხედულება, რომ არ გვაქვს ცნობები ფერეიდნელი ქართველების გამაჰმადიანების დროის შესახებ. მაგალითად, გიორგი ჭაკაშვილის აზრით: „ქართველთა გამაჰმადიანების ისტორია ძნელი დასადგენია. ამის შესახებ რაიმე წერილობითი დოკუმენტი არ არსებობს".

სინამდვილეში მოიძებნება დოკუმენტური წყაროები, სადაც ახსნილია დროც და მიზეზიც ქართველების მიერ ისლამის მილებისა. როგორც დავინახეთ, სტრატეგიული მიზნით მოხდა ქართველების კომპაქტური დასახლება ფერეიდანში. თუ შაჰ-აბასი ძალით მოინდომებდა მათ გამაჰმადიანებას და ბუნებრივია ქართველები მასობრივად არ დათანხმდებოდნენ, მაშინ უნდა სრულიად ამოეჟლიტა ქართველობა. ეს კი ხელს

შეუშლიდა იმ ამოცანის განხორციელებას, რასაც შაჰ-აბასის გეგმა ითვალისწინებდა.

XVIII ს-ის შუა ხანებში აღნიშნული პრობლემა ისე მწვავედ აღარ იდგა ირანის წინაშე და ხელისუფლებამ გადაწვიტა თუნდაც ძალის გამოყენებით გადაეჭრა ქართველების გამაჰმადიანება... რა თქმა უნდა, როდესაც მოიხსნა პრობლემა ხელისუფელება არ აბოგინებდა შუაგულ სპარსეთში რამდენიმე ათას ქართველს თავისი განსაკუთრებული სულიერითა და კულტურით. 1750 წელს, ქერიმ-ხან ზენდის დროს, ქართველებს ძალით მიაღებინეს ისლამი და დააკისრეს გადასახადები. ამ ფაქტმა გამოიწვია ქართველების შეირაღებული აჯანყება ხელისუფელების წინააღმდეგ, რასაც მრავალი ქართველი შეეწირა. ამ მოვლენებთან დაკავშირებით, ხსოვნა დღემდე შემორჩა ფერეიდნელებში. ფერეიდნელი ქართველის სიტყვით, რომელიც ზურაბ შარაშენიძემ ჩაიწერა 1968 წელს ირანში, „ზემო ახორის დასავლეთით მდებარე მთას „სიხეს" (ციხე) ეძახიან. აქ ქერიმ-ხან ზენდს გურჯებთან ბრძოლის დროს ბევრი გურჯი დაუხოცია".

ფერეიდნელებს კარგად ახსოვთ, რომ პირველ ხანებში ირანშიც ქრისტიანები ყოფილან. მეხსიერებას შემორჩა მათე მღვდლის სახელი, რომლისგანაც შექმნილია გვარი მათიანი. არის ტოპონიმი „ყარაქეშში", რაც შავ მღვდელს ნიშნავს. ასევე ამბობდნენ, რომ ღორის ხორცს ჭამდნენ, ფერეიდნის მთებში ღორებზე ნადირობდნენ, რაც გარკვეულ დრომდე ქრისტიანობის შემორჩენის მანიშნებელია.

თუ რაიმე შერჩენიათ ქრისტინული სარწმუნოებისა, ერთადერთი ის არის, რომ როცა ფერეიდნელი ქართველი ქალი პურის ცომს მოზილავს და ლავაშს თონეში ჩასაკრავად გაამზადებს, მასზე ხელით ჯვარს დაუსვამს. მართალია ჯვარი საზოგადოების განვითარების უძველეს საფუძველზეა წარმოქმნილი, მაგრამ ქრისტიანული წეს-ჩვეულების ელემენტია და არა წარმართული პერიოდისა. მისი შენარჩუნებით ფერეიდნელი ქართველები ეროვნული წეს-ჩვეულებების შენარჩუნებას ეძალებოდნენ.

არის ცნობები, რომ ხავსს მოჭიდებული ქართველობა ეკედლებოდა სომხურ თემს, რომელსაც არა თუ არ უშლიდნენ ქრისტიანობას ირანის შაჰები, არამედ მათ დღესასწაულებზედაც კი დადიოდნენ (ცნობილია, მაგალითად, რომ შაჰ-აბასი ესწრებოდა სომხების ნათლისღების ცერემონიებს ისფაჰანში). ამიტომ მრავალი ქართველი ქრისტიანობა რომ შეენარჩუნებინა სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებას იღებს. მრავალი ქართველის საფლავია დღემდე შემორჩენილი ისფაჰანის ჯულფაში ნერსესის, მინასისა და სარქისის სომხურ ეკლესიათა ეზოებში.

ისფაჰანის ჯულფაში, ვანქში ინახებოდა ერთი სომხური სახარება (ამჟამად ერევანშია დაცული ა.ს.). სომხურ ხელნაწერს ჰქონია ასეთი ქართული მინაწერი: „აქ. მე ყოვლად უღირსმან შერმაზანის შვილმან დავით შევსწირე წმიდა და ესე სახარება საკაშენს, ეკლესიასა ნათლისმცემლისასა, საოხად სულთა ჩემთა და მეულლისა ჩემისა ელენესა და მოსახსენებლად მამისა ჩემისა შერმაზანისა და დედისა ჩემისა ხორეშანისა. მკათათვის კა (=11) ქვ~უბა (=1733)".

სეფიანთა დინასტიის უკანასკნელმა და მეტად სუსტმა პოლიტიკურმა ფიგურამ შაჰ-სულთან-ჰუსეინმა ირანში მცხოვრებ სომხებს გამაჰმადიანება მოსთხოვა, მაგრამ მტკიცე წინააღმდეგობას ნაანყდა. კრიზისში მყოფმა სახელმწიფომ ვერ შეძლო განეხორციელებინა შაჰის სურვილი. მაშინ, ჰუსეინის ბრძანებით სომხების საფლავის ქვებს თითო კუთხე ჩამოტეხეს, რაც მათი აზრით მიცვალებულთა წინადაცვეთას და გამაჰმადიანებას ნიშნავდა.

თეირანში მცხოვრები სომხების ინტელიგენცია დღედაღამ სომეხთა საზოგადო საქმეებით იყო დაკავებული. მათ ნაწილს თვალსაჩინო მდგომარეობა ეკავა ირანის შაჰის კარზე. ჰქონდათ პატარა სტამბა, მცირე ზომის გაზეთი, „რაფის კლუბი" (სამკითხველო) და სხვა.

როდესაც ქართველებს მასობრივად მიალებინეს ისლამი, დაუნგრიეს ეკლესიები და მეჩეთებად აქციეს, იავარყვეს საეკლესიო ქონება, ამის შემდეგ ქართველი სასულიერო წოდება იმალება, ეროვნული ტანსაცმელი იდევნება და იცვლება ირანულით. ქალებისათვის სავალდებულო ხდება ჩადრის ტარება. მეურნეობიდან იდევნება მევენახეობა და ღვინის წარმოება, ტრადიციული ეროვნული დღესასწაულები თანდათანობით დავიწყებას ეძლევა. იკრძალება ეროვნული ცეკვები და სიმღერები. ნაცვლად დიდი სტუმართმოყვარეობისა და ჩვეული მხიარულებისა ადგილს იკავებს კარჩაკეტილობა, იზოლაცია, საკუთარი არსებობის მუდმივი შიში. ეროვნული ტანსაცმელიდან რჩება მხოლოდ ფართო შარვალი, რადგან მეზობელი ლურისა და ბახთიარის ტომების შარვლების მსგავსი იყო ირანელთა მხრიდან ყურადღების გარეშე დარჩა.

ირანის ადმინისტრაციის მხრიდან ქართველები განიცდიან მუდმივ მეთვალყურეობას. მათ ნაართვეს უფლება ესნავლათ მშობლიური ენა და დამწერლობა. გამიზნულად ინერგებოდა ირანული ენა, შარიათის ტრადიცია და წეს-ჩვეულება. აიძულებდნენ შეესისხლხორცებინათ მუსლიმანური თვითშეგნება და ფანატიზმი.

ქართველი მოსახლეობის მიმართ ირანის ხელისუფლების პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენდა მთლიანად აღმოეფხვრათ მათი ხსოვ-

ნიდან სამშობლო და არ დაეშვათ არავითარი კავშირი საქართველოსთან, როგორი ფორმითაც არ უნდა ყოფილიყო. ასეთი ფაქტების შემთხვევაში ხელისუფლება სადამსჯელო ზომებს მიმართავდა

ამიტომ ისლამმა ქართველ ფერეიდნელებში მძლავრად გაიდგა ფესვები. 1923 წელს, როდესაც სეიფოლა იოსელიანი საქართველოდან ფერეიდანში დაბრუნდა ფანატიკოსთა თვალების ასახვევად ჯერ მეშჰედს მივიდა შუა აზიის გზით, მთელი თვე იქ ილოცა და შემდეგ საქრისტიანო ქვეყნიდან „დაბრუბნებული-განწმედილი" მივიდა ფერეიდანში, რათა მის წინააღმდეგ განგაში არ აეტეხათ.

ფერეიდნელებმა თუ დღემდე შეძლეს თავის შემონახვა ამის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ის რომ მათ არ დაუკარგავთ თავისი ნაციონალური სიამაყე. ამან განაპირობა მათი ღრმა სიყვარული მშობლიური ენისადმი და მისი შეურყვნელად შემონახვა. „ძველების" გადმოცემით, საქართველოდან ფერეიდანში გადმოსახლებული ერთი სოფლის ხალხი კვლავ ერთად დასახლებულა და ამ ადგილისათვის თავისი სოფლის სახელი უნოდებიათ. მაგალითად, მარტყოფელებს – მარტყოფი, ნინიწმინდელებს – ნინოწმინდა და ა. შ.

ფერეიდნელი ქართველების ეროვნული თვითშეგნების შესახებ ლ. აღნიაშვილი სამ ელენტს გამოყოფს: პირველი მათგანი არის ენა, მეორე ელემენტი არის ის, რომ ყოველი მათგანი განურჩევლად ასაკისა და სქესისა აღიარებს თავს წმინდა ქართველად. ვერავინ გაუბედავს მათ სხვაფრივ მოხსენებას, თუ არა გურჯი. „მას ესმის, რომ ის გურჯია და ესმის სრულის შეგნებით, ესმის და თავი მოსწონს ამითი. პირველი ქართველი მას ჯერ თავისი თავი ჰგონია და მერე სხვები".

მესამე ელემენტი არის ტიპი და ზნე: კეთილი და სათნო, სტუმართმოყვარე, პატიოსანი, თავმოყვარე, მამაცი, გამბედავი, ლმობიერი და პირში მთქმელი.

20-იანი წლების დასაწყისში ფერეიდნელმა ქალებმა მუქარით იფრინეს მოლები, რომლებიც ურჩევდნენ მათ სპარსულ-არაბული ენის შესწავლას, რომელზედაც უნდა ელოცნათ მათ ყოველდღე. მოლების მოთხოვნებში ქალებმა ქართული ენის მოსპობის საფრთხე დაინახეს.

1928 წელს ფერეიდნელმა ქალებმა ზემო მარტყოფში ჯოხებით სცემეს ვაჟების ჯარში განვევის თაობაზე მთავრობის წარმომადგნლებს. საყურადღებოა, რომ მთავრობას პასუხისგებაში არ მიუცია არც ერთი ქალი. მათი დანაშაული მამაკაცებს აზღვევინეს.

1927 წელს ფერეიდანში მივიდნენ ამბაკო ჭელიძე და მისი მეუღლე სარა. მასპინძლებთან შეხვედრის დროს მათ იმღერეს – „ქართველო

ხელი ხმალს იკარ", სარა ჭელიძის მოგონებით ფერეიდნელ ქართველებს თვალები ენთებოდათ, ტუჩები უთრთოდათ, ნესტოები ებერებოდათ და ერთხელ კიდევ გამოხატავდნენ დიდ გრძნობას, რომ ისინი ქართველები არიან, რომ მათ ვერ გატეხს სულიერად ვერავითარი გაჭირვება. როცა ესმოდათ სიმღერა – „ახ, ნეტავი ჩიტი ვიყო", ყველანი დიდ სიხარულს გრძნობდნენ, თვალები უბრწყინავდათ. ყველა მიხვდებოდა მათ უსიტყო ნატვრას: გადაქცეულიყვნენ ჩიტად, გაფრენილიყვნენ და ენახათ მშობლიური საქართველო...

დიახ, მიუხედავად იმისა, რომ ფერეიდნელი ქართველები სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში უცხო გარემოში ცხოვრობდნენ, მთა ენასთან ერთად შეინარჩუნეს ქართული ყოფის დამახასიათებელი რეალიები თითქმის იმავე სახით, რაც ჩვენი ქვეყნის XVII ს-ის პირველი ნახევრის ყოფას ახასიათებდა. ეს განსაკუთრებით იგრძნობა მინის დამუშავების კულტურაში, სახვნელ იარაღებსა და საოჯახო ინვენტარში. მინათმოქმედების, მესაქონლეობისა და საზოგადოდ ძველ ქართულ ტექნოლოგიაში, რომელიც ჩვენმა სამეტყველო ენამ დიდი ხანია დაკარგა.

ფერეიდანში არსებობს გადმოცემა, რომ მათ წინაპარს საქართველოდან წამოღებული ვაზის რქა დაურგავს, რომელსაც იქ მოურწყველად გაუხარია და გამრავლებულა. ამ ადგილს „პაპას ბაღი" დარქმევია და მის მიდამოებში ყოველ გაზაფხულს სალოცავად მიაშურებენ მარტყოფელები. აქ ხდება ახალგაზრდების გაცნობა და ერთმანეთის არჩევაც. „პაპას ბაღი" მარტყოფელებს დაკარგული სამშობლოს სიმბოლოდ მიაჩნიათ. „ღმერთმა ნუ ქნას მისი გახმობა, მაშინ ხომ მამა-პაპათა და დიდი საქართველოს მახსოვრობა დაეკარგება ჩვენს ხალხს".

ფერეიდნელ ქართველებში ეგზოგამია მკაცრად არის დაცული (მიუხედავად იმისა, რომ 6-7 თაობიანი ტრადიცია დროთა განმავლობაში 6-5 თაობამდე შემცირდა), რაც უდავოდ ძველი ქართული საქორწინო ჩვეულებების გავლენის შედეგი უნდა იყოს. ჩანს, მასზე ვერ უმოქმედია ჟამთა სიავეს და მაჰმადიანური ქორწინების წესებს, ისე როგორც აჭარაში მოხდა.

ცნობილია ისიც, რომ ფერეიდნელი ქართველები ქორწინდებოდნენ სპარსელ ქალებზე, ხოლო თვითონ ქართველები ქალს არ ათხოვებდნენ სპარსელებზე. იყო შემთხვევები, როცა სპარსელზე გაათხოვებდნენ, ქალს მხოლოდ იმ პირობით თუ სპარსელი ქართულ გვარზე დაეწერებოდა.

ფერეიდნელ ქართველთა ქორწინების ინსტიტუტი ეროვნული და ეთნიკური თვითშეგნების ის ნათელი გამოხატულებაა, რომელმაც ხელი შეუწყო ირანში გადასახლებული ქართველების ყოფაში ძველი ქართული

ნეს-ჩვეულებების შენარჩუნებას. აქ თვალნათლივ გამოჩნდა ის გამძლეობითი ფაქტორი, რომლითაც ხასიათდება საერთოდ უცხო მხარეში კომპაქტურად დასახლებული და ადგილობრივი – დამხვდური მოსახლეობის თანაცხოვრება, ეთნიკური შერევისა და ადაპტაციის ხანგრძლივი პროცესი, როცა ჩასახლებულები არ თმობდნენ საკუთარ, თანგადატანილ ძირძველ ტრადიციებს, მაგრამ, ამასთან გვერდს ვერ უვლიდნენ უცხო, ყოფითი ელემენტების შემოჭრასაც.

რეზა შაჰის რეფორმამდე ირანში ოფიციალურად დადგენილი გვარი, როგორც ჩვენში იყო და მამიდან შვილზე გადადიოდა, არ არსებობდა. ცალკეული მოხელეების ერთმანეთისაგან გასარჩევად იხმარებოდა მამის სახელი, პროფესია ან სამოხელეო ტიტული. აღსანიშნავია, რომ ქართველები ერთმანეთს ქართული გვარებით იხსენებენ, რაც წმინდა რელიკვიად შეინარჩუნეს გადასახლების დროიდან. ზემო მარტყოფში გვხვდება შემდეგი გვარები: იოსელიანი, გუგუნაანი, ვათიაანი, ონიანი, დაუთიანი, ასლანიაანი, ხუციაანი, კაზიაანი. დამახასიათებელია, რომ არ გვხვდება „ძეზე" და „შვილზე" დაბოლოებული გვარები, ისევე როგორც მეზობელ სომხებთან „იანცზე". როგორც ჩანს გვარების მიღების შემდეგ ხელისუფლების ზეწოლით ქართველები იძულებულნი გახდნენ გვარების დაბოლოება შეეცვალათ ირანულით. მაგალითად, სულთანი, ხაკამი, მახმუდი და ა. შ.

ფერეიდნელ ქართველთა სახელებიც ახლა თითქმის მთლიანად მაჰმადიანურია, იშვიათად შეხვდებით ქართულ სახელებს. აი, მათი რამდენიმე ნიმუშიც: იადოლა, ებრაჰიმ, თაჰარა, ასადოლა, ეინოლა, სეიფოლა, ჰუფასულა, ურუჯალა, როჯია, ჰალიმა, ზოჰრა, ხალნა, მესკინა, ქორსუმ, მასმან და ა. შ.

ცნობილია, რომ რელიგია ვერ ურიგდება სხვა სარწმუნოებასთან დაკავშირებულ უცხო სახელებს. დროთა განმავლობაში აქაც ამას თავისი როლი უთამაშია.

XX ს-ის 40-იან წლებში ფერეიდანში შემორჩენილი იყო 11 ქართული სოფელი, აქედან სამი სოფლის მცხოვრებლებს საერთოდ დავიწყებული ჰქონდა ქართული ენა. ახსოვდათ მხოლოდ, რომ მათი წინაპრები ქართველები იყვნენ. 1944 წელს ფერეიდანში ქართველების რაოდენობა 16 ათასი იყო.

1947 წელს თეირანში სეზონურ სამუშაოებზე იმყოფებოდა 100-მდე ფერეიდნელი ქართველი. ისინი ირანელთა მხრიდან ყოველთვის პატივისცემას იმსახურებენ. „გურჯის" სახელით ირანელებს წარმოდგენილი ჰყავდათ გარეგნობით ლამაზი, შრომისმოყვარე, მამაცი და პატიოსანი

ადამიანი. თუ ირანელი ვინმეზე იტყოდა, რომ ეს „გურჯია“, მაშინ დასახელებული პიროვნება ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისებების მატარებლად იგულისხმებოდა. თუ ბავშვი ლამაზი და მიმზიდველი იყო, ირანელები მასზე ამბობდნენ – „მესლე ბაჩე – გიურჯი მიმონედ“ – „როგორც ქართველი ბიჭი“. ლამაზ ქალზე დაქორწინებისას ირანელები აღნიშნავდნენ – „გიურჯი დოხტა“ ან „გიურჯი კიზ“, ე. ი. ქართველი ქალი.

ირანის ქარხნებში მომუშავე ქართველებში დიდი იყო ეროვნული სიამაყის გრძნობა. ისინი ჩვეულებრივ ქმნიდნენ ცალკე ბრიგადებს. ერთმანეთთან ლაპარაკობდნენ მხოლოდ ქართულად სპარსული აქცენტით ან ზოგიერთი სიტყვის გამოყენებით. ირანელებთან დაპირისპირების შემთხვევაში ქართველები ყოველმხრივ სოლიდარობას უცხადებდნენ ერთმანეთს, აიხნევებდნენ სიტყვებით: „აბა ბიჭი არ დავაჩაგვრინოთ თავი სპარსელსა!“ ან კიდევ „არ გავაკინოთ ბიჭო, სპარსელი გურჯზეგა!“.

ბოლოს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფერეიდნელმა ქართველებმა არა მარტო ქართული ენა და ეროვნული თვითშეგნება შეინარჩუნეს, არამედ საწარმოო და საოჯახო ყოფის მაღალი მამა-პაპური კულტურაც, რისი მეშვეობითაც გადაურჩნენ კიდეც გადაგვარებას და დარჩნენ ქართველებად.

ავტონომიური ფორმირებები

ჯერ კიდევ 1919 წლის 31 აგვისტოს შემდგარ მაჰმადიანთა ყრილობის დადგენილების თანახმად, 1919 წლის 19 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა სამუსლიმანო საქართველოს ავტონომია მიანიჭა.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუციის 107-ე მუხლით გამოაცხადა აფხაზეთის, სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის ოლქი) და ზაქათალის ოლქის ავტონომია, როგორც საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილისა.

ბოლშევიკებს რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს მხარდამჭერები რომ ჰყოლოდათ, ეროვნულ უმცირესობებს ავტონომიურ მმართველობას უბოძებდნენ ხოლმე. ამ საქმის დიდოსტატად მოგვევლინა ახალი ციციანოვი სერგო ორჯონიკიძე. „სწორედ სერგოს ხელმძღვანელობით გამოცხადებული იყო დაღესტნის, ოსეთის, ინგუშეთის, ჩეჩნეთის და ყაბარდოს ავტონომიები".

უკვე 1920 წლის 23 მარტს რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწვეტილება „სამხრეთ ოსეთში" საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისა და სამხრეთ ოსეთის რევკომის ორგანიზაციის შესახებ.

1920 წლის 6 მაისს ახლად შემქნილმა სამხრეთ ოსეთის რევკომმა დაადგინა: „...ვემორჩილებით რა კავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებას აუცილებლად მიგვაჩნია გამოვაცხადოთ საბჭოთა ხელისუფლება... რის შესახებაც ვაცნობოთ მოსკოვს და დემოკრატიულ საქართველოს". რევკომის გადაწვეტილება, როგორც ვხედავთ, წარმოადგენდა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უხეშ დარღვევას.

საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ, ავტონომიური ერთეულების შექმნისას გარკვეული როლი შეასრულა ლოზუნგმა – კომუნიზმის დროს სულ ერთია მაინც ნაიშლება საზღვრები ურთიერთშორისო. ანტიპატრიოტულად განწყობილ ქართველი ბოლშევიკების მიერ განხორციელებულ ამ უაღრესად მტკივნეულ აქტს სრული გულგრილობით შეხვდა „კომუნიზმისა" და „ინტერნაციონალიზმის" დემაგოგიური ლოზუნგებით მოტყუებული ერის ერთი ნაწილი.

საგულისხმოა, რომ კავბიუროს დადგენილებით საოლქო კომიტეტმა 1921 წლის 25 თებერვალს განმეორებით მიიღო დადგენილება ე. წ. „სამხრეთ ოსეთის რევკომის“ შექმნის შესახებ და განსაზღვრა მისი შემადგენლობაც. სხდომის ოქმში ამის თაობაზე ვკითხულობთ: „შეიქმნას სამხრეთ ოსეთის რელოვუციური კომიტეტი შემდეგი ამახანაგებისაგან: 1. ვლადიმერ სანაკოევი, 2. რაჟდენ კოზაევი, 3. ალექსანდრე ჯატიევი, 4. სერგეი გაგლოევი, 5. ყაზბეგ ბუტაევი, 6. არონ პლიევი, 7. ნიკოლოზ გადიევი“. როგორც ვხედავთ, რევკომი მხოლოდ ოსი ეროვნების წარმომადგენლებისაგან დააკომპლექტეს. სამხრეთ ოსეთის რევკომმა მაშინვე დააყენა სამხრეთ ოსეთისადმი ავტონომიის მინიჭების საკითხი, რაც ერთობ ძნელი გადასაწყვეტი გამოდგა. ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. ჯერ ერთი, გასარკვევი იყო რა ტერიტორიაზე და რა სახის ავტონომია უნდა მიენიჭებინათ სამხრეთ ოსეთისათვის. მეორე, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რევოლუციურ კომიტეტს, რომელთაც ვერაფრით ვერ დაეწამებთ ინტერნაციონალიზმის ნაკლებობას, გაუჭირდათ სამხრეთ ოსეთის რელოლუციური კომიტეტისა და პარტიული კომიტეტის მიერ წამოყენებული უსაფუძვლო მოთხოვნების დაკმაყოფილება (როგორც ზევით დავინახეთ, სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტი, ზუსტად ამ სახელწოდებით, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე შეიქმნა, თუმცა მაშინ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეული თავისი სტატუსითა და ტერიტორიით რეალურად არ არსებობდა).

საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი ფორმირების შექმნის მოთხოვნა წმინდა წყლის ავანტიურა იყო – ყოველგვარ საფუძველს მოკლებული. ასეთი პრეტენზიები ოსებს მხოლოდ თავინთ ისტორიულ სამშობლოში – ჩრდილო კავკასიაში მდებარე ნამდვილ ოსეთში შეიძლება ჰქონოდათ. იქ, ჩრდილო კავკასიაში კი იმ დროს ოსეთის არც ავტონომიური რესპუბლიკა არსებობდა და არც ცალკე ოლქი.

1921 წლის ბოლოს, როგროც კი ცნობილი გახდა, რომ შიდა ქართლის ტერიტორიას ოსებისათვის ავტონომიურ ერთეულად გამოცხადებას უპირებდნენ, ქართველობა აღსდგა ამ გაუგონარი უსამართლობის წინააღმდეგ. ეს იყო კიდევ ერთი საშინელი დარტყმა ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოსპობის გზაზე. ძირძველ ქართულ მინაზე „ქართველი მთავრობა“ სახელმწიფოებრიობას უქმნიდა სხვა ერს.

ცხინვალის რაიონის თითქმის ყველა ქართულ სოფელში ჩატარდა კრებები, სადაც ერთსულოვნად დაგმეს ეს აქტი. საპროტესტო აქციით

გამოვიდნენ სოფლების: დიცის, ერგნეთის, დვანის, ავნევის, ნულის, ქორდის; მელურეკისის, ერედვის, თამარაშენის, ტირძნისის, ბრონლეთის, სვერის, ქემერტის, მონასტრის, ზემო ნიქოზის, ქვემო ხვითის და სხვა მრავალი სოფლის მცხოვრებნი.

1921 წლის 26 დეკემბერს სოფელ ქორდის მოსახლეობა თავიანთ მოთხოვნილებაზე უარის შემთხვევაში მზად იყო უკიდურესი ზომისათვის მიემართა: „... სსრ მთვრობამ მაშინ მოგვცეს ბინა და გადაგვასახლოს შორს სადმე, რომ ჩვენს თვალსა და ყურს ვერ მოსწვდებოდეს ჩვენი ადგილების კვნესა და არ ატირებდნენ ჩვენ ძველად განთქმულ გულგმირულ ჩვევებს".

როგორ უნდა გამწარდეს ქართველი, რომ თავისი მამაპური კერიდან აიყაროს და სხვაგან გადასახლდეს.

1922 წლის იანვარში საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა მიიღო ქ. ცხინვალში მცხოვრებ ქართველთა, სომეხთა და ებრაელთა საერთო კრების დადგენილება, „რომლითაც ისინი მოითხოვდნენ ცხინვალისა და მისი რაიონის კლავ ისტორიულ საზღვრებში დარჩენას".

ქართველი და ოსური მოსახლეობის ურთიერთობა თანდათან იძაბებოდა, რასაც, შესაძლოა, შეიარაღებული შეტაკება მოყოლოდა. ვერც ერთი მხარის ბოლომდე განიარაღება ვერ მოხერხდა.'

„სამხრეთ ოსეთის" პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა, ცხადია, ყველა ღონეს ხმარობდა, რომ რესპუბლიკის ცენტრალურ ორგანოებს რაც შეიძლება მალე გამოეცათ დეკრეტი „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ. 1922 წლის 19 აპრილს ამ საკითხზე სპეციალურად იმსჯელა „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური აღმასრულებელი კომიტეტის (ასეთი ორგანოც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იურიდიულ გაფორმებამდე არსებობდა) და საოლქო პარტიული კომიტეტის გაერთიანებულმა სხდომამ, რომელმაც დაადგინა, რომ დეპეშა გაეგზავნა საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისათვის და ეთხოვათ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იურიდიული გაფორმების დაჩქარება.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 20 აპრილის დადგენილებით, რომელსაც ხელს აწერდნენ ფ. მახარაძე და ს. ქავთარაძე შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, როგორც საქართველოს სსრ შემადგენელი ნაწილი. ოლქის ცენტრად დადგენილ იქნა ცხინვალი. ოლქის ფარგლებში მოაქციეს არა მარტო იმ დროს ოსებით დასახლებული ჯავის, ზნაურისა და ზოგიერთი სხვა ხეობები, არამედ, ქართველი მოსახ-

ლების წინააღმდეგობის მიუხედავად, გორის, დუშეთისა და რაჭის მაზრების მთელი რიგი ქართული სოფლები. ამგვარად, ოლქი შეიქმნა ისე, რომ არავითარი ანგარიში არ გაუწიეს ქართველებს, არც აქ მცხოვრებ სხვა ხალხებს. არ გაითვალისწინეს ამ მხარის წარსული, მისი მკვიდრი მოსახლეობის ინტერესები და თვითნებურად გადაწვიტეს ეს საკითხი.

ქართველ კომუნისტთა იმდროინდელი წარმოდგენით ეს იყო ეროვნული საკითხის გადაჭრა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე. ძვირად, ერთობ ძვირად დაუჯდა ქართველ ხალხს ეროვნული პრობლემისადმი ასეთი მიდგომა. ცხადია, საკითხი შეთანხმებული იყო (თუ მეტი არა!) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროსთან.

პარტიული პოზიცია კარგად ჩანს, ე. წ. „სამხრეთ-ოსეთის" რევკომის 1921 წლის 6-8 სექტემბრის დადგენილებაში, სადაც ავტონომიური ოლქის შექმნის მიზანშეწონილობის საკითხი იხილებოდა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „Образование такой политической единицы, при данных объективных условиях, создает благопрятную почву для приобщения труждящихся Юго-Осетии к Советской власти"

საგულისხმოა, რომ როცა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს ხელოვნურად ქმნიდნენ და მასში ქართულ სოფლებსაც ძალით აერთიანებდნენ მაშინ, როგორც ითქვა, კავკასიონის იქეთა ოსეთს, რომელიც ოსთა ნამდვილი თავდაპირველი სამშობლო, არავითარი ავტონომია არ გააჩნდა. ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქი მხოლოდ 1924 წელს წარმოიქმნა რუსეთის სფს რესპუბლიკაში. 1936 წელს ავტონომიურ ოლქს ავტონომიური რესუბლიკის სტატუსი მიეცა. მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდა, გარკვეული ძალები სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილო ოსეთის გაერთიანებას ცდილობდნენ. ჯერ კიდევ დემოკრატიული საქართველოს პერიოდში სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენლებმა, მიმართეს გერმანიის რწნუნებულს გრაფ შულენბურგს, რომ შუამდგომლობა გაეწია საქართველოს რესუბლიკის მთავრობასთან ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის შეერთებაზე საქართველოსთან ფედერაციულ პრინციპებზე. ეს საკითხი 1925 წლის ივნარში წამოიჭრა ჩრდილო ოსეთის საბჭოების პირველ ყრილობაზეც. ოსები საქართველოს ტერიტორიაზე მოითხოვდნენ გაერთიენებას. აშკარაა, რომ ძნელი იყო მათი ნამდვილი გულის ნადილის ამოცნობა. ვინ იცის იქნება გეგმა მომავალში ქართული მინა-წყლის დაპყრობის შუალედურ ეტაპადაც კი ჰქონდათ წარმოდგენილი. ყოველ შემთხვევაში არ იყო გამორიცხული, რომ საქაველოსათვის ეს ერთი შეხედვით უვნებელი (თითქმის სასარგებლოც კი) წამოწყება ძვირი დაუჯდებოდა ქართველ ხალხს მომავალ-

ში, იმ ქარტეხილების დროს, საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელთა შეცვლას რომ მოჰყვებოდა ხოლმე უმთავრესად.

1925 წლის 15 ივლისს, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკ-ის) სესიის მუშაობის შუა პერიოდში, ფ. მახარაძემ მის მონაწილეებს წარუდგინა ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის თავმჯდომარე ა. ტაკოევი და დასძინა, რომ სტუმარი მათ მოახსნებდა ერთი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ.

ა. ტაკოევმაც სესიის მონაწილეს აუწყა, რომ იგი წარმოდგენილია ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკის მიერ ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქების გაერთიანების საკითხის გამო. მან თავის მოკლე სიტყვებში აღნიშნა, რომ ეს იყო მეტად „საღი და მშვენიერი საქმე", რომ მისადმი მხარდაჭერა იქნებოდა „მაჩვენებელი ჩვენი მტკიცნეული ნაციონალური საკითხის სწორი და საღი გადაწყვეტისა". კამათი არ გამართულა. სესიამ მიიღო რეზოლუცია სამხრეთ და ჩრდილო ოსეთის გაერთიანების შესახებ. ასე ჰაიჰარად, სასწრაფოდ, ექსპრომტად გადაწყვიტეს ეს უმნიშნელოვანესი საკითხი.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ პრობლემა, რომელიც სესიაზე ასე ჯიქურ დაისვა, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. ამას თვით ფ. მახარაძეც ხაზგასმით აღნიშნავდა. მაგრამ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ განსახილველი საკითხი არ იყო შეტანილი დღის წესრიგში, რომელიც სესიამ მიიღო („დღიური წესრიგი" სესიამ თავის პირველსავე სხდომაზე – 14 ივლისს დამტკიცა). წარმოუდგენელია, რომ ასეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე პრობლემა სესიაზე გასნახილველად ექსპრომტად, მოუმზადებლად და მოულოდნელად გაეტანათ. მაშ, რა მოხდა? შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს შემთხვევით კი არა, შეგნებულად გაკეთდა, რათა თავიდან აეცილებინათ წინასწარი ვნებათაღელვა და უზრუნველეყოთ სასურველი გადაწყვეტილების უმტკივნეულოდ მიღება.

ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების საკითხი საგულდაგულოდ მზადდებოდა. იგი შესაბამის პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში განიხილებოდა.

საქმეში ჩერივნენ უმაღლესი ორგანოები და პარტიული ხელმძღვანელები. სტალინმა შემოსული საწინააღმდეგო მასალების გამო საჭიროდ ჩათვალა მოთათბირებოდა ორჯონიკიძეს და პარტიის ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო კომიტეტის მაშინდელ მდივანს. ჩვენ არ ვიცით ამ შეხვედრის შინაარსი, მაგრამ ფაქტია, რომ ეს გეგმა არ განხორციელდა. თუმცა იდეა გაერთიენებისა (უფრო სწორად – ქართული მინა-ნყლის მიტაცებისა), არ ჩამკვდარა.

ჭეშმარიტებაა, რომ არ არსებობდა სამხრეთ ოსეთის ერი. ოსი – ოსია, კავკასიის სამხრეთ კალთებზე იცხოვრებს იგი თუ ჩრდილოეთის. როგორც დავინახეთ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა საქართველოს იძულებითი გასაბჭოების შემდეგ, რომელიც საბჭოთა რუსეთმა ორჯონიკიძის მეშვეობით მისცა სამაჩაბლოში მცხოვრებ ოსებს, როგორც „საფასური" ოთხი ოკუპაციისათვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. საბჭოთა საქართველოს მთავრობამ იმთავითვე პრივილიგიურ მდგომარეობაში ჩააყენა ოლქის პარტიული და საბჭოთა ხელისუფლების, ორგანოები: პრაქტიკულად ოლქს ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სტრუქტურა ჰქონდა, რაც ძვირად დაუჯდა მშრომელ ხალხს, ოლქის და რესპუბლიკის ბიუჯეტს.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის არსებობის მთელ მანძილზე აქ ყოველთვის ირღვეოდა ყველა ეროვნების ადამიანის უფლებები. მათ შორის განსაკუთრებით ქართველთა, რაც მუდმივი დაძაბულობის წყაროს წარმოადგენდა და საბოლოოდ მხოლოდ ოსურ პარტოკრატიას აძლევდა ხელს. ბოლშევიკების მოგონილი ხელოვნური წარმონაქმნის – სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის არსებობა არღვევდა საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ყველაზე ძირითად პრინციპს – დისკრიმინაციის გამორიცხვას.

ამრიგად, საქართველოს ნაწილის „ოსეთად" მონათვლას (მაშინ როდესაც ნამდვილი ოსეთი საქართველოს გარეთ, ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობს) არც ისტორიული, არც სამართლებრივი, არცა მორალური საფუძვლები არ გააჩნდა და მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა – შეექმნა საქართველოს ტერიტორიაზე პოლიტიკური პლაცდარმი რუსეთის კომპარტიისათვის, რომელიც მანამდე ოსებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ იყენებდა შიდა ქართლში.

ცნობილი ოსი მეცნიერი ვასილ აბაევი ე. ნ. „სამხრეთ ოსეთის" საკითხს ადარებს ბასკების პრობლემას. მეცნიერის აზრით, „საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთში არსებობს ბასკების ეროვნული ოლქი, იქაური ბასკები სარგებლობენ კულტურული ავტონომიით, შენარჩუნებული აქვთ თავიანთი ენა, აქვთ თავიანთი სკოლები, ცოცხალი კავშირები აქვთ თვიანთ თანამოძმეებთან პირინეის ნახევარკუნძულზე. მაგრამ მათ რომ მოესურვებინათ თავიანთი ტერიტორიის ესპანეთთან შეერთება, საფრანგეთი ამაზე არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებოდა. იგივე ვითარებაა სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის საზღვარზე".

აბაევის დემაგოგიური შედარება, ბუნებრივია, შორს სცილდება ჭეშმარიტებას. ისტორიული კატაკლიზმების შედეგად XVI საუკუნეში ბასკების განსახლების ჩრდილოეთი რაიონები საფრანგეთის შემადგენლობაში

შევიდა. სამხრეთი რაიონები კი XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე – ერთიანი ესპანეთის სახელმწიფოს გაერთიანებაში. ამდენად, არსებული ვითარების გამო ბასკეთი ორად გაიხლიჩა და თითოეული მათგანი სხვადასხვა სახელმწიფოს ტერიტორიის საზღვრებში აღმოჩნდა.

სულ სხვა ვითარება გვაქვს ოსებთან დაკავშირებით. გვიანი ფეოდალიზმის პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით შიდა ქართლში მაჩაბლების სათავადოში კარგად ცნობილი მიზეზების გამო ინტენსიურად ხდებოდა ოსების ჩამოსახლება. ქართულ მინაზე კომპაქტურად დასახლებული ოსები, რომ განესხვავებინათ ჩრდილოეთით მდებარე მათი ისტორიული სამშობლოს მოსახლეობისაგან, ჩნდება ტერმინი „სამხრეთ ოსეთი", მოგვიანებით ამ ტერმინმა ი. გოგებაშვილის „ბუნების კარშიც" ჰპოვა ასახვა.

იმდენად ხელოვნურად დამკვიდრდა ცნებები „ჩრდილო" და „სამხრეთ ოსეთი", რომ ფაქტიურად არავინ ამბობს და იქნებ „აღარც ფიქრობს", რომ ოსეთს შეიძლება ჰქონდეს დასავლეთი და აღმოსავლეთი მხარეებიც!?

ამდენად, აზრს „სამხრეთ ოსეთის საქართველოსაგან გამოყოფაზე – აღნიშნავს ვ. აბაევი – საქართველოს არც ერთი მთავრობა არ დაეთანხმება. იმიტომ რომ ეს იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა". აქვე გვინდა დავუმატოთ, რომ ეს იქნება არა მარტო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, არამედ საქართველოს ისტორიული ტერიტორიის დაპყრობა, რასაც არა თუ მთავრობა, არასდროს არც ერთი ქართველი არ დათმობს.

ოსები საქართველოს მკვიდრი მოსახლეობა არ არის. ისინი ჩამოსახლებული ხალხია, რა დროიდან, ამას მნიშვნელობა არა აქვს, მიუხედავად იმისა, დიდი ხნის ნინათ ჩამოსახლდნენ ისინი, თუ ცოტასი. მაგრამ ჰქონდათ ოსებს ავტონომიური ოლქის სტატუსის უფლება? აქ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს – არა.

ყველა დროში და ყველა ქვეყანაში, წინათაც და ახლაც, ავტონომია ეძლევა იმ ხალხს, რომელიც მოცემული ტერიტორიის მკვიდრი მოსახლეობაა, მაგრამ, ისტორიული პერიპეტიების შედეგად, სხვა უფრო მრავალრიცხოვანი სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა. როცა ესპანეთის ერთიანი სახელწიფო ყალიბდებოდა და, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ბასკეთი მის შემადგენლობაში მოყვა. რაკი ბასკები ბასკეთის მოცემული ტერიტორიის მკვიდრი მოსახლეობაა, მათ სრული უფლება აქვთ ავტონომისა. მაგრამ ესპანეთში მოსახლე ებრაელობას, მისი არამკვიდრობის გამო, ავტონომიის უფლება არა აქვს. თუმცა ებრაელებმა

ესპანათის ისტორიულ-კულტურულ ცხოვრებაში, უდიდესი როლი შეასრულეს.

რაკი ოსები შიდა ქართლის მკვიდრი მოსახლეობა არ არის, მათთვის ამ ტერიტორიაზე ავტონომიური ოლქის სტატუსის მინიჭება ქართველი ხალხის სუვერენული უფლების სრული დარღვევა იყო. ოსებისათვის ავტონომიის მინიჭება იურიდიულად ნარმოადგენს საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის დაკანონებას. სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს ისეთივე ოკუპაციაა, როგორც რუსეთის მიერ აღმოსავლეთ პრუსიის დაპყრობა.

მაშ რისი უფლება ჰქონდათ და აქვთ ოსებს საქართველოს ტერიტორიაზე? მათ აქვთ კულტურული ავტონომიის უფლება. მათ აქვთ უფლება დაიცვან ოსური ენა, ოსური მწიგნობრობა, ოსური სკოლა, ოსური ზნე-ჩვეულებანი, ოსური ხალხური სიმღერა-ცეკვა და ა. შ. ამ უფლების ხელშეუხებლობის გარანტიას მათ საქართველოს კონსტიტიცია უნდა აძლევდეს.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დროებითი მთავრობის მიერ შექმნილმა „ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა" ადგილებზე შექმნა საგუბერნიო, სამხარეო და საქალაქო კომიტეტები. აფხაზეთის სამხარეო კომიტეტის კომისრად დაინიშნა თავადი ა. შერვაშიძე, ხოლო სამხარეო მილიციის ხელმძღვანელობა დაეკისრა თავად ტ. მარშანიას. აფხაზეთის თავადების რეაქციულმა ჯგუფმა და მათთან დაახლოებულმა წრეებმა დაიწყეს აშკარა ბრძოლა თავისი პოლიტიკური პრივილეგიების შესანარჩუნებლად. მათ ორიენტაცია აიღეს მთიელთა გაერთიანებულ კავშირზე, რომელიც შეიქმნა 1917 წლის მაისში.

იმავე წლის 8 ოქტომბერს სოხუმში მონვეულ ყრილობაზე შეიქმნა აფხაზეთის სახალხო საბჭო, რომლის შემადგენლობა და მოქმედების ამოცანები 1918-1921 წლებში რამდენჯერმე შეიცვალა. მის მიერ მიღებულ იქნა „აფხაზი ხალხის ყრილობის დეკლარაცია", რაშიც დაისახა შემდგომი მუშაობის გაგრძელება „აფხაზი ხალხის თვითგამორკვევის შესახებ" ასევე მიიჩნიეს საჭიროდ „აფხაზეთის სახალხო საბჭოს კონსტიტუციის" შექმნა.

1918 წლის 9 თებერვალს თბილისში მიღწეულ იქნა შეთანხმება აფხაზეთის სახალხო საბჭოს წარმომადგენლებსა და საქართველოს ეროვნულ საბჭოს შორის საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიური უფლებით შესვლის შესახებ. შეთანხმების საფუძველზე საქართველოს ხელისუფლებას უნდა ეზრუნა „აფხაზეთის ისტორიული საზღვრების აღდგენაზე".

როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფით აფხაზეთის სოხუმის ოლქი შედიოდა ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში; გაგრა და მისი შემოგარენი კი ექვემდებარებოდა შავიზღვისპირეთის გუბერნიის სოჩის ოლქს.

ამ დროისათვის აფხაზეთის ტერიტორიაზე ბოლშევიკებმა გააქტიურეს საქმიანობა. პირველი ცდა, დაემყარებინათ აქ ბოლშევიკური დიქტატურა განხორციელდა 1918 წლის 16-21 თებერვალს. სოხუმში შექმნეს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი ეფრემ ეშბას თავმჯდომარეობით. დამკვიდრდა შავიზღვისპირეთის ფლოტის (კრეისერ „დაკიას", ნაღმოსანი „შეუპოვარის") ბოლშევიკ-მატროსთა განუკითხავი ბატონობა.

მასობრივ გამოსვლებს ბოლშევიკი უზურპატორების წინააღმდეგ სათავეში ჩაუდგა აფხაზეთის სახალო საბჭო. 21 თებერვალს დროებითი რევოლუციური კომიტეტი ლიკვიდირებულ იქნა.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორე ცდა განხორციელდა იმავე წლის 8 აპრილიდან 17 მაისამდე. აღნიშნულ პერიოდში ბოლშევიკებმა თავისი ხელისუფლება გაავრცელეს ყოფილ სოხუმის ოქლის მთელ ტერიტორიაზე, კოდორის (ოჩამჩირის) ნაწილის გარდა.

17 მაისს გათავისუფლებულ იქნა ბოლშევიკებისაგან სოხუმი და სოხუმის ოლქი 22 აპრილს შექმნილი ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ჯარების მიერ ვალიკო ჯუღელის სარდლობით. მოგვიანებით, საბჭოთა ხელისუფლებისგან განთავისუფლებული აფხაზეთი შევიდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში.

1918 წლის 8 ივნისს საქართველოს დემოკრატიულ მთავრობასა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს შორის დაიდო ხელშეკრულება აფხაზეთისათვის ფართო საშინაო ავტონომიის მინიჭების და სამხედრო დახმარების შესახებ. ხელშეკრულების საფუძველზე 17-22 ივნისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ აფხაზეთის ტერიტორიაზე მოახდინა ქართული არმიის ნაწილების გადაადგილება გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით, რომლებიც განლაგდნენ ზღვის სანაპიროზე ტუაპსედან სოჩამდე. როგორც ვხედავთ, ქართული არმიის ნაწილების დისლოკაციის შეცვლა ორივე მხარის თანხმობით მოხდა. მიუხედავად ამისა სახალხო საბჭომ პროვოკაციული განგაში ატეხა და 12-13 სექტემბერს მიმართა ყუბანის კაზაკთა ფორმირებების მეთაურს გენერალ მ.ს. ალექსეევს თხოვნით „გაენთავისუფლებინა აფხაზეთი საქართველოს სამხედრო ჩარევისაგან".

საქართველოს მთავრობამ დაშალა აფხაზეთის სახალხო საბჭო

სახელმწიფო გაგადატრიელების ცდისათვის, რაც მიზნად ისახავდა საქართველოსაგან აფხაზეთის ჩამოშორებას. დააპატიმრა შეთქმულები, რომლებმაც კავშირი დაამყარეს გარეშე ძალებთან. სოხუმის ოლქის კომისრად დაინიშნა ჩ. ჩხიკვიშვილი. დაიწყო მომზადება აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნებისათვის.

ამავე დროს რუსეთის წითელი თუ თეთრი ძალები საქართველოს ოკუპაციაზე ფიქრობდნენ. კერძოდ, 1919 წლის იანვარში თეთრგვარდიელი გენერალი ი. ა. დენიკინი შეტევას იწყებს სოხუმზე. დენიკინის შეხედულებით, აფხაზეთი წარმოდგენდა „ერთიანი რუსეთის განუყოფელ ნაწილს". საქართველოს ჯარებმა მოიგერიეს დენიკინის აგრესია.

1919 წლის 18-22 მარტს მიმდინარეობდა ახლად არჩეული აფხაზეთის სახალხო საბჭოს სესია, სადაც პირველსავე სხდომაზე მიღებულ დადგენილებაში აღინიშნა, რომ აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში როგორც მისი ავტონომიური ნაწილი. 1921 წლის 21 თებერვალს მიღებულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში დადასტურდა აფხაზეთის ავტონომიის არსებობა საქართველოს შემადგენლობაში.

როგორც ცნობილია, ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა აფხაზეთში 1921 წლის 4 მარტს. 6 მარტს შეიქმნა აფხაზეთის რევკომი ე. ეშბას (თავმჯდომარე), ნ. ლაკობას და ი. აკირტავას შემადგენლობით. ფუნქციონირება დაიწყო აგრეთვე რკპ(ბ) აფხაზეთის საორგანიზაციო ბიურომ. ამავე დროს ბოლშევიკებს თავისი გეგმები ჰქონდათ საქართველოს მომავალი მოწყობის შესახებ. უკვე 1921 წლის 27 მარტს ეფრემ ეშბა აფხაზეთის რევკომის სახელით მოითხოვდა აფხაზეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებას ან აფხაზეთის შესვლას რსფსრ შემადგენლობაში.

„სოხუმის ოლქის მოსახლეობის 80%-ს შეადგენდნენ აფხაზები – აღნიშნავდა ე. ეშბა, – რომელთაც არ სურთ შედიოდნენ საქართველოს შემადგენლობაში". ეს იყო აფხაზეთის კომუნისტების პოზიცია, რომ აფხაზეთი ჩამოეშორებინათ საქართველოსაგან. ჯერ ერთი, აფსუა კომუნისტებს სოხუმის ოლქის აფხაზ მოსახლეობაში რეფერენდუმი არ მოუწევიათ, მეორეც, სოხუმის ოლქში არ შეიძლებოდა ყოფილიყო 80% აფხაზი, რადგანაც მაშინ აფხაზები ოლქის ტერიტორიაზე 36 ათასს შეადგენდნენ. ამდენად, აფხაზები ქართველებთან შედარებით უმცირესობა იყვნენ.

როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მოსკოვში ეშბამ და ორჯონიკიძემ მოილაპარაკეს, რომ აფხაზეთი შეიდოდა საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის უფლებით,

ხოლო მოგვიანებით, როცა საქართველო კომუნისტების ხელში აღმოჩნდა, ეშბამ და აფსუა კომუნისტებმა შეიცვალეს პოზიცია.

აფსუა ხელისუფლების აზრით, თუ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ დააფიქსირა აფხაზეთის ავტონომია, მაშინ საბჭოთა ხელისუფლებას „საგანგებოს" – რევკომის სახით მეტი უნდა მიეცა მათთვის, ე. ი. გამოეცხადებინა აფხაზეთის დამოუკიდებლობა და ამით ეჩვენებინა ეროვნული საკითხისადმი თავისი შედარებით „პროგრესული" დამოკიდებულება.

მაშინ არავის მოსვლია აზრად, რომ არღვევდა (ფეხქვეშ თელავდა) საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

28-31 მარტს რკპ(ბ) ცკ კავბიუროს ხელმძღვანელობით და ს. ორჯონიკიძის ინიციატივით „ბათუმის თათბირმა" განიხილა აფხაზეთში „საბჭოთა ხელისუფლების სტრუქტურის" საკითხი, სადაც მოამზადა ნიადაგი აფხაზეთის სსრ გამოცხადების შესახებ. 1921 წლის 31 მარტს კი ოფიციალურად გამოაცხადეს აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

აფხაზეთის საქართველოსაგან მოწყვეტასა და ცალკე რესპუბლიკად გამოცხადებას, სადაც აღნიშნული პერიოდისათვსი 70%-ზე მეტი ქართველი ცხოვრობდა, უარყოფითად შეხვდა ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი. გამოითქვა მრავალი დასაბუთბული მოსაზრება მაგრამ...

ასეთ აქტს მომავალში რა შედეგიც მოჰყვებოდა კარგად იგძრნო ზოგიერთმა ქართველმა და აფსუა ბოლშევიკმაც. მათი მეცადინეობის შედეგს წარმოადგენდა 1921 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე რკპ(ბ) ცკ პოლიტიკაში გარკვეული ცვლილებები, რომელმაც აიღო ორიენტაცია აფხაზეთის „ავტონომიზაციაზე" საქართველოს სსრ შემადგენლობაში.

1921 წლის 16 დეკემბერს საბჭოთა საქართველომ და საბჭოთა აფხაზეთმა ხელი მოაწერეს „განსაკუთრებულ სამოკავშირეო ხელშეკრულებას", რის საფუძველზეც ფაქტიურად გაერთიანდა მათი ტერიტორია. 1922 წლის თებერვალში აფხაზეთის საბჭოების პირველმა ყრილობამ დამტკიცა აფხაზეთისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი გაერთიანება. ამავე დროს მიღებულ საქართველოს სსრ კონსტიტუციაშიც აღინიშნა, რომ აფხაზეთი „უკავშირდება საქართველოის სოციალისტურ საბჭოთა რესუბლიკას – ამ რესპუბლიკათა შორის დადებულ, განსაკუთრებულ საკავშირო ხელშეკრულების საფუძველზე".

საგულისხმოა, რომ 1922 წლის მარტში შექმნილ ამიერკავკასიის ფედერაციაში აფხაზეთი შევიდა, როგორც საქართველოს შემადგენელი ნაწილი.

აფხაზეთის ასეთი სტატუსი რომ არ შეეფერებოდა არც ისტორიულ და არც რეალურ ვითარებას კარგად გრძნობდნენ საბჭოთა სახელმწიფოს მესვეურებიც. ადრე დაშვებული შეცდომის ნაწილობრივ გამოსწორებას ისახავდა მიზნად ცაკ-ის 1930 წლის აპრილის III სესია, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გარდაექმნათ „ხელშეკრულებითი" აფხაზეთის სსრ აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად საქართველოს შემადგენლობაში.

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე 1931 წლის 11 თებერვალს საქართველოს სსრ და აფხაზეთის სსრ საბჭოების VI ყრილობის გადაწვეტილებით აფხაზეთი შევიდა საქართველოს სსრ შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის უფლებით.

საქართველოს სასაზღვრო-ტერიტორიული ცვლილებების საკითხი მოსკოვმა თავიდანვე საკუთარ პრეროგატივად აქცია. მაგალითად, ზაქათალის ოლქის საქართველოსაგან მოწყვეტისა და აზერბაიჯანისთვის გადაცემის წინაპირობებს საბჭოთა რუსეთი ადრევე შეუდგა. ჯერ კიდევ 1920 წლის 7ივნისის სხდომაზე რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა და დაამტკიცა ჩიჩერინის წარმოდგენილი ინსტრუქცია, რომელიც პირველ რიგში გათვალისწინებული იყო სერგო ორჯონიკიძისათვის. აღნიშნულ ინსტრუქციაში ზაქათალის ოლქის შესახებ აღინიშნა, რომ „იგი საქართველოში კი არ უნდა შევიდეს, არამედ მიჩნეულ იქნეს სადავო ადგილად. მისი კუთვნილების საკითხი უნდა გადაწვიტოს შერეულმა კომისიამ რუსეთის სფსრ მიერ დანიშნულ წარმომადგენლობასთან ერთად". ასე დაიწყო საბჭოთა რუსეთმა დაპყრობამდე საქართველოს დანაწილება.

როგორც შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, 1919 წლის აგვისტოში ბათუმის ოლქის წარმომადგენელთა ყრილობამ დაადგინა საქართველოსთან შეერთება ავტონომიურ საფუძველზე და გამოჰყო ამ ავტონომიური ერთეულის მმართველი ორგანო, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მემედ იბრაჰიმის ძე აბაშიძე.

ბუნებრივია, თურქეთთან უკიდურესად დაძაბული ურთიერთობის გამო ჟორდანიას მთავრობა თანახმა იყო აჭარის ავტონომიური მმართველობისა საქართველოს შემადგენლობაში, თუმცა ძნელად ეგუებოდა აჭარის თვითმმართველობას და ცდილობდა მისი უფლებების შევიწროებას, რის გამოც კონფლიქტური სიტუაცია შეიქმნა რესპუბლიკის მთავრობასა და ავტონომიური მმართველობის ხელმძღვანელთა შორის.

აჭარის ავტონომიის იდეა შეიძლებოდა ჩასახულიყო და ჩაისახა კიდეც ქართველი ხალხის, პირველ რიგში აჭარის მკვიდრი მოსახლეობის არაკეთილმოსურნეთა თეორიულ სამზარეულოში. ამიტომაც მან გასავალი

ნახა ადგილობრივი ფეოდალური სასულიერო ფენების მხოლოდ ელიტურ ნაწილში. ფართო მასებს, მშრომელ მოსახლეობას და პატრიოტულად განწყობილ ინტელიგენციას ავტონომიის იდეა, არც გაუთავსიებია და, სამწუხაროდ, არც გადაჭრით უარუყვია ის, რაც იმ დროს ეროვნული ცნობიერების უმწიფარობაზე მიგვანიშნებს.

საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის დაახლოება ამ ორ ქვეყანას შორის ძმობისა და მეგობრობის ხელშეკრულებით დაგვირგვინდა. იგი 1921 წლის 16 მარტს გაფორმდა მოსკოვში. ეს ის დროა როცა საქართველოს გასაბჭოების პროცესი მთავრდებოდა. ამ ხელშეკრულებით საბჭოთა მთავრობამ ოფიციალურად ცნო თურქეთის დამოუკიდებლობა. უარი თქვა ამ ქვეყნის მიმართ მეფის რუსეთის ყველა განსაკუთრებულ პრივილეგიაზე და დაუტოვა მას ვრცელი ტერიტორია, რომელიც ადრე რუსეთის იმპერიაში შედიოდა.

რუსეთ-თურქეთის აღნიშნული გარიგებით აჭარა საქართველოს შემადგენელ ნაწილად ცნეს. ამასთან რუსეთმა საქართველოს ხარჯზე დიდი ხელგაშლილობა გამოიჩინა და ტეროტირიულ დათმობებთან ერთად, მეორე მხარეს „მტკიცედ" აღუთქვა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ავტონომიას მისცემოდა, რაც კრემლის დიდმპყრობელური გეგმებითაც იყო გათვალისწინებული. ეს იყო პოლიტიკური ცინიზმის შედეგი: ერთი მხრივ, გეგმავენ თურქეთის საზღვრებში მცხოვრები, მილიონობით ქართველის დაჩქარებულ ასიმილაციას, არაფერს ამბობენ მათ პოლიტიკურ უფლებებზე, ხოლო, მეორე მხრივ, ვითომ იცავენ აჭარელთა ინტერესებს. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ქემალისტების ამგვარი პოზიცია ბოლშევიკების შორს გამიზნულ გეგმებს ემთხვეოდა. იგი ფაქტობრივად ცარიზმის რუსეთისა და სულთნის ოსმალეთის ტრადიციული პოლიტიკის ახალი, კოორდინირებული, საბჭოურ-ქემალისტური გაგრძელება იყო. სავარაუდოა, რომ ავტონომიის საკითხი ხელშეკრულებაში საბჭოთა დელეგაციის ინიციატივით შეიტანეს.

1921 წლის 16 ივლისს საქართველოს რევკომის დეკრეტით აჭარა ავტონომიურ საჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა.

ოფიციალურად მიჩნეულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა შეიქმნა ამ კუთხის სამეურნეო, სოციალური და კულტურული ჩამორჩენილობის დასაძლევად, მაგრამ ფაქტობრივად კრემლი მას იმისთვის ქმნიდა, რომ აჭარის მკვდრი მოსახლეობა დანარჩენი საქართველოსათვის დაეპირისპირებინა, რაც მომავლში გაადვილებდა ქართველთა, მათ შორის მაჰმადიან ქართველთა გარუსების საქმეს, ერთიანი „საბჭოთა ხალხის" ფორმირებას.

აჭარაში დაამკვიდრეს ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ხერხებით განხორციელებული ისეთი შეფარული, შეურაცხმყოფელი ღონისძიებები, როგორიც იყო ქალაქ ბათუმში მკვიდრი მოსახლეობის მიღება-ჩანერის მკაცრად შეზღუდვა. საამისოდ, თითქმის ყოველთვის, ან ყოველთვის ქალაქის საპასპორტო მაგიდის უფროსად ინიშნებოდა არა ადგილობრივი მკვიდრი (აჭარელი). ამავე დროს აჭარის წყლის ხეობა, საიდანაც ბარი ყოველთვის ილებდა მოსახლეობის ნამატს, „გადაიკეტა" სამი სასაზღვრო-საგარისო ხერგილით (მახუნცეთში, ქედასთან და გოდერძის უღელტეხილზე), რაც, ბუნებრივია საზღვრების დაცვას მხოლოდ გარეგნულად თუ ემსახურებოდა.

რისთვის იქნა გამოგონებული ავტონომიური ერთეულები და რას წარმოადგენდნენ ისინი ჩვენს სინამდვილეში?

ოქტომბრის გადატრიალებით მოპოვებული ხელისუფლების შენარჩუნება ბოლშევიკებმა ადრე გაცემული დაპირებების წყალობით მოახერხეს. მათი დაუყოვნებელი რეალიზაცია ახალი ხელისუფლების პრესტიჟისათვის იყო აუცილებელი და იმ მოსალოდნელ წინააღმდეგობათა თავიდან აცილებისათვისაც, რაც დაპირებათა შეუსრულებლობას უეჭველად მოჰყვებოდა. ამასთან ერთად, ადგილობრივ მართვა-გამგეობას ისეთი ფორმა უნდა ჰქონოდა, რომ ხელისუფლებისათვის ხალხის სრული მორჩილებით „სოციალიზმის მშენებლობისათვის" საჭირო ვითარებაც ყოფილიყო გარანტირებული. გამოყენებულ იქნა იმპერიის ისტორიაში კარგად ცნობილი „სამოურავო სისტემა". გარკვეული პირი, ამ შემთხვევაში მსხვილი პარტიული ფუნქციონერი, იბარებს ეროვნებასა თუ ერს ტერიტორიითურთ, კისრულობს პოლიტიკურ და სამეურნეო ვალდებულებებს, რომელთა შესასრულებლად აჰყავს ხელქვეითთა შტატი და თავისივე ხალხის მორჩილებისათვის ეყრდნობა მპყრობელი ერის სამხედრო ძალას. ამ ერთეულებს დაერქვათ ავტონომიური „რესპუბლიკები", „ოლქები", „ნაციონალური ოკრუგები" და სხვა.

საქართველოში, როგორც დავინახეთ, შექმნეს სამი ავტონომიური წარმონაქმნი. ერთ ფიორა ტერიტორიაზე სამი ავტონომიის არსებობა ინტერნაციონალიზმის ორჯონიკიძისეული გეგმის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს. ან უნდა მივიღოთ, რომ იგი ოქტომბრის გადატრიალების ჭეშმარიტ მიზნებში ჩინებულად ერკვეოდა – „დაყავი და იბატონე!".

ქართველი ერის დამოუკიდებლობა რუს ბოლშევიკებს ბურჟუაზიულ ნაციონალიზმად ჰქონდათ მონათლული, ასე იყო საჭირო მათი სახელმწიფოსათვის. ორჯონიკიძე აქტიურად უჭერდა მხარს ქართველი ბოლშევიკების უმრავლესობა და, რა თქმა უნდა თვით სტალინიც ბოლ-

შევიკური პარტიის ხელმძღვანელობით. ქართველთა დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის აღმოსაფხვრელად, პანაცეად იქცა ჩვენი ეროვნული ენერგიისა დ ტეროტორიის დაჭუცმცება. ერთა შორის წინააღმდეგობათა გამწვავებისათვის ხელის შეწყობა.

ავტონომიასა და მის დაწესებულებებს ორასი, სამასი ისეთი თანამდებობა ახლავს, რომლებიც ამდენივე პირის კეთილდღეობას უზრუნველყოფს და ისე, რომ რაიმე გამორჩეული ნიჭი, ჭკუა და შრომისმოყვარეობა საჭირო არ არი... მოურავი ამ თანამდებობებს ახლობლებსა და სანდო პირებში ანაწილებდა. იქმნებოდა სიბარიტების კასტა, რომელიც მომდევნო, მხვეჭელთა ფენას აყალიბებდა და მის კანონსაწინააღმდეგო საქმიანობას მფარველობდა ყოველდღიური ფულადი ან სხვა რამ ღირებულებრივი მონართმევის საკომპენსაციოდ. მხვეჭელები, ხაზინისა და ხალხის ძარცვით, სარფიანი ადგილების გაყიდვით, სპეკულაციით, ხელქვეითთა დაბეგვრით, ქრთამითა და სხვა საშუალებებით მდიდრდებოდნენ, ამდიდრებდნენ მფარველებს და, რა თქმა უნდა, მორჩილებაში ჰყავდათ თავისი კლანები. ასე ხორციელდებოდა რეგიონში სიმშვიდე, სტაბილურობა და ადგილობრივი „პირველი კაცის" ვალდებულებების შესრულება.

სრულიად შეუძლებელია ნორმალური ლოგიკით ახსნა, თუ რატომ მიენიჭათ ერთგან ეროვნულ უმცირესობებს ავტონომიის სტატუსი და სხვაგან საერთოდ არაფერი, რომ აღარაფერი ვთქვათ ასეთი წარმონაქმნების ისტორიულ უნიადაგობაზე.

ვერც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში და ვერც საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში ვერ იპოვით განმარტებას – როდის, როგორ, რა პირობით, რა უფლებებით შეიძლება მიიღოს ამა თუ იმ ხალხმა ავტონომიურობა. ყველა საბჭოური ავტონომია შექმნილია სსრკ-ის იმდროინდელ მმართველთა გუნება-განწყობილების შესაბამისად.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს ქვეყნების გამოცდილებაში და სამრთლებრივ კონცეფციებში პოლიტიკრი ავტონომია სრულებით არ გვევლინება ეროვნულ უმცირესობათა პრობლემების გადაჭრის საუკეთესო გზად. არც ერთი საერთაშორისო დოკუმენტი არ შეიცავს ასეთი ავტონომიის შექმნის სახელმწიფო ვალდებულებებს.

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ რუსეთში არსებულ ავტონომიებსა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში შექმნილ ავტონომიურ წარმონაქმნებს შორის პრინციპული განსხავვებაა და არ შეიძლება მათი საერთო, საბჭოთა სახელმწიფოს თვალთა ხედვით განხილვა. გარკვევით უნდა ითქვას, რომ რუსეთში არსებული თითქმის

ყველა (თუ აბსოლუტურად ყველა არა) ავტონომიური წარმონაქმნი არის რუსეთის მიერ სხვადასხვა დროს დაპყრობილი თუ „ნებით შეერთებული" (რატომ გასაგებია), მანამდე დამოუკიდებლად არსებული ქვეყნები. მაგალითად, ჩრდილო კავკასიის ტერიტორია, სადაც შემდეგ რუსეთის ფედერაციაში შემავალი ავტონომიური ერთეულები შეიქმნა, ჩრდილო ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩეჩენ-ინგუშეთის, დაღესტნის... სხვადასხვა დროს რუსეთის მიერ დაპყრობილი, თუ სხვადასხვა პირობით შეერთებილი მიწა-წყალია.

სულ სხვა ვითარებაა საქართველოში. რაც შეეხება აჭარას, ყველამ კარგად ვიცით, რომ აჭარა საქართველოა და აჭარლები ქართველები არიან. ყველაზე კარგად ეს თვით აჭარლებმა იციან და აჭარის პრობლემა არ დგას და, ალბათ არც დადგება.

ის ტერიტორია კი, სადაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეულები, უძველესი დროიდან ქართული მიწა-წყალია, ქართულ სახელმწიფოთა ფარგლებში მყოფი რეგიონებია.

1992 წლის 3 მარტს ვაშინგტონში, რადიოსაგურ „ამერიკის ხმის" სააქტო დარბაზში ჩატარდა კონფერენცია, რომელიც ბჭობდა ყოფილ საბჭოთა კავშირში არსებულ მდგომარეობაზე. განხილულ საკითხთაგან ერთ-ერთი ცენტრალური იყო სიტუაცია კავკასიაში, მათ შორის საქართველოში. ამ თემაზე ისაუბრა ცნობილმა ამერიკელმა სოვეტოლოგმა, პროფესორმა ვიქსმანმა. პროფესორმა აღნიშნა, რომ „ჩემს მრავალ პუბლიკაციაში ვსვამ კითხვას: რატომ არსებობს საერთოდ აფხაზეთის ავტონომია? განა საგულისხმო არ არის ის ფაქტი, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა თავიდან მხოლოდ 34 ათასი აფხაზისათვის შეიქმნა? – ვიქსმანის მართებული დასკვნით – თავიანთი ტერიტორიის საკითხებს ქართველები საქართველოში კი არ წყვეტდნენ, არამედ მოსკოვში ხდებოდა".

კონფერენციის შემდეგ მიცემულ ინტერვიუში პროფესორი ვიქსმანი შეეხო ყოფილ სამხრეთ ოსეთის საკითხს: „ეჭვი არ არის, რომ ქართველებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია სამხრეთ ოსეთის პრობლემა. ეს საქართველოა. ოსებმა გადმოლახეს საქართველოს საზღვარი მონღოლთათართა კავკასიაში ყოფნისას, ქართველებმა შეიფარეს ოსები. ჩემთვის, – ამბობს ამერიკელი ექსპერტი, – ნახსნებ საკითხთა შორის ყველაზე ბუნდოვანია სამხრეთ ოსეთის პრობლემა. საერთოდ, ისმის კითხვა: რატომ გაჩნდა ეს პრობლემა? არაფერია იმაზე ნათელი, რომ სამხრეთ ოსეთი საქართველოა".

და ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეროვნულ უმცირესობას არ შეიძლება ჰქონდეს საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლება, რადგან, ეს, პირველ ყოვლისა, არსებული სახელმწიფოების ტერიტორიულ მთლიანობას აყენებს საფრთხის ქვეშ და ეთნო-კონფლიქტების გამოწვევის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ხდება. როგორც ცნობილია, საერთაშორისო სამართალი თვითგამორკვევის უფლებას აძლევს მხოლოდ კოლონიურ და დამოკიდებულ, ე. ი. ძალით მიერთებულ და მორჩილებაში მყოფ ხალხებს. ეროვნულ უმცირესობას კი, რომელიც სხვადასხვა ისტორიული კატაკლიზმების შედეგად უცხო ქვეყნის ბინადარი გახდა, მიუხედავად ცხოვრების დროის ხანგრძლივობისა, თვითგამორკვევის უფლება არა აქვს.

ენა და ეროვნული ურთიერთობები

ეროვნული აქტივიზაციის კვალობაზე განსაკუთრებით 80-იანი წლების მეორე ნახევარში მრავალი უმწვავესი პრობლემა დაგვიგროვდა, რომლებმაც ეთნოკონფლიქტების სახით მკვეთრად იჩინეს თავი. ამის მიზეზი კი, უნინარეს ყოვლისა, ის არის, რომ წლების განმავლობაში უყურადღებოდ რჩებოდა, უფრო მეტიც, იჩქმალებოდა „ხალხთა ურღვევი ძალის" მოჩვენებითი ლოზუნგის უკან ამ სფეროში არსებული უამრავი მტკივნეული პრობლემა. აშკარად უნდა ითქვას, რომ მრავალი ასეთი პრობლემა ტაბუდადებული იყო კომუნისტური პარტიის მიერ. მრავალი ეროვნული და ეროვნებათშორისო საკითხები არასწორად, დამახინჯებულად, ისტორიული ფაქტების აშკარა იგნორირებით, შიშველი და ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებით წყდებოდა.

პოლიტიკოსებმა, თავიანთი აზრით, ერთაშორის შემორიგების უებარი საშუალება აღმოაჩინეს, როცა ღმერთი უარყვეს. „მაგრამ მოხდა ისე, რომ პოლიტიკურმა კომპრომისმა სარწმუნიებრივი კომპრომისი გამოიწვია და ის დრო, რომელიც ღმერთის არსის ახსნას და შეტყობინებას უნდა მოხმარებოდა, მოხმარდა სარწმუნოებრივი შუღლის გამწვავებას". ამიტომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დადგა ეროვნული და ეროვნაბთშორისი საკითხები. აუცილებელი გახდა რესპუბლიკის ეროვნული პოლიტიკის არსებითი რეორგანიაცია.

თუ 1800 წელს არაქართული მოსახლეობა საქართველოს მთელი მოსახლეობის მხოლოდ 11%-ს შეადგენდა, 1897 წელს არაქართველთა ხვედრითი წილი 32%-მდე გაიზარდა. XIX ს-ის დამლევისათვის საქართველო კიდევ უფრო მრავალეროვანი ქვეყანა იყო, ვიდრე წინა საუკუნეში. ამ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი იყო მრავალი სოფელი, რომელთა მოსახლეობა მთლიანად არაქართველთაგან (სომხები, ბერძნები, რუსები) შედგებოდა და ყოფა-ცხოვრებით დიდად განსხვავდებოდა აბორიგენი მოსახლეობისაგან. კიდევ უფრო მრავალეროვანი გახდა ქალაქები, სადაც აღებ-მიცემობას უმთავრესად არაქართველები მისდევდნენ.

XX საუკუნის 20-იან წლებში არაქართველები 851557 სულს ანუ

მოსახლეობის 32,3%-ს შეადგენდნენ. ამ დროსათვის საქართველოში ცხოვრობდა 19 კომპაქტურად და 33 გაფანტულად დასახლებული ეროვნება. მოსახლეობის დინამიკა გვიჩვენებს, რომ 20-30-იან წლებში შეიმჩნეოდა ქართველი მოსახლეობის ზრდის შემცირება. მაგალითად, 1922 წელს ქართველები საქართველოს მოსახლეობის 74,7%-ს შეადგენდნენ, 1926 წელს 70,9%-ს, ხოლო 1939 წლის მონაცემებით 64,6%-ს.

ქართველი ერის ისტორიულ უბედურებად უნდა ჩაითვალოს მისი ინტერნაციონალური ბუნება იმ დამახინჯებული გაგებით, როგორადაც იგი ეპყრობოდა და ეპყრობა ყველა ჯურის გადამთიელს. სხვა ერებისადმი დამოკიდებულების საკითხში ჩვენმა ზომაგადასულმა სათნოებამ, თვით საქართველოს მტრებისადმიც კი გულთბილმა მოპყრობამ და მათთვის ეროვნული კარის ფართოდ გაღებამ, – სტუმართმოყვარეობის ამ დამახინჯებულმა გაგებამ უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენს ერს.

ერის სიცოცხლისა და სიმხნევის წყარო, მისი ბურჯი და დაუშრეტელი ოაზისი დედაენაა. ამიტომაც მტრის მახვილი, მისი მზაკვრული ოინები, პირველ ყოვლისა, დედაენის აღკვეთისაკენ, მომავალი თაობის „დამუნჯებისაკენ", ქართველი ხალხის რუსიფიკაციისაკენ იყო მიმართული.

ენის წართმევით ქართველ ხალხს, მოზარდ თაობას ერთმეოდა თავის ქვეყანაში სულიერი კონტაქტის ყველაზე ეფექტური იარაღის გამოყენების – აზრის, ჭკუის, ეროვნული მეობის, თავისთავადობის, პიროვნული ღირსებისა და თავისუფალი შემოქმედების საშუალება. დიდი ილია ბრძანებდა, რომ „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით. რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცი და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღმთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს".

XIX საუკუნის დასასრულს და XX ს-ის პირველ ათწლეულში თვითმპყრობელობამ შეძლო ქართული ენის როლის დაკნინება – მკვეთრად შეზღუდა მისი მოქმედების სფერო, დაუშვა რა მისი მოქმედება მხოლოდ საკულტო ადგილების ფარგლებში და აგრეთვე მცირერიცხოვან კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში. შემდეგში, რაც მეფის მთავრობამ დაკლო ქართულ ენას, ის ბოლშევიკურმა რეჟიმმა შეუსრულა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის I ყრილობაზე, 1922 წლის ივნისის ბოლოს ორჯონიკიძე აღნიშნავდა, რომ „ქართველები საქართველოში – ესენია ველიკორუსები რუსეთში. ესაა „მპყრობელი" ერი –

მას არ შეუძლია ილაპარაკოს იმაზე, რომ მას ჩაგრავენ, რადგანაც ის არის გაბატონებული ერი საქართველოში". ღიმილს იწვევს საქართველოს და ქართველობის შედარება ველიკორუსებთან. ორჯონიკიძის სიტყვით გამოდის, რომ თავის სამშობლოში გაბატონებული ერი „მპყრობელი" ერი ყოფილა. ე. ი. არ ყოფილა კანონზომიერი, რომ საფრანგეთში ფრანგი, ინგლისში ინგლისელი და საქართველოში ქართველი ყოფილიყვნენ ბატონ-პატრონი თავისი ქვეყნისა. იქვე „ბრძენ პოლიტიკოსს" (და სხვა გამოსვლების დროსაც) აჭარლები ქართველებისაგან ცალკე ეროვნულ უმცირესობად მიაჩნდა.

ორჯონიკიძის აზრით, ჩვენ სომხებს უნდა ვუთხრათ: თქვენ შეგიძლიათ ახალქალაქში აწარმოოთ საქმეები სომხურ ენაზე. თუ ქართველებს სურთ აწარმოონ თავიანთი საქმეები ქართულ ენაზე, მაშინ სომხებსაც და აფხაზებსაც მიეცით ნება აწარმოონ საქმეები თავიანთ მშობლიურ ენაზე. აი, კიდევ ერთი ნიმუში სახელმწიფო ენის აბუჩად აგდებისა. გამოდის, რომ საქართველოში რამდენი ეროვნებაც ყოფილა იმდენ ენაზე უნდა ყოფილიყო საქმის წარმოება.

სალაპარაკო ენათა თანასწორობის იდეამ მკვიდრ ეროვნულ მოსახლეობას მომავალში აუმხედრა ეროვნული უმცირესობის ნანილი. ლოზუნგმა: „საკითხი სავალდებულო სახელმწიფო ენის შესახებ კარგავს თავის სიმძაფრეს და მნიშნელობასაც კი", საქართველოს ტერიტორიაზე მართლაც დაუკარგა ქართულ ენას ის უპირატესობა, რაც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში მშობლიურ, სახელმწიფო ენას ენიჭება. ფაქტობრივად სომეხს, აზერბაიჯანელს, ოსსა და სხვ. ისეთივე სურვილები და უფლებები გაუჩნდა, როგორიც მათ უნდა ჰქონოდათ თავის საკუთარ რესპუბლიკებში.

ქართული ენისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას აძლიერებდა ის გარემოება, რომ რესპუბლიკის ცენტრალურ დაწესებულებებთან ურთიერთობისათვის ამა თუ იმ ხალხს შეეძლო გამოეყენებინა მშობლიური ენა და პასუხიც მიეღო ამავე ენაზე.

სახელმწიფო ენისადმი მცდარი დამოკიდებულება ქართველმა ბოლშევიკებმა გამოთქვეს ჯერ კიდევ რსდმპ(ბ) კავკასიის I სამხარეო (საოლქო) ყრილობაზე 1917 წ. ოქტომბერში. ყრილობა „მოითხოვდა სახელმწიფო ენის პრივილეგიის მოსპობას და ენათა თანსწორუფლებიანობას ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში". ბოლშევიკებმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყეს აღნიშნული მოთხოვნის ცხოვრებაში გატარება.

1923 წლის ივნისში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის

დადგენილებაში მითითებული იყო, რომ „... ურთიერთობის ენა ახალ-ქალაქის მაზრასთან – სომხურია, ბორჩალოსა და ახალციხის მაზრებში – რუსული ან თურქული, თვით მოსახლეობის არჩევანის მიხედვით. ყველა სახალხო კომისარიატი, აგრეთვე ყველა დაწესებულება ვალდებულია გასცეს პასუხი იმ ენაზე, რომელზეც შემოსულია განცხადება.

იმავე წლის 9 აგვისტოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით ახალციხის მაზრაში დაწესდა აზერბაიჯანული, ქართული, რუსული და სომხური. მოცემული თემის ეროვნული შემადგენლობის შესაბამისად ახალქალაქის მაზრაში მთავარ ენად სომხური, ხოლო თემებთან ურთიერობის ენა – რუსული, აზერბაიჯანული, ქართული და სომხური.

შესაბამისად ამიერკავკასიის ცაკის 1923 წლის ივნისის დეკლარაციისა და 13 აგვისტოს დეკრეტისა მაზრის იმ დაწესებულებებში სადაც მცხოვრებთა უმრავლესობა არაქართული ეროვნებისა იყო, საქმე უნდა წარმოებულიყო ამ უმრავლესობის ენაზე.

რაც შეეხება სასამართლო წარმოებას, განსაზღვრული იყო, რომ მხარეს, რომელმაც არ იცოდა სახელმწიფო ენა და ამა თუ იმ ადგილის მცხოვრებთა უმრავლების ენა, უფლება ეძლეოდა საჩივარი, განცხადება და სხვ. დაენერა ამ მაზრის ეროვნულ უმცირესობათა ენაზე და მოეთხოვა პასუხი ამავე ენაზე.

ამრიგად, დეკრეტი იცავდა ეროვნულ უმცირესობათა ენის უფლებებს და უგულებელყოფდა ქართულს, როგორც სახელმწიფო ენას. ზემოაღნიშნული აქტით ჩაგრული მხოლოდ ქართული ენა გამოდიოდა. ასეთი მიდგომით საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობას არავინ ავალებდა ესწავლა და აუცილებლად სცოდნოდა იმ ერის ენა, რომლის ტერიტორიაზეც იყო დამკვიდრებული. პირიქით, ქართველი ხდებოდა იძულებული საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ არაქართველებისათვის მიემართა რუსულად ან მის მშობლიურ ენაზე.

ეროვნული უმცირესობის ენების თანასწორუფლებიანობა იმ ენასთან, რომელიც სახელმწიფო ენაა, ერების პოლიტიკურ თანასწორუფლებიანობასაც გამორიცხავს. ცალკეულ რაიონსა და მაზრაში მცხოვრებ მცირე ერებს გაუჩნდათ სინდრომი მათ მიერ დასახლებული ქართული ტერიტორიის მშობლიურად მიჩნევისა და დასაკუთრებისა.

მართალია, უკვე 1921 წელს საქართველოს რევკომმა რამდენჯერმე გამოსცა ბრძანება, რომ საქართველოს რესუბლიკაში სახელმწიფო ენა ქართული ენა ყოფილიყო. ბრძანების მიხედვით რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ დაწესებულებებში

ვალდებული იყვნენ მტკიცედ შეესრულებინათ ეს მითითება. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო მოქმედება პროვოკატორთა ჯგუფმა თბილისში, რომლებიც დუქნებზე, მაღაზიებზე და სხვა დაწესებულებებზე შლიდნენ ქართულ წარწერებს... თბილისში, მაღაზიების მფლობელთა უმრავლესობა არაქართველი იყო, რის გამოც ძნელდებოდა აღნიშნული გადანყვეტილების ცხოვრებაში გატარება.

1921 წლიდანვე ქართულ ენას პირველ რიგში რუსული ენა დაუპირისპირდა. რუსული ენა გაბატონდა საბჭოთა აპარატის თითქმის ყველა რგოლში. გაერთიანებულ სახალხო კომისარიატებში მთელი საქმის წარმოება და ადგილებთან ურთიერთობა რუსულ ენაზე იყო. თბილისში მოკალათებული ძველი შავრაზმული ჩინოვნიკობა ყველა მოვლენას ისეთ შეფასებას აძლევდა, რომ „საქართვლოს ბოლო მოეღო, „ერთიანი განუყოფელი რუსეთი იქნებაო".

ხშირად ზოგიერთ დაწესებულებაში შტატების შემცირების საბაბით ათავისუფლებდნენ თანამდებობიდან მხოლოდ ეროვნებით ქართველს. მოკლე დროში გაუქმებულ თანამდებობას აღადგენდნენ და დანიშნავდნენ რუს ან სხვა არაქართული ეროვნების წარმომადგენელს, რომელმაც ქართული ენა საერთოდ არ იცოდა. „ბოლშევიკებმა თავისუფლებისა და ერის დამცველი გვარდიელები, ქართველი ოფიცრობა, ღირსეული მამულიშვილები, მწერლობა – ყოველივე ქართველი და ქართული საქმე ეჭვის ქვეშ დააყენეს, ჯაშუშები მიუჩინეს სამსახურში, დაწესებულებებში, რკინის გზებზე, დეპო-სახელოსნოში – ყველგან და თვით საკუთარ ოჯახშიც ქართველი დევნილი შეიქმნა, უცხოელები გააბატონეს...."

1922 წლის თებერვალში თბილისში მაზრის აღმასკომმა ცირკულარები დაუგზავნა თავის განყოფილებებს და მიუთითა, რომ ყარაიაზის, აღბულაღის და ნალკის თემების აღმასკომებთან საქმის წარმოება რუსულ ენაზე ჰქონოდათ. ამ გადაწვეტილებას თბილისის ხელისუფლება უსუსური არგუმენტით ამართლებდა. კერძოდ, ჩამოთვლილ აღმასკომებს თურმე არ ჰყოლიათ ქართული ენის მცოდნე თანამშრომელი, თითქოს ძნელი ყოფილიყო ქართველი თანამშრომლის გამოძებნა. ასეთი მოქმედების შედეგს წარმოადგენდა (სომხების სიჭარბეზე რომ აღარაფერი ვთქვათ) თბილისის გადაქცევა არსებითად რუსულ ქალაქად.

ქართული ენისადმი ასეთი დამოკიდებულება თანამდებობის პირთა უპასუხისმგებლობას როდი მიეწერება. აქ საქმე გვაქვს ცენტრის კარგად ორგანიზებულ და შორს გამიზნულ ჩანაფიქრთან, რასაც მრავალი ქართველი კომუნისტი-ხელმძღვანელი ადგილზე ახორციელებდა.

მემარცხენე სოციალ-ფედერელისტთა გაზეთი „ტრიბუნა" სისტემა-

ტურად აშუქებდა ქართული ენისა და ქართული ეთნიკური ელემენტის შევიწროების ფაქტებს, რამაც გააბოროტა სომხური გაზეთი „კარმირ ასტღი". სომხურმა გაზეთმა აშკარა ბრძოლა წამოიწყო „ტრიბუნას" წინააღმდეგ, რითაც გამოხატა თავისი პოზიცია და მდგომარეობა უფრო გაართულა.

ფოთში, სადაც მოსახლეობის 99% ქართველები შეადგენდნენ არსებობდა ჭიათურის მარგანეცის ექსპორტის აქციონერული საზოგადოება „ჩემო"-ს განყოფილება. სამწუხაროდ, საქმის წარმოება აქაც რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობა არაქართველებს ეკავათ. ანალოგიური მდგომარეობა იყო სოხუმის სახალხო ბანკში.

ახალციხის რაიონში ხელმძღვანელ თანამდებობაზე უპირატესობა ეძლეოდა თურქულენოვან მოსახლეობას. საქმის წარმოება, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ეროვნულ ენებზე ხდებოდა.

ბორჩალოს მაზრის მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა საქმის წარმოებაში ქართული ენის დანერგვის მოთხოვნის გამო. როგორც ჩანს, მთელს აპარატში არ მოიპოვებოდა ერთი ქართველი ან ქართული ენის მცოდნე. ამიტომ მოითხოვდნენ, რომ რესპუბლიკის მთავრობის ყველა უწყებას მათთან საქმე ეწარმოებინა მხოლოდ რუსულ ენაზე. საინტერესოა, რომ ამ პერიოდში მრავალ ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანინაურდნენ სომეხი ეროვნების წარმომადგენლები. მაგალითად, 1924 წლისათვის საქართველოს ცეკავშირში 217 თანამშრომლიდან 35, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში 50-დან 11, ხოლო იუსტიციის სახალხო კომისარიატში 268 თაანმშრომლიდან 58 სომეხი იყო. 1925 წლისათვის რესპუბლიკის სახელწმიფო დაწესებულებებში, სავაჭრო ორგანიზაციებსა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში დასაქმებული 43878 კაციდან 5892, ხოლო ახალციხის მაზრის ყველა დაწესებულებასა და სანარმოებში 1254 კაციდან 335 სომეხი მუშაობდა. ასეთივე მდგომარეობა იყო სხვა მაზრებში, ქალაქებსა და რაიონებში.

როგორც ცნობილია, აჭარის ავტონომიის შექმნის ინიციატორებად ქემალ ფაშა და ლენინი გვევლინებიან. ოსმალთა უღელქვეშ მრავალტანჯულ აჭარას ყველაზე მეტად სჭირდებოდა სათუთი მოპყრობა და ქართულ სულის აღორძინება. საბჭოთა ხელისუფლებამ და კომუნისტურმა პარტიამ თავიდანვე არ მიაქციეს სათანდო ყურადღება საქართველოს ამ განუყოფელ ნაწილს. საინტერსეოა, რომ აჭარის სახალხო სამეურნეო საბჭოში სულ 233 თანამშრომელი იყო; აქედან 90 რუსი, 48 სომეხი, 7 პოლონელი, 2 უკრაინელი, 13 ბერძენი, 10 რუსი ებრაელი, 3 ლიტ-

ველი, 1 რუმინელი, 1 ყარაიაზელი, 1 აფხაზი, 2 ოსი, 2 აისორი, ქართველი კი მხოლოდ 53. საბჭოს გამგებლად და საერთოდ ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე არაქართველები იყვნენ დანიშნული. ამასთან ხაზგასასმელია, რომ არც ერთმა მათგანმა ქართული არ იცოდა. ასეთივე მდგომარეობა იყო სხვა ხელმძღვანელ ორგანოებში.

მართალია, ქართველები არაქართველობით არავის ინუნებდნენ, მაგრამ თანამდებობის პირებისაგან სამართლიანად მოითხოვდნენ ქართული ენის ცოდნას.

ყალბად გაგებულმა ინტერნაციონალიზმმა, თუ კადრების შერჩევის შეგნებულად გააზრებულმა პოლიტიკამ აჭარაში, საშიშროება შეუქმნა ეროვნული კულტურის განვითარებას.

ამავე პერიოდში დამკვირდა ყოვლად გაუმართლებელი პრაქტიკა, როცა აჭარელი არ შეიძლებოდა ყოფილიყო მმართველი (ბოლშევიკური) პარტიის საოლქო, საქალაქო თუ რაიონული კომიტეტების პირველი მდივანი. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და მისი რაიონული განყოფილების ხელმძღვანელი, ზოგჯერ თანამშრომელიც კი. ფაქტობრივად ეს იყო უზნეო ღონისძიებათა მთელი თაიგული, რომელიც მიზნად ისახავდა მუდმივ დაპიროსპირებაში ჰყოლოდა ავტონომიური რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობა და საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, აჭარის მკვიდრი მოსახლეობა და დანარჩენი ქართველობა. ბათუმის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ხრუცკი აშკარად აცხადებდა: „ახლა ისეთი კურსია აღებული, რომ საგანგებო კომისიიდან ყველა ქართველი შეიძლება დაითხოვოო".

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მხოლოდ აფხაზები ინიშნებოდნენ. აფხაზებს ეძლეოდათ უპირატესობა მილიციაში, ნავსადგურში მუშად მიღების დროს სხვა ეროვნებებთან შედარებით.

ნაციონალიზმის თვალსაჩინო სურათს იძლევა კომკავშირის საოლქო კომიტეტის ცირკულარი ყველა კომკავშირული ორგანიზაციისადმი, სადაც ნათქვამია, რომ კომკავშირში უნდა მოეღოთ მხოლოდ აფხაზი ახალგაზრდები. მართალია, ეს ცირკულარი მოგვიანებით უარყოფილ იქნა, მაგრამ მისი ამ სახით გამოქვეყნება აშკარად აჩვენებს რამდენად იყო შოვინიზმი გაბატონებული ახალგაზრდებშიც. საბჭოთა აფხაზეთის ხელმძღვნელობამ თავისი ეროვნული პოლიტიკით აამხედრა მოსახლეობის სამი მეოთხედი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 20-იან წლებში აფხაზს ყველგან და ყოველთვის ენიჭებოდა უპირატესობა და ამიტომ არააფხაზური

ეროვნების წარმომადგენელი იძულებული ხდებოდა თავი აფხაზად გამოეცხადებინა (გააფხაზებულიყო), რათა სამსახური ეშოვნა. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ 1926 წლის აღწერის დროს „რამდენიმე ათასმა კაცმა თავისი თავი აფხაზ ეროვნებას მიაკუთვნა, თუმცა მათი ენა იყო არა აფხაზური, არამედ ქართული (მეგრული).

1923 წლის აგვისტოში ე. წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" ცაკმა მიიღო დადგენილება „ოლქის ფარგლებში ოსურის, როგორც სახელმწიფო ენის შემოღების შესახებ". დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ „შემოღებულ იქნას თანდათანობითი მშობლიური ოსური ენა ყველა სახელმწიფო და პარტიულ დაწესებულებაში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შიგნით, მეზობელ რესპუბლიკებთან ურთიერთობის ენად დატოვებული იქნას რუსული ენა და მოეთხოვოს რესპუბლიკას სამხრეთ-ოსეთთან ხსენებულ რუსულ ენაზე ურთიერთობის წარმოება". ამრიგად, საქართველოს ისტორიულ ნაწილში საერთოდ უგულებელყოფილ იქნა ქართული ენა.

აღსანიშნავია, რომ ცხინვალის რაიონში 1925 წელს ცხოვრობდა 12709 ადამიანი. აქედან უმრავლესობა (7388 კაცი) ქართველი იყო. მიუხედავად ამისა, ცხინვალის რაიონის საბჭოში 105 წევრიდან ქართველი აღმოჩნდა 31 კაცი. საბჭოს სხდომები მიმდინარეობდა ოსურ და რუსულ ენებზე. საბჭოს ქართველმა წევრებმა ეს ენები არ იცოდნენ და ფაქტობრივად მონაწილეობას ვერ ილებდნენ საბჭოს მუშაობაში. სახალხო კომისრებს შორის არ იყო არც ერთი ქართველი.

ეკონომიკურად და კულტურულად ჩამორჩენილი ეროვნებებისადმი 20-იან წლებში დაწყებულმა დახმარებამ 30-იან წლებში გარკვეული შედეგი გამოიღო. ამდენად, ადრე ჩამორჩენილმა ხალხებმა დაიწყეს დაწინაურება იმ ხალხებთან შედარებით ვინც მათ დახმარება აღმოუჩინა. შემდეგ ასეთი ვითარების შენარჩუნებამ საშიშროება შექმნა ახალი, ფაქტიური უთანასწორობის წარმოშობისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ენათა თანასწორუფლებიანობის გამოცხადებამ სათავე დაუდო არამკვიდრი ეროვნებების ნიჰილისტურ დამოკიდებულებას საქართველოს წარსულისა და ქართველებისადმი. საფუძველი ჩაუყარა ერებს შორის ეთნოკონფლიქტების წარმოშობას, რამაც განსაკუთრებით XX ს-ის 80-იან წლებში იჩინა თავი. სხვა საქმე იყო და სავსებით კანონზომიერი რესპუბლიკაში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისათვის ქართველებთან ერთად პოლიტიკური თანასწორობის დამკვიდრება.

წარმოვიდნოთ, რომ ინგლისსა თუ საფრანგეთში თუნდაც კომპაქ-

ტურად ყოფილიყვნენ ქართველები დასახლებული, ინგლისურთან და ფრანგულთან რომელი ჭკუათმყოფელი მიანიჭებდა ქართულს თანაბარ უფლებებს. ან დღევანდელ გერმანიაში კომპაქტურად დასახლებულ თურქ ემიგრანტებს გერმანული ენის თანასწორი უფლებები რომ მინიჭებოდათ.

საინტერესოა, თუ ასეთი პოლიტიკა მართებული იყო, რატომ საბჭოთა რუსეთმა არ მისცა ისეთივე თანაბარი უფლებები არარუსი ეროვნების ენებს, რომლებიც ფედერაციის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ?

შემთხვევითი არ არის, რომ მოგვიანებით სომხებს, ოსებსა და ზოგიერთ სხვა ეროვნებას ქართული მინის საკუთრებად მითვისების სურვილი გაუჩნდა. რაში ჭირდებოდა და რისთვის დაუუფლებოდა ქართულ ენას სომეხი თუ აზერბაიჯანელი, ოსი თუ აფსუა, როდესაც საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში ნებისმიერ ეროვნებას შეეძლო თავის ენაზე მიემართა და პასუხიც მისთვის სასურველ ენაზე მიეღო.

რა თქმა უნდა, ამას არავითარი ინტერნაციონალიზმი არ ჰქვია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ქართველი ერის წინააღმდეგ მიმართული აგრესია იმ ხელისუფლების მიერ, თავს საქართველოს მთავრობას რომ უწოდებდა.

ებრაელი ხალხი, რომელიც 2000 წელზე მეტია საქართველოს მინაზე ცხოვრობს, თავს მაინც მოსულად თვლის და საქართველო ისრაელის წმინდა მიწის შემდეგ მეორე საშობლოდ მიაჩნია. ხოლო ოსები, სომხები და ზოგიერთი სხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომელთა ლტოლვილი წინაპრის სასოებით მოპყრობილი სახე დღესაც ცოცხალია, მასპინძლის როლში გვევლინება.

არასწორი იყო ზოგიერთი ბოლშევიკი ხელმძღვანელის აზრი, რომ რესპუბლიკაში მცხოვრებმა ეროვნულმა უმცირესობებმა ქართული ენა არ ოცოდნენ. ჯერ ერთი ვალდებული იყვნენ ესწავლათ. მეორეც, ჯერ კიდევ 1922 წელს აკად. ნიკო მარი აღნიშნავდა, რომ ქართული საზოგადოდ კავკასიის საზოგადოებრივ ენას წარმოადგენს. მეცნიერის დაკვირვებით, იმ დროისათვის ქართულად ლარაკობდა „კავკასიის მთიანეთის სამხრეთი ფერდობების ოსთა მოსახლეობის დიდი ნაწილი, აფხაზთა ერის გარკვეული ფენები ისევე, როგორც საქართველოს საზღვრებში მობინადრე სომხებიც... აგრეთვე ლეკების ერთი ნაწილი, სახელდობრ – დოდოელნი, და თურქებიც კი...“.

ბაპტიზმი

ბაპტიზმი (ბერძნულად baptizō – ვნათლავ წყლით) – ქრისტიანული სექტაა. იგი პროტესტანტიზმის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. პროტესტანტიზმი (ლათინურად – პროტესტანს – ვინც დავობს, პროტესტს აცხადებს) – მესამე მთავარი მიმდინარეობა ქრისტიანული რელიგიისა, კათოლიციზმისა და მართლმადიდებლობის შემდეგ, მრავალი სექტისა და განშტოების მქონე. ეს იყო დიდი საყოვალთაო მოძრაობა კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ, რასაც რეფორმაცია ეწოდა. უშუალო მიზეზი იყო ეკლესიის მსახურთა თვითნებობა, რასაც ეკლესიის მოღვაწეები ამხელდნენ და ითხოვდნენ კულტის გაუბრალოებას, „რწმენით გამართლებას", ადრეული ქრისტიანობის უბრალოებისაკენ დაბრუნებას. ამასთან ეკლესია არ მიაჩნდათ შუამავლად ღმერთსა და ადამიანებს შორის.

ტერმინი შეიქმნა პროტესტანტიზმის კლასიკურ ქვეყანაში – გერმანიაში, სადაც მოღვაწეობდა დიდი რეფორმატორი, სწავლული ღვთისმეტყველი და მწერალი, ბიბლიის უზადო მთარგმნელი მარტინ ლუთერი (1483-1546წწ.). 1526 წელს შპაიერის რაიხსტაგმა დაამტკიცა გერმანელ მთავართა უფლება ამოერჩია რელიგია. ეს უარყო შპაიერის II რაიხსტაგმა სამი წლის შემდეგ, რამაც გამოიწვია 65 მთავრის პროტესტი. აქედან გავრცელდა ტერმინი – პროტესტანტიზმი.

ბურჟუაზიამ ომი გამოუცხადა ფეოდალიზმის მადიდებელ კათოლიციზმს. უარყოფდა მღვდლობას, სალხინებელს, ფუფუნებას. ძველი ცოდვის გამოსყიდვას პირადი რწმენით, კეთილი საქმით და არა განდეგილობით, სიქველით. პროტესტანტიზმმა წამოაყენა 3 ახალი პრინციპი: პირადი რწმენით ხსნა, ყოველი მორწმუნის (მონათლულის) სიწმინდე (მღვდლობა) და ბიბლიის შეუვალი ავტორიტეტი, რასაც შეიძლება ყველა ეზიაროს. სწორედ ბიბლიის თარგმანში გააძლიერა ლუთერმა პავლე მოციქულის სიტყვები: „გამართლება კაცისა სარწმუნოებითა თვინეირ საქმეთა სჯულისათა (რომაელთა მიმართ, 3,28), ე. ი. კანონთა მიუხედავად მორწმუნეს რწმენა ამართლებს. ლუთერმა მოკლედ ჩამოაყალიბა: „ადამიანს ამართლებს მხოლოდ რწმენა". უარყოფილია საეკლესიო იერარქია, მღვდელი საეროს უტოლდება, დრომოჭმული დოგმები უქმ-

დება ან კატეგორიულად იცვლება (რეფორმაცია-გარდაქმნაა), შვიდი საიდუმლოდან უარყოფილია 5 (მირონცხება, სინანული, მღვდლობა, ქორწინება, ზეთის კურთხევა), რჩება 2: ნათლობა და ზიარება. ინდულგენციებით ვაჭრობას, ფუფუნებას, გარყვნილებას ცვლიდა საქმიანი, მარტივი სტილი, აღმავალი ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელი ვითარება, მოდერნიზება, მოქნილი და დახვეწილი ღვთისმსახურება.

1517 წელს ლუთერმა თავისი 95 თეზისი ვიტენბერგის ეკლესიის კარებზე გააკრა (31 ოქტომბერი). 1520 წელს ეკლესიის სულიერი დიქტატურის შემმუსრავ ამ აქტს პაპმა ლეო X (ჯოვანი მედიჩიმ) უპასუხა საგანგები ბულით, განკვეთა თეოლოგიის მასწავლებელი, ბერი ლუთერი, რომლის თეზისების მშნივნელობა წესიერად ვერც კი გაიგო. ლუთერმა პაპის ბულა სტუდენტებისა და მოქალაქების თვალწინ ცეცხლში ისროლა. ეს იყო გამოწვევა. ლუთერი დაიბარეს იმპერატორ კარლოს V კარზე, უარყოფაზე სასტიკი უარი განაცხადა. მას ელოდა იან ჰუსის ბედი (ჩეხი რეფორმატორი და მისი დიდი მიმდევარი იერონიმ პრაღელი კონსტანცის 1415 წლის საეკლესიო ყრილობის დადგენილებით კოცონზე დაწვეს, პირველი 1415 წლის 6 ივლისს, მეორე 1416 წლის 30 მაისს). მაგრამ ლუთერს მხარს უჭერდნენ გერმანიის ძლიერი მთავრები, რომელთაც კათოლიკური ეკლესიის სამფლობელოები უნდა მიეღოთ. ლუთერი გადამალეს და გადაარჩინეს.

პროტესტანტიზმი შემდეგ გავრცელდა შვეიცარიაში, დანიაში, ნორვეგიაში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, ჩეხეთში და ევროპის სხვა ქვეყნებში. XVII საუკუნიდან მან შეაღწია ევროპის ქვეყნების კოლონიებშიც.

როგორც აღვნიშენთ, თავდაპირველად პროტესტანტიზმი დაკავშირებული იყო ლუთერის მოძღვრებასთან, შემდგომ პროტესტანტებს უწოდებდნენ კალვინის (1509-1564), ცვინგლის (1484-1531) მოძღვრებათა და სხვა რეფორმაციული მიმართულების მიმდევრებსაც.

რეფორმაციამ ევროპაში ძლიერ შეარყია ფეოდალიზმი და მისი დასაყრდენი – კათოლიკური ეკლესიის ძალაუფლება. არა მარტო ბურჟუაზია, არამედ გლეხობა და ქალაქის გაღატაკებული მასები მხარს უჭერდნენ პროტესტანტიზმის იდეოლოგიას, რომელიც მიმართული იყო ფეოდალიზმისა და მისი ერთ-ერთი დასაყრდენის კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ. მოგვიანებით პროტესტანტიზმი დაიშალა მრავალ ეკლესიად და მიმდინარეობად. პროტესტანტიზმის საწყისი ფორმებიდან (ლუთერანობა, ანგლიკანობა, კალვინიზმი, ცვინგლიანობა და სხვა), აღმოცენდა მრავალი რელიგიური მიმდინარეობა: მეთოდისტები, რეფორმატიზმი,

პრესვიტერიანელობა, კონგრეგაციონალიზმი, ადვენტიზმი, ორმოცდაათიანელები, ბაპტიზმი და სხვა.

ბაბტიზმი წარმოიშვა 1609 წელს ჰოლანდიაში ინგლისელ ემიგრანტ ინდეპენდენტებს შორის. ბაბტისტების პირველი თემები 1611-1612 წლებში გაჩნდა ინგლისში, ხოლო 1639 წელს ჩრდილო ამერიკის ინგლისურ კოლონიებში.

ბაპტისტების მოძღვრებით ადამიანის სულის ხსნა შეიძლება ქრისტეს პირადი რწმენით და საჭირო არ არის ეკლესიის შუამავლობა. რწმენის ერთადერთ წყაროდ მათ „საღმთო წერილი" მიაჩნიათ. ბაპტისტები უარყოფენ ხატებს, საეკლესიო საიდუმლოებებს, ზოგიერთ ქრისტიანულ დღესასწაულს. მოითხოვენ, რომ ადამიანი მონიფულობისას მოინათლოს. უარყოფენ საეკლესიო იერარქიას, თუმცა თანამედროვე ბაპტისტებს შორის ეკლესიის და სამღვდელოების როლი იზრდება.

XIX საუკუნეში ბაპტიზმი გავრცელდა ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის უმრავლეს ქვეყანაში. ბაპტისტების ძირითადი ნაწილი (90%) ცხოვრობს აშშ-ში. სამხრეთ შტატებში არის უდიდესი გაერთიანება „ბაპტისტების სამხრეთის კონვენცია", რომელიც 1845 წელს გამოეყო ჩრდილოეთ ბაპტისტებს.

1905 წელს ლონდონში შედგა ბაპტისტების პირველი მსოფლიო კონგრესი, რომელზედაც შეიქმნა ბაპტისტების მსოფლიო კავშირი (ცენტრი ქ. ვაშინგტონში). XX საუკუნის 60-იან წლებში მსოფლიო კავშირი აერთიანებდა 116 ქვეყნის 27 მილიონ მორწმუნეს. 1950 წელს პარიზში დაარსდა ბაპტისტების ევროპის ფედერაცია.

რუსეთში ბაპტიზმი გერმანიიდან შემოვიდა XIX საუკუნის 60-იან წლებში და 70-80-იან წლებში გავრცელდა ყუბანის, დონის, ამიერკავკასიის, ხერსონის, ეკატერინოსლავის, კიევის გუბერნიების გერმანელ კოლონისტთა შორის, შემდეგ კი ადგილობრივ მოსახლეობაშიც.

რუსეთის იმპერიაში ბაპტისტების პირველი თემი ჩამოყალიბდა 1867 წელს თბილისში. 1921 წლამდე თბილისში მომქმედ ბაპტისტთა თემებში ქართველები არ ყოფილან. 1921 წელს შეიქმნა ქართველ ბაპტისტთა ჯგუფი. ღვთისმსახურება ქართულ ენაზე სრულდებოდა.

ბოლშევიკები, როგორც ათეისტური იდეოლოგიის მატარებლები, ყველა ღონეს იყენებდნენ რელიგიის წინააღმდეგ, უაკვშირდებოდნენ ნებისმიერ ძალას, თვით რელიგიურ მიმდინარეობებსაც კი ოფიციალური ღვთისმსახურების შესასუსტებლად. შემთხვევითი არ იყო, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის I ყრილობაზე მიღებულ პირველ პროგრამაში ისინი სექტანტების მოკავშირედ გამოდიოდნენ. ყრილობის

მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში არის სპეციალური რეზოლიცია „სექტანტებს შორის მუშაობის შესახებ", სადაც ნათქვამია: „... სექტანტების მოძრაობა რუსეთში მისი მრავალი გამოხატულებით წარმოადგენს ერთ-ერთ დემოკრატიულ მიმდინარეობას, რომელიც მიმართულია არსებული წესების წინააღმდეგ". მეორე ყრილობა მოუწოდებდა პარტიის ყველა წევრს ემუშავათ სექტანტებთან სოციალ-დემოკრატიასთან მიმხრობის მიზნით.

ბოლშევიკებმა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, როდესაც პოზიციები მყარად განიმტკიცეს ბუნებრივია სექტანტებისადმი მათი დამოკიდებულება და პოლიტიკური შეფასებაც შეიცვალა. თუცმა მაინც განსხვავებული პოზიცია ეკავათ სამღვდელოებასთან და ეკლესიასთან დამოკიდებულებისაგან განსხვავებით.

1922 წელს გამოიცა „დირექტივები... სექტებთან და საერთოდ რელიგიურ ჯგუფებთან ურთიერთობის შესახებ". დირექტივების მიხედვით ყურადღებით უნდა შეესწავლათ არსებული სექტანტური დაჯგუფებები და ყოველგვარი რელიგიური ორგანიზაციები. იქ, სადაც არ ატარებდნენ მტრულ ხასიათს საბჭოთა ხელისუფლებისადმი, რეკომენდაცია მიეცათ სათანადო ორგანოებს თავი შეეკავებინათ მათი დევნისაგან. ნება ეძლეოდათ დასახული მიზანი განეხორციელებინათ არსებული კანონის ფარგლებში.

საქართველოს გასაბჭოებისთანავე რელიგიაზე მკაცრი კონტროლი საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის ერთ-ერთი ატრიბუტი გახდა. ამიტომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობას 20-30-იან წლებში საკმაოდ დრამატული ხასიათი ჰქონდა. 1921წლის 15 აპრილს საქართველოს რევკომმა მიიღო დეკრეტი „სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ". 1921 წლის ოქტომბერში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა ცირკულარული წერილი ყველა სამაზრო და საოლქო კომიტეტებისადმი. ამ მიმართვის საფუძველზე ადრესატებს ყურადღება უნდა გაემახვილებინათ პარტიის პოლიტიკაზე რელიგიისა და ეკლესიის მიმართ და ერთგვარი ნიადაგი შეემზადებინათ ანტირელიგიური პროპაგანდის დასაწყებად.

აღნიშნული მიმართულებით ერთ-ერთი პირველი ღონისძიება იყო დეკრეტი საეკლესიო განძეულობის ნაწილობრივ ამოღების შესახებ, რომელიც გამოიცა 1922 წლის 10 აპრილს. მისი მიზეზი იყო არა მარტო დამშეული ვოლგისპირეთისათვის პურის შეძენა საზღვარგარეთ, როგორც ამას მაშინ აცხადებდნენ, არამედ ეკლესია-მონასტრების ეკონომიკურად დასუსტებაც, მისი ტერორიზებაც და ხალხის თვალში ავტორიტეტის

აშკარად შელახვა. საბჭოთა მთავრობამ 600-მდე ეკლესიას ჩამოართვა ძვირფასი განძეულობა, რომელსაც ჰყიდდნენ კერძო პირებზე და როგორც ბოლშევიკური პრესა იუწყებოდა „ახმარდნენ გლეხთა კომიტეტებს", „კულტურული კომიტეტების მშენებლობას".

1922 წლის 14 დეკემბერს ამიერკავკასიის პარტიის სამხარეო კომიტეტმა მიიღო ანტირელიგიური დადგენილება „საშობაო კომპანიის" მომზადების ჩატარების შესახებ. ქრისტეშობის დღესასწულს უნდა დაპირისპირებოდა „კომკავშირული შობა. ეს გადაწვეტილება და მისი ცხოვრებაში გატარება პირველი ცდა იყო იმ ხანგრძლივი ათეისტური კომპანიისა, რომელიც უახლოეს ხანებში უნდა დაწყებულიყო. რელიგიური დღესასწაულები თანდათანობით უნდა გადასულიყო ე. წ. „საბჭოურ დღესასწაულებში".

რელიგიაზე პირველი შტურმი მარცხით დამთავრდა. ცოტა ხანში იძულებული გახდნენ უკან დაებრუნებინათ მორწმუნეებისათვის ჩამორთმეული ეკლესიები. ამის შემდეგ, ცოტა ხნით სიჩუმემ დაისადგურა ანტირელიგიურ ფრონტზე.

ხალხი საუკუნეების მანძილზე ღრმად განმტკიცებულ რელიგიურ წეს-ჩვეულებებს ადვილად არ თმობდა და სარწმუნოებისადმი დიდ ერთგულებას იჩენდა. ასეთ ვითარებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სახალხო უკმაყოფილების თავიდან ასაცილებლად 1923 წლის 7 იულისს გამოსცა დეკრეტი რელიგიურ საზოგადოებათა და კავშირთა დამტკიცებისა და რეგისტრაციის წესების შესახებ. ამ დეკრეტის თანახმად, მოსახლეობას შეეძლო მოეწყო საეკლესიო და რელიგიური საზოგადოება და მოეხმარათ რელიგიური წესების შესრულებისათვის საჭირო სამლოცველო სახლები და ქონება. თუმცა ეს დათმობაც დროებითი იყო. იმავე წელს მხოლოდ გურიაში ე. წ. „ანტირელიგიური" კომპანიის შედეგად გაუქმდა ღვთის მსახურება ყველა ეკლესიაში (გაუქმებული ეკლესიების რიცხვი გურიაში შეადგენდა 137). დაიწყო ეკლესიების გადაკეთება კულბებად და ქოხ-სამკითხველოებად. ანტიეროვნული და ანტიჰუმანური ღონისძიების გასატარებლად ა/კ-ის სახკომსაბჭომ 5 მილიარდი გამოყო მაშინ, როცა ქვეყანაში უკიდურეს ეკონომიკურ გაჭირვებას ჰქონდა ადგილი.

ბოლშევიკების მოსვლას ხელისუფლებაში ბაპტისტები მტრულად შეხვდნენ. მათ მხოლოდ 1926 წელს „ცნეს" საბჭოთა რეჟიმი.

1921 წელს ქართველი ბაპტისტების პარალელურად შეიქმნა სომეხ ბაპტისტთა ჯგუფიც. აღნიშნულ წელს საქართველოში სექტანტებმა გახსნეს 41 სამლოცველო სახლი.

ბაპტისტებისა და ევანგელისტ-ქრისტიანების სამლოცველო სახლთა რაოდენობა თანდათანობით იზრდებოდა, განსაკუთრებით ქალაქებში. იზრდებოდა სექტანტების რაოდენობაც. მაგალითად, აფხაზეთის გერმანელებით დასახლებულ სოფელ გნაიტერბურგში ჩამოყალიბდა ბაპტისტების სექტა. ამავე ტერიტორიაზე მცხოვრებმა ქართველებმა, სომხებმა, ესტონელებმა, ბერძნებმა და სხვ. გერმანელების მიბაძვით შექმნეს ბაპტისტური ჯგუფები. მოკლე ხანში სექტების ჩამოყალიბების ბუმი მოედო გნაიტერბურგის სიახლოვეს განლაგებული 4 სოფლის მოსახლეობის 50%.

რელიგიისაკენ მოსახლეობის ლტოლვას, ბუნებრივია, ხელს უწყობდა ბოლშევიკური რეჟიმის დამყარება. საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოზიცია და საკუთრების სფეროში განხორციელებული რეფორმები მოსახლეობის დიდ ნაწილს აიძულებდა ეკლესიასა და სექტანტურ ჯგუფებში ეძებნა შვება და თავშესაფარი. მათ შორის იყო მრავალი ისეთი ადამიანი, რომლებიც ადრე რელიგიურობით არ გამოირჩეოდნენ. ჩვენის აზრით მოსახლეობის ასეთი ნაბიჯები წარმოადგენდა, მართალია, პასიურ, მაგრამ მაინც ბრძოლას ახალი რეჟიმის წინააღმდეგ.

აღსანიშნავია, რომ რელიგიისაკენ მიისწრაფვოდნენ პარტიული და კომკავშირული მუშაკების ნაწილიც. როგორც ჩანს, ასეთი ადამიანები იძულებული იყვნენ ახალი ხელისუფლების სამსახურში ჩამდგარიყვნენ. მრავალი მათგანი აწყობდა ნათლობას, ჩუმად დადიოდა საკულტო ადგილებში, ფარულად ეუფლებოდა სასულიერო განათლებას. რელიგიური რიტუალების შესრულებისათვის მხოლოდ ნახევარი წლის განმავლობაში კომკავშირიდან გაირიცხა 50 ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი.

შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნის 20-იანი წლები გამოირჩეოდა ბაპტიზმისა და ევანგელიზმის ფართო მისიონერული მოღვაწეობით. ამ მოვლენას საბჭოთა რეჟიმი ათეისტური პროპაგანდით დაუპირისპირდა.

ბაპტისტური ეკლესია ითვლებოდა პროტესტანული ტიპის უმსხვილეს ეკლესიად მკვეთრად გამოხატული დოგმატიკით, კულტით, მისიონერული მოღვაწეობისა და ცენტრალიზებული ორგანიზაციის მეთოდებით.

სექტანტები ახალგაზრდათ სთვლიდნენ 18-დან 30-35 წლამდე პიროვნებებს. მათი მოღვაწეობა განსაკუთრებით გააქტიურდა 1927 წელს, რასაც შედეგად რელიგიური თემების განმტკიცება მოჰყვა. ხშირად აწყობდნენ „საძმო საღამოებს“ მუსიკისა და გუნდის სიმღერის თანხლებით.

ამ პერიოდში გამოჩნდნენ „მშრალი ბაპტისტები". ეს ტერმინი განსაზღვრა იმ გარემოებამ, რომ ისინი არ ცნობდნენ წყლით მონათლას.

მათ მიერ მონათვლის რიტუალი სრულდებოდა ყოველგვარი წყლის განბანის გარეშე.

საქართველოში მხოლოდ ორ ადგილას მოქმედებდა მშრალი ბაპტისტების თემი, თბილისში და სოფელ მალხაზოვკაში, სადაც პატარა ჯგუფი არსებობდა. მშრალი ბაპტისტები, ბაპტისტები და ევანგელისტ-ქრისტიანები მუშაობას ეწეოდნენ ერთიდაიგივე მეთოდებით. საბჭოთა რეჟიმის შეფასებით ეს სექტები ყველაზე საშიში იყო კომუნისტური იდეოლოგიისათვის.

1927-1929 წლებში მოლოკანთა სექტის გარდა ყველა სექტაში შეიმჩნეოდა თემის რიცხობრივი ზრდა. მშრალმა ბაპტისტებმა და ევანგელისტ-ქრისტიანებმა სცადეს საკუთარი ეკონომიკური ბაზის შექმნა. გახსნეს კოოპერატიული სასადილოები სახელწოდებით „კვება". სასადილოების ყველა ხელმძღვანელი და თანამშრომელი სექტის წევრები იყვნენ. ხელისუფლება ამზადებდა დასახელებული კოოპერაციის ლიკვიდაციას.

1934 წელს საქართველოს ტერიტორიაზე მართლმადიდებელი სამრევლოების რიცხვი 15-ს არ აღემატებოდა. დალუქეს ჩვენი ქვეყნის ემბაზი – სვეტიცხოველი; სამების დედათა მონასტრის ტაძარში წირვა-ლოცვა აკრძალეს, რის გამოც მონაზვნებმა ტრაპეზი სარდაფში გამართეს; დაკეტვის საფრთხე დაემუქრა სიონს. კათალიკოს-პატრიარქმა კალისტრატე ცინცაძემ საგანგაშო მდგომარეობა გამოაცხადა და ოფიციალური თხოვნით მიმართა სტალინს: „საქართველოს ეკლესიის კარს მოსდგომია ისეთი განსაკდელი, რომელსაც შეუძლია საფსებით მოუღოს მას ბოლო სულ მოკლე ხანში..." ფეხზე დადგა ინტელიგენცია, როს გამოც საქართველოს საპატრიარქოს ანულირების კურსი გაჭიანურდა.

1938 წლის 3 თებერვალს სსრკ სახკომსაბჭოს დადგენილებით სამლოცველო სახლები მორწმუნეებს არენდით გადაეცათ.

სამამულო ომის პერიოდში გერმანელმა ფაშისტებმა გაანადგურეს და შეურაცხყვეს სსრკ ტერიტორიაზე 1670 ეკლესია, 237 რომაულ კათოლიკური სამლოცველო... 532 სინაგოგა და 258 რელიგიური კულტებისადმი კუთვნილი სხვა შენობა. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ინტენსიური საარტილერიო ცეცხლი და გერმანული ავიაციის დაბომბვა განხორციელდა რელიგიური დღესასწაულების დროს.

საბჭოთა მთავრობას იდეოლოგიურ ფრონტზე სიტუაციის გამწვავება ხელს აღარ აძლევდა და მისი პოლიტიკაც მოქალაქეთა სინდისის მიმართ ერთი შეხედვით უფრო ლოიალური გახდა.

მართლაც, მეორე მსოფლიო ომის დროს საქართველოს ეკლესიაში

მდგომარეობა რამდენადმე განიმუტტა. კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე სხვა კონფესიების ლიდერებთან ერთად, ანტიფაშისტური ფრონტის მხარეზე დაადგა, რის შედეგადაც საბჭოთა მთავრობამ ეკლესიას ბეგარა შეუმსუბუქა და შეწყვიტა სასულიერო პირების აშკარა რეპრესიები. მორწმუნეებმა ოდნავ ამოისუნთქეს.

გაჯანსაღდა ვითარება საერთაშორისო არენაზეც. 1943 წელს აღდგა ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის. დამყარდა კავშირი სხვა მართლმადიდებელ თუ არამართლმადიდებელ ეკლესიებთან, საერთაშორისო რელიგიურ ორგანიზაციებთან.

განსაკუთრებული სამთავრობო აქტით 1944 წელს სსრკ რელიგიურ ორგანიზაციებს უფლება მიეცათ შესაბამისი სახელმწიფოებრივი ორგანოების ნებართვით შეერთებინათ, არენდით აეღოთ ან ეყიდათ მათთვის აუცილებელი მასალა, შენობა, შეეძინათ სატრანსპორტო საშუალებანი. ასევე ჰქონოდათ სპეციალური სასულიერო სკოლები, რომლებიც მოამზადებდნენ ღვთისმსახურებისთვის საჭირო კადრებს. შეექმნათ სახელოსნოები საჭირო საკულტო საგნების დასამზადებლად. გამოეცათ ბიბლია, ლოცვები, რელიგიური კალენდარი და მათთვის სასურველი რელიგიური ლიტერატურა.

1944 წელს ევანგელისტი ქრისტიანები, ხოლო 1945 წელს ორმოცდაათიანელთა ნაწილი ბაპტისტებთან გაერთიანდა (თბილისელმა ორმოცდაათიანელებმა უარი განაცხადეს გაერთიანებაზე). 1963 წელს მათ შეუერთდა მენონიტთა ნაწილი.

ორმოცდაათიანელები ევანგელიკური რწმენის სექტაა, რომელიც შეიქმნა XX საუკუნის დასაწყისში აშშ-ში, შემდეგ ნორვეგიაში გავრცელდა, იქიდან გერმანიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში. ჩვენში 1920 წლიდან იწყებს გავრცელებას. ორმოცდაათიანელთა რწმენით, როგორც ქრისტეს აღდგომის მეორმოცდაათე დღეს მოევლინა „სულიწმინდა", ასევე სექტის წევრს აქტიური ლოცვით შეიძლება მოევლინოს „სული წმინდა" და „უცხო ენაზე" ისაუბროს იესო ქრისტესთან. ლოცვა სექტაში საათობით გრძელდება.

ორმოცდაათიანელთა ძირითადი რელიგიური რიტუალია „პერისტეხა", რომელსაც სექტის წევრთა ერთმანეთთან მჭიდრო დაკავშირებისათვის იყენებენ. მათი წესის მიხედვით ინათლება მხოლოდ მოზრდილი ადამიანი.

რაც შეეხება მენონიტებს, ეს ტერმინი მოდის სექტის დამაარსებლის, ჰოლანდიელი მღვდლის მენნო სიმონსის (1492-1559 წწ.) სახელიდან. მენონისტები – „მომნათვლელნი", ანაბაბტისტების სექტა გამო-

ეყო ამ პროტესტანტულ მიმდინარეობას გლეხთა ომის შემდეგ (1524-1525 წწ.). დეკლარაცია გამოაქვეყნეს 1652 წელს. უარყოფდნენ ბავშვობის ასაკში ნათლობას, თემობას, რასაც ცვლის მმართველობა, და საეკლესიო იერარქიას. მისი საერთაშორისო ორგანო – კონფერენცია მოქმედებს შეერთებულ შტატებში. აქვთ ორგანიზაციები ამსტერდამში და სხვ.

რუსეთის იმპერიაში ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში გამოჩნდნენ ტავრის გუბერნიაში. 1927-1928 წლებში წავიდნენ საზღვარგარეთ. მოგვიანებით ნაწილი დაბრუნდა. თემში თანასწორობა აქვთ, იციან ქრისტესავით მდაბიოთა ფეხის განბანვის რიტუალი, სწამთ მეორედ მოსვლა და იესოს ათასწლოვანი მეუფება. ბოროტებაზე ძალით პასუხის გაცემას უარყოფენ, სიკეთისა და მორალის სრულყოფას ქადაგებენ.

ომის შემდგომ პერიოდში და განსაკუთრებით 50-იან წლებში დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დადგა ბაპტისტური ეკლესიისათვის კადრების მომზადების საკითხი. საჭირო იყო არა მხოლოდ მორწმუნეთა რაოდენობის ზრდა, არამედ ახალი კადრები, რომლებიც მიიღებდნენ წინა თაობის ესტაფეტას და უზრუნველყოფდნენ ბაპტისტური ეკლესიის აღმავლობას ახალ ისტორიულ ეტაპზე.

ნითელწყაროს რაიონში ბაპტისტების უმრავლესობა რუსეთიდან იყო ჩამოსული. მხოლოდ 8 სული იყო ადგილობრივი. ბაპტისტები ყოველ კვირას იკრიბებოდნენ ერთ-ერთი მორწმუნის ბინაში.

1956 წლისათვის საქართველოში ფუნქციონირებდა 200 ეკლესია და სამლოცველო სახლი. აქედან ყოველდღიურად მოქმედებდა 8, ყოველ კვირას და რელიგიურ სადღესასწაულო დღეებში 30, წელიწადში 2-3-5-ჯერ 8. მხოლოდ ერთი – მცხეთაში, სამთავროს წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში არ მიმდინარეობდა რელიგიური მსახურება.

საშუალო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ზოგიერთი სტუდენტი გამოცდების პერიოდში, ან ცხოვრებაში რაიმე წარუმატებლობის შემთხვევაში დახმარებისათვის მიმართავდნენ ღვთისმსახურებს.

მომქმედი სექტანტური ჯგუფების კვალდაკვალ ბოლო დროს შეიმჩნეოდა შემთხვევები, როდესაც ყალიბდებოდა ახალი, იზოლირებული სექტანტური ჯგუფები.

საქართველოს საერთაშორისო კონტაქტების გაფართოების შედეგად რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი რაოდენობის ტურისტები შემოდიოდნენ. ზოგიერთი მათგანი ახლო ურთიერთობას ამყარებდა მორწმუნეებსა და მათ ავტორიტეტებთან. საერთოდ, საეკლესიო და სექტანტური მოღვაწეობის აქტივიზაციაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ

ავტორიტეტები, რომლებიც დაბრუნდნენ სასჯელის აღსრულების ადგილებიდან. მათი პატიმრობა რელიგიური რწმენის გამო იყო განპირობებული.

1957 წლიდან ხელისუფლებამ გაამკაცრა რელიგიასთან დამოკიდებულება და საქართველოში მხოლოდ 43 ეკლესიას და 5 სამლოცველო სახლს შეუნარჩუნა ფუნქციონირების უფლება. მთელი 37 წლის განმავლობაში ეკლესიების მშენებლობა საერთოდ არ წარმოებდა.

1959 წელს თბილისში იყო ევანგელისტ-ქრისტიან ბაპტისტთა ერთი სამლოცველო სახლი დიდუბეში, რომელიც 954 წევრს აერთიანებდა. მათგან 254 მუშაობდა წარმოებაში და დანესებულებებში, დანარჩენი იყვნენ დიასახლისები და პენსიონერები. საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საბჭოში რეგისტრირებული იყო მხოლოდ ერთი სამლოცველო სახლი თბილისში ერთი რელიგიური თემით. მაგრამ, ფაქტობრივად, სამლოცველო სახლში მოქმედებდა სამი დამოუკიდებელი თემი – რუსული, სომხური და ქართული, რომლებიც ცალ-ცალკე ატარებდნენ რელიგიურ რიტუალებს და ჰყავდათ თავისი ხელმძღვანელები.

სამლოცველო სახლს მართავდა თემის საბჭო, რომელშიც შედიოდნენ ჩამოთვლილი ეროვნებების თემთა პრესვიტერები. თემთან ფუნქციონირებდა სარევიზიო კომისია ხუთი წევრით. ამასთან ერთად, თემის საქმიანობაში მონაწილეობას იღებდა ე. წ. „ოცეული" 40 კაცის შემადგენლობით.

რუსულ, ქართულ და სომხურ პრესვიტერთა დასახმარებლად თემებში აირჩიეს 26 მქადაგებელი, რომლებიც რელიგიურ შეკრებებზე გამოდიოდნენ ქადაგებით წმინდა წერილიდან.

ბაპტისტების თემი აწყობდა საღამოებს, სადაც კითხულობდნენ რელიგიურ ლექსებს. სამლოცველო სახლში შეიქმნა გუნდი, რომელიც მღეროდა მუსიკალური ინსტრუმენტის თანხლებით.

თბილისის სამლოცველო სახლის რიცხობრივი შემადგენლობა მკვეთრად იზრდებოდა. მაგალითად, თუ 1958 წელს წყლით მონათვლის დროს ევანგელისტ-ქრისტიან ბაპტისტთა თემში მიიღეს 46 ახალი წევრი, 1959 წელს უკვე – 176.

1960 წლისათვის „ექბ" ორგანიზაციაში (თემში) თავმჯდომარის თვიური ანაზღაურება 500 მანეთს შეადგენდა. ასევე, დამლაგებლის ანაზღაურება 500 მანეთი იყო.

50-იან წლებში თბილისის ადვენტისტთა თემი 26 კაცს ითვლიდა. რადგან მათი ეკლესია აღარ მოქმედებდა, ამიტომ რიტუალებს ატა-

რებდნენ შეთანხმებით, დიდების შესახვევში №8, ბაპტისტთა სამლოცველო შენობაში.

1958 წლის 22 მარტს რელიგიური რიტუალების შესრულების დროს სამლოცველო სახლში შეიჭრნენ სუკ-ის თანამშრომლები, რომლებმაც შეანყვეტინეს ღვთისმსახურება, წაართვეს ლიტერატურა, როგორიც იყო 1927 წელს მოსკოვში ოფიციალურად დაბეჭდილი კრებული – სასულიერო სიმღერები „სიონის ფსალმუნები".

აქვე აღვნიშნავთ, რომ 1941 წელს ბაპტისტების ქართული, რუსული და სომხური ჯგუფები გაერთიანდნენ. 1964 წელს მათ შეუერთდა ოსური თემი.

ამჟამად თბილისის გარდა ბაპტისტური ეკლესიები მოქმედებენ გურჯაანში, ბოლნისში, წყალტუბოში, ზუგდიდში, ფოთში, თიანეთში, მცხეთაში და სხვ.

1991 წლის მარტში შეიქმნა საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების კავშირი, რომელშიც გაერთიანდა საქართველოში მოქმედი 30-მდე ბაპტისტთა ეკლესია 7000-მდე წევრით. იმავე წლის 25 სექტემბერს ქალაქ ვარნაში ევროპის ქრისტიან ბაპტისტთა ფედერაციის საბჭოს სხდომაზე საქართველოს ბაპტისტთა კავშირი მიიღეს ფედერაციის სრულუფლებიან წევრად.

1992 წლის 11 ივლისს ქალაქ მონტეგო-ბეიში (იამაიკა) – საქართველოს ბაპტისტთა კავშირი მსოფლიოს ქრისტიან ბაპტისტთა კავშირის (გაეროს არასამთავრობო ორგანიზაცია) წევრი გახდა.

ბაპტისტთა უმრავლესობა ცხოვრობს თბილისში. კავშირი უშვებს გაზეთს „უფლის ხმას" (1992 წლიდან) და ჟურნალ „ბეთლემს" (1991 წლიდან).

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ კიდევ უფრო გააძლიერა ბაპტისტური ეკლესია. 2001 წლის 5 თებერვალს საქართველოს საპატრიარქომ ბაპტისტების თემთან გააფორმა დოკუმენტი, რომელშიც ვკითხულობთ: „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და საქართველოში სახარების ქრისტიანთა ბაპტისტური ეკლესია გმობენ რელიგიურ ფანატიზმს... და პროზელიტიზმს. ორივე მხარე მოვალეობას იღებს ეს საერთო განცხადება გააცნოს საკუთარ მრევლს". ხელს აწერენ არქ. ზენონი და ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოს-პრეზიდენტი მალხაზ სონღულაშვილი.

ამავე დროს რელიგიურ მიმდინარეობებს შორის გარკვეულწილად ურთიერთობა დაიძაბა. კერძოდ 2003 წლის 24 იანვარს, რომელიც მსოფლიოს ქრისტიანთა დღედ იყო გამოცხადებული, თბილისში, ევან-

გელურ-ბაპტისტური ეკლესიის ცენტრალურ სამლოცველო სახლში (კედიას ქ. 6), ეკუმენური ლოცვა დაინიშნა. ამ ფორუმში მონაწილეობა უნდა მიეღოთ კათოლიკეთა, ლუთერანთა, სომეხ-გროგორიანთა და ბაპტისტთა ეკლესიების წარმომადგენლებს, აგრეთვე იმ მართლმადიდებელ სასულიერო პირებსა და მორწმუნეებს, რომლებიც ეკუმენურ მოძრაობაში ინდივიდუალურად მონაწილეობდნენ.

როდესაც ფორუმის მონაწილეებმა და სტუმრებმა (საზოგადოებისა და ხელისუფლების სხვადასხვა ფენისა და რანგის წარმომადგენლებმა, ასევე დედაქალაქში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა) შეკრება დაიწყეს, აღნიშნულ სახლს მოქალაქეების ჯგუფი მოადგა. ისინი შეიჭრნენ შენობაში და დაარბიეს იგი, დახიეს რელიგიური ლიტერატურა და დაიწყეს სათავსოების რბევა, სადაც, მათივე თქმით, „ანტიმართლმადიდებლურ ლიტერატურას" ეძებდნენ. პოლიცია, რომელიც ღონისძიების ორგანიზატორებმა რამდენიმე დღის წინათ გააფრთხილეს, დაგვიანებით მოვიდა, მაგრამ არც მაშინ იღონა რამე, რომ თავდამსხმელთა ქმედებანი აელაგმა და აქტივისტები დაეკავებინა. მეტიც, სამართალდამცავები მათ დაუბრკოლებლად გადაადგილების საშუალებას აძლევდნენ, მაშინ როდესაც მასპინძლებს ამ უფლებას უზღუდავდნენ. თვითმხილველის მიხეილ ნანეიშვილის სიტყვით: „გამომწვევ დამოკიდებულებას ვხედავდი პოლიციის თანამშრომლებისაგან, რომლებიც უხეშობდნენ სალოცავად მოსული საზოგადოების მიმართ..." ვინაიდან ვითარების განმუხტვა ვერ მოხერხდა, ორგანიზატორებმა ღონისძიება გადადეს.

აღნიშნულ ინცინდენტს საინფორმაციო საშუალებები როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ ვრცლად გამოეხმაურნენ. არამართლმადიდებლების არც ერთ დარბევას ასეთი მასშტაბური რეზონანსი არ მოჰყოლია. მორიგი ეკუმენური ლოცვა იმავე ეკლესიაში 14 მარტს შედგა.

საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტურ ეკლესიას 2003 წლის 30 მარტიდან 6 აპრილის ჩათვლით პატიმართა კვირეული უნდა მოეწყო. ამ ეკლესიის მსახურები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები მე-5 ქალთა და არასრულწლოვანთა კოლონიებში შესვლას აპირებდნენ. დაგეგმილი იყო მუსიკალური სპექტაკლის „სიცოცხლის სარკის" წარმოდგენა, ანსამბლ „მენორას" კონცერტი, ჰუმანიტარული პროდუქტებისა და ტანსაცმლის დარიგება. მაგრამ ამის უფლება არ მისცეს.

მაჰმადიანები

ყველა რელიგია თავისი არსითა და მოძღვრებით, განსხვავდება სხვა ნებისმიერი რელიგიისაგან და ყველას მიაჩნია, რომ მისი რწმენა არის ჭეშმარიტი. რელიგიური მსოფლმხედველობა გაბატონებულ პოზიციებზე რჩება მაჰმადიანურ მოსახლეობას შორის. აღმოსავლეთში მრავალი ხალხის ცხოვრებაში ეროვნული თვითშეგნების ფორმირების პროცესი ჯერაც არ არის დასრულებული, ამიტომ, პოლიტიკური ვითარება ადამიანების მიერ ფასდება ძირითადად რელიგიის პრიზმით.

ისლამის რელიგია არ ცნობს ადამიანთა ერებად, ეროვნული კულტურისა და ფსიქოლოგიის შესაბამისად დაყოფას. ხალხთა განსხვავებულ ნიშნად აქ აღებულია რელიგიური კუთვნილება – მუსულმანობა და არამუსულმანობა. მორწმუნე მაჰმადიანთა ყოველდღიურ ცნობიერებაში სიტყვა „მუსულმანმა" მიიღო ეროვნულის ტოლფასოვანი შინაარსი.

XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში თურქეთის ლიდერი თურქუთ ოზალი აღნიშნავდა: „თურქთა ერთიანობა ემყარება იმას, რომ ყველანი თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქენი ვართ, ყველა ვინც დაიბადა და ცხოვრობს ამ მიწაზე არის თურქეთის მოქალაქე პირველი და მეორე ხარისხის ადამიანებად დაყოფის გარეშე, მაგრამ ჩვენს ეროვნულ ერთიანობაში მთავარია ისლამი".

რელიგიური ტოლერანტობის თვალსაზრისით საქართველოს ვერ შეედრება ვერცერთი სხვა ქვეყანა, აქ უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის ადამიანები და მათ ქართველთგან პრობლემები არ შექმნიათ. ერთი სერიოზული ცნობაც არ მოიპოვება ჩვენს სიტორიაში, რომელიც უარყოფდა ამ შეხედულებას.

მაგალითისათვის ერთი ფაქტიც იკმარებდა ახალი პერიოდისათვის, რომელიც ასახავს ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული კათალიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის ცხოვრების ერთ ეპიზოდს:

სასულიერო პირთა ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომელიც რუსი ეგზარქოსის მეთაურობით მიმდინარეობდა, ეს მაღალი სამღვდელო პირი ალუშფოთებია იმ გარემოებას, რომ წმინდა ნინოს სასწაულებლის ეზოში პატარა მეჩეთი ყოფილა აგებული მუსულმანებისათვის. ამ ფაქტს ეგზარქოსი გაუბრაზებია და როცა აღნიშნულის თაობაზე განმარტება მოუთხო-

ვია, მუფუ კალისტრეტეს (რომელიც მაშინ მღვდელის ხარისხში იყო) მიუგია, რომ ასეთი ფაქტი საესებით ნორმალურად მიაჩნია და რომ ადამიანები ღმერთს ლოცვას ალუვლენენ თავიანთი შეგნების, ცოდნისა და განვითარების შესაბამისად, ტაძარიც და მეჩეთიც ერთი ცარგვალის ქვეშაა და არაფერია აქ გასაკვირი.

საქართველოში ისლამის მიმდევართა შორის ხუთზე მეტი ეროვნების წარმომადგენელია და თითოეულ მათგანში თავისებურად ვლინდება რელიგიურისა და ეროვნულის გაგება.

ყოფილ „საბჭოთა კავშირში" მოსახლეობის კონფესიური შემადგენლობა არ აღირიცხებოდა. მებძოლი ათეიზმის ქვეყანაში რელიგია „კანონგარეშე", საზოგადოებრივი განკიცხვისა და ისტორიული გადმონაშთის რანგში განიხილებოდა, რის გამოც ოფიციალური სტატისტიკა აღმსარებლობის შესახებ არ არსებობდა. საქართველოში პირველად 2002 წელს დადგინდა მოსახლეობის კონფესიური სტრუქტურა. აღწერის მიხედვით მთლიანი მოსახლეობის 88,6 პროცენტი ქრისტიანული აღმსარებლობისაა, მაჰმადიანური მოსახლეობის რიცხვი 9,9 პროცენტს შეადგენს, იუდეველებისა – 0,1-ს, სხვების – 0,8-ს და 0,6 არცერთს არ მიაკუთვნებს თავს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მცხოვრები არცერთი ეროვნება არ არის მონოკონფესიური. გარდა საკუთარი ტრადიციული აღმსარებლობისა, ყველა ეთნოსში გვხვდებიან სხვა ძველი თუ ახალი აღმსარებლობის მიმდევრები.

მაჰმადიანური მოსახლეობის რიცხვი 433784-ს ანუ მთელი მოსახლეობის 9,9 პროცენტს შეადგენს. მათ შორის ქართველი 139124 მაჰმადიანია, რაც ქართველების 3,8 პროცენტია. ეთნიკურად ყველაზე მრავალრიცხოვან მუსულმანურ თემს ქმნიან აზერბაიჯანელები, რომლებიც იმამიტი შიიტები არიან. მათი რიცხვი 1989 წლის მონაცემებით 307556-დან უმნიშვნელოდ შემცირდა და შეადგინა 284761. აზერბაიჯანული მრეველი, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში მათშიც გაძლიერდა ისლამი და მეჩეთებისა თუ სასულიერო სკოლების გახსნა საერთო ტენდენციად იქცა, არის კანონმორჩილი და მშვიდობიანი. მათი ძირითადი ნაწილის ტრადიციული ისლამისადმი ერთგულებაც ამის ხელშემწყობი პირობაა.

მუსლიმურ კონფესიას მიაკუთნებს თავს საქართველოში მცხოვრები 7110 ქისტი, რომელთა რწმენა ისლამის სოფიური ფორმაა, კერძოდ კადირიისა და ნაყშბანდის მიმდინარეობები. ქისტების რწმენაში შერწყმულია სუფიზმის დოგმატიკა და საკულტო პრაქტიკა და ძველი, ადგილობრივი რელიგიური რიტუალები. სუფიური მოძღვრების ასიმილირებამ

ადგილობრივ ტრადიციებთან განაპირობა ისლამის რაციონალური, თვითმყოფადი ხასითის ჩამოყალიბება.

საინტერესოა, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას მტრულად შეხვდა ზოგიერთი მაჰმადიანი. მაგალითად ახალციხეში ადგილობრივ მოსახლეობიდან ცნობილი იყო ომარ ეფენდი ომარ ფაიქის სახელით. საქართველოს რევკომმა ომარ ფაიქი თავის წარმომადგენლად დანიშნა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრაში. ფაიქმა პატრიოტული პოზიცია დაიკავა. მან შეკრიბა მოსახლეობა და მოუწოდებდა აღენიშნათ 26 მაისის დღესასწაული – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენა. შემდეგ, საზოგადოების გავლენიან წარმომადგენლებთან ცალკე შეხვედრის დროს მოუწოდა, რომ მზად ყოფილყვნენ არსებული წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად. მაჰმადიან მოსახლეობას ომარ ფაიქმა შეახსენა, რომ ქართველი მენშევიკები 26 მაისს მოაწყობდნენ გამსვლებს და ქართველ მაჰმადიანებს მათთან ერთად უნდა ემოქმედათ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებელი რესპუბლიკების აღსადაგენად. ასეთივე მუშაობას ეწეოდა ომარ ფაიქი აწყურსა და სხვა რაიონებში.

20-იანი წლების ბოლოს სამხრეთ საქართველოში მოლების დიდი რაოდენობით ყოფნა აიხსნებოდა იმ გარემოებით, რომ თურქეთში რელიგიური რეფორმის გატარების შედმეგ დაბალკვალიფიციური ღვთისმსახურები ფაქტის წინაშე აღმოჩდნენ: დარჩენილიყვნენ სამუშაოს გარეშე. ამიტომ მათ დატოვეს თურქეთი და საქართველოს მიაშურეს, კერძოდ ახალციხის მაზრას. 1929 წელს მხოლოდ სოფელ ლილოვანში მოლების რიცხვმა თორმეტს მიაღწია. თავის დროზე მესაზღვრეებმა და სათაანდო უწყებებმა ვერ გამოიჩინეს სიფრთხილე, აღეკვეთათ საზღვრის დარღვევის შემთხვევები. ამდანად, თურქეთიდან გადმოსულმა მოლებმა საიმედო თავშესაფარი ჰპოვეს საქართველოს ტერიტროაზე.

მუსლიმანურ სასულიერო წოდებას ძლიერი გავლენა გააჩნდა თურქულ მოსახლეობაზე. მოლების ტრადიციული ავტორიტეტი შენარჩუნებული იყო. მაგალითად, სოფელ მუხის მცხოვრები 70 წლის შერიფ ეფენდი ერთ-ერთ მეცნიერად ითვლებოდა მაზრაში მაჰმადიანებს შორის. მას მიიჩნევდნენ მაჰმადიანური სასულიერი წოდების იდეურ ხელმძღვანელად. აქვე აღვნიშნავთ, რომ შერიფ ეფენდის დიდ გავლენას გლეხობასა და სასულიერო წოდებაზე მისი განათლებაც განსაზღვრავდა. ის 25 წლის განლავლობაში სწავლობდა და მოღვაწეობდა კონსტანტინეპოლში, დაამთავრა სასულიერო სასწავლებელი....

მოლების რელიგიურ მუშაობაში მოკავშირედ გამოდიოდა შეძლებული გლეხობა. საერთოდ, სოფელში ყველაზე განათლებულ ადამიანებად მოლები ითვლებოდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც თემსაბჭოს წერა-კითხვის უცოდინარი წევრები თხოვნთ მიმართავდნენ მოლებს ნაკითხათ მათთვის საქმიანი ქაღალდები და ცირკულარები. მრავალ სოფელში მოსახლეობა მიღებულ გაზეთებს მოლებს გადასცემდა, რომლებიც კითხვისას თავისებურად, ალბათ უფრო ობიექტური ინტერპრეტაციით განუმარტავდნენ გლეხებს წაკითხულის შინაარსს და განაწყობდნენ არსებული წყობილებისადმი უარყოფითად.

მართალია 1928-1929 წლებში ახალი მეჩეთები აღარ შენდებოდა, მაგრამ ამთავრებდნენ 1923-1925 წლებში დაწყებული ნაგებობების მშენებლობას. მიმდინარეობდა მეჩეთების შეკეთება-რესტავრაცია შემოწირულობის ხარჯზე. ერთგვარ სტიმულს წარმოადგენდა მოლების ქადაგება, რომელიც ამ შემთხვევაში ინფორმაციულ ხასიათს ატარებდა. მოლები უხსნიდნენ გლეხებს რელიგიისა და მეჩეთების მნიშვნელობას. რელიგიური საკითხების მოსაგვარებლად იქმნებიდა კომისიები, სადაც ძირითადად მდიდარი მაჰმადიანები იყვნენ გაერთიანებული. კომისიის წევრთა შორის მთავარ ფიგურას მოლა წარმოადგენდა, რომლის ხელმძღვანელობით მუშაობდა კომისია.

ადიგენის თემში ზოგჯერ წერილობით მოუწოდებდნენ მორწმუნეებს გაელოთ დანაზოგი მეჩეთების შეკეთება-რესტავრაციისათვის. სწორედ მორწმუნეთა მატერიალური შემწეობით დასრულდა ადიგენის მეჩეთის – „ზაკაფ“ – მშენებლობა. ასეთი ფაქტები მრავალი იყო.

ხელისუფლება ენერგიულად ცდილობდა ანტირელიგიური პროპაგანდის ცხოვრებაში გატარებას. განაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მაჰმადიანური დღესასწაულების „ყურბან-ბაირამის“ და „მოჰარამის“ საწინააღმდეგო აგიტაციას, აქცენტი გადატანილი იყო სიღნაღისა და ბორჩალოს მაზრების მაჰმადიანურ მოსახლეობაზე. ამასთან დაკავშირებით იწერდნენ ანტირელიგიურ ლიტერატურას და პლაკატებს თურქულ ენაზე აზერბაიჯანიდან.

მუსლიმანური დღესასწაულების მოახლოებისას ანტირელიგიურ კამპანიაში რთავდნენ თეატრალური ხელოვნების წარმომადგენლებს. იქმნებოდა მოძრავი დასი, რომლებიც სპექტაკლებს მართავდნენ თბილისის, ბორჩალოსა და სიღნაღის მაზრებში. ამ მიზნით 1928 წელს მაჰმადიანურ მოსახლეობას აჩვენეს შემდეგი სპექტაკლები: 1.„ოლოლუარ“ (მიცვალებული), 2. „ჯახანამი“ (ჯოჯოხეთი), 3. „მოლები და გლეხები“, 4. „მავერამი“, 5. „მუქთახორები“, 6. „მავერამ-აშურა“. აღ-

ნიშნული ღონისძიებების გასატარებლად განსახკომმა გაილო 300 მანეთი. სპექტაკლებში მონაწილეობას იღებდნენ თურქი მსახიობები.

„მოპარამის" საწინააღმდეგო კამპანიის დროს (25 მაისიდან 10 ივლისამდე) შინსახკომი იწვევდა თბილისის მეჩეთების და ყველა „ტაკიას" ხელმძღვანელობას, რომელთაც უტარებდნენ ახსნა-განმარტებას „შახსეი-ვახსეის" მავნებლობისა და ქალაქის ქუჩებში რელიგიური პროცესების აკრძალვის შესახებ.

1927 წელს თბილისის მაზრის ყარაიაზის თემის ტერიტორიაზე დაიხარა ორი მეჩეთი. მოლები ამის შემდეგ ჩაებნენ სოფლის მეურნეობაში. იყვნენ კერძო მოლებიც, რომლებიც ემსახურებოდნენ გლეხობის შედარებით რელიგიურ, კონსერვატიულ ნაწილს. რელიგიური რწმენით ყველაზე მეტად გამოირჩეოდნენ ქესალოსა და ნაზარლოს მცოხვრებლები.

შემდგომ პერიოდში რელიგიისადმი დამოკიდებულება კვალავ გამოცოცხლდა. 1945 წლის 20 ოქტომბერს რეგისტრაციაში გატარდა თბილისში მცხოვრები ყაზანელი თათრების რელიგიური საზოგადოება. 1957 წელს მათი აღმასრულებელი ორგანო განთავსებული იყო ბოტანიკური ქუჩაის №32-ში.

1945 წლის 5-16 დეკემბერს საქართველოს აზერბაიჯანულმა მოსახლეობამ, რომლებიც რელიგიური თვალსაზრისით „შიიტები" იყვნენ, ჩაატარა რელიგიური დღესასწული „შახსეი-ვახსეი". განსაკუთრებით დიდი პომპეზურობით ჩატარდა ყარაიაზის (იგივე გარდაბანი) რაიონში, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ექვსი სოფლის მცხოვრებნი. აზერბაიჯანელები ამ დღესასწაულის აღსანიშნავად საგანგებოდ ემზადებოდნენ. მიუხედავად ანტირელიგიური მუშაობისა ხელისუფლების მხრიდან დღესასწაული მაინც ჩატარდა. რიტუალის დროს, როგორც მიღებული აქვთ ადგილი ჰქონდა თვითგვემას. შიიტები ასევე კლავდნენ საქონელს, კერძოდ, სოფელ ჯანდარაში მათ შეკრიბეს 27 კოდი სიმინდი, რითაც იყიდეს ერთი ძროხა. სოფელ აღთალალაში მორწმუნეებმა შეაგროვეს 10200 მანეთი და ორი ძროხა იყიდეს. საქონელი მათ მსხვერპლშესაწირად გამოიყენეს. ამავე სოფლის სამი კომუნისტიც იღებდა მონაწილეობას რიტუალის შესრულებაში. მოსახლეობასთან ერთად მაჰმადიანმა კომუნისტებმა და კომკავშრელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს უკვე თბილისში შაჰ-აბასის სახელობის მეჩეთში ჩატარებულ რელიგიურ დღესასწაულში. შაჰ-აბასის მეჩეთში რიტუალი ორი დრე გაგრძელდა. აღსანიშნავია, რომ დღესასწაულში მონაწილეობას იღებდა ყარაიაზაის რაიალმასკომის თავმჯდომარის ჰასან ყურბანოვის მეუღლე ქალიშვილთან ერთად, ყურბანოვა ხანუმ იაყუბ ყაზი, რაც იმ დროს დიდ რისკთან იყო დაკავშირებული.

„გასაბჭოებამდე“ აშურა უცხო არ იყო საქართველოს იმ რაიონებში, სადაც შიიტები ცხოვრობდნენ. ბორჩალოს მაზრაში შიიტ აზერბაიჯანელთა შორის ასეთი სამგლოვიარო ცერემონიები ზოგჯერ თვითმკვლელობითაც მთავრდებოდა. აშურა ფართოდ აღინიშნებოდა თბილისში და სახეშეცვლილი ფორმით, შეზღუდული სახით, ჩვენს დროშიც იმართება (თათართა მოედანზე მუსლიმთა ერთადერთ მეჩეთში), ზემო ვეძისში, კერძო პირთა სახლებში და გარეუბნებში – სოლანლუღსა დ მსხალდიდში.

შაჰ-აბასის სახელობის მეჩეთი, რომელიც მდებარეობდა ყოფილი მეჩეთის ქუჩაზე №1, აღბულ იქნა ქუჩისა და ხიდის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ბოტანიკური ქუჩის №32-ში მდებარე მეჩეთს მორწმუნეთა გადმოცემით შენობა ააგეს 1905 წელს. მეჩეთს ემსახურებოდა 2 მოლა. პარასკევობით მეჩეთში მიდიოდა დაახლოებით 200-მდე მორწმუნე, ხოლო „ურაზა-ბაირამისა“ და „ყურბან-ბაირამის“ დღესასწულზე 300.

აღნიშნულ მეჩეთს ეწოდებოდა „ჯუმა“. რადგან თბილისში დარჩა მხოლოდ ერთი მეჩეთი, მოხდა შეთანხმება შიიტებსა და სუნიტებს შორის. ორივე მიმდინარეობის მორწმუნეები კარგ ურთიერთობაში იყვნენ ერთმანეთთან, რაც იშვიათი შემთხვევა იყო. სუნიტების რაოდენობა 1000-მდე, ხოლო შიიტებისა 6000-მდე აღწევდა. ნამაზის დროს მეჩეთში შესული ქალებისათვის ცალკე ადგილი იყო გამოყოფილი შენობის ზედა სართულზე.

მეორე მომქმედი მეჩეთი საქართველოში იყო ბათუმში, რომელიც რეგისტრაციაში გატარდა 1946 წლის 29 ოქტომბერს. მეჩეთი აშენდა XX საუკუნის დასაწყისში. მეჩეთს ემსახურებოდა მოლა. პარსკევობით 100 მორწმუნე მოდიოდა, ხოლო დღესასწულზე 1000 კაცი.

საერთოდ, 50-იან წლებში ისლამური რელიგია აჭარაში და კერძოდ ბათუმში კიდევ უფრო გაძლიერდა. რამაზანის თვეში მეჩეთში მორწმუნეთა რაოდენობა ხშირად 300 კაცს აღწევდა. ხოლო „ბაირამობის“ დაწყებამდე მეჩეთში ღამეს ათევდა 400 ადამიანი, რომელთა შორის მრავალი ჩამოსული იყო აჭარის სხვადასხვა სოფლიდან. 1954 წელს „ბაირამობის“ დღესასწაულზე მორწმუნეთა საერთო რაოდენობამ 2500 მიაღწია.

ამავე პერიოდში აღდგა მივიწყებული რელიგიური ტრადიცია, როდესაც მიცვალებულს იმამის მიერ თურქულ ენაზე დაწერილ წერილს ატანენ, ე. წ. „ედინამე“, რათა გარდაცვლილი სამოთხეში მოხვედრილიყო.

მხოლოდ 1954 წელს რამაზანის დროს მარხვა შეინახა ახალგაზრდების 30%-მა და ქალების 50%-მა. „ბაირამის“ დღესასწაულზე მეჩეთში 3100 მანეთი შემოწირულობა შევიდა.

ჯერ კიდევ 1948 წელს შეიხ-ულ ისლამმა ალი-ზადემ მამედ-ალი დიასამიძე დანიშნა აღმოსავლეთ საქართველოს ღაზ-ის თანამდებობაზე ნადირ-შახ დერვიშ ოღლის ნაცვლად, მაგრამ დიასამიძემ უარი განაცხადა ბათუმიდან თბილისში გადმოსვლაზე. უარს იმით ასაბუთებდა, რომ თბილისის მუსლიმანთა საზოგადოება ღარიბი იყო და ვერ შეძლებდა მისთვის ანაზღაურების მიცემას. თუმცა დიასამიძის კანდიდატურასთან კრიტიკული დამოკიდებულება ჰქონდა სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიურ საქმეთა სრულუფლებიან წარმომადგენელს აზერბაიჯანში შახბაზბეკოვს. მისი აზრით დიასამიძეს არ გააჩნდა სპეციალური სასულიერო განათლება, სუსტად იცოდა ყურანი, რელიგიური მეცნიერების დოგმები და სხვ. ამიტომ მორწმუნეებში ავტორიტეტის შექმნას ვერ შეძლებდა.

დღეისათვის საქართველოს მაჰმადიანური, განსაკუთრებით აზერბაიჯანული მოსახლეობა პოლიტიკურ და რელიგიურ იმპულსებს აზერბაიჯანის, ირანის დ თურქეთის სახელმწიფოებიდან ღებულობს, ამიტომ საზღვრის მიღმა განვითარებილი პროცესები ამ კონტინგენტშიც პოულობს ასახვას.

კრიშნაიტები

არაოფიციალურ გაერთიანებებს მიეკუთნებიან არატრადიციულ რელიგიათა მიმდევრებიც. მაგალითად, კრიშნაიტები, რომლის მიმდევართა საერთაშორისო საზოგადოება ჩამოყალიბდა აშშ-ში 1967 წელს. ამ მიმდინარეობის დამაარსებელი გახდა ნარმოშობით ინდოელი ა.ს. ბხაქტივე-დანტა სვამი პრაბხუა ცადი. 1971 წელს მისი ფუძემდებელი საბჭოთა კავშირშიც ჩამოვიდა და შეხვდა ახალგაზრდების ჯგუფს, რომლებიც სწავლობდნენ მის შრომებს. ახალი სარწმუნოების პირველი თაყვანისმცემელი საბჭოთა კავშირში გახდა ანატოლი პანოვი. კრიშნას მიმდევრები რეგისტრაციაში გაატარა ყოფილი საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ 1988 წელს.

კრიშნას მოძღვრებისადმი მიდრეკილება ახალგზარდობაში ინვევს ეგზოტიკური რეტუალების შესრულების სურვილს. მათ სიამოვნებას ანიჭებს თავისებურად ნარმოსათქმელი ტერმინები, ტანსაცმლის ექსტრავაგანტური სტილი. კრიშნაიტებისათვის დამახასითებელია განსაზვრული ცხოვრების ნესი – არ უნდა დალიონ სპირტიანი სასმელები. ასევე ყავა და ჩაი. არ უნდა მიიღონ ნარკოტიკები, თამბაქო, ხორცი, თევზი. სექსუალური ურთიერთობა შეიძლება მხოლოდ შთამომავლობის გამრავლების მიზნით.

კრიშნას ჯგუფის წევრებმა ოჯახთან უნდა გაწყვიტონ ურთიერთობა. ცნობილია შემთხვევები როდესაც ახალგაზრდებმა მიატოვეს მოხუცი მშობლები, რათა უფრო მეტად შეეყვარებინათ კრიშნა. ბიჭებმა თავი უნდა გადაიპარსონ. ზოგჯერ შუბლზე ატარებენ განსაკუთრებულ ნიშანს, რომელიც გარეგნულად რუსულ ასო „у"-ს მოგვაგონებს.

არაოფიციალურ-არაფორმალთა ისეთი ჯგუფები, როგორიც არის ჰიპები, პანკები, როკერები, ფაშისტები, სატანისტები და სხვანი, ძირითადად მოქმედებენ მსხვილ ქალაქებში. „არაფორმალიტეტის" ურბანისტული ხასიათი შემთხვევით მოვლენას არა ნარმოადგენს. ქალაქი – ეს არის სოციალური და ეკონომიკური, ზნეობრივი და დემოგრაფიული, ეკოლოგიური და ფსიქოლოგიური პრობლემების კონცენტრაციის ადგილი განსაზღვრულ ტერიტორიაზე.

ძნელია წარმოიდგინო სოფლელი პანკი ამ ჰიპი. სოფლის საზოგადოებრივი აზრი ამ მხრივ ძალიან მკაცრია. სოფლელი არაოფიციალები ასეთი სახის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას მხოლოდ ქალაქად ყოფნის დროს ახორციელებენ.

როგორც ვხედავთ, არაოფიციალურ ფორმირებებში გაერთიანებული ახალგზარდების გატაცების საგანი მრავალმხრივია. ზოგიერთი მათგანი მხოლოდ ხარკია დროისა და ასაკისათვის, ამიტომ როგორც წესი, წარმავალია, ზოგიერთი კი შედარებით მდგრადია.

სატანისტები

ამ ცოტა ხნის წინათ რუსეთის ერთ-ერთი ქალაქის მორგიდან ღამით რამდენიმე გვამი გაქრა. ფაქტი ცნობილი გახდა მეორე დღეს, როდესაც ერთ-ერთი მიცვალებულის ახლობლები მოვიდნენ მიცვალებულის ნეშტის წასაღებად. გვამი აღმოჩნდა მორგიდან ცოტა მოშორებით უკაცრიელ ბინაში. თურმე ადამიანების გვამი აუცილებელი ყოფილა ახალგზრადების იმ ჯგუფისათვის, რომლებიც თავს სატანსიტებს უწოდებენ. ჯგუფის წევრების რიტუალური მოქმედება გვამზე მთავრდებოდა თავის ქალის ახდით, რიტუალში შედიოდა ეშმაკისადმი თაყვანისცემა.

სატანისტები თავიანთ ძირითად დანიშნულებას ხედავენ ღმერთის, ცისა და მორწმუნეების წინააღმდეგ ბრძოლაში. სატანისტების დღესასწაული 6 ივნისს აღინიშნება. ჭეშმარიტ სატანისტად ითვლება ის პირი, რომლის დაბადების დღე, თვე და დაბადების წელი, სახლის ან ბინის ნომერი ციფრი „6-ით მთავრდება.

სატანისტების პირველი ჯგუფები აღმოცენდნენ აშშ-ში 60-იან წლებში. ერთ-ერთი პირველი სექტა ჩამოყალიბდა სან-ფრანცისკოში, აქვე გამოიცა პირველი „სატანური ბიბლია".

თანამედროვე ეტაპზე აშშ-ში ითვლება 10 ათასზე მეტი სატანისტი. დაახლოებით 60 ათასი – დასავლეთ ევროპაში. 70-იანი წლების ბოლოს სატანისტების პირვლი ჯგუფები გამოჩნდნენ პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ხოლო 80-იან წლებში – საბჭოთა კავშირში.

სატანისტთა ზოგიერთ ჯგუფში შედიან ეშმაკის თაყვანისმცემელები, რომლებიც კოლექციის სახით აგროვებენ სხვადასხვა მისტიკურ საგნებს, როგორიც არის ადამიანის ჩონჩხი, თავის ქალა, ცხოველებისა და ფრინველების „ფრჩხილები".

სატანისტებს გააჩნიათ მათთვის დამახასიათებელი ატრიბუტები, რომლებიც ასრულებენ განსზღვრულ სასიგნალო ფუნქციებს. მათი წესის მიხედვით იცვამენ ყველაფერს შავს, ხელები ტატუირებული აქვთ. ისინი ხშირად სადისტურ აქტებს ატარებენ მცირეწლოვანებსა და ცხოველებზე, რაც სატანისტისათვის სასარგებლო საქმედ მიაჩნიათ. ზოგიერთ ჯგუფს აქვს ტრადიცია: დაიჭიროს კატა ან ძაღლი და წამებით მოკლან.

მათთვის დამახასიათებელია აგრეთვე ცხოველების სისხლის სმა, გაუკულმართებული სქესობრივი ურთიერთობა, ჯგუფური სექსი და სხვა.

სატანისტების კულტმსახურება ქადაგებს, რომ სატანა ყველა ადამიანშია. მთავარია მისი გამოვლენა და შესაძლებლობის გამოყენება.

მოსკოვის სატანისტთა ერთ-ერთი ჯგუფი ეშმაკის პატივსაცემად ხშირად აწყობს ცხოველთა მსხვერპლშენირვას (კატა, ძაღლი, ფრინველი და სხვ). ერთხელ მსხვერპლად შეარჩიეს პატარა ძაღლი, რომელიც ჯერ აწამეს, შემდეგ დაუწყეს კბენა. ძაღლის წამებით მოკვლის შემდეგ სატანისტებმა ერთმანეთს დაუწყეს კბენა, მათი გაგებით ასეთ საქციელში თურმე ყოფილა „კაეფი“.

აზერბაიჯანული და ქართული სკოლები

ერთა შორის ურთიერთობა დღეს არანაკლებ აღელვებს ჩვენს საზოგადოებას, ვიდრე ეკონომიური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული და სხვა უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ ეროვნული უმცირესობანი. ტერმინით „ეროვნული უმცირესობა" იგულისხმება ეროვნება, რომელიც ცხოვრობს სხვა ერის ტერიტორიაზე გაფანტულად ან თუნდაც კომპაქტურად და მთლიანობაში შეადგენს უმცირესობას ადგილობრივ (აბორიგენ) მოსახლეობასთან შედარებით.

ჩვენს ეპოქაში, როცა საქართველო თავისი ისტორიული განვითარების ახალ ფაზაში შევიდა, გადაჭრით დაადგა რეალური სუვერენიტეტისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზას, ერთა შორის ურთიერთობანიც, ცხადია, განიცდის გარკვეულ ცვლილებებს. მაგრამ, როგორც ძველი სიბრძნე მეტყველებს, სიახლე ხშირად დავიწყებილი სიძველეა.

საქართველოში მცხოვრებ არაქართულ მოსახლეობაში საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდა საკუთარი მენტალიტეტი, რაზედაც წინათ არ იყო ყურადღება გამახვილებული. ე. ი. არაქართული მოსახლეობა ყოველთვის არაერთგვაროვანი იყო. ხაზგასასმელია, რომ საქართველოში ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ არა მხოლოდ ისინი, ვისაც საქართველო მშობლიურ სახლად მიაჩნია, არამედ ისინიც, რომელთათვისაც საქართველო სასტუმროა. არიან ისეთებიც, ვინც ცდილობს მიითვისის ამ „სასტუმროს" საუკეთესო აპარტამენტები.

საბჭოთა სახელმწიფოს ოფიციალური იდეოლოგია, რომელმაც ნამოაყენა ვითომ ინტერნაციონალური დოქტრინა, სინამდვილეში წარმოადგენდა ნაციონალიზმს, რაც სახელმწიფო-სამართლებრივ რანგში იყო აყვანილი. საბჭოური იდეოლოგია ხალხს ყოფდა „მკვიდრ" და „არამკვიდრ", „ჩვენი" და „არაჩვენი" კატეგორიებად. მოსახლეობის ერთ ნაწილს უწოდებდა ერს, მეორეს – ეროვნებას, მესამეს ნაციონალურ ჯგუფს, რითაც შექმნა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერარქია ცენტრით სათავეში.

როგორც მაქს ვებერი აღნიშნავდა, „ერი გაპატიებს ინტერესთა შელახვას, მაგრამ არასოდეს – ღირსების შებღალვას". გამოვდიოდით რა რწმენიდან, რომ ისტორია გვასწავლის, რომ ისტორიული გამოც-

დილება უკვალოდ არ ქრება, ჩვენ ერთი მხრივ ხშირად ვცოდავდით სიმართლის წინაშე. გვერდს ვუვლიდით საკუთარ მსოფლმხედველობრივ პრინციპებს: სასურველი სინამდვილედ გვესახებოდა, ნახევრად სიმართლეს წარმოვადგენდით, როგორც მთლიანობაში მართალს...

თბილისში XVII საუკუნეში კერძო დაწყებითი სასწავლებლები ჰქონდათ სომხებს და მაჰმადიანებსაც. ამ სკოლებში სწავლება მათს მშობლიურ ენაზე იყო.

1811 წელს „თბილისის რჩევამ" საკუთარი ხარჯით გახსნა სახელოსნო სკოლა, სადაც სასწავლო პროცესი სამ ენაზე მიმდინარეობდა: ქართულად, რუსულად და სომხურად მოსწავლეთა ეროვნების მიხედვით. ზოგიერთი ავტორის აზრით, „ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ეროვნულ უმცირესობას საშუალება მიეცა მშობლიურ ენაზე მიეღო განათლება", რაც სიმართლეს არ შეეფერება.

თბილისში ჯერ კიდევ 1908 წელს გაიხსნა სკოლა სპარსელებისათვის სახელწოდებით „იტიფაგი". სკოლა მომსახურებას უწევდა სპარსული სასულიერო კადრების მომზადებას. სწავლა ხუთ წლიწადს გრძელდებოდა. ძირითადი კონტინგენტი სპარსეთის ქვეშევრდომებისაგან შედგებოდა.

როდესაც ვლაპარაკობთ, რომ 20-იანი წლების დასაწყისში ე. წ. „საბჭოთა საქართველოში" ეროვნულ უმცირესობას ჰქონდა საშუალება განათლება მშობლიურ ენაზე მიეღო, ამ დამსახურებას ბოლშევიკურ რეჟიმს მიანერდნენ ხოლმე. საქმე იმაშია, რომ საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში ამ მხრივ დიდი ტრადიციები დახვდა. მაგალითად, 1920-1921 სასწავლო წელს საქართველოს ქალაქებში ეროვნულ უმცირესობათა შემდეგი სკოლები არსებობდა: თბილისში 22 რუსული, 19 სომხური, 2 თათრული, 1 ბერძნული, 1 ოსური, 1 პოლონური, 2 გერმანული; თელავში 2 სომხური, სიღნაღში 2 სომხური; ბორჯომში 1 რუსული, 1 სომხური, 1 ბერძნული; ფოთში 1 რუსული; სოხუმში 1 სომხური; გუდაუთაში 1 ბერძნული; ახალციხეში 2 სომხური; მაზრების მიხედვით ასეთი მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურებოდა: სიღნაღის – 7 რუსული, 2 სომხური, 4 თათრული, 5 ოსური; თბილისის – 14 რუსული, 1 სომხური, 5 თათრული, 4 ბერძნული; გორის – 1 რუსული, 1 ბერძნული, 41 ოსური; დუშეთის – 1 ოსური; ბორჩალოს – 3 სომხური, 16 თათრული; ახალქალაქის – 1 რუსული, 1 სომხური; ჯუმისტის – 8 რუსული, 15 სომხური, 22 ბერძნული; ლორის – 6 სომხური; გუდაუთის – 5 რუსული, 6 სომხური, 3 ბერძნული; გაგრის რაიონი – 3 სომხური.

1923 წლის 10 ივლისს კოჯორში გაიხსნა აზერბაიჯანული სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები, რომლის ინიციატორი იყო განათლების კომისარიატის ინსტრუქტორი ალიზადე. იმავე წელს კოჯორში არსებული აზერბაიჯანული კურსებისათვის მიღებულ იქნა თურქული ანბანი – ლათინური ასოებით, ნაცვლად არაბულისა.

თბილისის მაჰმადიანმა მოსახლეობამ 1923 წლის დასაწყისში შუამდგომლობა აღძრა თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის წინაშე მათთვის სკოლის აშენების თაობაზე. პრეზიდიუმმა მოიწონა და დაამტკიცა სკოლის მშენებლობისათვის საორგანიზაციო კომიტეტი, სადაც ძირითადად აზერბაიჯანული ეროვნების წარმომადგენლები შეიყვანა. კერძოდ: კულიბეკოვი, ხალიმოვი, რუსამბეკოვი, დადაევი და ამას ზადე დ. რუხაძის თავმჯდომარეობით. კომიტეტს დაევალა შეემონმებინა გამოყოფილი ადგილი, შეედგინა სკოლის შენობის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა.

შენობა უნდა ყოფილიყო შრომის სკოლის პრინციპზე საბავშვო ბაღით და პედაგოგიურ-ტექნიკური კაბინეტებით. 1925 წლისათვის საქართველოში 89 აზერბაიჯანული სკოლა მოქმედებდა, რომლებშიც 4615 ბავშვი სწავლობდა.

ყარაიაზის თემში 3000 კომლი ცხოვრობდა, ძირითადად მაჰმადიანები. აქ წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი უდრიდა 95%. 17 სოფელში არსებობდა 6 შრომის სკოლა, რომელშიც ითვლებოდა 200 მონაფე.

სოფელ მუღანლოში იყო აღამალი-ოღლის სახელობის აზერბაიჯანული სკოლა, სადაც სწავლობდნენ ძირითადად უპატრონო და ღარიბი ბავშვები. სკოლა მოუწყობელი იყო. 17 ბავშვზე ჰქონდათ 4 სახელმძღვანელო.

1925 წელს თბილისში მოქმედებდა 4 მუსლიმანური სკოლა ყაზანელი თათრებისათვის.

საქართველოში მცხოვრები თურქები განათლების მხრივ ერთ-ერთ ბოლო ადგილზე იყვნენ. აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებ თურქებში გაჩნდა აზრი შეექმნათ „ერთიანი" თურქული სკოლა, რომელიც მოამზადებდა სწავლულებს საქართველოში მცხოვრებ თურქ გლეხებთან სამუშაოდ, გადაწყვიტეს სკოლის მშენებლობა. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა 1922 წლიდან. მშენებლობის დაფინანსება ჭიანურდებოდა, რაც გამონვეული იყო მტკიცე ვალუტის შემოღების და ადგილობრივი ბონების გაუქმებასთან.

1923 წელს შედგენილ იქნა სპეციალური გეგმა, რომლის მიხედვით

უნდა შექმნილიყო პედაგოგიური ტექნიკუმი, სადაც მოამზადებდნენ სოფლის მასწავლებლებს საქართველოს მრავალრიცხოვანი თურქული მოსახლეობისათვის.

მუსლიმანური სასულიერო წოდება ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდა განათლების საბჭოურ სისტემას. 1925 წლისათვის მეჩეთებთან არსებული სკოლები მოქმედებდა მაჰმადიანებით დასახლებულ საქართველოს ყველა რაიონში.

ახალციხის მაზრის ბარხანის თემში ფუნქციონირებდა არალეგალური სკოლები – „მედრესეები". ერთი მხრივ ეს აიხსნებოდა იმით, რომ თურქი მოსახლეობის სასკოლო ასაკის 8-14 წლამდე ბავშვთა 84% სკოლის გარეთ რჩებოდა. მშობლები იძულებული ხდებოდნენ წერა-კითხვის სასნავლებლად ბავშვები მოლებთან გაეგზავნათ. მეორე მხრივ, მაჰმადიანთა სასულიერო წოდება ესწრაფოდა მოემზადებინა სასულიერო პირთა ახალი კადრები.

არალეგალურ რელიგიურ სკოლებში – მედრესეებში – მცირეწლოვან ბავშვებს ასწავლიდნენ ყურანის ელემენტარულ საფუძვლებს, ხოლო ე. წ. მოლების მოსამზადებელ კურსებზე შემდეგი საგნების შესწავლა იყო გათვალისწინებული: 1. არაბული ენა, 2. ლოგიკა, 3. რიტორიკა და 4. ყურანის საფუძვლიანი დაუფლება.

ახალი თურქული ალფავიტის შესადგენად 1923 წელს თბილისში შეიქმნა სპეციალური კომიტეტი, რომელიც 1924 წლის ბოლომდე ხელ-მძღვანელობდა ერევანში, ნახჩევანსა და სხვა ქალაქებში არსებულ კომი-ტეტებს. 1925 წლის დასაწყისში კომიტეტი ცალკე ორგანიზაციად ჩამოყალიბდა.

1926 წლის 20-22 თებერვალს თბილისში მოწვეულ იქნა პირველი კონფერენცია, სადაც აირჩიეს კომიტეტი 22 წევრის შემადგენლობით. კომიტეტმა თავის მხრივ აირჩია სამუშაო პრეზიდიუმი 7 წევრით.

1926 წლის მარტში ბაქოში ჩატარდა „თურქოლოგთა" ყრილობა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო თურქულენოვან და მაჰ-მადიან მოსახლეობაში კავშირის მასშტაბით არაბული ანაბანის შეცვლის საკითხს. მართლაც 1927-1928 წლებიდან არაბული ანბანი შეიცვალა ლათინურით.

მუსლიმანური სასულიერო წოდება მტრულად შეხვდა ანბანის შემოღებას. დაიწყო ანბანის საწინააღმდეგო პროპაგანდა მორწმუნეებში. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ანბანი ურწმუნოებმა (გიაურებმა) შექმნეს და მიმართული იყო არაბული ანბანის წინააღმდეგ, რომელ ანბანზეც დაიწერა ყურანი.

1927 სასწავლო წელს უნდა გახსნილიყო სკოლები სოფელ ყიზილ-აჯილოში, ბოლნის-ხაჩინში და დიდ გომარეთში. სკოლებს ექნებოდათ ძლიერი სასოფლო-სამეურნეო ბაზა.

ოკამის თემში იყო 4 სასწავლებელი 150 მონაფით. ხელმძღვანელობის კავშირი სკოლასთან სუსტი იყო. პედაგოგები შემთხვევითი და მოსულები იყვნენ, უმრავლესობა ეროვნებით აზერბაიჯანელი. სწავლა მიმდინარეობდა თურქულ ენაზე. მოქმედებდა პროფსკოლა ქალებისათვის, სადაც სწავლობდა 27 გოგონა 12-დან 17 წლამდე. სკოლას სომეხი ქალი ხელმძღვანელობდა, რომელიც ფლობდა თურქულ ენას.

ქოხ-სამკითხველოებში ჰქონდათ ლიტერატურა თურქულ და რუსულ ენებზე. თურქული წიგნები არასაკმარისი იყო. მუშაობდა რადიო მაუწყებლობა, თუმცა ცხრა თვის განმავლობაში დუმილს ამჯობინებდა.

თბილისში მოქმედებდა ორი შვიდწლიანი თურქული სკოლა – ერთი თურქულ ენაზე, მეორე ვოლგისპირეთის თურქულ სალაპარაკო ენაზე. ეს სკოლები 20-იანი წლების დასაწყისიდან მოქმედებდნენ. ცხრაწლედის არარასებობის გამო სკოლადამთავრებული ბავშვები დიდი წინააღმდეგობის გადალახვით ეწყობოდნენ სხვადასხვა სასწავლებლებში, სადაც სწავლა სხვა ეროვნულ უმცირესობათათვის იყო განკუთვნილი. ან უკეთეს შემთხვევაში მიდიოდნენ აზერბაიჯანში. მათგან უმრავლესობა რჩებოდა ქუჩაში ან იძულებული იყო სხვადასხვა კერძო დანესებულებებში დაეწყო მუშაობა მიზერული ანაზღაურების ფასად. ამდენად, ახალგაზრდობის წლები და გაღებული შრომა ტყუილუბრალოდ იკარგებოდა და ეს მაშინ, როდესაც საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა პროვინციაში მცხოვრებ თურქულ მოსახლეობას ესაჭიროებოდა კვალიფიკაციური ეროვნული კადრები. აღნიშნული პრობლემის გადაჭრას მოითხოვდნენ ხელისუფლების ნარმომადგენლები.

თბილისში, ვანქის ქ. №20 მოთავსებული იყო თურქული პედაგოგიური ტექნიკუმი, სომხეთის კათალიკოსის კუთვნილ შენობაში, რაც სომხების უკმაყოფილებას ინვევდა. იყო შემთხვევები, როდესაც ტექნიკუმის მონაფეები სომხებმა სცემეს. გარდა ამისა ტექნიკუმის შენობაში ცხოვრობდნენ მოქალაქეები, რომელთა ყოფნა კიდევ უფრო ამძიმებდა მუშაობას და დაპირისპირების მიზეზი ხდებოდა.

ტექნიკუმი მიზნად ისახავდა მოემზადებინა კადრები თურქული შრომითი სკოლებისათვის. ტექნიკუმდამთავრებულები ილებდნენ წოდებას – „შრომითი სკოლის პირველი ხარისხის მასწავლებელი". მსმენელები სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფებოდნენ. სასწავლებლის დამთავრების

შემდეგ ისინი ვალდებულნი იყვნენ 4 წელი სოფლის სკოლაში ემსახურათ, სადაც განსახკომი გააგზავნიდა.

ტექნიკუმის მდებარეობა და შენობა ვერ აკმაყოფილებდა ელემენტარულ მოთხოვნებს. ვანქის ეკლესიის ეზო, სადაც ტექნიკუმის შენობა იყო, წარმოადგენდა ქუჩის ბიჭების შესაკრებ ადგილს. ასევე აქ თავს იყრიდნენ ხულიგნები, მაკლერები, გადამყიდველები, რომლებიც იქვე მდებარე „სალდათის ბაზრიდან" მოდიოდნენ. შენობის შედარებით უკეთეს ოთახებს საცხოვრებლად იყენებდნენ მახათოვი და თურანი. ამასთან ერთად სასწავლო პროცესზე დიდ უარყოფით გავლენას ახდენდა ეზოში მოქმედ ეკლესიაში მიცვალებულის დაკრძალვის რიტუალი. ამ დროს ეკლესიის ზარების რეკვის გამო ფაქტიურად შეუძლებელი ხდებოდა სწავლის გაგრძელება, რამდენადაც ეკლესიის სამრეკლო მოთავსებული იყო ტექნიკუმის შენობის ქვეშ.

ტექნიკუმის ნორმალურ მუშაობას მძიმე პირობებს უქმნიდა იქვე განლაგებული ინტერნატი. ბავშვები ძალით იკავებდნენ ტექნიკუმის ოთახებს. ინტერნატის 6 ოთახი, რომელთა კუბატურა ელემენტარულად ვერ აკმაყოფილებდა სანიტარულ მოთხოვნებს (25 არშინის მოცულობის ოთახში ეძინა 11-12 მონაფეს, ზოგან ერთ საწოლზე რამდენიმეს). ოთახები ავარიული იყო. ფანჯრებს არ ჰქონდა მინები. არ ჰქონდათ ლუმელი, ავეჯი, ხელსაბანი. 120 სულზე მხოლოდ ერთი ონკანი იყო. ზოგიერთ ოთახში გასვლა მხოლოდ საწოლების ქვეშ „გაძრომით" იყო შესაძლებელი. საკვები პროდუქტებიდან პური დეფიციტი იყო, ხოლო შაქარი და ცხიმი არასოდეს ჰქონიათ სამყოფი...

1928 წლის 18 აპრილს იუსტიციის სახელმწიფო კომისარიატის დადგენილებით აღნიშნული შენობა შეტანილ იქნა მუნიციპალიზაციაქმნილ სახლთა სიაში, განსახკომისათვის უფასო სარგებლობის უფლების მინიჭებით.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ამავე დროს პანსიონში ცხოვრობდა 40 ბავშვი ბავშვთა სახლიდან. სისტემატიური ადგილი ჰქონდა დაპირისპირებას, ცემა-ტყეპას მათსა და თურქებს შორის, რომელთა რაოდენობა 140-ით განისაზღვრებოდა. თურქებს ყველაზე ბოლოს აძლევდნენ საჭმელს. სკანდალური იყო საწოლების რაოდენობა. არ არსებობდა არავითარი შესაძლებლობა წესრიგის დასამყარებლად. არ ჰქონდათ სასადილო ოთახი. ბავშვები ეზოში სადილობდნენ. ხშირად ქარი აბინძურებდა ისედაც მცირე ულუფას. პანსიონში 141 სულზე ჰქონდათ მხოლო 50 ჭიქა და 10 ჩანგალი. არ გააჩნდათ ხელსანმენდები, პირსახოცები... ბავშვებს არ ჰქონდათ თეთრეული, ზოგიერთს ტანსაცმელი.

ყველა სფეროში ანტისანიტარია იყო გამეფებული. თვე გავიდოდა, ბავშვებს აბანოში არ წაიყვანდნენ. დიდი ხნის მანძილზე არ ჰყავდათ პარიკმახერი. თუ რომელიმე მათგანს შეხვდებოდა ინფექციური დაავადება სიკვდილი გარდუვალი იყო.

ამდენად, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში საქართველოში ეროვნულ უმცირესობას მეტნაკლებად ჰქონდა პირობები სწავლა-განათლება მშობლიურ ენაზე მიეღო. 20-იანი წლების საწყის ეტაპზე აზერბაიჯანულ და თურქულ ეთნოსზე ყურადღების გამახვილება განპირობებული იყო ქემალ ათა-თურქსა და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას შორის მათთვის მისაღებ ურთიერთობაზე.